mastsavlebeli.ge

ONLINE

მასწავლებლის წიგნი

გაკვეთილები დისტანციური სწავლებისთვის

მანანა რატიანი
ქეთევან მიქაძე
გიტა თვალაბეიშვილი
თემურ სუყაშვილი
თამთა დოლიძე
ნათია უჩავა
თეა ურუშაძე
ნინო აბულაძე
მანანა სეხნიაშვილი
მანანა ნუცუბიძე
ირენა მახარაძე
ნასტასია არაბული
ლელა მანგოშვილი
დალი დოლიძე
ანი კოპალიანი
თათა ჭანტურია
მეგი კავთუაშვილი
ანა ღვინიანიძე
ნათია ფურცელაძე
ნინო პოპიაშვილი
ბაია მაჩიტიძე
მაია მენაბდე
თამთა დოლიძე
თათია მთვარელიძე
დიანა ანფიმიადი
თეკლე კაპანაძე
ნინო ლომიძე
ლევან ალფაიძე
ქეთევან ოსიაშვილი
მანანა ბოჭორიშვილი

საკლასო ოთახი

მშობელი

თან საკითხავი

უსაფრთხოება

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

მასწავლებლის წიგნი

გაკვეთილები დისტანციური სწავლებისთვის

მანანა რატიანი
ქეთევან მიქაძე
გიტა თვალაბეიშვილი
თემურ სუყაშვილი
თამთა დოლიძე
ნათია უჩავა
თეა ურუშაძე
ნინო აბულაძე
მანანა სეხნიაშვილი
მანანა ნუცუბიძე
ირენა მახარაძე
ნასტასია არაბული
ლელა მანგოშვილი
დალი დოლიძე
ანი კოპალიანი
თათა ჭანტურია
მეგი კავთუაშვილი
ანა ღვინიანიძე
ნათია ფურცელაძე
ნინო პოპიაშვილი
ბაია მაჩიტიძე
მაია მენაბდე
თამთა დოლიძე
თათია მთვარელიძე
დიანა ანფიმიადი
თეკლე კაპანაძე
ნინო ლომიძე
ლევან ალფაიძე
ქეთევან ოსიაშვილი
მანანა ბოჭორიშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2020

რედაქტორები:
ნატო ინგოროყვა
მანანა ბოჭორიშვილი

სტილის რედაქტორი:
ნანა მაჭავარიანი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

© 2020, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

რედაქტორისგან

ახლა, როცა ჩვენი ყოფა და მთელი სამყარო შეიცვალა, რამდენიმე სიტყვა და სამიოდე მდგომარეობა გახდა მნიშვნელოვანი.

ამ სიტყვებსა და მდგომარეობაზე, ალბათ, ბევრი დაიწერება.

ერთ ჩვეულებრივ დღეს, როცა ახალი სასწავლო სემესტრისთვის ვემზადებოდით, გვითხრეს, რომ საკლასო ოთახები და აუდიტორიები ცოტა ხნით, უფრო კი განუსაზღვრელი ვადით, დაიხურა რეალური შეხვედრებისთვის და...

როგორ ვასწავლოთ? – გაჩნდა კითხვა დახურულ კარს მიღმა და შიშმა ფართოდ გაახილა თვალები.

ელექტრონულად, დისტანციურად, ონლაინ – ამ სიტყვებთან გაშინაურებულები ვიყავით, მაგრამ...

რამდენიმე დღეში ეს შიში მრავალმა შესაძლებლობამ ამოავსო და აუდიტორიებში რეალური ყოფნა კომპიუტერის ეკრანებთან სხდომით და ინფორმაციის გადაცემით ჩავანაცვლეთ.

შეიცვალა სასწავლო დიზაინი. ის, რაც ყველაზე მეტად გვხიბლავდა – პირისპირ ყოფნა – გადაიდო. დისტანცია ამოივსო მოციმციმე ეკრანებით.

დავიწყეთ ტექნოლოგიების შიგნით მზერა და მათი აქამდე გამოუყენებელი შესაძლებლობების შესწავლა და გამოყენება.

„გესმით ჩემი?“ - ყველაზე ხშირად ამ სიტყვებს ვიმეორებ, როცა ვირტუალურ აუდიტორიაში ჩემს სტუდენტებს ვესაუბრები. ძალიან დამაკლდა უკუკავშირი, რომელსაც მათთან კომუნიკაციისას ვიღებდი რეალურ აუდიტორიაში. იქ, სადაც თითქმის ყველაფერი ცხადია, სადაც იცი, ვინ არის შენთან, ვინ გისმენს და ვინ გაიგო, რისი თქმა გინდოდა.

თუმცა, ამ შესაძლებლობის მიღმაც დარჩნენ სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებსაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ და არც შესაბამისი ინსტრუმენტები აქვთ.

მათ არც კითხვით: „გესმით ჩემი?“ – ვაბეზრებ თავს.

მე ვდარდობ ჩვენი მოსწავლეების ამ არათანაბარ შესაძლებლობაზე. ვდარდობ იმაზეც, რომ არავინ იცის, ხვალ რა გამოწვევას შევეჯახებით; არავინ იცის, გავაგონებთ თუ არა ჩვენს ხმას მათ, ვისაც ჩვენი უნდა ესმოდეს.

მაგრამ მთავარი, რაც ამ დღეებში თითოეულმა ჩვენგანმა ისწავლა, ის არის, რომ სამყარო მართლა აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო და ადამიანებს, არც იზოლაციაში და არც ყოველგვარი შეზღუდვისგან თავისუფლებს, ერთმანეთზე უკეთესი არავინ გვეყოლება.

ხომ გესმით ჩემი?

ნატო ინგოროყვა

ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge-ს მთავარი რედაქტორი

შესავალი

კაცობრიობის არსებობის მანძილზე მასწავლებელი მუდმივად ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე იდგა და ყოველი ახალი გამოწვევა წინა გამოწვევებზე ბევრად უფრო მეტ შემოქმედებითობას და რაციონალურობას მოითხოვდა. ასე მოხდა ახლაც, ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში მთელი მსოფლიოს მასწავლებლებმა საკუთარი სახლებიდან დაიწყეს მასწავლებლობა.

ამ წიგნში გაეცნობით მასალებს ჩვენი მასწავლებლების დისტანციური გაკვეთილებიდან. მასალები საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ ცალსახად იკვეთება, რომ ითვალისწინებს დისტანციური სწავლების ცხრასაფეხურიან მოდელს, რომელიც ჯერ კიდევ 1985 წელს ამერიკელმა მეცნიერმა, განათლების ფსიქოლოგიის წარმომადგენელმა, რობერტ გაგნემ შექმნა.

1. მასწავლებელმა დისტანციური გაკვეთილის დასაწყისშივე უნდა მიიქციოს მოსწავლეთა ყურადღება (პროვოკაციული კითხვებით, საინტერესო ფაქტებითა და ვიზუალური ინფორმაციით...)
2. მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე უნდა მოახერხოს მოსწავლეთა ინფორმირება და გააცნოს სასწავლო მიზნები, რათა მოსწავლეებს შეექმნათ სწორი მოლოდინები.
3. ახალი კონცეფციების აგება უნდა განხორციელდეს ნასწავლ კონცეფციებზე დაფუძნებით.
4. კოგნიტური გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, შესასწავლი საკითხის შინაარსი უნდა იყოს დაყოფილი ნაწილებად (რაციონალურად უნდა იყოს გამოყენებული მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, ასევე მულტიმედია რესურსები: ტექსტი, გრაფიკა, აუდიო და ვიდეო ფაილები)
5. მთელი ძალისხმევა ჩაიდოს ინფორმაციის სწორ დეკოდირებაში (მასწავლებელმა ამ მიზნით უნდა შესთავაზოს მაგალითები, შემთხვევის შესწავლა, გრაფიკული რეპრეზენტაცია, ანალოგიები, მნემონიკა, ამბების დამახსოვრება ასოციაციებით, ანალოგიებით და სხვ)

6. ყურადღება მივაქციოთ მოსწავლის მიღწევას (მაგალითად, როგორ იყენებს ახალ უნარს ან ქცევას, რომ დავადასტუროთ სწორად ესმის თუ არა საკითხი, ამგვარი დავალებების გამეორება ზრდის უკეთესი სწავლის შედეგების ალბათობას).
7. გამოხმაურება მოსწავლის პრაქტიკაზე (მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მიღწეულ შედეგზე სპეციფიკური და სწრაფი გამოხმაურების მეთოდები).
8. შეფასება (მოსწავლის მიღწევის შეფასება პოსტტესტირებით ან ისეთი დავალების შესრულებით, რომელიც დამატებით ასისტირებას, გამოხმაურებას და დამხმარებას არ ითხოვეს. სასურველია, თუ მოსწავლის პაუსხების 80-90% იქნება სწორი).
9. ნასწავლის გამოყენება (ნასწავლი საკითხების დამახსოვრება და პრაქტიკაში გამოყენება ნასწავლი კონცეფციების გამეორების გზით).

ეს გაკვეთილები, უკეთესი ორიენტირებისთვის, რამდენიმე ნაწილად გავყავით. გაკვეთილები,რომლებიც საკლასო ოთახებში შემოგვეშეველბიან, უსაფრთხოების გაკვეთილები, გაკვეთილები მშობლებისთვის და გაკვეთილები, რომელიც აუცილებლად თან უნდა ვიკითხოთ.

სარჩევი

საკლასო ოთახი

მანანა რატიანი

სკოლის და ოჯახის ახალი გამოწვევები და პრიორიტეტები, რომლებიც უნდა გადაიხედოს 15

ქეთევან მიქაძე

დისტანციურ საკლასო ოთახში განხორციელებული ერთი აქტივობის შესახებ 21

მანანა ბოჭორიშვილი

დისტანციური სწავლების ლაბირინთები 26

დისტანციური სწავლების ლაბირინთები ვიდეო გაკვეთილების გარეშე 31

გიტა თვალაბეიშვილი

ფიზიკური აღზრდა დისტანციური სწავლებისას 36

თემურ სუყაშვილი

ლიანდაგებიდან გადასული სისტემა 41

თამთა დოლიძე

საშინაო სკოლა: დისტანციური დავალებების შესახებ 45

ნათია უჩავა

დისტანციური სწავლება – ერთი მასწავლებლის გამოცდილება 50

თეა ურუშაძე

უცნაურად მიწოდებული და გამოკითხული მასალა 52

როცა სწავლება დისტანციურია, გამოწვევა მოსწავლეთა მოტივაციისთვის 55

ნინო აბულაძე

ოცდამეერთე საუკუნის გაკვეთილების სერიიდან 58

მანანა სეხნიაშვილი

ონლაინ გაკვეთილები გეოგრაფიაში 64

მანანა ნუცუბიძე

მედიაწიგნიერება ისტორიის გაკვეთილზე 68

ირენა მახარაძე

ხელოვნება საშინაოდ, სახალისოდ 77

ნასტასია არაბული

ციფრული არქივები – როგორც სასწავლო რესურსი 86

Instagram, როგორც სასწავლო რესურსი 88

ლელა მანგოშვილი

მოგზაურობა მსოფლიოში პასპორტის გარეშე.
რას ნიშნავს Skype საკლასო ოთახში? 91

ციფრული სახელოსნო „მოდი, დავწეროთ“ 95

„ვინ არის ყველაზე ჭკვიანი“ და სხვა ინტერაქტიული თამაშები
დისტანციურ სწავლებაში 100

დალი დოლიძე

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე 106

ანი კოპალიანი

სტრატეგიული თამაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 111

მშობელი

თათა ჭანტურია

„ხარაჩო“ – ანიმაციის/ფილმის ერთობლივად ყურება შეკითხვებით 117

მეგი კავთუაშვილი

გამჭვირვალე ბავშვობის საფრთხეები 128

ცხოვრება დისტანციურად 131

მშობლები დისტანციური სკოლის კედლებთან 134

სიტყვა, როგორც იარაღი 137

თან საკითხავი

ანა ღვინიანიძე

მასწავლებელი ცვლილებების პირისპირ 143

ნათია ფურცელაძე

მოულოდნელი არდადეგები და „საშლელები“ 147

ნინო პოპიაშვილი

ონლაინ სწავლების გასაკვალი ბილიკები,
ანუ „ისწავლე ყოველი დღისგან!“ 155

ბაია მაჩიტიძე

რა შეიძლება გამოვიყენოთ დისტანციური სწავლებისას
მოსწავლის წახალისებისთვის 159

რა უპირატესობა აქვს ციფრული რესურსების
მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში 161

მაია მენაბდე

„ვეფხისტყაოსანი“ უჩვეულო არდადეგების ჟამს 163

თამთა დოლიძე

საშინაო სკოლა და საქართველო 171

თათია მთვარელიძე

იზოლაცია ჰომეროსის გარეშე და უჰექსამეტროდ 175

დიანა ანფიმიადი

როგორ გავართოთ ბავშვები იძულებითი არდადეგების დროს 182

სახლი, როგორც გაკვეთილი და ნივთები, როგორც რეკვიზიტები 187

მანანა სეხნიაშვილი

პანდემიური არდადეგები 191

თეკლე კაპანაძე

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს გაზიარება 197

უსაფთხოება

ნასტასია არაბული

ციფრული დრამა, კიბერბულინგი და მათგან თავის დაცვის მეთოდები 203

ციფრული მოქალაქის გზამკვლევი 207

ნინო ლომიძე

საინფორმაციო ლავა – როგორ გავუმკლავდეთ „სტიქიას“? 209

ლევან ალფაიძე

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ცრუ ინფორმაციის,
ანუ ფეიკნიუსების გამოვლენა? 215

ქეთევან ოსიაშვილი

დისტანციური სწავლების ფსიქოლოგია 221

საკლასო ოთახი

მანანა რატიანი

სკოლის და ოჯახის ახალი გამოწვევები და პრიორიტეტები, რომლებიც უნდა გადაიხედოს 15

ქეთევან მიქაძე

დისტანციურ საკლასო ოთახში განხორციელებული ერთი აქტივობის შესახებ 21

მანანა ბოჭორიშვილი

დისტანციური სწავლების ლაბირინთები 26

დისტანციური სწავლების ლაბირინთები ვიდეო გაკვეთილების გარეშე 31

გიტა თვალაბეიშვილი

ფიზიკური აღზრდა დისტანციური სწავლებისას 36

თემურ სუყაშვილი

ლიანდაგებიდან გადასული სისტემა 41

თამთა დოლიძე

საშინაო სკოლა: დისტანციური დავალებების შესახებ 45

ნათია უჩავა

დისტანციური სწავლება – ერთი მასწავლებლის გამოცდილება 50

თეა ურუშაძე

უცნაურად მიწოდებული და გამოკითხული მასალა 52

როცა სწავლება დისტანციურია, გამოწვევა მოსწავლეთა მოტივაციისთვის 55

ნინო აბულაძე

ოცდამეერთე საუკუნის გაკვეთილების სერიიდან 58

მანანა სეხნიაშვილი

ონლაინ გაკვეთილები გეოგრაფიაში 64

მანანა ნუცუბიძე

მედიაწიგნიერება ისტორიის გაკვეთილზე 68

ირენა მახარაძე

ხელოვნება საშინაოდ, სახალისოდ 77

ნასტასია არაბული

ციფრული არქივები – როგორც სასწავლო რესურსი 86

Instagram, როგორც სასწავლო რესურსი 88

ლელა მანგოშვილი

მოგზაურობა მსოფლიოში პასპორტის გარეშე.
რას ნიშნავს Skype საკლასო ოთახში? 91

ციფრული სახელოსნო „მოდი, დავწეროთ“ 95

„ვინ არის ყველაზე ჭკვიანი“ და სხვა ინტერაქტიული თამაშები
დისტანციურ სწავლებაში 100

დალი დოლიძე

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე 106

ანი კოპალიანი

სტრატეგიული თამაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 111

მანანა რატიანი

სკოლების და ოჯახების ახალი გამოწვევები და დასაკორექტირებელი პრიორიტეტები

2020 წელი განათლების სისტემებისთვის ურთულეს წლად შევა ისტორიაში. მსოფლიოს მასშტაბით 188 ქვეყანის სკოლის კარები გამოიკეტა. როგორც UNESCO-ს ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, პირველი იყო ჩინეთი, რომელმაც 16 თებერვალს დახურა სკოლები, უკვე 2 მარტს, 11 სხვა ქვეყანასთან ერთად, ჩვენც მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. დღეს კი, 7 აპრილია და სკოლები სრულად დახურულია 188 ქვეყანაში, 1,576 მილიარდი მოსწავლე, საერთო რაოდენობის 91,3% ვეღარ ან დისტანციურად იღებს განათლებას.



წყარო: https://en.unesco.org/covid19/educationresponse[1]

[1] https://www.gov.uk/government/publications/coronavirus-covid-19-cancellation-of-gcses-as-and-a-levels-in-2020/coronavirus-covid-19-cancellation-of-gcses-as-and-a-levels-in-2020

მცირე დროითაც კი სკოლების დახურვა გარკვეულ პრობლემებს ქმნის სკოლებისთვის, რთულდება მოსწავლეების უკან დაბრუნება, ჩვეულ ფორმაში ჩადგომა. თუმცა მოკლე ვადით შეწყვეტილი სწავლა, დიდად ვერ ახდენს გავლენას სწავლების ხარისხზე. სწავლის განახლების შემდეგ ხდება გაცდენილი საათების აღდგენა და არცთუ დიდი ძალისხმევის შედეგად, პრობლემები მალე გვარდება.

კოვიდ 19-ის შემთხვევაში სკოლებს მოუწიათ ხანგრძლივი დროით, 3-4 კვირით სწავლის შეჩერება. თუმცა არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია იმის ზუსტად განსაზღვრა, რეალურად, სწავლის განახლება როდის იქნება გონივრული.

საგანმანათლებლო სისტემებმა, რომლებიც თავისი მკაცრი, რთული, სანდო და სამართლიანი შეფასებით გამოირჩეოდნენ (საერთაშორისო ბაკალავრიატი[2], გაერთიანებული სამეფოს A დონე და GCSE) გააუქმეს გამოსაშვები გამოცდები და გაიცა რეკომენდაციები დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს როგორ გამოუთვალონ ნიშნები, ასევე უნივერსიტეტებს მიმართეს თხოვნით, მხედველობაში მიიღონ არსებული მდგომარეობა და გადახედონ თავის მოთხოვნებს.

ყველა ქვეყანის განათლების სისტემამ დროულად და ეფექტურად ვერ უპასუხა სკოლების დახურვის შედეგად შექმნილ გამოწვევებს. ამ გამოწვევების ფონზე, ჩვენი ქვეყანა არცთუ ურიგოდ წარმოჩინდა, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებები მალევე გადაეწყვნენ დისტანციურ სწავლებაზე. პირველები იყვნენ უნივერსიტეტები, მათ მიყვნენ კერძო სკოლები და ამის პარალელურად საჯარო სკოლების ადმინისტრაციებმა თუ მასწავლებლებმაც გამოიჩინეს თავი.

გადაწყობა არ აღმოჩნდა რთული. მასწავლებლების უმეტესობა ყოველწლიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგს, რაც მათ უფრო მეტად აკავშირებს განათლებაში მიმდინარე სიახლეებთან, აცნობს მათ მრავალფეროვან სტრატეგიებს და დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლების ადმინისტრაციებმა მოკლე ვადაში მოახერხეს მასწავლებლების მობილიზება და ვირტუალურ რეალობაში გადართვა.

რა პრობლემებს წააწყდნენ სკოლები? მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ რამდენ მოსწავლეს აქვს სახლში დისტანციური სწავლებისთვის საჭირო მოწყობილობები და წვდომა ინტერნეტთან. ამ მონაცემების შეგროვება სწრაფად

[2] https://www.ibo.org/news/news-about-the-ib/covid-19-coronavirus-updates/

დაორგანიზდა. სკოლებს არ აქვთ გამართული ონლაინ პლატფორმა, რომელიც გააადვილებდა ოჯახებთან კომუნიკაციას, შეითავსებდა გარკვეულ ფუნქციებს რჩევების, დავალებების გასაზიარებლად, განსაკუთრებით თუ ამ დავალებებს ასინქრონულად შესთავაზებდა.

სამინისტროსგან შეთავაზებული რეკომენდაციები საგაკვეთილო პროცესის ხანგრძლივობასა თუ სიხშირეზე იყო ზოგადი, რამაც სკოლებს მეტი თავისუფლება მისცა. სკოლების ნაწილი ახორციელებს დისტანციურ სწავლებას, იყენებენ სხვადასხვა პლატფორმას, რომელთა შორისაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს Microsoft Teams და Zoom. პირველის შემთხვევაში, მის მოხმარებას ამარტივებს ის ფაქტი, რომ სამინისტროსა და Microsoft-ს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე, მათთვის ითარგმნა გზამკვლევები და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მასწავლებლების ნაწილი გადამზადებული იყო Microsoft Office 365-ში.

სკოლებს ონლაინ სწავლებისთვის ქართული ალტერნატიული პლატფორმა Feedc Edu შესთავაზეს, რომელიც უფასოა და შესაძლებელია სმარტფონებში ამ პლატფორმის გამოყენება მაშინაც კი, თუ მაღალი სიჩქარის ინტერნეტი არაა ხელმისაწვდომი.

ამავდროულად, მოკლე ვადებში სტარტი აიღო საზოგადოებრივ მაუწყებელთან განხორციელებულმა ერთობლივმა საგანმანათლებლო პროექტმა – „ტელესკოლა“. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია, რადგან ჩვენს მოსახლეობაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ართულებს დისტანციურ სწავლებაზე სკოლების გადაყვანას. ტელესკოლა ბულგარეთში, მონღოლეთში, ვიეტნამში, ჩინეთში ამოქმედდა, ასევე ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, დაანონსდა ტელესკოლის ამოქმედება.

მანამ, სანამ თუნდაც კლასიდან ერთი მოსწავლე ვერ ახერხებს დისტანციურ სწავლებაში ჩართვას, მოდუნების უფლება არ გვაქვს. სწავლების ამ ფორმამ არ უნდა გააღრმავოს სეგრეგაცია და გამოინახოს კონკრეტული მოსწავლისთვის მისაღები საკომუნიკაციო გზები. ასევე გასათვალისწინებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, რადგან მათ განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ. თავდაპირველად ჩვენი სპეციალური მასწავლებლები თითქოს განყენებულები აღმოჩდნენ ონლაინ სწავლებიდან, თუმცა მალევე აუღეს ალღო ცვლილებებს და იგივე

სერვისები, რასაც აწვდიდნენ მოსწავლეს სასკოლო სივრცეში, გადაიტანეს ვირტუალურ რეალობაში. მასწავლებლები კი, იმისთვის, რომ მოსწავლეების ყურადღება მიიქციონ, ხშირად ეწყობიან ფერად სამოსში, ან ირგებენ მხიარულ აქსესუარებს. მათი დავალებებიც უფრო ოჯახურ გარემოზე გახდა მორგებული, თუ სახლში შინაური ცხოველი ჰყავთ, მოუყვნენ როგორ ზრუნავენ მასზე, როგორია ის და ა.შ. ან აჩვენონ საკუთარი ოთახი თუ კუთხე, სადაც უყვართ მეცადინეობა და თამაში. მოკლედ, საჭიროა ახალ ფორმატში ახალი ვირტუალური ურთიერთობის დალაგება და ნდობის მოპოვება. თუ მათემატიკის სწავლებისას რესურსოთახში კუბიკებს იყენებდა მასწავლებელი, სახლის პირობებში ის ჩანაცვლებული უნდა იყოს სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით ან პროდუქტებით, როგორიცაა ნატეხი შაქარი, ან თუნდაც მაკარონის ჩხირები.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მშობელთა ჩართულობა და იმ დავალებებისთვის თვალის მიდევნება, რომელსაც მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს.

რეკომენდაციებს შორის არის ისეთი თამაშები ბავშვებთან, რაც ეკრანის წინ ჯდომას არ გულისხმობს. საჭიროა ფიზიკური დატვირთვა სახლის პირობებში, მოსწავლეების ფიზიკური განვითარება რომ არ შეფერხდეს. გარდა ვარჯიშისა, შეიძლება აქტიური თამაშების მოფიქრება, როგორიცაა „განძზე ნადირობა“, რომელიც სხვადასხვა ადგილას შეიძლება იყოს დამალული. თამაშისთვის ყველას თავისი როლი უნდა ჰქონდეს, ასევე კოსტიუმების მორგებაც შეიძლება ხელთ არსებული აქსესუარებიდან. რეკომენდებულ აქტივობებს შორისაა ცეკვის ან სპექტაკლის დადგმა. მათი შერჩევა ასაკის მიხედვით და ბავშვისთვის საყვარელი ნაწარმოებების შერჩევით შეიძლება. აქაც დეკორაციებს და კოსტიუმებს დიდი მნიშვნელობა ექნება. სასურველი ადგილების მოსანახულებლად ვირტუალური მოგზაურობის მარშრუტის დაგეგმვა, „პიკნიკის“ მოწყობა და საყვარელ ლიტერატურულ გმირებთან ერთად „მოგზაურობა“ შეიძლება . ამ აქტივობებს მზადება სჭირდება, მსგავსი აქტივობები დიდხანს ართობს ბავშვს და საინტერესოს ხდის სახლში ყოფნას.

რა თქმა უნდა, სამაგიდო თამაშები (ლოტო, ბანქო, მოზაიკა და სხვა) არის ძალიან სახალისო და დროის საინტერესოდ გატარების საშუალება. შეიძლება ბავშვების დაინტერესება სხვადასხვა პროექტებით, იქნება ეს სათამაშოების სათავსოს, თოჯინების სახლის, საფრენი აპარატის მშენებლობა, თემატური დასურათებული წიგნების შექმნა (ხუმრობების, იგავ-არაკების, ზღაპრე-

ბის, მოთხრობების), ან ახალი უნარის განვითარებით ან სწავლით – ლექსი, სიმღერა, ფოკუსი, ორიგამი.

შეიძლება ფილმების შერჩევა მიზანმიმართულად განხორციელდეს და დაეხმაროს იმ თემის შესწავლას, რომელსაც იმ ეტაპზე სწავლობს ბავშვი. ამ შემთხვევაში მასწავლებლების როლი მნიშვნელოვნია, დავალებებთან ერთად კარგია, თუ რჩევებს მისცემენ მშობლებს, ბავშვებს დაეხმარებიან ნანახი ფილმის გაგება-გააზრებაში.

განათლების ხელმისაწვდომობის შემცირების რისკის მინიმიზაცია არის დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. სკოლების ამოქმედების შემდეგ აუცილებელი გახდება, სისტემის მუშაობის გადააზრება და პრიორიტეტების გადახედვა.

რა სჭირდება სკოლებს სამომავლოდ

ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმ სცენარებისთვის, რომლებიც შეიძლება კვლავ განმეორდეს. შესაბამისად, აუცილებელია, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს შემდეგი მიმართულება მიეცეს:

- ალტერნატიული სასწავლო გეგმის განვითარება, რომელიც დისტანციური სწავლებისთვის იქნება გათვლილი და საჭიროების შემთხვევაში ამოქმედდება;
- სახელმძღვანელოების შექმნა ელექტრონულ ფორმატში, ეს დაეხმარება მოსწავლეებსა თუ მასწავლებლებს;
- სკოლების ადმინისტრაციის გადამზადება კრიზისული მენეჯმენტისთვის, აღნიშნული მიმართულებით სასკოლო სასწავლო გეგმების გამართვა;
- საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, რომლებიც დისტანციურ სწავლებაში დაეხმარება ჩვენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება შესაძლებელი იქნება საკლასო ოთახშიც, რაც სასწავლო პროცესს ბევრად საინტერესოს გახდის;
- მასწავლებლების მიერ შექმნილი რესურსების თავმოყრა, რაც საუკეთესო პრაქტიკული დახმარებაა კოლეგებისთვის;
- მოსწავლეების და მასწავლებლების უზრუნველყოფა შესაბამისი ტექნოლოგიებით და ინტერნეტზე წვდომით;
- სასწავლო პროგრამების განახლება და მათში აქტუალური გლობალური თემების, ასევე გარემოს გაუმჯობესებისა და უსაფრთხოებისკენ მიმართუ-

ლი საკითხების ასახვა, რომლებსაც არასათანადო ყურადღება ექცეოდა აქამდე;

- საჭიროა მოსწავლეების ისტ-ის უნარების განვითარება;
- მასწავლებლების მომზადება სხვადასხვა კრიზისული სიტუაციების სამართავად. მათი კომპეტენციების განვითარება დისტანციური სწავლებისთვის, რაც მათ ჩვეულებრივ, არადისტანციური სწავლების დროსაც, მოსწავლეთა შინ სწავლების უზრუნველსაყოფად, ან მათი ავადმყოფობის დროს მოსწავლეების ჩამორჩენის დასაძლევად გამოადგებათ;
- ერთიანი პორტალის მომზადება, სადაც განთავსდება საჭირო რესურსები, გზამკვლევები და შესაძლებელი იქნება, დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ დასმულ შეკითხვებზე პასუხები;
- მშობელთა მხარდაჭერა მსგავსი კრიზისული სიტუაციების დროს, რათა მათ შეძლონ მასწავლებლების ხელშეწყობა და ასევე, ისწავლონ, თუ როგორ შეავსონ შვილების თავისუფალი დრო უკეთ, მათი აქტიური და ჯანსაღი განვითარებისთვის.

ონლაინ და დისტანციურ სწავლებაზე სკოლების გადაწყობის პირველი კვირები გავიდა. ახლა უკვე საფიქრალად მეტი დრო გვრჩება. საინტერესოა თქვენი აზრი, რა უნდა შეიცვალოს და როგორ?

ქეთევან მიქაძე

დისტანციურ საკლასო ოთახში განხორციელებული ერთი აქტივობის შესახებ

21-ე საუკუნე ინფორმაციულად დატვირთული საუკუნეა. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებმა მსოფლიო დაიპყრო. ტექნოლოგიების განვითარებამ სკოლები და უნივერსიტეტები ელექტრონული სწავლების აუცილებლობამდე მიიყვანა. საჭირო გახდა ტრადიციული საკლასო ოთახის გამრავალფეროვნება, ტექნოლოგიებით აღჭურვა. ეროვნული სასწავლო გეგმაც მოითხოვდა მედიაწიგნიერი ადამიანის აღზრდას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო მოვლენებმა გამოგვაფხიზლა და ელექტრონული სწავლების აუცილებლობა დაგვანახა. სანამ დისტანციური სწავლების აუცილებლობა დადგებოდა, მანამდე კლასში მულტიმედია ტექსტები რომ გამოგვეყენებინა, დღეს ეს საქმეს ბევრად გაგვიმარტივებდა.

თანამედროვე საკლასო ოთახი თითოეული ბავშვის შესაძლებლობებს უნდა მოერგოს და მისცეს შესაძლებლობა, შეიძინოს ის უნარები, რომელთა ფლობაც აუცილებელია 21-ე საუკუნის საზოგადოებისთვის. ამისთვის სხვადასხვა მეთოდები და მიდგომები არსებობს.

მოსწავლეების მიერ პრეზენტაციის წარდგენა, სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობას წარმოადგენს. ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეს, განივითაროს:

1. ინფორმაციის მოძიებისა და გაფილტვრის უნარი;
2. საკუთარი ნამუშევრისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება;
3. მეტყველების უნარი;
4. შემოქმედებითი აზროვნება;
5. საკუთარი შემოქმედების პრეზენტაციის უნარი;
6. აუდიტორიის წინაშე წარდგომის უნარი.

როცა მოსწავლეებს დავალებული აქვთ რომელიმე თემაზე პრეზენტაცია, ცდილობენ, რომ აუდიტორიისთვის საინტერესო ნამუშევარი გამოუვიდეთ, მუშაობენ კითხვაზე, რომ თავიანთი პრეზენტაცია მსმენელისთვის არ იყოს მომაბეზრებელი, ეჩვევიან გამომეტყველებით კითხვასაც.

კიდევ ერთი დადებითი მხარე, რომელიც პრეზენტაციების მოწყობაში დავინახე, არის ის, რომ მშობელიც ერთვება ამ პროცესში. ეხმარება ბავშვს ინფორმაციის მოძიებასა თუ ნამუშევრის გაფორმებაში. ეს პროცესი კი ხელს უწყობს მშობლისა და შვილის დაახლოებას.

დღეს კი, როცა მთელი მსოფლიო უდიდესი გამოწვევის წინ დგას, პასუხისმგებლობა დიდია თითოეულ ჩვენგანზე. მომწონს გამონათქვამი – „თუ ბედავ ასწავლო, შენც უნდა ისწავლო“ და ღირსეულად გაუმკლავდე თანამედროვე გამოწვევებს.

ამიტომ, აქტიურად ჩავერთე დისტანციურ სწავლებაში და გადავწყვიტე, გამომეყენებინა პრეზენტაციის მეთოდი. ვფიქრობ, დისტანციური სწავლაც იმასვე მოითხოვს, რასაც საკლასო ოთახში განხორციელებული აქტივობები. სწავლის პროცესი უნდა იყოს მარტივი, სახალისო და ე.ს.გ.-ის მიზნებზე მორგებული. ამიტომ, გადავწყვიტე ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოსწავლეებს მოემზადებინათ პრეზენტაცია თემაზე „გავუფრთხილდეთ ტყეს“ .

გაკვეთილის მიზნად დავისახე მოსწავლეებისათვის გარემოსდაცვითი საკითხების გაცნობა და ბუნებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

გაკვეთილის მსვლელობის დროს გამოვიყენე ჩემ მიერ შექმნილი მულტიმედია ტექსტები. მულტიმედიური ტექსტები საშუალებას იძლევა ერთდროულად გამოიყენო ენობრივი, ხმოვანი და ვიზუალური საშუალებები. ამ მეთოდის გამოყენება მოსწავლეებში ხელს უწყობს შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების განვითარებას და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამან მოტივაციის ამაღლებასაც შეუწყო ხელი. ჩვენი მიზანია, აღვზარდოთ წიგნიერი მოსწავლეები. წიგნიერებას, მედიაწიგნიერებასთან და ციფრულ წიგნიერებასთან ერთად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლ კომპეტენციად განიხილავენ და ეს ყველაფერი ერთად უკავშირდება მულტიმედიურ სწავლებას. თანამედროვე ახალგაზრდა წიგნიერად არ ითვლება მხოლოდ მის მიერ წაკითხული წიგნების ოდენობით. მას უნდა შეეძლოს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება. ამ უნარის ჩამოყალიბებაში კი მოსწავლეს მასწავლებლის დახმარება სჭირდება.

სანამ პრეზენტაციის ეტაპამდე მივიდოდით, დისტანციურად ავხსენი ერთერთი საგაკვეთილო პროგრამა „ტყე და მისი ბინადრები“. ამ საგაკვეთილო საათზე ჩვენ საუბარი გვქონდა ტყის მნიშვნელობაზე ადამიანთა ცხოვრებაში,

ვისაუბრეთ სხვადასხვა სახეობის ხეებისა და მათი სამკურნალო და სასარგებლო თვისებების შესახებ. მხოლოდ საუბრით არ შემოვიფარგლე, მოსწავლეებს ამ თემაზე ჩემ მიერ მომზადებული ვიზუალური მასალა ვუჩვენე ეკრანზე.

ახალი მასალა დაუკავშირეს ბუნებასა და ქართულში შეძენილ ცოდნას. ქართულში საგაკვეთილო საათის ფარგლებში საუბარი გვქონდა თემაზე „დედამიწა ჩვენი საერთო სახლი“ (ვისაუბრეთ, რომ დედამიწა დაავადებულია ადამიანთა გაუფრთხილებლობით, რომ მას შველა და გაფრთხილება სჭირდება; ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა ზიანს აყენებს დანაგვიანებული გარემო, პირველ რიგში, ადამიანის ჯანმრთლობას. ასევე, ამ საგაკვეთილო საათის ფარგლებში კლასში ერთობლივად ვუყურეთ „გამარჯობა დედამიწას“).

https://www.youtube.com/watch?time_continue=2&v=Bk07VGbARfo&feature=emb_logo

და „დედამიწა დაიღალას“

https://youtu.be/KD91-SIaLWc

სახლში უყურეს „ბოცო და გვანცას“

https://youtu.be/SGhKsJJ7qGw

ბუნებაში განვიხილეთ „მარადმწვანე ხეები“. წინარე ცოდნამ მათ შესაძლებლობა მისცა, მოემზადებინათ პრეზენტაცია „გავუფრთხილდეთ ტყეს“.

საჭირო იყო არსებული ცოდნა გაემდიდრებინათ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების დახმარებით. მათ ინფორმაციის მიღების წყაროდ აირჩიეს გუგლის საძიებო სისტემა.

მოძიებული ინფორმაციები გააფორმეს შესაბამისი ილუსტრაციით და გადმომიგზავნეს პირად შეტყობინებაში. თავიანთ პრეზენტაციებში ძირითადად საუბრობდნენ იმაზე, რომ ტყე გამოყოფს ჟანგბადს, ასუფთავებს ჰაერს, ქმნის წყაროს, არის სხვადასხვა ცხოველის თავშესაფარი და სიცოცხლის წყარო. ბუნებრივი კატასტროფების მიზეზად ტყის გაუფრთხილებლობას ასახელებდნენ. მსმენელ აუდიტორიას კი ასე მოუწოდებდნენ: გავუფრთხილდეთ

ბუნებას!“, „არ მოჭრათ ხეები!“, „არ დაანაგვიანოთ ტყე!“, „ტყე დედამიწის მწვანე ფილტვებია!“. ნამუშევრები მესენჯერის საშუალებით შევამოწმე და უკუკავშირიც განმავითარებელი შეფასების სახით მიიღეს.

შეუძლებელია მასწავლებელმა მიზანს მიაღწიოს, თუ მას მშობელი არ დაუჭერს მხარს. სწორედ მშობელთა მხარდაჭერის შედეგი იყო ის, რომ 16 მარტს ჩვენ უკვე Zoom-ის პლატფორმით დავიწყეთ სასწავლო პროცესი. დროულად დაწყებულმა და განახლებულმა სასწავლო გარემომ ბავშვებიც მალევე მობილიზებული გახადა და შეაჩვია ონლაინ გაკვეთილებს. ისწავლეს ის წესები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია დისტანციური გაკვეთილის ჩატარების დროს. მაგ: მიკროფონის გათიშვა და ჩართვა. აქედან გამომდინარე სამუშაო პროცესს შეჩვეულმა ბავშვებმა და ამ პროცესში ჩართულმა მშობლებმაც ერთიანი მონდომებითა და პასუხისმგებლობით საუკეთესოდ გაართვეს თავი საპრეზენტაციო დავალების შესრულებას.







შევკრიბე თითოეული მათგანის ნაშრომი, ავაწყვე პრეზენტაცია, დავადე მუსიკა „ტყე შეუნახე შვილებსა“ და გავაკეთე ვიდეო რგოლი. დავდე ფეისბუქის ჯგუფში (ჩვენ 16 მარტიდან zoom-ის პლატფორმით ვსწავლობთ, ახლა თიმსზე გადავდივართ) და თიმსშიც (უკვე ყველა დარეგისტრირდა, ვემზადე-

ბით 1 აპრილიდან თიმსზე გადასასვლელად.) მივეცი დავალება, რომ ენახათ პრეზენტაცია და წაეკითხათ მეგობრის ნამუშევარი.

შემდეგი საგაკვეთილო ჩართვისთვის კი მოვამზადე შეკითხვები:

რა არის ტყე?

რა ზიანს აყენებს მას ადამიანი გაუფრთხილებლობით?

რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ტყეს?

რა სარგებლობა მოაქვს მას ადამიანისთვის?

როგორ უნდა გავუფრთხილდეთ?

რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ ბუნება არ დაზიანდეს?

ამ შეკითხვებზე მიღებული პასუხებით, ასევე მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციების გაცნობით დავრწმუნდი, რომ ბავშვებს შეექმნათ ბუნების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

დისტანციურად მოწყობილ პრეზენტაციებს კიდევ ერთი დადებითი მხარე მოვუძებნე: თუ კლასში მხოლოდ მოსწავლეები ხედავდნენ თავიანთ ნამუშევარს და შემდეგ ცდილობდნენ უკეთესი ნამუშევრისთვის მიებაძათ, ახლა მშობლებიც უფრო მეტი მონდომებით ჩაერთვნენ ამ პროცესში და ერთობლივად ცდილობენ კარგი პრეზენტაციის მოწოდებას. სანამ პრეზენტაციებს ჯგუფში გავაზიარებდი, ყველა მშობლის თანხმობა მივიღე.

ჩემთვის, როგორც დამწყები პედაგოგისთვის, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ეს პროცესი. ვფიქრობ, ბევრი რამ ვისწავლე და კიდევ ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვეცნობი, რომ უფრო უკეთესი გაკვეთილები შევთავაზო ჩემს მოსწავლეებს, ონლაინ სივრცეში.

მანანა ბოჭორიშვილი

დისტანციური სწავლების ლაბირინთები

საინტერესოა, საიდან იღებს სათავეს დისტანციური სწავლება და როგორ გამოიყურებოდა დისტანციური სწავლების პირველი მცდელობა?

ირკვევა, რომ პირველად 1728 წელს, გაზეთში Boston Gazette გაჩნდა განცხადება იმის შესახებ, რომ მასწავლებელი ეძებდა მსურველებს, რომლებსაც მასალას კვირაში ერთხელ გაუგზავნიდა.

დისტანციური სწავლება (E-learning) სწავლების ისეთი ფორმაა, რომელიც შექმნილია სპეციალურად სტუდენტისთვის/მოსწავლისთვის ან სტუდენტთა/მოსწავლეთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ან კაბინეტში ფიზიკურად არ იმყოფებიან.

დისტანციური სწავლების გავრცელება საფოსტო სისტემის დახვეწას უკავშირდება. მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის 40-იან წლებში, დიდ ბრიტანეთში ისააკ პიტმანი ფოსტით უგზავნიდა სტუდენტებს სასწავლო მასალებს და ამის საშუალებით ასწავლიდა. ხოლო უნივერსიტეტებიდან დისტანციურ სწავლებაში პირველობა ლონდონის უნივერსიტეტს ეკუთვნის. იქ ის 1858 წელს დაიწყო. თუმცა, რეალურად დისტანციურმა სწავლებამ მხოლოდ კომპიუტერებისა და ინტერნეტის ფართოდ გავრცელების შემდეგ მოიკიდა ფეხი.

რა მიაჩნიათ დისტანციური სწავლების დადებით მხარეებად?

1. მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა;
2. მოქნილობა.

მაგალითად, მეტნაკლებად თავისუფალი გრაფიკი ლექციებისთვის/გაკვეთილისთვის, სტუდენტი/მოსწავლე თვითონ წყვეტს, როდის სურს დავალებების შესრულება.

3. არჩევანის თავისუფლება;
4. ასეთი სწავლების შედარებითი სიიაფე;
5. მართვადობა;

6. ამ ტიპის სწავლებაზოგიერთი მოსწავლისთვის უკეთესია.

მაგალითად, ინტროვერტი ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც სხვადასხვა ბარიერი აქვს, ვისაც მასალის ასათვისებლად მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება.

დღეს მთელი მსოფლიოს სასწავლო დაწესებულებები აღმოჩნდენ დისტანციური სწავლების აუცილებლობის წინაშე. ამისთვის ყველა თანაბრად მზად არ არის. იგივე ითქმის საქართველოზეც. ყველა სკოლა, ყველა მასწავლებელი და ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებში არ იმყოფება. ყველა მოსწავლისთვის ინტერნეტიც კი შესაძლოა, არ იყოს ხელმისაწვდომი. მაგრამ გამოსავალს მეტ-ნაკლებად მაინც პოულობენ ჩვენი მასწავლებლები.

მინდა შემოგთავაზოთ ის იდეები, რომლებიც მასწავლებელმა სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება გამოიყენოს. ანუ მეტაფორულად რომ ვთქვათ, განვიხილავთ დისტანციური სწავლების ლაბირინთებს... განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ რესურსებზე, რომლებიც ვიდეო გაკვეთილების გარდა, დისტანციური სწავლების დროს მნიშვნელოვანია.

შემთხვევა 1 – მხატვრული ფილმების გამოყენება

მასწავლებელი მეორე-მესამე საფეხურის მოსწავლეებს უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს (ელ ფოსტით, ტელეფონით, ფეისბუკის პირად შეტყობინებაში)

„კვირის ბოლომდე ნახეთ მხატვრული ფილმი „კლასის წინ“ იხილეთ ბმული: https://www.adjaranet.com/movies/12197/Front-of-the-Class?lang=GEO&quality=SD და მიწერეთ წერილი იმ ოთხი სკოლის დირექტორიდან მინიმუმ ერთს:

1. დირექტორს, რომელმაც აიძულა ბრედი მისი სკოლიდან წასულიყო.
2. დირექტორს, რომელმაც მთელი სკოლის წინაშე მხარი დაუჭირა ბრედის.
3. დირექტორს, რომელმაც სკოლაში მასწავლებლად არ მიიღო ბრედი.
4. დირექტორს, რომელიც ენდო ბრედის და თავის სკოლაში მიიღო მასწავლებლად და კვირის ბოლომდე გამომიგზავნეთ“

შენიშვნა – ფილმში აღწერილია ბრედის ისტორია, რომელიც პატარაობიდანვე ტურეტის სინდრომით იტანჯება. ის ებრძვის ამ მძიმე დაავადებას და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მიაღწიოს თავის მიზანს. მისი მცდელობა უშედეგოდ არ ჩაივლის.

შემთხვევა 2 – აუდიოწიგნების გამოყენება

მასწავლებელი პირველი საფეხურის მოსწავლეებს უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს (ელ ფოსტით, ტელეფონით, ფეისბუკის პირად შეტყობინებაში)

„მოუსმინე და საშინაო დავალების რვეულში დაწერე მცირე ზომის ამბავი „იავნანა მარტო სიმღერა არ არის“ აუდიოწიგნის ბმული: https://www.gudabooks.ge/book/271909-iavnana-lilistvis-aleqsandre-lortqifanidze/

შენიშვნა – „იავნანა ლილისთვის“ ერთი ჩვეულებრივი ოჯახის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, ოჯახის, სადაც დედა და მამა თანაბრად ინაწილებენ შვილების აღზრდის პასუხისმგებლობასა და საოჯახო საქმეებს, სადაც უახლოესი ადამიანები ერთმანეთზე ყოველდღიურად ზრუნავენ და სადაც ჰარმონია ურთიერთგაგებით, საერთო გამოწვევებისა და პრობლემების გააზრებითა და მათი გადაჭრის გზების ერთობლივად ძიებით მიიღწევა...

ან მასწავლებელი პირველი საფეხურის მოსწავლეებს უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს (ელ ფოსტით, ტელეფონით, ფეისბუკის პირად შეტყობინებაში)



დავალება

მოუსმინე აუდიოწიგნს და საშინაო დავალების რვეულში დაწერე მცირე ზომის ამბავი. მოცემული სათაურებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი

1. აი რა უთხრა მზემ ყვავილს
2. ყვავილებმა რომ ფერი არ იცვალონ საჭიროა...

https://www.gudabooks.ge/book/242214-patara-qalaqis-zghaprebi-guram-petriashvili/

შემთხვევა 3 – მხატვრული ნაწარმოების და დოკუმენტური ფილმის შედარებითი ანალიზი

მასწავლებელი წერს პირველი საფეხურის შესაბამისი კლასის მოსწავლეს წერილს, „წაიკითხე სახელმძღვანელოში მოცემული რ. ინანიშვილის მოთხრობა „ბებერი ბუები“, შემდეგ ნახე ეს 2 წუთიანი დოკუმენტური ფილმი

https://www.youtube.com/watch?v=w4OH6gMN6vY&feature=emb_logo

რა თვისებები გამოუგონა მწერალმა მოთხრობის პერსონაჟს?	სინამდვილეში როგორი ყოფილა ბუ?	ივარაუდე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ნაწარმოებში აღწერილ პერსონაჟს ფილმში ნაჩვენები თვისებებიც რომ ჰქონოდა?

და შეავსე სქემა

და შევსებული სქემა გამომიგზავნე კვირის ბოლომდე“

შემთხვევა 4 – ინტერაქტიური ელექტრონული რესურსების გამოყენება

სხვადასხვა პლატფორმაზე შექმნილია ინტერაქტიური სასწავლო რესურსები, რომელთა გამოყენება ეფექტურად შეიძლება დისტანციური სწავლებისას (მაგალითად, ისეთი პოპულარული პლატფორმა როგორიცაა learningapps). საილუსტრაციოდ გამოვიყენებ დაწყებითი კლასების პედაგოგის, ნანა ვაჩიბერიძის სასწავლო რესურსს თემაზე „მეტყველების ნაწილები“

მასწავლებელმა შეიძლება ასეთი სახის წერილი გაუგზავნოს მოსწავლეებს, „გიგზავნით მხიარულ სავარჯიშოს „მეტყველების ნაწილები“. გთხოვთ, შეასრულოთ ეს სავარჯიშო. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ გელოდებათ ჯილდო – შეგიძლიათ ნახოთ ნახატი ფილმი. კვირის ბოლომდე მომწერეთ:

1. რა ისწავლეთ სავარჯიშოს პირველი ნაწილით?
2. რაზე დაგაფიქრათ და რა დასკვნა გამოიტანეთ ნახატი ფილმიდან?

https://learningapps.org/display?v=piqw8eme518&fbclid=IwAR3CYB2onSNMFAIP4yeKamngBqkBqyMMbwJUK_lQwRXVrHS6Qpv_sJOphH0

ეს არის სავარჯიშოს ბმული“.

ისმის კითხვა – რა გზები და საშუალებები შეუძლიათ გამოიყენონ იმ მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, რომლებიც მაღალმთიან რეგიონში ცხოვრობენ და მათთვის ხელმისაწვდომი არ არის ინტერნეტი?

დისტანციური სწავლების ლაბირინთები ვიდეო გაკვეთილების გარეშე

დღეს აქტუალურია კითხვები: რამდენად კომფორტულად გრძნობენ თავს ახალგაზრდები თანამედროვე ტექნოლოგიებთან? რამდენად თანაბარია დღევანდელ საქართველოში ახალგაზრდების მიერ ტექნოლოგიების ფლობა და ხელმისაწვდომობა?რამდენად მსგავსია ან განსხვავებულია დისტანციური და ტრადიციული სწავლების მეთოდები?

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ:

არიან მოსწავლეები, რომელთაც მასწავლებელთან ურთიერთობა ურჩევნიათ და მასწავლებლის ყურადღება და პირდაპირი კომუნიკაცია მათთვის მნიშვნელოვანია.

არიან მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ კომპიუტერთან და ინტერნეტთან ურთიერთობა ან საერთოდ არ იცნობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

არიან მოსწავლეები, რომელთაც ყოველთვის სჭირდებათ ბიძგი და შესაბამისი გარემო დავალების შესასრულებლად.

არიან მოსწავლეები, რომლებისთვისაც დამთრგუნველი და შემაშფოთებელია ვიდეო გაკვეთილები.

დღეს იოლია დაასაბუთო – ხშირად, მოსწავლეები უფრო კარგად ფლობენ ტექნოლოგიებს, ვიდრე მშობლები და მასწავლებლები. მოსწავლეები ძალიან სწრაფად ახერხებენ ინფორმაციის მოპოვებას.

გაეცანით მასწავლებლების მოფიქრებულ აქტივობებს, რომლებმაც გახანგრძლივებული არდადეგების პირობებში, როდესაც მათ და მათ მოსწავლეებს არა აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მოახერხეს თანამშრომლობა. მოდით ვნახოთ, რა მოიფიქრეს მათ თავიანთი მოსწავლეებისთვის.

ბუნებისმეტყველების მასწავლებელი მცირეკონტინგენტიან კლასის მოსწავლეებს სატელეფონო კომუნიკაციით აძლევს დავალებებს და ახერხებს შემოწმებასაც. მასწავლებელი მოსწავლეების მშობლების ტელეფონზე რეკავს და მოსწავლეებს აძლევს მარტივ ინსტრუქციას:

აიღე ლობიოს 3-4 მარცვალი, დაალბე 3 დღე და განათავსე პოლიეთილენის პარკში, რომელშიც წინასწარ სველ ბამბას მოათავსებ ან პატარა თავდახურულ ქილაში მოათავსე, რომელშიც დანამული ქაღალდის ხელსახოცები მჭიდროდ გექნება ჩალაგებული (არ დაგავიწყდეს, ყოველ მეორე დღეს დანამე ხელსახოცები). რასაც გააკეთებ, ფანჯრის რაფაზე დადე ან წებოვანი ლენტით ფანჯრის მინაზე დაამაგრე. დააკვირდი, როგორ მიმდინარეობს აღმონაცენის ზრდა-განვითარება და აწარმოე დაკვირვების დღიური, ხოლო ფოტომასალა დედის ტელეფონიდან გადმომიგზავნე დაკვირვების მეხუთე და მეათე დღეს.

ეს მოსწავლეების გამოგზავნილი ფოტოებია:

მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც მცირეკონტინგენტიან სკოლაში ასწავლის, თავის ოთხ მეცხრეკლასელ მოსწავლეს, ტელეფონით რამდენიმეწუთიან ინსტრუქციას აძლევს – ტრანპორტირის, თოკის, ფანქრის და პატარა ქვის ან გირის გამოყენებით, როგორ დაამზადონ ხელსაწყო კლინომეტრი და ავალებს, ამ ხელსაწყოს გამოყენებით გამოთვალონ საკუთარ ეზოში ყველაზე მაღალი ხის სიმაღლე. შემდეგ მშობლების ტელეფონებზე დავალების ფოტოინსტრუქციას უგზავნის. ასე გამოიყურება ეს ექსტრემალური ფოტოინსტრუქცია.



ხშირად ისმის კითხვა, რას აკეთებენ სოფლის სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ვიდეო გაკვეთილებს ვერ უტარებენ თავის მოსწავლეებს. განსაკუთრებით საინტერესოა დაწყებითი კლასების მასწავლებლებისა და მოსწავლეების ბედი. მოდით გავეცნოთ რამდენიმე აქტივობას:

დაწყებითი კლასების მასწავლებელი, რომელიც სოფლის სკოლაში პირველ კლასს ასწავლის, არ ივიწყებს თავის მოსწავლეებს და ცდილობს მშობლების მცირე, მაგრამ ეფექტური ჩართულობით, გაუხალისოს **მათემატიკის სწავლება** თავის მოსწავლეებს.

სატელეფონო კომუნიკაციით მასწავლებელი სთხოვს მშობელს, რესურსად გამოიყენოს მაკულატურად „განწირული“ რაიმე ფოტო დაძველებული/დაზიანებული ჟურნალიდან, გაზეთის ფოტო, მისი უფროსი შვილების მიერ გაფერადებული კონტურული ნახატი და ა.შ. და შვილისგან მალულად დაამზადოს ე.წ. 6 ნაწილიანი ფაზლი. ასევე აიღოს რვეულის ან თაბახის ფურცელი და ისიც 6 ნაწილად დახაზოს. თითოეულ უჯრაში კი ჩაწეროს ამოსახსნელი მაგალითები 20-ის ფარგლებში. მეტი სიცხადისთვის მასწავლებელი მშობელს უგზავნის ამ სამუშაოს ფოტოინსტრუქციას და სთხოვს: 1. დაჭრას რიცხვებიანი ფოტო 6 ნაწილად, ხაზებით დაიცვას სიზუსტე. შვილთან ერთად შეასრულოს დავალება ანუ მხარი დაუჭიროს შვილს და მაგალითის პასუხის შესაბამისი ფაზლის ნაწილი ზემოდან დაადოს მაგალითებიან ცხრილს. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ კი ბავშვი აწყობილ სურათს მიიღებს.

10+5=	15+1=	19-2=
9+9=	20-1=	7+13=



ასევე, სატელეფონო კომუნიკაციით მასწავლებელი დახმარებას სთხოვს მშობელს და აძლევს ასეთ მარტივ ინსტრუქციას:

1. აიღეთ თაბახის ან რვეულის ფურცელი;
2. გაკეცეთ შუაზე;
3. ფურცლის ზედა ნახევარზე ბავშვმა გაზაფხულის პეიზაჟი ან ოჯახის წევრები დახატოს;
4. მეორე ნახევარზე დახაზეთ ცხრილი 5/6, რომელშიც ჩაწერეთ რიცხვებს 1-დან 30- მდე ზოგიერთი რიცხვის გამოტოვებით;
5. ნახატსა და ცხრილს შორის თავისუფალ ადგილზე მოსწავლემ დაწეროს სიტყვა აპრილი.

ანუ მოსწავლე მშობელთან თანამშრომლობით ქმნის „აპრილის თვის კალენდარს“.

მასწავლებელი მშობელს უგზავნის ფოტოინსტრუქციას, რომელსაც ახლავს შესასრულებელი სავარჯიშოც.

თქვენს შვილთან ერთად შეასრულეთ ეს სავარჯიშო:

დათვალეთ, რამდენი რიცხვია გამოტოვებული?

დააკვირდით ჰორიზონტალურ მწკრივებს, თითი გააყოლეთ თითოეულს და დათვალეთ, რამდენი რიცხია თითოეულ მწკრივში გამოტოვებული?

ახლა დააკვირდით ვერტიკალურ მწკრივებს, თითი გააყოლეთ თითოეულს, თითოეულ მწკრივში რამდენი რიცხვია გამოტოვებული?

თუ სულ 12 რიცხვია გამოტოვებული, მოდი გამოვიცნოთ, რომელ აპრილს განახევრდება გამოტოვებული რიცხვები? შემდეგ მოსწავლემ შეავსოს გამოტოვებული რიცხვები და მიღებული კალენდარი გააკარით კედელზე და გამოიყენეთ მთელი თვის განმავლობაში.

ასევე გიზიარებთ რამდენიმე ფოტოინსტრუქციას, რომელიც შესაძლოა დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის ინსპირაციის წყაროდ იქცეს სიტუაციურად შექმნილი „საშინაო სკოლებისთვის“.

გიტა თვალაბეიშვილი

ფიზიკური აღზრდა დისტანციური სწავლებისას

პანდემიამ, სახელად COVID-19-მა, ყველა ჩვენგანის ცხოვრება შეცვალა და რადგან ქვეყანამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, პირნათლად ვასრულებთ მოწოდებას „დარჩი სახლში!“

ეს მდგომარეობა ყველაზე მეტად ბავშვებს შეეხო, რადგან სკოლას, ეზოს, თამაშს მიჩვეულები შინ გამოიკეტნენ და ირგვლივ ყველა – ოჯახის წევრები, მეგობრები თუ სახელმწიფო მუშაკები ყოველდღიურად მოუწოდებენ 21 აპრილამდე დარჩით სახლშიო. მშობლები თუ მასწავლებლები ათასგვარ საშუალებას მიმართავენ, ასეთ სიტუაციაში რაიმე აქტივობით დააკავონ ბავშვები, ცდილობენ, შინ ყოფნა გაუსაძლისი არ იყოს მათთვის. სოციალურ ქსელში ხუმრობაც კი გავრცელდა, წერენ, რომ „კორონას საწინააღმდეგო ვაქცინას მეცნიერები თუ ვერ გამოიგონებენ, მას უმოკლეს დროში მშობლები შექმნიან“, რადგან მთავარ პრობლემას ბავშვების შინ, ჩაკეტილ სივრცეში გაჩერება და მათთვის საინტერესო აქტივობების მოფიქრება წარმოადგენს.

მართალია!

გაზაფხულია. ბუნება იღვიძებს. ბიოლოგიურად იღვიძებს ადამიანის ორგანიზმიც. მასში მრავალი ცვლილება ხდება და ყველაზე მეტად ახლა სჭირდება ფიზიკური აქტივობა. ბავშვებში ცვლილებები უფრო მოჭარბებულადაა. ეს არის დრო, როცა მათ სხეულს ვარჯიში, სუფთა ჰაერზე გასეირნება, გაკაჟება და სწორი კვება სჭირდება.

ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში I-IV კლასების ფიზიკური აღზრდის კვირეული საათობრივი დატვირთვა ორი გაკვეთილიდან სამ გაკვეთილამდე გაიზარდა, რაც პირდაპირ მეტყველებს განათლებისთვის მნიშვნელოვან ასპექტზე, რომ 6-10 წლის ბავშვების ჯანმრთელობისთვის აუცილებელია სწორი ფიზიკური განვითარება.

„ფიზიკური აღზრდა და სპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დისციპლინაა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ბავშვის, როგორც ფიზიკური, ისე კოგნიტური, მეტყველებისა და სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებაში. ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას და გაკაჟებას, სხეულის პროპორციებისა და სწორი ტანადობის ჩამოყალიბებას, მოსწავ-

ლის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების გაუმჯობესებას“ (კიკალიშვილი ლ. გვ.8).

დაწყებით კლასებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს უმეტესად დამრიგებლები ატარებენ. ხშირად მსმენია ამ ასაკის ბავშვებისგან, რომ მათი მასწავლებელი სპორტის ნაცვლად, ქართულის ან მათემატიკის ჩატარებას ამჯობინებს, რაც უარყოფითად აისახება მოსწავლეთა განწყობასა და მოტივაციაზე.

ახლა, როცა ქართველი მასწავლებლები თავს არ ზოგავენ და ცდილობენ, ფეხი აუწყონ ახალ გამოწვევას და ალღო აუღონ დისტანციური სწავლების სირთულეებს, ფიზიკური აღზრდის პრობლემამ კიდევ უფრო იჩინა თავი. არა და უმარტივესია, კითხვასა და ანგარიშის სწავლებასთან ერთად, ბავშვებს ავუხსნათ, თუ როგორ ივარჯიშონ სწორად, ასაკის შესაბამისად, თუნდაც სახლის პირობებში. დამერწმუნეთ, ზედმიწევნით და ხალისით შეასრულებენ და დამამტკიცებელ ვიდეოებსაც სიამოვნებით გამოგიგზავნიან.

გთავაზობთ რამდენიმე სახის მარტივ ვარჯიშს I-IV კლასელთათვის: ვარჯიში შეასრულონ განიავებულ ოთახში, აივანზე ან ეზოში (საკუთარი ეზოს არსებობის შემთხვევაში).

ფიზიკური აღზრდის მოთელვითი ვარჯიშები სულ 5-7 წთ:

N	აღწერილობა	ვიზუალური მასალა
1	კისრის ვარჯიში	
1.1	ქანქარა -თავის გადახრა ნელი მოძრაობით მარჯვენა მხრისკენ, გაჩერება და იმავე მოძრაობის გამეორება მარცხენა მხარეს. გაიმეორეთ 4-5-ჯერ.	
1.2	„კი" - თავის ნელი მოძრაობა წინ მკერდისკენ და უკან ზურგისკენ, გაიმეორეთ 4-5-ჯერ.	
1.3	„არ ვიცი" - თავის ნელი მოძრაობა მარჯვენა და მარცხენა მხარეს, მხრების აზიდვა-დაწევა. გაიმეორეთ 4-5-ჯერ.	
1.4	გაბრაზებული ხარი - ნელი მოძრაობით თავის მოხრა გულმკერდისკენ, გაჩერება და შემდეგ თავის მობრუნება ნელი მოძრაობით მარჯვენა მხრისკენ და მარცხენა მხრისკენ. გაიმეორეთ 4 -5 ჯერ.	

N	აღწერილობა	ვიზუალური მასალა
2	ხელების, ფეხების და სხეულის ვარჯიში	
2.1	ჟირაფივით მაღალი - დადექი თითის წვერებზე აწიე ხელები ზემოთ თითებიც მიმართე ზემოთ ცისკენ და გაჩერდი. გაიმეორეთ 4 -5 ჯერ.	
2.2	წრეწუნასავით პატარა - ჩაიკუზე, მუხლებს შემოეხვიე, თავი დახარე მკერდისკენ და გაჩერდი. გაიმეორეთ 4 -5 ჯერ.	
2.3	განიერი როგორც კედელი - ნელ-ნელა ადექი, ფეხები და ხელები განზე გაშალე , დაიჭიმე და გაჩერდი 3-4 თვლა, შემდეგ დაუშვი ხელები, მოდუნდი და ვარჯიში გაიმეორე 4-5-ჯერ.	
2.4	საფრთხობელა - წარმოიდგინე რომ ხარ საფრთხობელა განმკლავი ხელისგულები მიბრუნებული უკან, ხელები იდაყვში მოხარე, დაუშვი ქვემოთ და მტევნები აქანავე აქეთ-იქით.	
2.5	ხელის მტევნების დაბერტყვა და მიშხეფება - ხელები ნაზად დაარხიე თითქოს წყლის წვეთებს იშორებ ხელებიდან. გააკეთე მოძრაობა თითქოს წყალს თითებით აშხეფებ. ასევე დაბერტყე სხეულის სხვა ნაწილებიც ხელები ფეხები თითქოს წყალს იშორებ.	
2.6	მკლავების მოძრაობა - გააკეთე მკლავების ნელი მოძრაობა წინ, უკან, გვერდით, ზემოთ.	
2.7	ველოსიპედი - ცალ ფეხზე დგომში მეორე ფეხით ველოსიპედის საფეხურის ტრიალის მოძრაობის იმიტაციის შესრულება.	

N	აღწერილობა	ვიზუალური მასალა
3	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ვარჯიშები	
3.1	ბაჭია - ხელები ყურებთან, თითები კურდღლის ყურებივით აცქვეტილი ,,სკუპ-სკუპით'' გადაადგილება, ორო ფეხით ახტომი, ორი ფეხით დახტომი.	
3.2	კარუსელი – სიარული წრეზე ხელების ბრუნვითი მოძრაობით.	
3.3	ბურატინო - ბურატინო ხის თოჯინაა და ბევრი სახსარი არ აქვს. ბავშვი უნდა ეცადოს გადაადგილდეს მუხლისა და იდაყვის სახსრის მოუხრელად *(ფეხი უნდა აწიოს 90°-მდე.)*	
3.4	ალაჯუნა - ალაჯუნა არის ადამიანი, რომელიც დიდი ნაბიჯებით დადის. ბავშვები წრეზე გადაადგილდებიან დიდი ნაბიჯებით მოხრილი მუხლით, იმგვარად, რომ მენჯ-ბარძაყის სახსარის კუთხე ფეხის აწევის დროს არ აღემატებოდეს 90º.	
3.5	ადგილზე სირბილი - სირბილი სხვადსხვა ტრაექტორიით ხაზზე, წრეზე.	
3.6	დათუჩას სიარული - დათვის ბელმა ფეხი აიდგა და სიარულს სწავლობს, დადის ,,ბაჯბაჯით''.	
3.7	წერო – ბავშვს ხელები იდაყვებში მოხრილი განზე აქვს გაშლილი, მუხლს წევს შეძლებისდაგვარად მაღლა და ასე მიაბიჯებს;	

N	აღწერილობა	ვიზუალური მასალა
4	ფეხების ვარჯიშები	
4.1	კანჭის ვარჯიში - საყრდენად გამოიყენეთ სკამი ან კედელი. დგომი ოდნავ განზე გადგმული ფეხები. ერთი ფეხი ოდნავ მოხარეთ მუხლში და გაწიეთ უკან ისე, რომ თითის წვერით შეეხოთ იატაკს. შემდეგ საყრდენი ფეხი ოდნავ მოხარეთ მუხლში. 4-5 თვლაზე, დაბრუნდით საწყის პოზიციაში და გაიმეორეთ იგივე მოძრაობა მეორე ფეხით.	
4.2	მენჯ-ბარძაყისა და მუხლის ვარჯიში - ფეხები ოდნავ განზე გადგმული და მუხლებში ოდნავ მოხრილი. ხელები დაწყობილია თეძოზე ერთი ფეხი მოხარე და მეორე ფეხი გაწიე წინ ისე, რომ თითის წვერი ეხებოდეს იატაკს, გაჩერდი 4 -5 თვლა. დაბრუნდი საწყის პოზიციაში და გაიმეორე იგივე მეორე ფეხით.	
4.3	პეპელა - დაჯექი იატაკზე განზე გაწეული მუხლებში მოხრილი ფეხებით, ფეხის გულები შეატყუპე ერთმანეთთან. გაჩერდი ამ მდგომარეობაში 4-5 თვლა.	
5	მუხლებისა და ტერფების ვარჯიში	
5.1	მუხლის ტრიალი - დაწექი ზურგზე გამოიყენე ხელი საყრდენად, ფეხები მოხარე მუხლებში აწიე ერთი ფეხი ზემოთ და ატრიალე კანჭი მუხლის სახსარში.შემდეგ გაიმეორე იგივე მეორე ფეხით. ამავე მდგომარეობაში ავარჯიშეთ ფეხის ტერფი: მოხარეთ, გაშალეთ, ატრიალეთ ფეხის წვერი წრიულად.	
6	მთელი სხეულის ვარჯიშები	
6.1	თოჯინა -წარმოიდგინე, რომ ხარ თოკებზე დაკიდებული თოჯინა (მარიონეტი) და მოდუნდი. შემდეგ გაჭიმე სხეული, ხელები, ფეხები და თითები. გაჩერდი 4-5 თვლაზე. შემდეგ ისევ მოდუნდი, გაიმეორე მორაობა 3-4 ჯერ.	
6.2	სხეულის გაწელვა - მთელი სხეულით გაიმართე და გაიჭიმე იმდენად რამდენადაც შეგიძლია. შემდეგ სხეულის მხოლოდ ერთი ნაწილი გაჭიმე, მაგალითად, ერთი ხელი ან ფეხი, გაჩერდი და გაიმეორე იგივე სხეულის მეორე ნაწილით 3—4 ჯერ.	

დარჩით სახლში და ივარჯიშეთ!

გამოყენებული ლიტერატურა:

- ფიზიკური აღზრდა (სახელმძღვანელო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის), კიკალიშვილი ლ. და ავტორთა ჯგუფი, თბილისი, 2018.

თემურ სუყაშვილი

ლიანდაგებიდან გადასული სისტემა

შთაგონების წყარო სოციალურ ქსელში გავრცელებული ანიმაცია გახდა. როგორი იყო ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება COVID 19-ის გავრცელებამდე? უმეტეს შემთხვევაში, მოსწავლეების ყოველი დღე ერთიმეორეს ჰგავდა. მიდიოდნენ სკოლაში, უტარდებოდათ გაკვეთილი, წერდნენ შემაჯამებელ ტესტებს, სკოლის მერე ბრუნდებოდნენ სახლში, ასრულებდნენ საშინაო დავალებებს და ემზადებოდნენ შემდეგი დღისთვის. მასწავლებლებიც ანალოგიურად მივდიოდით სკოლაში, ვატარებდით გაკვეთილებს, ვამოწმებდით ტესტებს, ვწერდით ქულებს და ა.შ. ყოველდღიური ცხოვრება მატარებლის ლიანდაგებზე მოძრავ შემადგენლობას ჰგავდა. ყოველდღე ერთი და იმავე მიმართულებით დავდიოდით, ისე, რომ გადახვევის საშუალება არ გვქონდა.

პანდემიის გავრცელებამ მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. სკოლებში სწავლის შეჩერების შედეგად ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა საქართველოს განათლების სისტემაც... ქვეყანაში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. საგაზაფხულო არდადეგები ერთი კვირით ადრე 3 მარტს დაიწყო, რომელიც შემდგომში 1 აპრილამდე გახანგრძლივდა. სტატიის წერის მომენტში კი ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რამაც თავისთავად სკოლებში სწავლის აღდგენა მინიმუმ 21 აპრილამდე გადადო...

ახალი კორონავირუსის გავრცელების ფონზე საგანმანათლებლო სფეროში დასაქმებულმა პირებმა ონლაინ სწავლების დანერგვაზე ხმამაღლა დაიწყეს საუბარი. ქვეყანაში, სადაც დისტანციური სწავლების გამოცდილება რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელსა და ერთეულ (ძირითადად კერძო) სკოლებს ჰქონდათ, განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა ყველა საჯარო სკოლა გადაეყვანა ელექტრონულ სწავლებაზე.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს დირექტივას წინ უსწრებდა საჯარო სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების (ასევე მშობლების) კერძო ინიციატივები. სოციალურ ქსელში შეიქმნა ჯგუფები, სადაც განათლების ექსპერტებმა, მკვლევრებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა დაიწყეს გამოცდილების გაზიარება.

მოულოდნელად სისტემაში დაიწყო ისეთი პროცესები, რომლებზეც, თუნდაც ერთი თვის წინ, ვერც ვიოცნებებდით. განათლების სისტემა ლიანდაგებიდან გადავიდა. სკოლებმა და მასწავლებლებმა აქტიურად დაიწყეს სოციალური ქსელებისა და ონლაინ პლატფორმების ათვისება და მოსწავლეებისთვის შეთავაზება.

რამდენად მზად დახვდნენ ჩვენი მოსწავლეები დისტანციურ სწავლებაზე გადასვლას? რა სირთულეებს წავაწყდი უშუალოდ მე? კოლეგები? მოსწავლეები?

დისტანციური სწავლების ელემენტების დანერგვა იოლი არ აღმოჩნდა. ერთი კვირის განმავლობაში Whatsapp-სა და Messenger-ში შემოსულმა შეტყობინებებმა მთელი წლის მონაცემები გადაწონა.

გამოიკვეთა რიგი საერთო პრობლემები:

- ინტერნეტზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარების სიმწირე როგორც მოსწავლეებში, ასევე მასწავლებლებში.

საერთო სურათმა ნათლად დაგვანახა, რომ V-VI კლასებში ისტ-ის სწავლება არ არის საკმარისი და ეფექტური. XXI საუკუნე და თანმდევი გამოწვევები უფრო მეტს მოითხოვს. მოსწავლეთა დიდ ნაწილს გაუჭირდა ავტორიზაციის გავლა ელექტრონულ პლატფორმებზე, დავალებების შესრულება დოკუმენტში, მისი გამოგზავნა და ა.შ.

გამოწვევა, რომელიც იქცა შესაძლებლობად

ნებისმიერი გამოწვევა შეიძლება ვაქციოთ შესაძლებლობად. შექმნილმა ვითარებამ გააერთიანა სასკოლო საზოგადოება, საფუძველი დაუდო ერთგვარ კონსოლიდიაციას. დისტანციურ სწავლებაში გამოცდილმა და პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა დაიწყეს ურთიერთდახმარება, დაკვალიანება. თითქოს თვალსა და ხელს შუა გაქრა სტატუსი, თანამდებობა, წოდება... ამ პროცესში აქტიურად ჩაერთნენ მოსწავლეებიც.

არსებული რეალობა არ იყო სახუმარო. არსებობდა ხანგრძლივი ვადით სწავლის შეჩერების საფრთხე. Google Classroom-ში შევქმენი ვირტუალური კლასები და აღნიშნულის შესახებ ფეისბუქის დახურულ ჯგუფში 4 მარტს, გავავრცელე ინფორმაცია. პირველსავე მცდელობაზე თორმეტამდე მოხალისე შემომიერთდა.

ამ ბმულზე შეგიძლიათ ნახოთ მოსწავლეების მიერ ნებაყოფლობით შესრულებული დავალებები. დისტანციური სწავლების მთავარი სიკეთე უსაზღვრო შესაძლებლობებია, რომლებსაც ინტერნეტზე წვდომა აძლევთ. ასეთი დავალებების შესრულება საკლასო ოთახში შეუძლებელია. ამ დროს ვითარდება ინფორმაციის მოძიების, დახარისხების უნარი. დიდი სიამოვნებით ვეცნობოდი დავალებებს. არ შეიძლება საკლასო ოთახში გამოკეტვით მათ მოვუსპოთ მთავარი – შემოქმედებითობა.

განათლების სამინისტროს პოზიცია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენების თაობაზე, ეტაპობრივად გადავედით Teams-ში.

რჩევები ეფექტური დისტანციური სწავლებისთვის:

- ვიდეო ჩართვების დროს მოსწავლეებს კარგად აუხსენით კონკრეტული პლატფორმის შესაძლებლობები/ფუნქციები;
- მიეცით მკაფიო ინსტრუქციები, როგორ შეასრულონ დავალება;
- ბევრი მოსწავლე იყენებს ტელეფონს. შესაბამისად უთხარით, რომელი აპლიკაციები სჭირდებათ დავალების შესასრულებლად (word, Power Point და ა.შ.);
- გამოიყენეთ სხვა პლატფორმები. მაგალითად, შეგიძლიათ გაუზიაროთ პადლეტის ელექტრონული დაფა და მისცეთ იქ მუშაობის საშუალება;
- არ არის აუცილებელი 45-წუთიანი ლექცია.

იმედი მაქვს, მსოფლიო და საქართველო დაამარცხებს ამ ვირუსს. მალე დავუბრუნდებით ტრადიციულ სკოლებს. ჩემი დიდი სურვილია, რომ ნორმალურ რეჟიმში დაბრუნების შემდეგ, უფრო გავაძლიეროთ საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება, შემდეგ სასწავლო წელს გავზარდოთ დისტანციური სწავლების ელემენტები. მით უმეტეს, მინიმუმ მომავალი ერთი თვე ამ რეჟიმში მოგვიწევს მუშაობა. ამ დროს დაგროვდება გამოცდილება, რომელიც ქარს არ უნდა გავატანოთ.

ეს ჩემი მოსწავლის სიტყვებია:

- „მას, თქვენ მართალი იყავით, რომ გვეუბნებოდით, მხოლოდ თამაშებით და სოციალური ქსელებით შორს ვერ წახვალთო... ამ ერთ კვირაში იმდენი ახალი რამ აღმოვაჩინე და შევისწავლე, ადრე საერთოდ რომ არ ვიცოდი!“.

რეკომენდებული ვებგვერდი: http://www.padlet.com/

თამთა დოლიძე

საშინაო სკოლა: დისტანციური დავალებების შესახებ

21-ე საუკუნეში დისტანციური ფორმატით სწავლა-სწავლება თითქოს პრობლემას აღარ წარმოადგენს, თუმცა ონლაინ ლექციების თუ სესიების ჩანაწერების გამოყენება საუნივერსიტეტო სწავლების ორგანული ნაწილი უფროა, ვიდრე – ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის. ამის მიუხედავად, შინ სწავლის მსურველები დღესაც მრავლად არიან (გავიხსენოთ, ე.წ. ჰოუმსქულინგი ამერიკის შეერთებულ შტატებში). ბოლო მონაცემებით საშინაო სკოლაში დაახლოებით მოსწავლეთა 3% იღებს განათლებას. ამ შემთხვევაში მშობელს თავად უწევს შვილის სწავლის პროცესის ორგანიზება, რაც უამრავ დროს და ენერგიას მოითხოვს, ან დამხმარე მასწავლებლის აყვანა ხდება საჭირო. დღეს კი, ვიწრო სპეციალიზაციის ეპოქაში, არცთუ ისე ბევრი „სიბრძნის მასწავლებელი“ მოიძებნება, რამდენიმე დისციპლინის სწავლება ერთნაირად ხარისხიანად რომ შეძლოს.

საქართველოში დისტანციური განათლების პლატფორმა განვითარების პროცესშია. შესაქმნელია დიდი რაოდენობის რესურსი, რომელიც აღნიშნული საგანმანათლებლო მიდგომის ეფექტურად გამოყენებას შეუწყობს ხელს. ამას კი საკმაო დრო, ფინანსები და პროფესიონალიზმი სჭირდება. პირადად მე შინ სწავლის ზოგიერთი ელემენტი პირველად საკუთარ თავზე სამი წლის წინ გამოვცადე, როდესაც ცამეტი წლის შემდეგ ხელმეორედ აღმოვჩნდი უნივერსიტეტში მაგისტრატურის ფაკულტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა ძირითადად სალექციო ფორმატში მიმდინარეობდა, ვიდეო ლექციების, ონლაინ სივრცეში უკუკავშირით სწავლების, დრაივის, მუდლის თუ სხვა სიკეთეების შესახებ სწორედ ამ პერიოდში შევიტყვე. ჩემი აზრით, სასწავლო პროცესის სტანდარტულ მოდელს არაფერი სჯობს, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ არაერთ ტექნიკურად განვითარებულ ქვეყანაში დისტანციური პლატფორმა განათლების მიღების ერთ-ერთ ეფექტურ გზას წარმოადგენს.

ქართული სკოლების ტექნიკური მზაობის ფონზე ალბათ დისტანციურ განათლებაზე საუბარი რთულია. გარკვეული პროცესები (სპეციალური სატელევიზიო გადაცემები, უფასო ონლაინ ბიბლიოთეკები და სხვ.) უკვე მიმდინა-

რეობს, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით გვტოვებს დისკუსიის ფაზაში, რაც, არსებული ემოციური დაძაბულობის ფონზე, ხელს უშლის გამოსავლის დროულად მოძიებას.

მე და ჩემს კოლეგებს საშინაო სკოლის წარმართვის გამოცდილება აქამდე არ გვქონია, თუმცა დროის უქმად დაკარგვას მოქმედება ვარჩიეთ და რიგგარეშე ოთხკვირიანი არდადეგების სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობით დატვირთვა გადავწყვიტეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ პირველები არ ვართ, ვინც საქართველოში „საშინაო სკოლის“ მიმართულებით იფიქრა. ინტერნეტში არაერთ ვიდეო გაკვეთილს ნახავთ, რომელიც სხვადასხვა საკითხის დისტანციურად სწავლის პროცესს გაგიადვილებთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ვიდეო გაკვეთილების მომზადება და არასრულწლოვანი ადამიანებით დაკომპლექტებულ ჯგუფებთან პირდაპირი ჩართვების წარმართვა.

პირველ რიგში, ასეთ ექსტრემალურ პირობებში ვიდეო გაკვეთილების ჩაწერა რთულია (დიდ დროს და ტექნიკურ რესურსს მოითხოვს). კამერასთან ურთიერთობა ყველას არ შეუძლია, რადგან ვიდეო ჩანაწერის ტექნიკურად გამართვა და „საკუთარ თავთან“ ყველასათვის გასაგებ ენაზე საუბარი სულაც არ გახლავთ ადვილი. კიდევ ერთ სირთულეს წარმოადგენს მსმენელის ჩართულობა. ძნელია, ივარაუდო, რამდენად კარგად გაიგო და აითვისა მოსწავლემ შენ მიერ ახსნილი მასალა. ვიდეო გაკვეთილების დადებით მხარედ კი ჩანაწერების მაქსიმალურად დახვეწის და მისი მრავალჯერ ნახვის საშუალება შეგვიძლია დავასახელოთ.

თუ ონლაინ გაკვეთილის ფორმატს გამოვიყენებთ, აქ ჩნდება ერთსა და იმავე დროს ინტერნეტსივრცეში მთელი კლასის თავმოყრისა და სასწავლო პროცესის მართვის სირთულეები, თუმცა სინქრონული სწავლების ფორმატში გაკვეთილის ჩატარების შედეგად იხსნება უკუკავშირის პრობლემა და ვიღებთ ჩვეული საგაკვეთილო პროცესის დისტანციურ ვარიანტს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვიდეო გაკვეთილების ჩაწერისა და ონლაინ სესიების წარმართვისთვის ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცე და მისი მომხმარებელი (მოსწავლე, მშობელი) ჯერ მზად არ არის. ამიტომ ჩემმა სკოლამ ჯერ გამოკითხვა ჩაატარა, რის შედეგადაც მივიღეთ ინფორმაცია, თუ რა სიხშირით შეეძლოთ ოჯახის წევრებს ბავშვების დახმარება და რა ტიპის ტექნიკური მხარდაჭერის (კომპიუტერთან წვდომა, ქსეროასლების გაკეთება და ა.შ.) იმედი უნდა გვქონოდა. სასკოლო გამოკითხვის შემდეგ შევქმენით ერთგვარი საოჯახო თამაშები/

პროექტები ძირითად სასწავლო დისციპლინებში. სკოლის მთავარი გამოწვევა გახლდათ მოსწავლეთა მოტივაცია, რომელიც დისტანციურად უნდა გაგვეღვივებინა. ამ მიზნით ჩავწერეთ საკმაოდ მოზრდილი ვიდეო მიმართვები, სადაც შევეცადეთ საშინაო სკოლის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების „გაცოცხლებას“. ვიდეო გზავნილებს, დავალებათა განმარტების გარდა, გეზის მიცემისა და მოტივირების ფუნქციაც ეკისრებოდა. ვიდეოსთან ერთად მიწოდებული წერილობით, ნაბიჯებად და დროში მკაფიოდ გაწერილი ინსტრუქციები შესასრულებელი სამუშაოს სწორად გადანაწილებას უზრუნველყოფდა. ასე შევეცადეთ ხანგრძლივი არდადეგების თანმდევი უსიამოვნო ფენომენის – აკადემიური უნარების „დაბლაგვების“ თავიდან აცილებას. რაც შეეხება უკუკავშირს, ამ შემთხვევაში სკოლის ელექტრონულ ჟურნალს ვიყენებთ მოსწავლეთა კითხვებზე პასუხის გასაცემად და ეტაპობრივად მიღებულ დავალებებზე უკუკავშირის გასაგზავნად. დავალებების გაგზავნის შემდეგ არაერთი დადებითი კომენტარი მივიღეთ მშობლებისა და მოსწავლეების მხრიდან და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოტივაციაზე ზემოაღნიშნულმა ვიდეო გზავნილებმა ძალიან კარგად იმოქმედა. რაც შეეხება არდადეგებამდე მიღწეული აკადემიური შედეგების შენარჩუნებას და ახალი უნარ-ჩვევების შეძენას, ამას განახლებული სასწავლო პროცესი გვაჩვენებს. ამ წერილს კი ჩემი მესამეკლასელების პირველი კვირის დისტანციური დავალების ნიმუშით დავასრულებ.

გამარჯობა! შენთვის წერილია!

როგორც უკვე იცი, არდადეგები გაგვიგრძელდა და სახლში რომ არ მოიწყინო, გიგზავნი რამდენიმე საინტერესო დავალებას.

პირველი ნაბიჯი – აირჩიე წიგნი

- აირჩიე და წაიკითხე ქვემოთ ჩამოთვლილი წიგნებიდან ერთ-ერთი;
- კითხვას დაუთმე დღეში მინიმუმ 30 წუთი (შენს განკარგულებაშია მომდევნო ერთი კვირა);
- წაიკითხე რჩეული წიგნის მინიმუმ 3 თავი, თუმცა შეიძლება ისე დაინტერესდე, არდადეგების დასრულებამდე მთლიანად შემოგეკითხოს

1. **სალამურას თავგადასავალი** (არჩილ სულაკაური)
2. **პეპი გრძელიწინდა** (ასტრიდ ლინდგრენი)
3. **პატარა უფლისწული** (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი)

მეორე ნაბიჯი – აირჩიე დავალების შესრულების გზა

- კითხვის პროცესში ან საკითხავი მასალის დასრულების შემდეგ შექმენი შთაბეჭდილების დღიური;
- შეგიძლია დღიური აწარმოო წერილობით ან ჩაწერო ვიდეო ბლოგების სახით.
- თუ **ვიდეოს ჩაწერას** გადაწყვეტ, ალბათ დაგჭირდება რომელიმე **ოჯახის წევრის დახმარება**. დავალების შესრულებისთვის საკმარისია **1 დღის გამოყოფა**.
- თუ **წერილობით** ფორმატს აირჩევ, სასურველია **2 დღეზე** გადაანაწილო (დაახლოებით **30-30 წუთი** დღეში) შესასრულებელი სამუშაო.

მესამე ნაბიჯი – აირჩიე ორი დავალება

იდეა N1 შეეკითხე ავტორს/პერსონაჟს – კითხვის პროცესში სულ მიჩნდება შეკითხვები ავტორთან ან პერსონაჟთან, მაგალითად, რატომ დაარქვა პერსონაჟებს ასეთი სახელები, ან რომელიმე მათგანს პროტოტიპი თუ ჰყავს?! პერსონაჟებს ალბათ ვკითხავდი, რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება, ან რას გრძნობდნენ რთულ სიტუაციებში?! თუ შენც გიჩნდება მსგავსი კითხვები, მაშინ ეს დავალება შენთვისაა.

იდეა N2 გააგრძელე ამბავი – ეპიზოდების თუ წიგნების გაგრძელება საკლასო ოთახში უკვე მრავალჯერ გვიცდია და ვიცი, რომ გიყვართ. ვფიქრობ, ეს დავალება „შთაბეჭდილების დღიურსაც“ მოუხდება.

იდეა N3 გაყიდე წიგნი – ჩვენ არაერთხელ მოგვიწყვია იმიტირებული წიგნის პრეზენტაციები და დაგვიმზადებია სარეკლამო ბუკლეტები. თუ ამ დავალებას აირჩევ, შეეცადე რამდგრძელწენიმე წინადადებაში ჩაატიო წიგნის მთავარი ღირსებები, რომლებსაც სარეკლამო ბუკლეტის, ან ვიდეო მიმართვის სახით წარმოადგენ.

იდეა N4 მოამზადე რეპორტაჟი – მაგალითად, წარმოიდგინე, რომ თოკით მოსიარულეთა ქალაქში სალამურას მიერ შესრულებული ოთხმაგი სალტო საკუთარი თვალით ნახე. მოგვიყევი პირველ პირში ეს ამბავი და თან საკუთარი დამოკიდებულების, ემოციის გადმოცემაც არ დაგავიწყდეს.

მეოთხე ნაბიჯი – გაიგე მეტი, დააჭირე ბმულს

შეგიძლია გაეცნო ბმულებს, რომლებიც დაგეხმარება შენი რჩეული წიგნის უკეთ გაცნობაში:

- **სალამურას თავგადასავალი**

  მულტფილმი https://www.youtube.com/watch?v=vg2jZdAqdKg

  წიგნის ელექტრონული ვერსია http://www.bu.org.ge/x678?lang=geo

- **პეპი გრძელიწინდა**

  ფილმი https://www.youtube.com/watch?v=dar3xhQWVvg

  აუდიოწიგნი https://www.youtube.com/watch?v=mTDZTOpgeLk

- **პატარა უფლისწული**

  ფილმი https://www.adjaranet.com/movies/10225/The-Little-Prince?lang=GEO&quality=HD

  აუდიოწიგნი https://www.youtube.com/watch?v=v0DISv22-3g

  წიგნის ელექტრონული ვერსია http://geolit.ge/targmanebi/ekziuperi/uplistsuli/patara_uplistsuli1.htm

ნათია უჩავა

დისტანციური სწავლება – ერთი მასწავლებლის გამოცდილება

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით და ახალი Covid19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საჭირო გახდა სასწავლო დაწესებულებების დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა. ამან ცოტა დაბნეულობა გამოიწვია მათში, ვისაც ამ კუთხით შესაბამისი გამოცდილება არ ჰქონია.

გაგიზიარებთ ჩემს მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ვცდილობ, მოსწავლეებთან დისტანციურად ვიმუშაო. ამისათვის საწყის ეტაპზე, სიმარტივისა და გამოცდილების გამო გამოვიყენე Facebook-ის პლატფორმა. იქიდან გამომდინარე, რომ დაწყებით კლასებს ვასწავლი, კომუნიკაციის პირველი წყარო ჩემთვის, პირველ რიგში, მშობლები არიან. Facebook-ში გავაკეთე ახალი ჯგუფი დისტანციური სწავლებისათვის. მოვიწვიე მშობლები და კლასის მასწავლებლები, იმისათვის, რომ მათაც ჰქონოდათ საშუალება, მოსწავლეებისათვის მიეცათ დავალებები. მოვამზადე

პირველი დავალება: https://www.youtube.com/watch?v=j3yxupzawyc&t=5s&fbclid=IwAR0IIFOqKVBGzwn1nV6A6Q1TxwoEfzjsJXVIvXYhgebLBSETPyMZQXNGRWo და შევიმუშავე დავალების მიცემის ფორმა, რომელსაც შემდეგნაირი სახე აქვს:

იქიდან გამომდინარე, რომ Facebook-ის ჯგუფს ვიყენებდით როგორც საკომუნიკაციო საშუალებას და პრაქტიკაში მრავალჯერადად გვქონდა ნაცადი, გადავწყვიტე, რომ სწავლებაც ამ პლატფორმაზე გამეგრძელებინა. ჯგუფი იძლევა საშუალებას, მოვამზადო დავალებები და ავტვირთო Microsoft Word Document-ისა და PowerPoint Presentation-ის სახით, გავაზიარო ვიდეო და საჭიროების შემთხვევაში ჯგუფიდან შევქმნა სასაუბრო ჯგუფი, სადაც განვახორციელებ ვიდეო ზარს.

აგრეთვე, გავააქტიურე ჯგუფი სახელწოდებით – აქტივობები კლასში https://www.facebook.com/groups/384972735509535/about/, სადაც განთავსებულია სხვადასხვა კლასისა და საგნის სავარჯიშოები, რომლებიც ჩემს კოლეგებს სწავლების დროს დაეხმარებათ.

გთავაზობთ რეკომენდებულ რესურსებს, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ დისტანციური სწავლების დროს:

1. **პროგრამა Teams.** ამ პროგრამის გამოყენებით თქვენ შეძლებთ მიმოწერას, სასურველი ფაილების გაგზავნას, ინფორმაციის გაზიარებას. ვირტუალური საკლასო ოთახების მოწყობის საშუალებასაც იძლევა. იმისათვის, რომ უფრო დეტალურად გაეცნოთ ამ პროგრამის გამოყენებას, შეგიძლიათ გადახვიდეთ შემდეგ ბმულზე https://www.youtube.com/playlist?list=PLDMSDtaBUrSmQTFijz5FeCMGiSrdTA847
2. **პლატფორმა learningapps**, მოგცემთ საშუალებას თავად შექმნათ მოსწავლეებისათვის საინტერესო დავალებები, ან გამოიყენოთ ბაზაზე არსებული რესურსები, რომლებსაც მოარგებთ თქვენი მოსწავლეების ინტერესებსა და ასაკს. https://learningapps.org
3. **„საშინაო სკოლა“** არის პლატფორმა, რომელსაც დიდი რესურსი აქვს დისტანციური სწავლებისათვის. https://silkschool.ge/lessons ის გვაძლევს საშუალებას, ავირჩიოთ სასურველი კლასი და საგანი.
4. **გუდა** გახლავთ საიტი, რომელიც კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობის იდეალური საშუალებაა. მოსწავლეები შეძლებენ, მოუსმინონ მათთვის სასურველ წიგნს. https://www.gudabooks.ge/
5. Zoom Video Communications – რომელიც აერთიანებს კომუნიკაციის ბევრ საშუალებას, როგორიცაა ონლაინ შეხვედრები, ვიდეო კონფერენციები, ონლაინ ჩეთები და ა.შ. ის მუშაობს როგორც პერსონალურ კომპიუტერში, ასევე მობილურ ტელეფონში. ონლაინ შეხვედრებისთვის საჭიროა რეგისტრაცია და იმ ადამიანების მოწვევა, რომლებთანაც კომუნიკაციას გეგმავთ. შეგიძლიათ აპლიკაცია ჩამოტვირთოთ https://zoom.us/download. ასევე, რამდენიმე მოსწავლეს ესაუბროთ ერთად. აურზაურის და ხმაურის ასარიდებლად, შეგიძლიათ განსაზღვროთ, რომელი მოსწავლე ისაუბრებს და მხოლოდ მისი ხმა მოისმინოთ. https://zoom.us

თეა ურუშაძე

უცნაურად მიწოდებული და გამოკითხული მასალა

პროცესი, როცა გაკვეთილის ახსნის, დავალების მიცემის და გამოკითხვის ისეთ ხერხს ეძებ, მრავალრიცხოვანი კლასის თავმოყრა რომ შეძლო და შედეგიც მიიღო ისე, რომ ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებში გყავდეს. ბოლოს მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ აირჩიო მასალა, ჩაწერო ვიდეოს სახით მისი ახსნა, მოათავსო დახურულ ჯგუფში და მოასმენინო კლასს მათთვის ხელსაყრელ დროს.

შინაარსიანი რომ გამეხადა, სწორედ ასე დავიწყე არდადეგები. დილით, ჯგუფში მოვათავსე ვიდეო, დავრწმუნდი,რომ ყველამ ნახა. დავწერე ყველაფერი, რაზეც ვისაუბრე ვიდეოში და ფურცელს გადავუღე ფოტო. იმის შემოწმებლად, რამდენად აზრიანად წაიკითხეს და მოისმინეს ჩემი დავალება, მოცემული ფოტოს ქვეშ ვნიშნავ სიის პირველ ნომერს და ვუსვამ კითხვას მოცემული ტექსტიდან. ის მპასუხობს და ახლა თავად ადგენს კითხვას მოცემული ტექსტიდან და ამ კითხვას პასუხობს სიის მეორე ნომერი, რომელიც გადადის მესამე ნომერთან კითხვით და ასე სიის ბოლომდე.

ეს იმის საშუალებას მაძლევს, შევამოწმო თეორიული მასალის მინიმალური ცოდნა. ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია.

მეორე დღეს ამ მასალის გამოყენებით და ვიდეოს საშუალებით რამდენიმე ამოცანა ავუხსნათ მოსწავლეებს და მერე წერილობით ასეთივე ამოცანები ამოხსნილი განვათავსოთ ჯგუფში. გავიმეოროთ იგივე, რაც წინა დღეს. ვკითხოთ სიის პირველ ნომერ მოსწავლეს. პასუხის შემდეგ, ის ეძებს , რომელი ამოცანის პასუხი ჰკითხოს მეორეს და ასე შემდეგ. მხოლოდ სიის ბოლო მოსწავლე ეკითხება მასწავლებელს

მეორე დღეს ვაძლევთ საშინაო დავალებად ანალოგიურ ამოცანას, რომლის ამოხსნის ვარიანტსაც გვიგზავნიან პირადად. ამოხსნის სწორ ვარიანტს განვათავსებთ იგივე ჯგუფში. ბავშვები აუცილებლად ფასდებიან კითხვის სირთულის და საშინაო დავალების შესრულების შესაბამისად. თავდაპირველად მხოლოდ ჩავინიშნავთ და არ დავწერთ შეფასებას, განმსაზღვრელი შეფასებისთვის ვიყენებთ შემდეგ ცხრილს:

მოსწავლე	სწორად გამოგზავნილი დავალება 1-3 ქ.	კითხვაზე სწორი პასუხი. თითოეული კითხვა 1 ქ. სულ 2 ქ.	კითხვის სირთულე ტექსტიდან? თითოეული კითხვა 1 ქ. სულ 2 ქ.	აქტიურობა, დამაგზუსტებელი კითხვები, ამ თემაზე რაიმე საინტერესოს შემოთავაზება და ჯგუფში განთავსება. 1-3 ქულა	ჯამი
1					
2					
3					
4					
5					
6					

მოსწავლეს შეუძლია გვკითხოს პირად გზავნილში, თუ ვერ გაიგო, როგორ შეადგინოს კითხვა. საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ სიას არ გაყვნენ და კითხვის დასასმელად აირჩიონ მოსწავლე, რომელიც მანამდე არ ყოფილა მონიშნული. საბოლოოდ, ყველა უნდა გამოიკითხოს.

აქტივობის უპირატესობა არის ის, რომ ყველა თანაბარ პირობებშია, ვამოწმებთ და ვიგებთ, რომ კითხვაზე პასუხის მისაღებად მინიმუმ წაიკითხეს მასალა, ჯგუფში არიან მშობლები და გვეხმარებიან.

მასალა, რომელსაც ვიყენებთ, შეიცავს მარტივ და რთულ საკითხებს, ანუ კითხვის ავტორი იპოვის ყველა სირთულის კითხვას. თუ ვერ იპოვა, პირად გზავნილში გვთხოვს დახმარებას.

თუმცა, მეთოდი ვერ მოგვცემს იმის საშუალებას სტანდარტით მოცემული ბევრი საკითხი ერთად დავფაროთ. ინფორმაცია უნდა იყოს მცირე რაოდენობით და მოსწავლეთათვის გასაგები.

მეთოდის მთავარი საფეხურებია:

ახალი საკითხის შესახებ ცოდნა შევძინოთ მოსწავლეებს, მათ შეძლონ ამოცანების ამოხსნა და ასე შევამოწმოთ ახსნილი საკითხის გაგების დონე. მოსწავლეებს კითხვების შესადგენად ფიქრი უწევთ, მაღალი მზაობის მოსწავლეები დავალებად იღებენ უფრო მაღალი დონის მასალას და გვიგზავნიან პირადში შესრულებულ დავალებას. შეუძლიათ თავადაც მოიფიქრონ რამე საინტერესო.

მეთოდის საწყისი ეტაპი საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის და იმედია, იმ შედეგს მოიტანს, რა შედეგის მისაღებადაც არის მოფიქრებული კონკრეტული აქტივობა. კლასის მრავალრიცხოვნობის შემთხვევაში, შრომატევადიც იქნება, მაგრამ საშინაო დავალების ნაწილში ვეცადოთ, მოვახდინოთ მოდიფიკაცია.

ასე არდადეგები ცოტათი შეივსება საჭირო წუთებით.

და თუ მაინც, აღმოჩნდება ვინმე, ვისაც არა აქვს ინტერნეტი, მინიმუმ ტელეფონით მაინც გავაცნოთ მასალა და მივცეთ საშუალება, გვიკარნახოს კითხვაზე პასუხი და კითხვა.

როცა სწავლება დისტანციურია, გამოწვევა მოსწავლეთა მოტივაციისთვის

დახურულ ჯგუფში მიცემული დავალებების შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს ბევრი დრო დარჩათ, კარგი იქნებოდა, რამე სასარგებლო და მათთვის საინტერესო საქმიანობით დაკავებულიყვნენ.

დახურულ ჯგუფებში მოვათავსე ასეთი მესიჯი:

მე ვწერ რიცხვს და თქვენ მესიჯში მიწერთ კითხვას ან ამოცანას, თუ შეძლებთ, რა თქმა უნდა, რომლის პასუხიც არის ეს რიცხვი. პირველი რიცხვია 90.

დასვით შეკითხვები, რომლის პასუხი არის 90.

გზავნილი მოვათავსე მხოლოდ მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასების ჯგუფებში. აიტაცეს. ზოგმა შეკითხვამ და ამოცანამ უბრალოდ გამაოცა.

აი ზოგიერთი მათგანი:

1) 😘=50 , 😍=40 , 😉=5 , ❤️=20 , 🙂=2

რას უდრის:

❤️x🙂+😘

2. ხის მორი სიგრძეში 89-ჯერ ჩაჭრეს. რამდენი მორის ნაჭერი მიიღეს საბოლოოდ?
3. ტოლფერდა სამკუთხედის ფუძე ფერდზე 2-ით მეტია. იპოვეთ სამკუთხედის ფერდი თუ სამკუთხედის p=120-ს. ფერდის პასუხს გამოაკელით 8 და გაამრავლეთ 3-ზე და შედეგს გამოაკელით. რა მიიღეთ?
4. წრე რომ 4 ტოლ სექტორად დავყოთ, რამდენი გრადუსი იქნება თითოეული სექტორი?
5. 9000 წელს მერამდენე საუკუნეი ქნება დედამიწაზე?
6. რომელია 89-ის მომდევნო და 91-ის წინამდგომი რიცხვი?
7. რას მივიღებთ თუ მანქანის ზეთის სიმკვრივეს, ანუ 900 კგ/მ კუბს შევამცირებთ 10-ჯერ?
8. ორი ქალაქიდან ერთმანეთის შესახვედრად ორი მოტოციკლეტისტი დაიძრა. პირველი საათში გადიოდა 20კმ-ს, მეორე კი 25კმ-ს. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 2 საათის შემდეგ. რა მანძილიაა მქალაქებს შორის?

9. მსოფლიოში ყველაზე სწრაფმა მატარებელმა 3-წამში გაიარა 270 მ. გამოთვალეთ მატარებლის სიჩქარე მეტრ/სამებში.
10. ტოლფერდა სამკუთხედის ფერდი=30მ p=150მ რას უდრის სამკუთხედის ფუძე?
11. რას უდრის გაშლილი კუთხის ნახევარი?
12. რამდენი გრადუსია მართი კუთხე?
13. X+130=120+50+50რასუდრის x ?
14. ათი ქათამი დღეში 10 კვერცხს დებს. რამდენ კვერცხს დადებენ ეს ქათმები 9 დღეში?
15. 3×(15+15)=?
16. რამდენი წუთია საათ-ნახევარში?
17. რამდენი წუთი გრძელდება 2 გაკვეთილი?
18. რას უდრის სამკუთხედის კუთხეების ჯამის ნახევარი?
19. რას უდრის ოთხკუთხედის მეოთხე კუთხე თუ დანარჩენი კუთხეები უდრის:70 გრადუსს, 50 გრადუსს და 150 გრადუსს?
20. ხუთკუთხედის შიდა კუთხეთა ჯამს გამოვაკლოთ ოთხკუთხედის შიდა კუთხეთა ჯამი და მართი კუთხის გრადუსული ზომა.
21. რას უდრის კვადრატის ერთი კუთხე?
22. ტოლგვერდა სამკუთხედში ორი კუთხის ჯამს გამოკლებული 30 გრადუსი. რას მივიღებთ?
23. რას უდრის კათეტის კვადრატი თუ მისი გეგმილი არის 9 და ჰიპოტენუზა 10?
24. ABC სამკუთხედში BD მედიანა AC გვერდის ნახევარს უდრის. იპოვეთ B კუთხე.
25. რას უდრის მართი კუთხის გარე კუთხე?
26. რას უდრის მეზობელი კუთხეების ჯამის ნახევარი?
27. გამოითვალე საშუალო: 45, 67, 10, 49, 67, 89, 100, 56, 78, 98.
28. ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედში რას უდრის მახვილი კუთხეების ჯამი?

ამ პასუხების წაკითხვა უდიდესი სიამოვნება იყო. ზოგი ზემოთა ამოცანაში რიცხვებს ცვლიდა, ზოგი პირადში მითანხმებდა, ზოგმა იქვე მოითხოვა მგონი არ მაქვს სწორი, მაგრამ ამ ამოცანის ამოხსნა მაინტერესებსო და იქვე დავეხმარე. ეს იყო საინტერესო წუთები.

სამომავლოდ გავიმეორებ სხვა რიცხვისთვის.

მეორე გამოწვევა უფრო შემოქმედებითი იყო:

ეს უკვე საჯარო გამოწვევა იყო,როგორებიც ხშირად შეგვხვედრია სხვადასხვა თემებზე. მოვათავსე ერთი საინტერესო ფოტო და დავაწერე: გიწვევთ რამდენიმე წუთით დაკავდეთ საინტერესო რამეებით, რომლებიც მათემატიკას უკავშირდება. გააზიარებთ და გამოიწვევთ სხვა ვინმეს. მოვნიშნე 3 მოსწავლე, ერთი მეშვიდე, ერთი მერვე და ერთი მეცხრეკლასელი და...

შედეგად ვიხილე უამრავი საინტერესო რამ. ლიდერობდა ოქროს კვეთა, მერე ხელოვნებაში მათემატიკის გავლენა, ვეფხისტყაოსანი, არქიტექტურა, ადამიანები მათემატიკაში განსაკუთრებული წვლილით, კიმპიუტერული მეცნიერებები, საიდუმლო კოდები, მუსიკა და მათემატიკა, ფუნქციები ჩვენ გარემოცვაში, მათემატიკის წვლილი ცეკვაში და ასე შემდეგ.

მეორე აქტივობა საინტერესო გამოდგა. სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ჩაერთნენ. და ერთმანეთს იწვევდნენ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად. ერთი კლასიდან უცხოეთში ოჯახით წასული მოსწავლეც კი ჩაერთო.

პირველი აქტივობა არ გამოვა იმ კლასებში, სადაც შეცდომის დაშვების ეშინიათ. მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს, რომ მას შეუძლია შეეშალოს და ამისთვის არავინ ეტყვის საყვედურს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოწვევას არ აიტაცებს.

ნინო აბულაძე

ოცდამეერთე საუკუნის გაკვეთილების სერიიდან

მასწავლებელი, რომელიც არ უშინდება სიახლეებს, სიახლეებიდან გამოარჩევს ღირებულს, შექმნის ისეთ სასარგებლო მედიაპროდუქტს, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სააზროვნო უნარების განვითარებას მოსწავლეებში, უკვე 21-ე საუკუნის კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებელია. მეც ვცდილობ, ვიყო ისეთი მასწავლებელი, რომელიც გამოწვევას არ უშინდება. ვცდილობ შევქმნა ისეთი მედიაპროდუქტი, რომელიც სწავლებას სახალისოს, ცოდნას კი გამოყენებადს გახდის. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ნათლად დავანახო საზოგადოებას, როგორ შეიძლება, ტრადიციული გაკვეთილი ვაქციოთ სახალისო სწავლების პროცესად, რომლის დროსაც მოსწავლეები მოახერხებენ **ახალი ინფორმაციის მოძიებას** (გამოვიყენოთ სახელმძღვანელო, ტელეფონი, პლანშეტი, კომპიუტერი), **ინფორმაციის დახარისხებას** და ძირითადი **გზავნილების გააზრებას**, მოსაზრებების მტკიცებულებით გამყარებას, პერსონაჟის როლის მორგებას და ისეთი მედიაპროდუქტის შექმნას, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, ისე ისწავლონ ახალი მასალა, რომ მხოლოდ ისტორიული მოვლენები კი არ დაამახსოვრდეთ, არამედ არსებული ვარაუდების შესახებ მტკიცებულებები თავადაც მოიძიონ და კლასელების დახმარებით შექმნილი მედიაპროდუქტიდანაც შეიტყონ; ეს კი სწორედ ის უნარებია, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია 21-ე საუკუნეში;

ნაბიჯი 1. გამოცდილების გაზიარება სოციალურ ქსელში

დღეს ერთ-ერთი საინფორმაციო სივრცე მასწავლებლებისთვის სოციალური ქსელია, ეს არის ადგილი, სადაც შესაძლებელია კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებელმა მიიღოს საინტერესო ინფორმაცია, დაახარისხოს, მნიშვნელოვანი გამოარჩიოს, გააანალიზოს და შესაბამისი დასკვენების გამოტანის მერე სიახლე შეიტანოს საგაკვეთილო სივრცეში. მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკაში ახალი რომ არ არის გამოცდილების გაზიარება, ყველამ ვიცით, მაგრამ როგორ ხდება ამ გამოცდილების მორგება ჩვენს საგაკვეთილო სივრცეში, დღეს ეს მთავარია. ამიტომ მე ხშირად ვიყენებ ჩემს

პედაგოგიურ პრაქტიკაში იმ მასალას, რომელიც „ერთი ხელის გაწვდენაზეა“. ალბათ ადვილად მიმიხვდით, Facebook-ზე რომ ვსაუბრობ; ეს არის ადგილი, სადაც ხშირად ერთმანეთს ვესაუბრებით სხვადასხვა რეგიონის მასწავლებლები, ვეხმარებით სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში, ვიღებთ და გავცემთ ახალ ცოდნას და კარგად ვიცით, რომ ჩვენ არ „ვიგონებთ ახალ ველოსიპედს“, ჩვენ ვხედავთ, ვაფასებთ, როგორ მუშაობენ სხვები და საჭიროებისამებრ ვიყენებთ ჩვენს საგაკვეთილო პროცესშიც.

ნაბიჯი 2. ინფორმაციის გამორჩევა

ერთ მშვენიერ დღეს, ჩვეულებისამებრ, ფეისბუქის მთავარ გვერდს ვათვალიერებდი. სოციალურ ქსელში გაზიარებული იყო უცხოელი კოლეგის საინტერესო მასალა. ინგლისურენოვანი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, შესაბამისი დასკვნის გამოტანა მოვახერხე და მივხვდი, რომ ამ მასალას ჩემი საგაკვეთილო პროცესის დროს, კერძოდ კი ახალი მასალის ახსნისთვის გამოვიყენებდი; სხვადასხვა კუთხით შევაფასე ჩემი მოსწავლეების შესაძლებლობები, ჩამოვწერე ძირითადი აქტივობები და მეორე დღისთვის საინტერესო გაკვეთილი დავგეგმე. ძალიან გამახარა იმ ფაქტმა, რომ დავინახე, როგორ შეიძლებოდა კიდევ ერთი, თავგადასავლებით სავსე, საინტერესო გაკვეთილი ჩაწერილიყო ჩემი მოსწავლეების ცხოვრებაში. აუცილებელი იყო მომეფიქრებინა, როგორ მოვახერხებდი ყველა მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში ისე, რომ ინტერესი არ განელებოდათ არა მხოლოდ კლასში, არამედ სახლში მისვლის შემდეგაც. ასევე ვიცოდი, ისე უნდა მიმეწოდებინა ახალი აქტივობა, რომ ყველა თანაბრად ყოფილიყო ჩართული. ფერად ფურცლებზე ჩამოვწერე ყველა იმ ისტორიული პერსაონაჟის სახელი, რომელიც თამარ მეფის პერიოდს უკავშირდებოდა, სულ 15-მდე გამომივიდა ასეთი პიროვნება. ვიფიქრე, რომ აჯობებდა წყვილებში ემუშავათ

ნაბიჯი 3. 21-ე საუკუნის გაკვეთილი მე-9 კლასში: თამარ მეფის ეპოქა, ისტორიული პერსონაჟები და მოვლენები სოციალურ ქსელში

გაკვეთილის დაწყებამდე საკლასო ოთახში, ერთ-ერთ მაგიდაზე ფერადი ფურცლები ისე დავალაგე, რომ წარწერა მოსწავლეებს არ დაენახათ; კლასში შესვლის დროს ერთ-ერთი მოსწავლის სიტყვები მომესმა: „თავგადასავლები გრძელდება, ნეტავ, ახლა რა მოიფიქრაო.“ ამ ფრაზამ კიდევ უფრო მეტად გამიღრმავა აზრი, რომ მოსწავლეს უნდა უხაროდეს გაკვეთილზე ყოფნა, შიშით

არ უნდა ელოდეს საკუთარი გვარის ამოკითხვას ჟურნალში. მოსწავლეებმა მაგიდიდან აიღეს ფურცლები და მაშინვე გამოთქვეს აზრი:

– მას, ეს რომ ჯერ არ გვისწავლია?

– მას, ცოქალი რომ ორს შეგვხდა, რა უნდა ვქნათ?

ყველას შევახსენე, რომ არც ერთ აქტივობას კლასში არ ვიწყებთ ზუსტი და მკაფიო ახსნა-რეკომენდაციების გარეშე. როდესაც ადგილები დაიკავეს, ნაბიჯ-ნაბიჯ ავხსენი ჯერ გაკვეთილის მიზანი და შედეგ ის დავალება, რომელიც მათ უნდა შეესრულებინათ. პირველ რიგში, მოსწავლეებს შევახსენე აუცილებელი პირობა – ერთად გვეთამაშა, ანუ ყველა ერთად უნდა გადავფრენილიყავით მე-12 საუკუნეში, მიგვეხედა-მოგვეხედა, ეპოქა გაგვეაზრებინა, გვეგრძნო, რომ იმ პერიოდის მოქალაქეები ვიყავით 21-ე საუკუნის შესაძლებლობებით . ამისათვის კი ნაბიჯები ნელა და ყურადღებით უნდა გადაგვედგა, რადგან პირადი გვერდები უნდა შეგვექმნა Facebook-ში. ამ შეთავაზებას საოცარი ემოცია მოჰყვა. მივხვდი, რომ ძალიან კარგ მედიაპროდუქტს შევქმნიდით; უმჯობესია მოგიყვეთ, როგორ განვითარდა მოვლენები .

მაშ, ასე:

ნაბიჯი 1. ინფორმაციის მოძიება, დახარისხება, ისტორიული პროცესების გაანალიზება. როგორც უკვე ვახსენე, ამისათვის ჩვენ ვიყენებთ ყველა იმ ინფორმაციულ ტექნოლოგიას, რაზეც ხელი მიგვიწვდება საკლასო ოთახში და ასევე სახელმძღვანელოს. თუ ინტერნეტის საშუალება არ გვაქვს კლასში, შესაძლებელია, მასწავლებელმა წინასწარ მოიძიოს თემის შესაბამისი საინტერესო მასალები, ამობეჭდოს და შემდეგ მოსწავლეებს უწილადოს. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა წყვილში მუშაობა. ეცნობიან ახალ მასალას, ერთმანეთს უზიარებენ მოძებნილ ინფორმაციაზე მოსაზრებებს, არჩევენ მნიშვნელოვან მოვლენებს. შემდეგ იწყებენ საკუთარი პერსონაჟის მახასიათებელი ნიშნების ჩამოთვლას, პირადი პროფილის სურათის დახატვას და რაც მთავარია, ჩემი მოსწავლეებიც არასოდეს უშინდებიან სიახლეებს, დამოუკიდებლად აზროვნებენ, სვამენ რთულ კითხვებს და ჩვენ ერთად ვეძებთ პასუხებს, პასუხებისგან კი შეიქმნა ისეთი ფეისგვერდები, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოსწავლემ არა მხოლოდ გაიაზრა ისტორიული პროცესები და შეისწავლა პიროვნება, არამედ შეძლო, ისე დაეხატა მისი პირადი გვერდი, რომ მთავარი გზავნილები სხვებისთვის ყოფილიყო სახალისოც, პროდუქტიულიც და საინტერესოც.

ნაბიჯი 2. წარდგენა. ეს ის პროცესია, რომელსაც ყოველთვის დიდი ინტერესით ველოდები. სამუშაო პროცესის დროს ჩემს მოსწავლეებს ვაკვირდებოდი, თვალს ვადევნებდი მათ ჩართულობას, კომუნიკაციას, თანამშრომლობას, როცა ვუსმენდი, როგორ მსჯელობენ, ხვდებოდი , რომ მათ ეს სამუშაო ძალიან მოსწონთ, თეთრი ქაღალდები ნელ-ნელა გადაიქცა ფეისბუქის გვერდებად, გათვალისწინებული იყო ყველა ის დეტალი, რომელიც გვაძლევს საშუალებას, შევიტყოთ პიროვნების შესახებ საინტერესო ინფორმაცია, გავიგოთ, რა ახარებთ და რას აქცევენ ყურადღებას, ყველაზე სახალისო კი ის კომენტარები ჩანდა, რომელიც განსაკუთრებული გაფორმებით გამოირჩეოდა. ასეთი სამუშაო პროცესების გადაღება ჩვენი გაკვეთილების მეგზურია. ამჯერად წარდგენის ვიდეო-მასალას გთავაზობთ და თავადვე შეძლებთ შეაფასოთ, რამდენად საინტერესოდ წარიმართა ჩვენი გაკვეთილი.

ზარის დარეკვას კვლავ მოსწავლეების ფრაზა მოჰყვა:

– მას, ჩვენ უკვე იმაზე მეტი ვიცით, ვიდრე სახელმძღვანელოშია...

დიახ, ნამდვილად ასე იყო, ერთმანეთის მოსმენის შემდეგ თამარის ეპოქაზე, სოციალურ-ეკონომიკურ სიახლეებზე, ისნის კარვის მოთხოვნებზე, მისი მოგვარების გზებზე ინფორმაციას გავეცანით. მოვისმინეთ, როგორ „დაჩეკინდა“ აბუბაქრი შამქორს და როგორ გააქციეს ქართველებმა, გავიცანით შოთა რუსთაველი, რომელმაც თავისი გვერდით გვამცნო, რომ დაასრულა „ვეფხისტყაოსანი“... კლასმა ჩაინიშნა ახალი დავალება და დავთქვით შეხვედრა საღამოს, რეალურ სოციალურ ქსელში ირეალური პერსონალური გვერდებით.

ნაბიჯი 3. ისტორიული პირები სოციალურ ქსელში ჩნდებიან.




აბუ ბექრი ცეცხლს ეთამაშები ბასილლ
მომწონს · პასუხი · 1 წთ
1
კრავი ჯაყელი
Nino
მთავარი
შექმნა
კრავი ჯაყელი
ქრონიკა
2019
მარტი
მომწონს
კომენტარი
გაზიარება
შესავალი
დიპლომატი
თამარ მეფის სეფექალი!
დიპლომატი-ად თამარ მეფის სამეფო კარი-ში
სწავლობდა ივანეთის აკადემია-ში
ცხოვრობს Tbilisi, Georgia-ში
არის Meshki-დან
დაოჯახებული
ბავშვ ცოქალი ჩემი კრავი
მომწონს · პასუხი · 5 კვირა
კრავი ჯაყელი დაოო ბავშვ
მომწონს · პასუხი · 5 კვირა
დაწერეთ პასუხი...
დაწერეთ კომენტარი...
ფოტოები
კრავი ჯაყელი არის Tbilisi, Georgia-ში.
22 თებერვალი
მეგობრები · 34 (32 საერთო)
ახალი სამუშაო დაიწყო თამარ მეფის სამეფო კარი-ში
22 თებერვალი — დიპლომატი
Tbilisi, Georgia


კრავი ჯაყელი
Nino
მთავარი
შექმნა
კრავი ჯაყელი
ქრონიკა
2019
მარტი
მომწონს
კომენტარი
გაზიარება
შესავალი
დიპლომატი
თამარ მეფის სეფექალი!
დიპლომატი-ად თამარ მეფის სამეფო კარი-ში
სწავლობდა ივანეთის აკადემია-ში
ცხოვრობს Tbilisi, Georgia-ში
არის Meshki-დან
დაოჯახებული
ბავშვ ცოქალი ჩემი კრავი
მომწონს · პასუხი · 5 კვირა
კრავი ჯაყელი დაოო ბავშვ
მომწონს · პასუხი · 5 კვირა
დაწერეთ პასუხი...
დაწერეთ კომენტარი...
ფოტოები
კრავი ჯაყელი არის Tbilisi, Georgia-ში.
22 თებერვალი
მეგობრები · 34 (32 საერთო)
ახალი სამუშაო დაიწყო თამარ მეფის სამეფო კარი-ში
22 თებერვალი — დიპლომატი
Tbilisi, Georgia

– ნინო, ბასილ ეზოსმოძღვარი დამეგობრებას მთხოვს, შენი მოსწავლეა?
– ნინო, გიორგი რუსი მეჩხუბება, ვერ გავიგე, რა დავუშავე!
– ვინაა ეს, არა თამარ მეფესო, რომ წერს?

ასეთი აურზაური დაატრიალეს საღამოს ჩემმა მოსწავლეებმა სოციალურ ქსელში. რაც ყველაზე მთავარია, ყველა იღიმოდა და აზიარებდა ჩემების კომენტარებს. მეტიც, მალევე გამოჩნდა გამოცდილების ახალი მაგალითები, გამომეხმაურნენ ის მასწავლებლებიც, რომლებსაც უკვე გამოყენებული ჰქონდათ მსგავსი აქტივობა. მაგრამ... ყველაზე კმაყოფილები მაინც ჩემი მოსწავლეები იყვნენ. ამიტომაც არ დავაყოვნე დიდი ხანი და სულ რაღაც ორ კვირაში უკვე „დატვიტვინება“ შევთავაზე ტვიტერზე..

ეს უკვე ახალი „თამაშის“ ისტორიაა...

მანანა სეხნიაშვილი

ონლაინ გაკვეთილები გეოგრაფიაში

ჩვეულ რეჟიმში ძალიან მიყვარს ონლაინ მუშაობა. ჩემი სამუშაო რეჟიმი მარტო გაკვეთილებით არ შემოიფარგლება. ამიტომ ვამბობ, რომ მასწავლებლობა სამსახური არ არის, ეს ცხოვრების წესია. განსაკუთრებით პროექტებზე მუშაობის პერიოდში ვაქტიურობთ. მოდელირების დროს ხომ საერთოდ ვაფეთქებთ სოციალურ ქსელს. მაგრამ ახლა ეს ონლაინ გაკვეთილები... თუმცა, სხვა გზა არ გვქვს. ამ პროცესსაც აქვს თავისი დადებითი მხარე. ახლა ყველაზე მეტი შესაძლებლობა გვაქვს, მოსწავლეებს დავანახოთ ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენების საჭიროება. განსაკუთრებით გეოგრაფიის გაკვეთილები შეგვიძლია გამოვიყენოთ ამ მიზნით.

მე არ განვიხილავ რამდენად კარგია ონლაინ გაკვეთილები ან რამდენად შევძლებთ საგნის ფუნდამენტურ სწავლებას. ეს ტერმინი საერთოდ არ არის ჩემთვის მისაღები, რადგან ვფიქრობ, რომ სწავლა-სწავლების პრინციპებს რადიკალურად ეწინააღმდეგება. პირველი პრობლემა რაც გამოიკვეთა, აღმოჩნდა ახალი მასალის მიწოდება, ანუ ახსნა. ამიტომ იყო საჭირო, რომ მოსწავლეებისთვის გვესწავლებინა დამოუკიდებლად მუშაობა, შემოქმედებითი და კრიტიკული, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. კრიტიკულმა მდგომარეობამ მე პირადად ნათლად დამანახა არსებული პრობლემები. გაზიარებული რესურსების გაცნობის შემდეგ გარკვეული დასკვნა გამოვიტანე.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს პერიოდი შეგვიძლია კარგად გამოვიყენოთ სწავლა-სწავლების პრინციპების დასანერგად, მოსწავლეებისთვის დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებისთვის. საჭიროა, ახლა მაინც მივცეთ დავალებები, რომელთა შესრულებაც დაეხმარება მოსწავლეებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

გთავაზობთ კლასების მიხედვით რამდენიმე მაგალითს, როგორ ვხედავ ონლაინ გაკვეთილებს.

მაგალითი 1.

მე-7 კლასი: ბუნებრივი ზონების შესწავლა ისედაც არ მიმაჩნია მარტივად და არც მარტო სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის დაზეპირებით

მარტივდება. ახლა მაინც გვაქვს ამისი შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებს მივაწოდოთ ფილმები, რომლებიც თვალნათლივ დაანახებს მათ, როგორ იცვლება ბუნებრივი ზონები. ამისთვის გამოვიყენე BBC-ის ფილმები სერიიდან „პოლუსიდან პოლუსამდე“ და „უდაბნოები“. ამ გვერდზე არის ფილმების ქართული ვარიანტები: https://www.adjaranet.com/movies/1002290/Planet-Earth?lang=GEO&quality=SD&season=1&episode=5&fbclid=IwAR0fzPvcCg3zXzFOZwwBNyo-Yqs2cHvo-xqu6LiSpW3P9DLxXrfagawNKmk.

დავალება ფილმის ყურების დროს – შეავსონ ცხრილი:

ბუნებრივი ზონა/უდაბნო	მდებარეობა	ჩამოყალიბების ფაქტორები	აღწერა

ონლაინ გაკვეთილამდე შეიძლება კონტურული რუკებიც შევავსებინოთ: შექმნან რუკის ლეგენდა და აღნიშნონ ბუნებრივი ზონები.

ამ ცხრილის გამოყენება კარგი იქნება მეორე ფილმის ყურების დროსაც. მოსწავლეები ამ შემთხვევაში ფილმის ნახვის დროს იწერენ უდაბნოებს და აღნიშნავენ მათ კონტურულ რუკაზე.

მაგალითი 2.

მე-8 კლასი: თავდაპირველად ეს პერიოდი გამოვიყენე ნომენკლატურის შესასწავლად-გასამეორებლად და მივუთითე ონლაინ თამაშის ვებგვერდის მისამართი: http://www.ilike2learn.com/ilike2learn/geography.asp?fbclid=IwAR1Sm8klj3PztNLRuIdxDaDN_0XTIOh5rP8MP2U_tkqCycbtiSDSP2z9Ak0. ამ გვერდზე კონტინენტების მიხედვით ყველა ნომენკლატურული ერთეული ცალ-ცალკეა გამოყოფილი. საკმაოდ მარტივი და გასაგები თამაშებია, რომლებიც ქულებსაც გიწერს. ამ თამაშის გამოყენება და შედეგების წარდგენა მუდმივ დავალებად შეიძლება გამოვიყენოთ.

პარალელურ რეჟიმში შეგვიძლია სხვა თემების განხილვაც. იმედი მაქვს, დიდხანს არ მოგვიწევს ამ რეჟიმში ყოფნა. მე-8 კლასში რამდენიმე ისეთი თემაა განსახილველი, როდესაც კარგად გამოვიყენებთ შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდს. მაგალითად – მიგრაცია, ურბანიზაცია.

მიგრაციის თემა დღეს საქართველოში თითქმის ყველა ოჯახისთვის აქტუალური თემაა. ამიტომ შეიძლება მისი განხილვის პროცესში მშობლების ჩართვაც. მოსწავლეებმა შეიძლება გამოიკითხონ ნათესავ-მეგობრებიდან ვინ სად და რატომ არის წასული ქვეყნიდან. შეავსონ მარტივი ცხრილი.

ქვეყნიდან წასული პიროვნება	ასაკი	წასვლის მიზეზი	ქვეყანა, რომელშიც წავიდა	შენიშვნა

დისტანციურ გაკვეთილზე შეგროვებულ ინფორმაციას გავაერთიანებთ და დავაჯგუფებთ მიგრაციის სახეების მიხედვით. ცალკე დავაჯგუფებთ გამომწვევ მიზეზებს. შევქმნით კლასტერებს.

შემდეგ ჩვენ მიერ შედგენილ კლასტერებს შევადარებთ სახელმძღვანელოში არსებულ სქემას. საჭიროების მიხედვით მოსწავლეები თავად შეავსებენ გამოტოვებულ ტერმინებს.

დამოუკიდებლად შესასრულებელი (ანუ საშინაო) დავალება: მოსწავლე ეცნობა თემას – მიგრაცია, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში. ჩამოწერენ მიგრაციის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ანუ ემზადებიან შემდეგი გაკვეთილისთვის, რომელზეც უკვე გამოიყენებენ SWOT ანალიზის მეთოდს. თუ ჯერ არ იციან მეთოდის შესახებ, მაშინ მასწავლებელი აჩვენებს SWOT ანალიზის სქემას და ერთად განიხილავენ თითოეულ ნაწილს.

როგორც ხშირად ხდება, ახლაც გამაოცეს ჩემმა მე-8 კლასელებმა. ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის მათი მოსაზრებების მოსმენა.

მაგალითი 3.

მე-9 კლასი: საქართველოს გეოგრაფია ჩემი საყვარელი ნაწილია. მე-9 კლასში ყოველთვის ხალისით შევდივარ ხოლმე. ახლა პირველი, რაც მოვიფიქრე, ტრადიციების გეოგრაფიის განხილვაა. ჩვეულებრივი გაკვეთილების დროსაც მქონდა ეს თემა დისკუსიის რეჟიმში. ყოველ ჯერზე ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა, უამრავ განსხვავებულ აზრს ვისმენდი ჩემი მოსწავლეებისგან. მინდოდა, თავიდანვე გაერჩიათ (განესხვავებინათ) ბავშვებს ტრადიცია, ვალდებულება და ცრურწმენა. დავალება: ოჯახის წევრებთან

ჩაატარონ გამოკითხვა, რას ნიშნავს მათთვის ტრადიცია. შემდეგ დაალაგონ მათი შეხდულებისამებრ. ონლაინ გაკვეთილზე კი წარმოადგინონ ყველაზე საყვარელი ტრადიცია.

ვარიანტი 2. სადისკუსიო კითხვა: ტრადიცია თავისუფლება თუ...

მაგალითი 4.

მე-10 კლასთან მუშაობა უსაზღვრო შესაძლებლობს იძლევა . ამიტომაც, მათ საკუთარი ემოციის დაწერა ვთხოვე. მათი აზრები სტატიად შევკარი, სათაურიც ერთად მოვიფიქრეთ: „პანდემიური არდადეგები". წერითი უნარების განვითარება მნიშვნელოვანია. ონლაინ გაკვეთილზე უფრო მეტად გამოხატეს ემოციები, საკუთარი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება და გამოხატვა, ამ არცთუ ისე მსუბუქ პერიოდში, ძალიან მნიშვნელოვანია.

მაგალითი 5.

მე-11 კლასი: კორონა ვირუსი რაც პანდემიად გამოცხადდა, მას შემდეგ ვცდილობ მისი გავრცელების გეოგრაფიული კანონზომიერების ახსნას. გაკვეთილამდე მოსწავლეებს გავუგზავნე ვებგვერდის მისამართი https://gisanddata.maps.arcgis.com/apps/opsdashboard/index.html#/bda7594740fd40299423467b48e9ecf6, სადაც არის პანდემიის გავრცელების ინტერაქტიული რუკა და სტატისტიკური მონაცემები. მოსწავლეები თვალ-ყურს ადევნებენ გავრცელების პროცესს, ამუშავებენ მოცემულ სტატისტიკურ მონაცემებს, ეცნობიან მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და გაკვეთილზე წარმოადგენენ საკუთარ ხედვასა და გეოგრაფიული გავრცელების ანალიზს. შეეცდებიან, ახსნან გავრცელების კანონზომიერება. დისკუსია გარდაუვალია.

მანანა ნუცუბიძე

მედიაწიგნიერება ისტორიის გაკვეთილზე

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციათა შორის მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მედიაწიგნიერების კულტურის განვითარებას, რადგან რეალურ ცხოვრებაში არსებული მედიაინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, მათი ეფექტიანად და მიზანმიმართულად გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, მოზარდთა ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზებას მრავალფეროვანი ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ტრადიციულ სასწავლო ტექსტებთან ერთად, მნიშვნელოვანი გახდა ისეთი მედიარესურსების გამოყენება, როგორიცაა – ხმოვან-ვერბალური ინფორმაცია, აუდიო-ვიზუალური საშუალებები, პლაკატი, კარიკატურა, სურათი და სხვა. „მედია ყველაზე მძლავრი კულტურული იარაღია, რომელმაც ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. სწორედ ამიტომ აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს, ერთი მხრივ, ამ ახალი სტილისა და მრავალგვარი ფორმის მედიარესურსების აღქმა-გააზრება, ინტერპრეტირება, გამოყენება და შექმნა, მეორე მხრივ, მედია სამყაროში ორიენტირება, სწორი არჩევანის გაკეთება, ინფორმაციის „გაფილტვრა“ და მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება“ (ესგ). აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო მედია ინფორმაციის გაფილტვრა-ანალიზი, არამედ მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასება და მათ შესახებ საკუთარი ინტერპრეტაციის ვიზუალურად გამოვლენა, მედია სამყაროში სწორი ორიენტაცია და სწორი დასკვნების გამოტანა.

მედიაწიგნიერების ინტეგრირება შესაძლებელია ნებისმიერ საგანსა და სასწავლო პროცესთან. დღევანდელი ტექნოლოგიური ბუმის პირობებში და რეალურ ცხოვრებაში ჩვენი მოსწავლეები ყოველდღიურად ეცნობიან მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას. ინფორმაციის დიდი ნაწილი მათ მიერ შინაარსობრივად სწორად ვერ აღიქმება და მედიაგზავნილები, ე.წ. მესიჯები მოსწავლეთა ყურადღების მიღმა რჩება. მოსწავლეების მიერ

მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება არ ნიშნავს მათ ჩართვას მედიაწიგნიერების განათლებაში. მედიაწიგნიერების აქტივობები განსხვავდება სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაციისაგან. მედიაწიგნიერების სწავლებაში მთავარია კვლევა და მოსწავლეების ანალიტიკური აზროვნება. ამ მხრივ, სწავლება იწყება კურიკულუმის მიზნების განხილვითა და მოსწავლეთა საჭიროების კვლევით. მედიაწიგნიერებასთან ინტეგრირების გზების ანალიზისას გასათვალისწინებელია ინფორმაციის არა პასიური აღქმა-ანალიზი, არამედ მონაწილეობითი მედიაწიგნიერების კულტურის განვითარება, რომელიც მედიაპროდუქტის კრიტიკულ ანალიზთან ერთად მოიაზრებს მის შექმნასაც, კეთებით სწავლებას, რაც ბევრად პროდუქტიულია და სწავლებისადმი ეფექტურ-კონსტუქტივისტულ მიდგომას გულისხმობს.

მედიაწიგნიერების ინტეგრირება ისტორიის და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას თითქმის ყოველ საგაკვეთილო პროცესშია შესაძლებელი, რადგან მიმდინარე საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ მედიასაშუალებები უამრავ ინფორმაციას გვაწვდის და არჩევანის ფართო შესაძლებლობას იძლევა. მედიაწიგნიერება და მედიარესურსების ანალიზი გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიის საგამოცდო ტესტებშიც. პლაკატებისა და კარიკატურების ანალიზს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც. ეს საკითხები პროგრამულად მეათე კლასის კურიკულუმითა გათვალისწინებული.

მედიარესურსების კრიტიკული ანალიზით მოსწავლეთა დაინტერესებისათვის პედაგოგიურ პრაქტიკაში რამდენიმე სტრატეგია გამოვიყენე, რომლებშიც გავითვალისწინე როგორც მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და შემოქმედებითი ინტერპრეტაცია, ისე საავტორო მედიარესურსის შექმნა. ჩემი გამოცდილებიდან მსურს გაგიზიაროთ მეათე კლასში ჩატარებული მედიაწიგნიერებასთან ინტეგრირებული ისტორიის გაკვეთილი, რომელშიც გამოყენებულმა მედიაწიგნიერების სტრატეგიებმა ხელი შეუწყო მოსწავლეების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიებით გაჯერებულ გარემოში მედიაგზავნილების სწორად გააზრებას, მათ დეკოდირებასა და რეპრეზენტაციას, მედიარესურსის ვიზუალური ხატის იდენტიფიცირებას და პირადი მოსაზრებების ინტერპრეტაციის საფუძველზე საკუთარი მედიაპოსტერის შექმნას.

გაკვეთილის თემიდან გამომდინარე წინასწარ შევარჩიე სასწავლო პროგრამის, გაკვეთილის მიზნისა და მოსწავლეთა ასაკისათვის შესაბამისი მედიარესურსები, რომლებიც, ერთი მხრივ, მათთვის საინტერესო და აქტუალური

იყო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურად ჩართვასა და დისკუსიაში მონაწილეობას.

გაკვეთილის თემა: მედიარესურსები (პოსტერი, კარიკატურა, ვიდეო) როგორც ისტორიული ეპოქის ასახვის ფორმა.

გაკვეთილის მიზანი: გაკვეთილის აქტივობებში მონაწილეობით მოსწავლეები შეძლებენ:

- გააანალიზონ ისტორიული მოვლენის შესახებ განსხვავებული ინტერპრეტაციები, კრიტიკულად შეაფასონ და ჩამოაყალიბონ საკუთარი შეხედულებები ისტორიული ფაქტის მიმართ;
- გამოთქვან მოსაზრებები მედიარესურსის შინაარსისა და მისი სანდოობის შესახებ, განსაზღვრონ წყაროს შექმნის მიზანი, დრო და ადგილი, რეალურად შეაფასონ მათი ზეგავლენა საზოგადოებაზე, იმსჯელონ ეპოქის შესაბამისი ფასეულობების, ღირებულებებისა და შესაძლებლობების შესახებ;
- საკუთარი ინტერპრეტაციით შექმნან საავტორო მედიარესურსი – პოსტერი, რის საფუძველზეც განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

აქტივობა 1. შეკითხვები ცოდნის გასააქტიურებლად. მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებისათვის გაკვეთილი დავიწყე მინი-საუბრით თანამედროვე ეპოქაში მედიაწიგნიერების მნიშვნელობისა და შესაძლებლობების შესახებ, ხოლო იმის გასაგებად, თუ რომელი მედიასაშუალებებით ეცნობიან ინფორმაციას და რა იციან მედიაწიგნიერების შესახებ, დავუსვი შეკითხვები:

- რომელი მედიასაშუალებებიდან ვეცნობით თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვან ინფორმაციას?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად სანდოა მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებისათვის?
- მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ ფაქტებს მოგვითხრობს, თუ ადამიანების მოსაზრებებსაც გვამცნობს?
- როგორ შეიძლება მედიაინფორმაციის სანდოობის გადამოწმება და მისი იდენტიფიცირება რეალობასთან?
- რა მიზანს ემსახურება მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ვისთვისაა შექმნილი და როგორი გზავნილია მასში გათვალისწინებული?

- რა კავშირი აქვს მედიასაშუალებებს ისტორიულ მოვლენებთან, ფაქტებთან და როგორ ვიყენებთ მათ ისტორიის შესასწავლად?
- როგორ გავლენას ახდენს მედიაწიგნიერება საზოგადოებაზე – დადებითს თუ უარყოფითს და რატომ?

დასმულ შეკითხვებზე მოსწავლეებმა უპასუხეს ინდივიდუალურად, ზოგიერთ შემთხვევაში ცოდნის გაღრმავებისა და ინფორმაციის სრულად მიღებისათვის დავუსვი დამატებითი შეკითხვებიც. ამ აქტივობისას შევეცადე, მოსწავლეებთან ერთად ყურადღება გამემახვილებინა მედიასაშუალებებისა და მედიარესურსების მრავალფეროვნებაზე, მედიაინფორმაციის ისტორიასა და საზოგადოებრივ ცნობიერებასთან უშუალო კავშირზე.

აქტივობა 2. მოსწავლეთა პროვოცირება საინფორმაციო ვიდეო-რგოლის ჩვენებით. აქტივობის წინ მოსწავლეებს ჩავუტარე ინსტრუქტაჟი საჩვენებელი აუდიო-ვიზუალური მასალის კონტექსტსა და მოსალოდნელ სამუშაოსთან დაკავშირებით. ვიდეო-რგოლი მიეძღვნა საინფორმაციო საშუალებებით გაშუქებულ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის უახლეს საერთაშორისო პოლიტიკასა და მის პოლიტიკურ შეხედულებებს. მოსწავლეებს ვთხოვე, ყურადღებით დაკვირვებოდნენ და კარგად გაეაზრებინათ ვიდეოს მთავარი გზავნილი (რისი თქმა სურდათ ამ ვიდეო-მასალის ჩვენებით მის ავტორებს). მოსწავლეებმა ნახეს 29 წუთიანი ვიდე ორესურსი, რომელშიც ვლადიმირ პუტინმა საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩებთან შეხვედრისას განაცხადა რუსეთის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკასა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ – https://palitranews.ge/video/vladimer-putini-sagareo-politikashi-ruseti-skhva-kveqnebis-shida-sakmeebshi-chaurevlobis-printsips-itsavs).

ვიდეო-რგოლის ჩვენების შემდეგ კლასი დავყავი სამუშაო ჯგუფებად და გადავეცი დავალების ფურცლები (N1) ვიდე ოფილმის განხილვასთან დაკავშირებით. დავალება დაბეჭდილი იყო T-დიაგრამის სახით, რომლის ერთ მხარეს შეკითხვები ეწერა, მეორე მხარეს კი მოსწავლეებს მოკლედ უნდა გამოეთქვათ საკუთარი ვარაუდები და გამოევლინათ ვიდეოს მთავარი გზავნილი. დავალების შესრულებაზე მოკლე ინსტრუქტაჟის შემდეგ მოსწავლეებმა ჯგუფებში შეასრულეს დავალება აუდიო-მასალის დეკოდირებასთან დაკავშირებით. (დავალების შეკითხვები შინაარსობრივად ითვალისწინებდა შემ-

დეგ საკითხებს: 1. ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული ვიდეო ფილმის ავტორი?; 2. რა მიზნითაა შექმნილი ვიდეო ფილმი და რომელი აუდიტორიისათვის?; 3. რომელი მთავარი მესიჯი გაჟღერდა ვიდეოში?; 4. წყარო პირველადია თუ მეორადი?; 5. რამდენად შეეფერება მოცემული მესიჯი ცხოვრებისეულ რეალობას?; 6. როგორი განცდა დაეუფლათ ვიდეო რგოლის ნახვის შემდეგ და როგორია მათი დამოკიდებულება აღნიშნულ მესიჯთან დაკავშირებით?; 7. როდის შეიქმნა ვიდეო და რამდენად რეალურია მასში ასახული ფაქტები?; 8. რამდენად სანდოა მოცემული ინფორმაცია და როგორ შეიძლება მისი გადამოწმება?; 9. ინფორმაციის გადმოცემის როგორი ფორმაა გამოყენებული ვიდეო რგოლში?).

აქტივობა 3. მოსაზრებების რეპრეზენტაცია. დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული მოსაზრებების რეპრეზენტაციისათვის მოსწავლეებისაგან ავირჩიეთ ორი ასისტენტი, რომლებიც ორგანიზებულად წარმართავდნენ დისკუსიას და მოსაზრებების განხილვას დავალების კითხვების შესაბამისად. სადისკუსიოდ მოსწავლეებმა განიხილეს საპირისპირო მოსაზრებებიც. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- რა შთაბეჭდილებები დაგიტოვათ ვიდეო რესურსმა?
- ვინ არის სამიზნე აუდიტორია და საიდან შეიტყვეთ?
- ვიდეო რგოლის მესიჯმა ვის შეიძლება მოუტანოს სარგებელი, ან მიაყენოს ზიანი?

მოსწავლეთა მოსაზრებების რეპრეზენტაციისას ფაქტობრივად ვასრულებდი ფასილიტატორის როლს და ფლიპჩარტზე ვაფიქსირებდი ყველაზე მნიშვნელოვან მოსაზრებებს, ხოლო საჭირო შემთხვევაში ვერთვებოდი დისკუსიაშიც. რეპრეზენტაციის შემდეგ შევაჯამეთ მოსწავლეთა გამოთქმული მოსაზრებები და გამოვყავით მათ შორის მნიშვნელოვანი.

აქტივობა 4. მოსწავლეებთან ერთად გაკვეთილის თემისა და მიზნის განსაზღვრა. ზემოთ აღნიშნული აქტივობებიდან გამომდინარე მოსწავლეებთან ერთად განვსაზღვრეთ გაკვეთილის თემა და გაკვეთილის მიზანი, რომელსაც მივაღწევდით გაკვეთილის საშუალებით. ასევე წინასწარ მივაწოდე ინფორმაცია მოსალოდნელი აქტივობებისა და მათი შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

აქტივობა 5. კარიკატურის ანალიზი (დეკოდირება). ამ აქტივობაში მოსწავლეებს შევთავაზე ვიდეო ფილმისაგან შინაარსობრივად განსხვავებული კონტექსტის მქონე რუსეთში შექმნილი ვლადიმირ პუტინის კარიკატურის („ვიზუალურ ხატის“) განხილვა და ავუხსენი მისი დეკოდირებისათვის შესასრულებელი სამუშაოს არსი. მოსწავლეებმა ჯერ ჯგუფებში განიხილეს კარიკატურა, რომელშიც ვლადიმირ პუტინი ვიდეო რგოლისაგან განსხვავებულ პოზიციაშია გამოსახული და საკუთარ ქვეყანაში მედიის უფლებების შემზღუდველად გვევლინება. მოსწავლეებს გადავეცი შეკითხვების ფურცელი (N2) კარიკატურაზე მუშაობისათვის. (შეკითხვები გამოისახა ეკრანის სლაიდზეც, მასწავლებლის საპრეზენტაციო სლაიდებზე ვიზუალურად ასახული იყო ყველა დავალება და საინფორმაციო მედიარესურსი). შეკითხვების გააზრების შემდეგ მოსწავლეებმა თანამიმდევრულად იმსჯელეს კარიკატურის ანალიზზე, მის დანიშნულებასა და ვიზუალურ მხარეზე კარიკატურის დეკოდირების კომპონენტების მიხედვით.

კარიკატურის დეკოდირების კომპონენტები: (სამუშაო ფურცელი N2)

- **ავტორი** – ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული კარიკატურის ავტორი?
- **მიზანი** – რა მიზნით და ვისთვისაა შექმნილი კარიკატურა?
- **ეკონომიკური საფუძველი** – ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული კარიკატურის დამკვეთი? ვის მოუტანს ზიანს ან სარგებელს შექმნილი კარიკატურა?
- **გავლენა** – რით არის მნიშვნელოვანი ეს კარიკატურა საზოგადოებისათვის?
- **პოზიცია** – რას ფიქრობენ აღნიშნული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ და ვლადიმირ პუტინის პოლიტიკაზე მედიის მიმართ?
- **შინაარსი** – რამდენად რეალურად ასახავს კარიკატურის ვიზუალური მხარე და გზავნილი რუსეთში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას?
- **ტექნიკა** – რამდენად კარგად არის შერჩეული კარიკატურის ვიზუალური მხარე?
- **ინტერპრეტაცია** – კიდევ რის დამატება შეიძლებოდა კარიკატურაზე შინაარსობრივად?
- **კონტექსტი** – როდის არის წყარო შექმნილი და რამდენად აქტუალურია?
- **სანდოობა** – რამდენად სანდოა აღნიშნული წყარო და როგორ შეიძლება მისი გადამოწმება?

აქტივობა 6. შესრულებული აქტივობების სინთეზი. მოსწავლეთა მიერ წარმოთქმულ მოსაზრებათა სინთეზის საფუძველზე ერთმანეთს შევადარეთ

ორივე აქტივობის შინაარსობრივი მხარე (I –პუტინი, როგორც მშვიდობის დამ-ცველი და II- პუტინი, როგორც მედიის უფლებების შემზღუდველი). პროექ-ტორის საშუალებით ინფორმაციის მრავალფეროვნებისათვის მოსწავლეებს ვაჩვენე ვლადიმირ პუტინის სხვა კარიკატურები და მედიარესურსები – პლა-კატები, სურათები და ცნობილ ადამიანთა მოსაზრებები პუტინის შესახებ (მაგ., პუტინი მართავს მედვედევთან ერთად სახელმწიფოს საჭეს; პუტინს ხელზე უკეთია „გაზპრომის“ მანიშნებელი, ხოლო თავის სიძლიერესა და ნებას შეკ-რული მუშტით გამოხატავს; პუტინის სურათი ტრამპთან ერთად ჰელსინკის თათბირზე; პუტინის პლაკატი, რომელშიც გამოსახულია ახალგაზრდა თაყ-ვანისმცემლებთან ერთად). ამ აქტივობით მოსწავლეთა ყურადღება გავა-მახვილე ვლადიმირ პუტინის პოლიტიკასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნებაზე, იმაზე, რომ პუტინის პოლიტიკას მოწინააღმდეგებთან ერთად ჰყავს მომხრეებიც. შევეცადე, მოსწავლეებს ყველა ტიპის მედიაინ-ფორმაცია საკუთარი ხედვის ღირებულ წყაროდ განეხილათ. მოსწავლეებ-თან ერთად მივედით დასკვნამდე, რომ ინფორმაციის სანდოობისა და სწორი თვალთახედვის შემუშავებისათვის აუცილებელია სხვადასხვა მედიასაშუ-ლებისა და საინფორმაციო წყაროს შედარება და სწორი ანალიზი, როგორც დადებითი ისე უარყოფითი თვალსაზრისით. მოსწავლეებს სლაიდების სახით წარვუდგინე არა მხოლოდ პუტინის, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვა-წეთა შესახებ არსებული კარიკატურებიც (მრავალფეროვანი წარმოსახვისა და მათი მიზანმიმართულად გამოყენების შესაძლებლობების გააზრებისათ-ვის). ყურადღება გავამახვილე იმაზეც, რომ მედიაწიგნიერების ძირითადი დანიშნულებაა, საინფორმაციო გზავნილების ანალიზისას საზოგადოებას გა-უწიოს დახმარება სწორი დასკვნებისა და თვალთახედვის შემუშავება-რეპ-რეზენტაციაში. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილე იმ ფაქტზე, რომ მედიაწიგნიერებისა და მედიარესურსების გამოყენება მნიშვნელოვანია კრი-ტიკული და შემოქმედებითი აზროვნებისათვის, მათი გამოყენება ისტორიის გარდა შესაძლებელია სხვადასხვა სასწავლო აქტივობებისას და ცხოვრები-სეული მოვლენებისადმი საკუთარი თვალთახედვის შემუშავებისას.

აქტივობა 7. პოსტერის შექმნა. ამ აქტივობით მოსწავლეებს საშუალება მივეცი კარიკატურის მიმართ წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე შეექმნათ საკუთარი მედიარესურსი – „პოსტერი“, რომელშიც სასურველ ვი-ზუალურ გამოსახულებასთან ერთად აისახებოდა მათ მიერ შემუშავებული

კონკრეტული მედიაგზავნილი. ჯგუფებში სამუშაოდ გადავეცი ფლიპჩარტები, მარკერები, წინასწარ შერჩეული კარიკატურები და ფოტოები. მოსწავლეებმა ჯგუფებში 10 წუთიანი თანამშრომლობით შეიმუშავეს პოსტერები, რომლებშიც საკუთარი მოსაზრებებით მხარი დაუჭირეს ან გააკრიტიკეს პუტინის ე.წ. „მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული პოლიტიკა“.

საკუთარი მოსაზრებების პოსტერებში გამოსახატავად სამუშაო ჯგუფებმა გაითვალისწინეს შემდეგი კომპონენტები – მიზანი, აუდიტორია, გამოხატვის ფორმა, გზავნილისა და მათ მიერ შემუშავებული ტექსტის შინაარსი (სამუშაო ფურცელი N3). წინასწარ ავუხსენი, რომ აქტივობის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ასევე მნიშვნელოვანი იყო ფოტოებისა და ტექსტის კონტექსტის შესაბამისობა, ვიზუალური გამოსახულება და სივრცეში განლაგება.

აქტივობა 8. გამოფენა-პრეზენტაცია. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ჯგუფებში შექმნილი პოსტერები, ყურადღება გაამახვილეს პოსტერის ვიზუალურ მხარესა და მთავარ გზავნილზე, რომელშიც დაფიქსირდა საკითხის მიმართ მათი დამოკიდებულება. პოსტერების პრეზენტაციისას ყურადღება გავამახვილეთ თითოეული ნამუშევრის ღირებულებით მხარეზე და მთავარ მედიაგზავნილზე, ტექსტისა და ფოტოს შესაბამისობაზე. რის შემდეგაც ცოდნის განმტკიცებისა და თემის უკეთ გააზრებისათვის საშინაო დავალებად განვსაზღვრეთ :

- შექმნან ელექტრონული ან ხელით ნახატი პოსტერი საინტერესო და აქტუალური გზავნილით (თემასთან დაკავშირებით);
- ან წარმოადგინონ რომელიმე მედიარესურსის დეკოდირება გაკვეთილზე გამოყენებული კომპონენტების საშუალებით.

აქტივობა 9. შეფასება და უკუკავშირი. გაკვეთილის დასასრულს შევაჯამეთ და შევაფასეთ მოსწავლეთა აქტივობები სამქულიანი განმსაზღვრელი შეფასებით წინასწარ შემუშავებული რუბრიკების შესაბამისად (1. არგუმენტირებული მსჯელობა, 2. მედიარესურსთან ინტერპრეტაციის შესაბამისობა, 3. შემოქმედებითობა და მედიარესურსის დეკოდირების ორიგინალურობა, 4. ჯგუფური პრეზენტაცია). გაკვეთილის მსვლელობისას საუკეთესო მოსაზრებებს ვაფასებდი განმავითარებელი შეფასებით.

მოსწავლეებმა თვითონაც შეაფასეს საკუთარი პოსტერები, ყურადღება გაამახვილეს მათ შინაარსობრივ, ვიზუალურ მხარესა და ორიგინალობაზე.

გაკვეთილის ბოლოს უკუკავშირისა და რეფლექსიისათვის ისაუბრეს შემდეგ საკითხებზე: 1. რა მოეწონათ გაკვეთილის მსვლელობისას ყველაზე მეტად?; 2. რა არ მოეწონათ, ან გაუჭირდათ შესრულება?; 3. რა უნდა გავითვალისწინოთ მომავალში?

აღნიშნული გაკვეთილი შემოქმედებითად წარიმართა. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ დაგეგმილ აქტივობებში. გაკვეთილზე გამოყენებულმა მედიარესურსებმა მოსწავლეები საკმაოდ დააინტერესა. გამოთქვეს მოსაზრებები მედიარესურსების გაფილტვრა-დეკოდირების პროცესში. საინტერესო იყო მათი დამოკიდებულება ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული სხვადასხვა რესურსის შეპირისპირება-შედარებასთან დაკავშირებით. ასისტენტებთან ერთად შევეცადეთ მაქსიმალურად გამოგვევლინა მოსწავლეთა დამოკიდებულება მედია-რესურსების მიმართ. ისინი განსაკუთრებული ინტერესით ჩაერთვნენ კარიკატურის დეკოდირებასა და საკუთარი მოსაზრებებით ანალოგიური მედიარესურსის – პოსტერის შექმნაში, რაც მონაწილეობითი მედიაწიგნიერების ფორმაა. პოსტერების შექმნით მოსწავლეებმა სრულად გამოავლინეს საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობები. საავტორო პოსტერებზე მუშაობამ დამანახვა, რომ მოსწავლეებმა გაიაზრეს მედიაწიგნიერებისა და მედიარესურსების არსი, გაიაზრეს ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიცაა – დეკოდირება, რეპრეზენტაცია, მედიაგზავნილი, ვიზუალური ხატი, პოსტერი და სხვა.

ჩემ მიერ ჩატარებული, მედიაწიგნიერებასთან ინტეგრირებული, გაკვეთილი ვფიქრობ, პროფესიულ დახმარებას გაუწევს ჩემს კოლეგებს სასწავლო პროცესში მედიარესურსების მიზანმიმართულად გამოყენებაში, რადგან კეთებით სწავლება და მედიაწიგნიერებით განათლება მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის, დამოუკიდებელი და გააზრებული არჩევანის უნარის მქონე მოქალაქეების აღზრდისათვის.

გამოყენებული რესურსები:

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004 წ;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024 წწ);
3. მედიაწიგნიერების ონლაინ კურსი მასწავლებლებისთვის, 2018 წ;
4. მედიაწიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2014 წ;
5. ისტორიის სახელმძღვანელო მეათეკლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომც. 2012 წ;
6. ვიდეო რგოლი: https://palitranews.ge/video/vladimer-putini-sagareo-politikashi-ruseti-skhva-kveqnebis-shida-sakmeebshi-chaurevlobis-printsips-itsavs

ირენა მახარაძე

ხელოვნება საშინაოდ, სახალისოდ

წიგნის სანიშნეები, გრატაჟი, კოლაჟი და რამდენიმე ვირტუალური რესურსი

რამდენიმე დღეა, ამ ხანგრძლივი არდადეგების პერიოდში, ჩემი მოსწავლეები სახლში შესრულებულ ნახატებს ონლაინ მიზიარებენ. დიდი ენერგია და ემოციები მოაქვთ ბავშვების გამოგზავნილ ნამუშევრებს, გაზაფხული, აყვავებული რტოები, წაკითხული წიგნების შთაბეჭდილებები, მათი ფიქრები, შეფასებები. სიხარულიცაა, სევდაც.

11 წლის ქეთო ოსკარ უაილდის ზღაპრების შთაბეჭდილებებზე მწერს. უფლისწულის თვალებზე დიდხანს ვფიქრობდი, სიბრმავე როგორ გამომესახა და ბოლოს თვალებდახრილი დავხატეო. მერე ბულბულის და ვარდის სიყვარულის ამბავზეც ვისაუბრეთ და ჩუმად დავასრულეთ მიმოწერა.

გუშინ რამდენიმე მოსწავლემ ნახატებს საკუთარი ხელით შექმნილი წიგნის სანიშნეები და ბარათების ფოტოებიც გამოაყოლა.

■

სანიშნეების იდეა ბავშვებთან ერთად ადრე მოგვაფიქრდა, როცა სკოლაში საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვისთვის ვემზადებოდით. სიხარულით აიტაცეს მეექვსეკლასელებმაც და მეცხრეებმაც. მაშინ სანიშნეები და ღია ბა-

რათები ნახატებით გააფორმეს, ზოგმა ორნამენტებით მოხატა, ზოგს მეგობრების პორტრეტებით მოუნდა სანიშნე ჰქონოდა და ზოგმაც მხოლოდ წარწერები გაუკეთა, ლექსების სტრიქონები, საყვარელი სიმღერების ფრაგმენტები, აფორიზმები, ანდაზები, საკუთარი აზრები. (სურ. 1)

ახლა არდადეგებზეც გამოგვადგება ჩვენი გამოცდილება. წაკითხული წიგნების შთაბეჭდილებები თუ დეტალები ნახატებად შეიძლება აქციონ, სანიშნეებზე წიგნიდან საყვარელი ციტატები ან გმირების პორტრეტები გადმოიტანონ.

სხვადასხვა ზომის და ფორმის სანიშნის გამოჭრა ჩვეულებრივი თეთრი ან ფერადი, თხელი ან სქელი ქაღალდისგან შეიძლება. სახატავი მასალაც, რაც სახლში მოეპოვებათ – ფანქრები, პასტელები, მარკერები, საღებავები – იმას გამოიყენებენ.

■

სახლში გრატაჟის ტექნიკითაც იხალისებენ. გრატაჟი ჩემს მოსწავლეებს ვიცი, რომ უყვართ და, ალბათ, ვისაც ჯერ არ უცდია, ყველას მოეწონება, რადგან მომაჯადოებელი ეფექტების მიღება შეიძლება, როგორც ბავშვების ამ ნამუშევრებშია – „გრატაჟის დრაკონი“, „ორნამენტი“, „ვარდი“. (სურ. 2, 3, 4)

გრატაჟის შესრულების პროცესი იდუმალ თამაშს ჰგავს. ვინც არ იცის და გამოუცნობის მოლოდინშია, არც კი სჯერა, რომ ამოკაწვრის მერე შავი ფონიდან შეიძლება ფერებმა გამოანათოს.



ბავშვებს სამუშაოდ თეთრი ფურცელი, ზეთის პასტელები, შავი ფერის გუაშის საღებავი, ხის წაწვეტებული ჩხირი (ამოსაკაწრად) დასჭირდებათ.

ჯერ თეთრ ფურცელს ფერადი პასტელებით გააფერადებენ. ფერები შეუძლიათ ცისარტყელისებრად დასვან ან როგორც გაეხარდებათ, შემდეგ ამ გაფერადებულ ნახატს მთლიანად შავი გუაშით დაფარავენ. გაშრობის შემდეგ კი, ჩხირების დახმარებით, ულამაზესი ნახატები, ფორმები და ორნამენტები ნაკაწრებით შეუძლიათ შექმნან. ამ „ნაჩხაპნების“ წყალობით ფონის სიშავიდან ფერადი გამოსახულებები გამოჩნდება.

■

მასალების მხრივ კოლაჟის ტექნიკა სახალისო, ეკო-მეგობრული და ხელ-მისაწვდომია სახლში სამუშაოდ. და მგონია რომ ამ ჩვენს სიურრეალისტურ მოცემულობაში ეს აქტივობა განტვირთვის ძალიან კარგი საშუალება იქნე-ბა ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. კოლაჟს დიდი ხიბლი აქვს, თითქოს ჩვენს ცნობიერებას ათავისუფლებს და გარეთ გამოაქვს ფიქრები და გრძნო-ბები. კარგი იქნება შერეული ტექნიკის გამოყენება – კოლაჟთან ერთად სხვა მასალები: საღებავები, ფანქრები და მარკერები.

ხელოვნება ხომ ყველაფრისგან ან ნებისმიერი რამის კომბინაციისგან შეიძლება „გააკეთო“.

მასალად ძველი ჟურნალ-გაზეთები, ბუკლეტები, მუყაო, ფერადი ქაღალ-დი, მეორადი ქაღალდი, ქსოვილის ნაჭრები, წებო, მაკრატელი, საღებავები, ფანქრები და მარკერები გამოგვადგება.

შთაგონებისთვის ბავშვებს კოლაჟის ოსტატები გავაცნოთ, პიკასო, ბრაკი, დადაისტები, სიურრეალისტები და კიდევ ბევრი დიდი ხელოვანი, ვინც ამ მე-დიაში მუშაობდა და მუშაობს (https://www.tate.org.uk/art/art-terms/c/collage).

ბავშვებს კოლაჟების შექმნა სიმბოლოებით, ფერებით, ფორმებით და ტექ-სტით შეუძლიათ, რომლითაც გამოხატავენ საკუთარ აზრებს და დამოკიდებუ-ლებებს რაიმე მოვლენის მიმართ.

კოლაჟზე მუშაობისას გაიაზრებენ, როგორ შეიძლება გამოსახულებები კონცეპტების და იდეების ვიზუალურ მეტაფორად აქციონ და ნამუშევარში პერსონალური მხატვრული ხედვა გამოავლინონ. შეუძლიათ, იფიქრონ აბს-ტრაქტული კოლაჟების შექმნაზე ფერისა და ფაქტურის გაერთიანებით. კო-ლაჟები საკვების თემაზეც (ხილი, სასუსნავები) სახალისო იქნება, ექსპერი-მენტები ჩაატარონ.

დასრულებული კოლაჟების დასათაურება ცალკე ამბავი და ცოცხალი პროცესია, ნამუშევარს როგორ აკვირდებიან, აანალიზებენ, რა გამოუვიდათ, სიტყვებს გონებაში ალაგებენ და მერე ფრთხილად წარმოთქვამენ, სათაური რომ მოერგოს და ზუსტად გამოხატოს ავტორის ხედვა.

ერთხელ სკოლაში კოლაჟის გაკვეთილისთვის სამი, ყველასთვის კარგად ნაცნობი ნახატის გმირი – ლეონარდოს „მონა ლიზა“, ვერმეერის „გოგონა მარგალიტის საყურით“და რენე მაგრიტის „ადამიანის შვილი“ ავირჩიე. სი-ლუეტები წინასწარ მოვამზადე, ნახატებიდან Paint 3D-ს დახმარებით ამოვ-

ჭერი მონა ლიზას თავი და ხელები, ვერმეერის გოგონას და მაგრიტის კაცის ფიგურები ფონიდან მოვხსენი. შემდეგ ფერადი პრინტერით ამოვბეჭდე და ეს გამოსახულებები, რომლებიც პირობითად „მარცვლებად“ მოვნათლე, ყველა მოსწავლეს სათითაოდ დავურიგე.

გაკვეთილზე ბავშვებს უნდა შეექმნათ კოლაჟი შერეული ტექნიკით, თემა – იუმორისტული კოლაჟი, „პერსონაჟების“ მოგზაურობა თანამედროვე დროში, თავისუფალი ინტერპრეტაციით. ჟურნალ-გაზეთების ფოტოებისა და ქაღალდების გროვიდან რაც მოეწონებოდათ, შეეძლოთ გამოეყენებინათ, ოღონდ ჩემ მიერ მომზადებული „მარცვლები“ – მონა ლიზა, ვერმეერი ან მაგრიტი ნამუშევარში აუცილებლად უნდა ჩაერთოთ.

მუშაობის პროცესი ძალიან მხიარულად ჩავატარეთ. „მარცვლებმა“ თავისი საქმე გააკეთეს, შემოქმედებითი ენერგია და იუმორი ერთიანი ძალით აენთოთ და ძალიან კარგი ნამუშევრები შექმნეს.

ქეთის კოლაჟში მონა ლიზა ვერმეერის გოგონას შეხვდა, ფონზე ფენებად და შრეებად დაწებებული სხვადასხვა ფაქტურის, ფერის, ფორმის ქაღალდის ნაკუწები და წარწერები ერთიან კომპოზიციად შეიკრა, წინა პლანზე წითელი პასტელის აქცენტიც ძალიან მოუხდა. (სურ. 5)

მეორე ქეთის კოლაჟში მონა ლიზა გიდია, უცხოელ სტუმრებს აცნობს საქართველოს. (სურ. 6)

ანას კოლაჟში მოქმედება კინოში ხდება. (სურ. 7)

ელენესთან ორი პარალელური სამყაროა. (სურ. 8)

ნიკამ კი გმირები მაკდონალდსში დაპატიჟა. (სურ. 9)

მსოფლიოს მუზეუმები და გალერეების ვირტუალური ექსპოზიციები ხელის გულზეა – https://artsandculture.google.com/-ზე. ერთი დაწკაპუნებით მუზეუმში შევაბიჯებთ, ნამუშევრებს მაღალი რეზოლუციით დეტალურად დავათვალიერებთ, დაკვირვების, ფიქრის, უსაზღვრო შესაძლებლობა გვაქვს.

ბავშვებისთვის სახალისოდ:

ტეიტის მუზეუმის ვებგვერდი – https://www.tate.org.uk/kids, თანამედროვე ხელოვნების სამყარო, სახალისო აქტივობები, თამაშები და ქვიზები.

მომას ვებგვერდი – https://www.moma.org/audio/playlist/2 აუდიო მასალა მუზეუმში დაცული თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შესახებ.

მეტროპოლიტენ მუზეუმის დროის მანქანა – https://www.metmuseum.org/art/online-features/metkids/time-machine

ნასტასია არაბული

ციფრული არქივები – როგორც სასწავლო რესურსი

იცით, რომ ბიჭვინთის სანაპიროზე **ნეპტუნის ზეიმი** იმართებოდა, სოხუმს კი გასული საუკუნის შუა წლებში **ამერიკელი ფერმერები** სტუმრობდნენ?

იცით, რა ხდებოდა **მუშტაიდის პარკის ბნელ ხეივნებში** ან როგორ **ეძებდნენ ქალაქის** თავს 1904 წლის თბილისში?

იცით, რომ საბჭოთა კავშირის დროს ცდილობდნენ უდანაკარგოდ აეღოთ მოსავალი და იმარჯვებდნენ შრომაში?

კითხვები თქვენი ცოდნის შესამოწმებლად არ არის. არქივებში შესვლის და საინტერესო ამბების ძიებისთვის გადაგდებული ანკესია, რომელიც, თქვენის მხრივ, შეგიძლიათ მოსწავლეების დასაინტერესებლად გამოიყენოთ. არქივები, რომლებიც უამრავ საინტერესო არტეფაქტს ინახავს, მოზადებისა და ახალგაზრდებისთვის შესაძლოა მოსაწყენ ადგილად აღიქმებოდეს და ამ დამოკიდებულების გამო, უამრავი საინტერესო დოკუმენტაცია რჩებოდეს ბავშვების ყურადღების მიღმა. თუკი მათ ადრეული ასაკიდან სახალისო ფორმით მივაჩვევთ არქივებთან მუშაობას, დროთა განმავლობაში ჩამოვუყალიბდებათ ისტორიულ დოკუმენტაციასთან ურთიერთობის კულტურა და ამ გზით არაერთ ინტერესს გაიღვიძებენ.

არქივებმა, თავის მხრივ, დიდი ხანია დაიწყეს იმაზე ფიქრი, როგორ გახდნენ უფრო ხელმისაწვდომები და მიმზიდველები არამხოლოდ სამეცნიერო წრეებისთვის, არამედ ფართო მასებისთვის ინტერნეტიზაციის პირობებში და არაერთი ფონდის დიჯიტალიზაციის შედეგად უკვე ნებისმიერი წერტილიდან არის შესაძლებელი მათ ბაზებზე წვდომა.

თუკი ქართულენოვანი არქივების სასწავლო რესურსებად გამოყენებას გადაწყვეტთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ **აფხაზეთის ციფრული არქივი, პარლამენტის ბიბლიოთეკის ციფრული არქივი – ივერიელი, საზოგადოებრივი არქივი** და **ქართულ-გერმანული არქივი**; თითოეულ მათგანში განსხვავებული სპეციფიკის მქონე დოკუმენტაციაა გაერთიანებული, რაც სხვადასხვა გაკვეთილზე, სხვადასხვა საკითხსა თუ თემაზე მსჯელობისას გამოყენების საშუალებას იძლევა, იქნება ეს საბჭოთა ტერორი, გადასახლებები და პოლი-

ტიკური პატიმრები, თუ სატირა და კარიკატურა,როგორც გამოხატვის ფორმები. აქვე ნახავთ თეატრისა და კინოს მხატვრობის საინტერესო ნიმუშებს, კულტურული ცხოვრების ამსახველ აფიშებს, აგიტაციურ პლაკატებს, ბეჭდურ გამოცემებს, ზეპირ ისტორიებს, სიმღერების აუდიო ჩანაწერებს და სხვა უამრავ საინტერესო რამეს.

ბავშვებისთვის შესაძლოა საინტერესო იყოს იმის ძიებაც, სად არის გაბნეული ამბები საქართველოს შესახებ ქართული არქივების გარდა და როგორ მოხვდა ეს კონკრეტული მასალები ამა თუ იმ ფონდში. ანკესის გადასაგდებად შეგიძლიათ გამოიყენოთ **ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის ციფრულ არქივში** დაცული ფოტოები თბილისიდან, სადაც თათრების ბაზრიდან და კინტოებიდან დაწყებული, ძველი თბილისის არაერთი მნიშვნელოვანი სახასიათო კადრი ინახება.

არქივების მიმართ ინტერესი და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში საჭირგებლოა როგორც მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, ასევე თავად აკადემიური დაწესებულებებისთვის – ციფრულ არქივებზე მაღალი მოთხოვნა მათ აიძულებთ, იყვნენ მეტად დახვეწილები, მასშტაბურები და აქტუალურები, მოუწევთ უფრო და უფრო საინტერესო მასალების გამოტანა და ახალგაზრდებამდე მათი საინტერესოდ მიტანის ფორმების მოძიება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მათ, არქივების მომხმარებელი მოსაწავლეებს შორის კი შესაძლოა იყვნენ ისეთები, ვინც თავის მომავალს სწორედ არქივებს დაუკავშირებს. არქივების, როგორც მოსაწყენი ადგილების შესახებ წარმოდგენა გარკვეულწილად სწორედ იმის შედეგია, რომ იქ დაბალია ახალგაზრდების კონცენტრაცია, რთულად შედის ინოვაცია, თანამედროვე ტექნოლოგიები და უჭირს სპეციფიური აუდიტორიის ფარგლებს გარეთ გასვლა.

მაგალითად, **ამერიკის ეროვნული არქივი** იმისათვის, რომ მათი მასალები სასწავლო პროცესში ჩართული იყოს, თვითონ სთავაზობს მასწავლებლებს **გაკვეთილის გეგმებს**, ასეთი საარქივო მასალების გამოყენებით შეიძლება მომზადდეს კონკრეტული თემა. დიდი ბრიტანეთის ეროვნული არქივი არა მხოლოდ სასწავლო მასალებს, მათ სივრცეში მასწავლებლებს გაკვეთილებსა და **ვორკშოპებს** სთავაზობს, ციფრული მოხმარებისთვის კი **ონლაინ საკლასო ოთახს** და **ვიდეო კონფერენციებს**.

Instagram, როგორც სასწავლო რესურსი

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ალბათ, ის არის, როგორ შექმნას ციფრულ ტექნოლოგიებთან დამეგობრებული და სმარტფონებით შეიარაღებული ბავშვებისთვის ისეთი სასწავლო მასალები, პედაგოგიური მეთოდიკა და საკითხავი მასალა, რომელიც მათთვის მიმზიდველი და საინტერესო იქნება.

დღეს ინფორმაცია ბევრად მეტიცაა და ბევრად სწრაფადაც ვრცელდება, ვიდრე ეს თუნდაც 10-15 წლის წინ იყო. ახალი თაობები პატარაობიდან ეჩვევიან მოცემულობას, რომ ამბებს აქვთ თავისი ხმოვანი ილუსტრაციები, რაღაც ამბავი შეგიძლია ნახევრად ნახო, გაიმეორო ან მეორე წამზევე შეწყვიტო, მოიძიო ერთ თემაზე უამრავი მასალა ან საერთოდ დაბლოკო და დაივიწყო ის.

ამ მოცემულობაში ერთ-ერთი სწორი გზა ბავშვებისა და მოზარდებისთვის საინტერესო სასწავლო მასალების ეფექტურად მიწოდებისთვის არის – დაახვედრო მათ ისინი იქ, სადაც სიამოვნებით ატარებენ დროს, სადაც მოსწონთ ყოფნა და კარგად ერთობიან. ერთ-ერთი ასეთი ადგილი კი Instagram-ია, სოციალური ქსელი, სადაც უმეტესობა პირად ფოტოებს აზიარებს, მაგრამ დღეს ნებისმიერი ინტერესის ადამიანი უკვე ბევრ საინტერესო გვერდს შეხვდება.

როგორ ვიყენებთ instagram-ს, როგორც სასწავლო რესურსს?

ამისათვის ორი გზა შემიძლია შემოგთავაზოთ: ერთია, ბავშვებს და მოზარდებს აჩვენოთ ის გვერდები, რომლებიც სხვადასხვა თემაზე მათთვის საინტერესო კონტენტს აწარმოებს; მეორე კი, თავად შექმნან ასეთი გვერდები და სცადონ ამ გვერდებზე თანატოლებისთვის მიმზიდველი მასალების შექმნა.

რა გვერდები ვურჩიოთ ბავშვებს ყოველდღიური მოხმარებისთვის?

- Science (https://www.instagram.com/science/) – გვერდი მეცნიერებაზე, რომელიც დაეხმარება ბავშვებს შეიმეცნონ სამყარო;
- Tech (https://www.instagram.com/tech/) – გვერდი ტექნოლოგიებზე, რომელიც ამ სფეროში მიმდინარე ამბებს მარტივი ბარათების საშუალებით გაგაცნობთ;

- History (https://www.instagram.com/history/) – ძველი ამბების ცოდნა გვეხმარება ახალ ამბებში გასარკვევად – ეს არის სლოგანი გვერდის, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, პერსონებს, ფაქტებს გაგაცნობთ;
- Biography (https://www.instagram.com/biography/) – ამ გვერდის საშუალებით გაიცნობთ ადამიანებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს სხვადასხვა კულტურაში, რომლებიც ცდილობდნენ, შეეცვალათ სამყარო, რომელთა ცხოვრების გზაც შთაგონებად შეიძლება იქცეს;
- Nasa (https://www.instagram.com/nasa/) – აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს გვერდი კოსმოსის კვლევაზე, სამყაროზე, სამეცნიერო ექსპერიმენტებზე, ადამიანის წარმატებულ და წარუმატებელ მცდელობებზე, შეიცნოს უკეთ გალაქტიკა, გულგრილს რთულად თუ ტოვებს ვინმეს;
- Usinterior (https://www.instagram.com/usinterior/) – ამერიკის დაცული ტერიტორიების სააგენტოს გვერდი, სადაც მივხვდებით, რომ სამყარო მის ყველა წერტილში ლამაზი და მშვენიერია და მისი მთავარი ხიბლი სწორედ მის მრავალფეროვნებაშია;
- EarthPix (https://www.instagram.com/earthpix/) – დედამიწის სხვადასხვა ადგილებში გადაღებულმა ფოტოებმა და მათმა თანმდევმა ინფორმაციებმა ამა თუ იმ ადგილის შესახებ შესაძლოა სრულად ვერ ჩაანაცვლოს გეოგრაფიის გაკვეთილები, მაგრამ ამ საგნის მიმართ ინტერესის გაღვივებაში ნამდვილად დაგეხმარებათ;
- Astrophisics (https://www.instagram.com/astrophysics_/) – ვარსკვლავები და ციური სხეულები მთელი თავისი სიკაშკაშით, სილამაზით, ურთიერთკავშირებით და განსხვავებულობით არა მხოლოდ ბავშვებისთვის, ნებისმიერი ადამიანისთვის აღმაფრთოვანებელია, თუმცა ადრეული ასაკიდან ამ თემატიკით დაინტერესებამ შესაძლოა პატარები ასტროფოტოგრაფიით დააინტერესოს;
- Who (ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაცია) – https://www.instagram.com/who/ – ჯანმრთელობის საკითხები მარტივად და გასაგებად. რას იწვევს თამბაქო, ავტომობილის გამონაბოლქვი, ალკოჰოლი, მეორადი მოხმარების ცხიმები, რამდენი გვეძინოს და რა ვჭამოთ, რა დაავადებებს ებრძვიან მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, რა უნდა გავაკეთოთ სუიციდის პრევენციისთვის და როგორ ავირიდოთ თავიდან სქესობრივი გზით

გადამდები დაავადებები – ამ ყველაფერზე პასუხების მიღება მოზარდებს უფროსებთან კომუნიკაციის და ყველანაირი თანმხლები უხერხულობის გარეშე შეეძლებათ;

- National Geographic (https://www.instagram.com/natgeo/) – ყველა თაობის საყვარელი საკითხავი. ჟურნალისთვის ინტერნეტში თვალის დევნება კიდევ უფრო მოხერხებულია, ვიდრე ბეჭდურად.

აქვე რამდენიმე ქართული გვერდი:

- ეროვნული მუზეუმი
  https://www.instagram.com/georgiannationalmuseum/
- დაცული ტერიტორიების სააგენტო
  https://www.instagram.com/protectedareas/
- Error images – ქართული ფოტოსააგენტო საინტერესო ისტორიებით
  https://www.instagram.com/errorimages/

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ბავშვებთან ერთად?

- გვერდი, რომელიც ექსპერტიმენტების შესახებ ვიზუალურ ამბებს გვიყვება;
- გვერდი, რომელიც სკოლაში არსებული ხარვეზების შესახებ გვიყვება (ცოტა გამბედაობა და სითამამე სჭირდება, მაგრამ ცდად ღირს);
- გვერდი, რომელშიც ბავშვები აღწერენ თავიანთ ყოველდღიურობას, ეცდებიან მნიშვნელოვანი ამბები ჩვეულ ყოველდღიურობაში დაინახონ;
- გვერდი, სადაც ბავშვები შეეცდებიან მათთვის მნიშვნელოვანი ახალი აღმოჩენები, ამბები, ისტორიები გაუზიარონ სხვებს მათთვის გასაგებ ენაზე.

და კიდევ ბევრი რამ.

ლელა მანგოშვილი

მოგზაურობა მსოფლიოში პასპორტის გარეშე. რას ნიშნავს Skype საკლასო ოთახში?

მსოფლიოში საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური სტრატეგიაა Skype-გაკვეთილები, რომლებიც „მაიკროსოფტის“ ექსპერტ-მასწავლებლების დახმარებით ტარდება. ისინი გვთავაზობენ პირდაპირი ტრანსფორმაციული განათლების გამოცდილებას მოსწავლებისთვის, მათ შორის – ვირტუალურ საველე ტურებს, საკლასო ოთახებს და კოლაბორაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეებთან.

სურვილისამებრ, შეგვიძლია ავირჩიოთ მოგზაურობის მიმართულება, თემა, მოსწავლეთა ასაკი. თემები მრავალფეროვანია: ცხოველები, ბუნება, ეკოლოგია, ჯანსაღი კვება, ისტორია და კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ტექნოლოგიური სიახლეები და მიღწევები. შეგვიძლია, პასპორტის გარეშე ვიმოგზაუროთ მსოფლიოს გამორჩეულ მუზეუმებში, პარკებში, დავათვალიეროთ ისტორიული ღირსშესანიშნაობები.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლეებს სწავლების ეს საინტერესო სტრატეგია – Skype-გაკვეთილები შევთავაზოთ?

უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელი უნდა იყოს Microsoft Educator Community-ს წევრი, რისთვისაც მარტივად დარეგისტრირდებით ვებგვერდზე https://education.microsoft.com/. აუცილებელია, გქონდეთ Microsoft-ის ან Office365-ის ანგარიში. ამის შემდეგ თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება „მაიკროსოფტის“ არაჩვეულებრივი რესურსები, ონლაინ კურსები და ვებინარები, ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული საუკეთესო გაკვეთილების ნიმუშები.

როგორ დავგეგმოთ skype-გაკვეთილი?

https://education.microsoft.com/-ზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ მოვძებნოთ ღილაკი Skype in the Classroom.



FILTER BY+ ღილაკზე დაწკაპებით შეგვიძლია ავირჩიოთ სასურველი ქვეყანა და თემა. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დროის სარტყელი და მოსწავლეთა ასაკი.



ტურის შერჩევისა და ანოტაციის გაცნობის შემდეგ ვაკეთებთ განაცხადს ღილაკზე დაწკაპებით. ვნახულობთ ტურის ორგანიზატორის მიერ მითითებულ დროს და ამის გათვალისწინებით ვგეგმავთ გაკვეთილს.

Microsoft Educator Community განიხილავს ჩვენს განაცხადს, დაუკავშირდება ექსპერტ-მასწავლებელს და თანხმობის შემთხვევაში დასტურს გამოგვიგზავნის. იშვიათად ისეც ხდება, რომ ტურის ორგანიზატორი ობიექტური მიზეზის გამო, უარს ამბობს გაკვეთილის ჩატარებაზე.

რა ტიპის ტექნიკური უზრუნველყოფაა საჭირო?

სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს:

1. კარგი ინტერნეტკავშირი;
2. ვებკამერა, მიკროფონი, ხმის გამაძლიერებელი (სასურველია პროექტორიც, რომ მოსწავლეებმა დიდ ეკრანზე კარგად დაინახონ);
3. უფასო Skype ანგარიში (https://www.skype.com/en/)

თავდაპირველად შესაძლოა დაგვჭირდეს ისტ-ის მასწავლებლის დახმარება, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს საჭირო აღარ იქნება.

მინდა, გაგიზიაროთ „მაიკროსოფტის“ ექსპერტ-მასწავლებლების: სარა უელდონის (Sarah Weldon), ზოჰირ ზაკის (Soheir Zak) და მარკ ვუდის (Mark Wood) მიერ ვიკინგების სამყაროდან, ეგვიპტიდან და ევერესტიდან განხორციელებული Skype-გაკვეთილების ამსახველი ფოტომასალა – გაკვეთილებისა, რომლებიც დაუვიწყარ მოგონებად დარჩათ საერო სკოლა „ბინულის“ მოსწავლეებს.

ლებლებისთვის, თუმცა მათი ჩატარება შეუძლია ნებისმიერი სხვა საგნისა და საფეხურის მასწავლებელსაც, რომლისთვისაც პრობლემას არ წარმოადგენს ენობრივი ბარიერი. ასევე შეიძლება გაკვეთილის ინტეგრირებულად ჩატარება უცხო ენის მასწავლებელთან ერთად (თუ მოსწავლეებმა სათანადოდ იციან უცხო ენა).

თუ ენობრივ ბარიერს ვეჯახებით, შეგვიძლია დავჯერდეთ საქართველოს რეგიონებისა და დედაქალაქის მასშტაბით ჩატარებულ Skype-გაკვეთილებს. მოსწავლეები გაეცნობიან საქართველოს კუთხეებსა და ტრადიციებს, დაუმეგობრდებიან და თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ თანატოლებს. არახალია, რომ ამგვარი აქტივობები საგრძნობლად ახალისებს სასწავლო პროცესს და მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში „მაიკროსოფტის“ ექსპერტ-მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე მეთოდებით სწავლების აღნიშნულ სტრატეგიას და წარმატებით ატარებენ Skype-გაკვეთილებს როგორც უცხოელ ექსპერტებთან, ისე ქართველ კოლეგებთან თანამშრომლობით.

ციფრული სახელოსნო „მოდი, დავწეროთ“

გაინტერესებთ, სად არის ციფრული სახელოსნო?

მოდი, ვესტუმროთ ბევრისთვის ნაცნობ და ბევრისთვის უცნობ საგანმანათლებლო პორტალს http://kargiskola.ge/index.php, სადაც თავმოყრილია დაწყებითი (I-VI) კლასების კითხვისა და მათემატიკის მრავალფეროვანი / ინოვაციური საგანმანათლებლო სწავლებისა და სასწავლო მეთოდური ინტერაქციული რესურსები.

„პორტალი შეიქმნა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი პროექტის (USAID G-PriEd) ფარგლებში. 2012 წლიდან პროექტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შექმნა და შერჩეულ საჯარო სკოლებში დანერგა უამრავი რესურსი, რომლებიც ხელს უწყობს გააზრებული კითხვისა და მათემატიკის სწავლას, აადვილებს, აცოცხლებს და ააქტიურებს სასწავლო პროცესს. მიღებული უკუკავშირისა და დაგროვებული გამოცდილების გათვლისწინებით, აპრობირებული და შერჩეული რესურსები, მეთოდები და ინსტრუმენტები თავმოყრილია ამ პორტალზე იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ხელმისაწვდომი გახდეს სასწავლო რესურსები, გამარტივდეს კვალიფიკაციის ამაღლება და იმ ინოვაციური მეთოდების გამოყენება, რომლებიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს კითხვასა და მათემატიკაში დაწყებით კლასებში.

პორტალის მეშვეობით დაწყებითი კლასების მასწავლებელს შეუძლია ელექტრონული კურსების გავლა, გაკვეთილის გეგმის ჩამოტვირთვა, საბავშვო წიგნებისა და თამაშების გამოყენება ჯგუფური, ინდივიდუალური თუ საკლასო მუშაობისთვის (რესურსები მასწავლებლებისთვის). ასევე, საკლასო შეფასების სივრცეში, მასწავლებელს შეუძლია გაეცნოს განმავითარებელი შეფასების მრავალ ტექნოლოგიას, პრაქტიკას და დიაგნოსტიკური შეფასების მეშვეობით დაგეგმოს, ჩაატაროს დიაგნოსტიკური ტესტირება და გააანალიზოს შედეგები“.

მინდა, გაგიზიაროთ გამოცდილება, როგორ შეიძლება პორტალზე განთავსებული ციფრული სახელოსნოს დახმარებით მოსწავლეებმა ინდივიდუალურად, წყვილებში და ჯგუფურად მარტივად შექმნან მოთხრობები, ზღაპრები, სტატიები და წერილები.

ვებგვერდზე, საძიებო ველში, დავაწკაპებთ ღილაკს „დაწერე მოთხრობა“.



ეკრანზე გაჩნდება ასეთი სურათი:

მოსწავლეები, რამდენჯერაც სურთ, იმდენჯერ დააწკაპებენ და სურვილისამებრ შეარჩევენ „ყუთებიდან ამოსულ“ სიტყვებს. მათ შეუძლიათ აირჩიონ სასურველი პერსონაჟი, მისი ნიშან-თვისებები, პრობლემა და აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, სურვილისამებრ, შექმნან მოთხრობა/ზღაპარი, საგაზეთო სტატია, დღიურის ჩანაწერი, ან მისწერონ წერილი პერსონაჟს.

ჩემმა მეოთხეკლასელმა მოსწავლემ ასეთი არჩევანი გააკეთა: პერსონაჟი – კაპიტანი, თვისება – მდიდარი, პრობლემა – საუკეთესო მეგობარმა მოატყუა.

მთავარი პერსონაჟი და მისი პრობლემა უკვე ცნობილია. ბავშვებმა უნდა მოიფიქრონ, კიდევ ვინ იქნება მათ მიერ შეთხზული ამბის მონაწილე. როგორ შეეცდება პერსონაჟი პრობლემის გადაჭრას, ბოლოს კი – საინტერესო, მოულოდნელი დასასრული.

ისარზე დაწკაპებით ეკრანზე ჩნდება კედელი, რომელზეც მოცემულია ტექსტის ოთხი ვარიანტი: წერილი, მოთხრობა/ზღაპარი, დღიურის ჩანაწერი, (გაზეთი). ამ შემთხვევაშიც მოსწავლეები სურვილისამებრ აირჩევენ და წერენ ტექსტს.

წერილი შეიძლება იყოს მეგობრული ან ოფიციალური; დღიურის ჩანაწერში შეიძლება წარმოიდგინონ, რომ შეხვდნენ პერსონაჟს; სტატიაში ზუსტად და დამაჯერებლად უნდა აღწერონ მომხდარი ამბავი.

როდესაც მოსწავლეები აირჩევენ, რა ტიპის ტექსტი დაწერონ, ისარზე დააწკაპებენ და ეკრანზე ჩნდება „სუფთა ფურცელი“, რომელზეც წერენ თავიანთ ნააზრევს.



ციფრულ სახელოსნოს აქვს ხატვის, სურათის ატვირთვის, ტექსტის რედაქტირების და შენახვის ფუნქციები. მოსწავლეებს განსაკუთრებით მოსწონთ ის, რომ შეუძლიათ ჩანაწერის რედაქტირება, რის საშუალებაც არ აქვთ ჩვეულებრივ ფურცელზე კალმით დავალების შესრულების დროს.

წერის დაწყებამდე მოსწავლეებს აუცილებლად უნდა შევახსენოთ ხუთსაფეხურიანი წერის საფეხურები და წერის ექვსი მახასიათებელი. უმჯობესია, გამოვიყენოთ პორტალზე არსებული პლაკატები (ელექტრონულად, ან ამოვბეჭდოთ).

მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული მოთხრობა საბოლოოდ ასეთ სახეს იღებს:



კეთილი კაპიტანი

გემის კაპიტანი მდიდარი კაცი იყო. ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები და მოგზაურობიდან რომ დაბრუნდებოდა, საჩუქრები ჩამოჰქონდა მათთვის.

ერთხელ საუკეთესო მეგობარმა მოატყუა, რომ ფული მოპარეს და სთხოვა, მასესხეო. კაპიტანს ძალიან შეეცოდა მეგობარი და ფული აჩუქა.

მეგობარს შერცხვა და კაპიტანს პატიება სთხოვა.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა, გარდა მოთხრობებისა და ზღაპრებისა, დაწერეს სტატიები და წერილები. მომდევნო გაკვეთილზე თითოეულმა მათგანმა საკუთარი ნამუშევარი წარადგინა.

ამგვარი სახალისო აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ამაღლებს მათ მოტივაციას და, რაც მთავარია, აჩვევს მათ კომპიუტერის სასარგებლო დანიშნულებით გამოყენებას.

და კიდევ, ჩემი თაობისგან განსხვავებით, მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე უვითარდებათ ბიზნესის უნარ-ჩვევები. ფიქრობენ, რომ შესაძლებელი იქნება მათ მიერ შექმნილი წიგნების გაყიდვა და შეგროვილი თანხის პირადი კეთილდღეობისთვის გამოყენება, იმავდროულად – სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა.

„ვინ არის ყველაზე ჭკვიანი“ და სხვა ინტერაქტიული თამაშები დისტანციურ სწავლებაში

ფაქტია, რომ სრულიად მსოფლიო აღმოჩნდა მოულოდნელი რეალობის წინაშე. საგანმანათლებლო სისტემაში გაჩნდა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობა, რომელსაც უამრავი თანამდევი პრობლემა მოჰყვა, კიბერუსაფრთხოებითა და სხვა აუცილებელი ნორმების გათვალისწინებით.

ახლა, ყველა ამ პრობლემის შესახებ საუბრობს, წუხს და ეძებს გამოსავალს, როგორ შეიძლება ამ პროცესის ისე წარმართვა, რომ მოსწავლეებისთვის სწავლის პროცესი საინტერესო და სახალისო იყოს.

სწორედ ამ ძიების პროცესში, მეც, როგორც მასწავლებელმა, აღმოვაჩინე „მედლის მეორე მხარე“ – ონლაინ სწავლების უდიდესი სიკეთე და ეს გახლავთ გაკვეთილის დაწყება ინტერაქტიული თამაშებით.

თამაშის განხორციელება შესაძლებელია ეკრანის გაზიარებით, როგორც Teams-ის, ასევე -zoom-ის პლატფორმაზე. (არსებობს უამრავი ინსტრუქცია, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი, როგორ ხდება ეკრანის გაზიარება)

საგანმანათლებლო ვებგვერდი https://learningapps.org/ (რომელიც ბევრისთვის ნაცნობია) საშუალებას გვაძლევს, ყოველდღიურად სახალისო სავარჯიშოები შევთავაზოთ მოსწავლეებს, ჩავატაროთ შემაჯამებელი სამუშაო და ტესტირება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა უფასოა და შეუფერხებლად მუშაობს.

ზედა მარჯვენა კუთხეში არის პატარა ჩამოსაშლელი სამკუთხედი, სადაც შეგვიძლია ავირჩიოთ ჩვენთვის ხელსაყრელი ენა.



ენის შერჩევის შემდეგ დავაწკაპებთ ღილაკს „დანართების დათვალიერება“.

ეკრანზე გამოჩნდება მრავალფეროვანი რესურსების ნაკრები.



ნებისმიერი საგნისა და კლასის მასწავლებელს შეუძლია იპოვოს საჭირო რესურსი. ავირჩევთ შესაბამის საგანს, თამაშს და ეკრანის გაზიარების ფუნქციით ვათამაშებთ ბავშვებს.

ხშირად მოსწავლეებს უჭირთ სასვენი ნიშნების სწორად დასმა. ამ პრობლემის გადასაჭრელად ძალიან კარგია ინტერაქტიული თამაშების გამოყენება. მოსწავლე კითხულობს წინადადებას და მასწავლებელს კარნახობს, რომელი სასვენი ნიშანი დასვას. თუ ყველაფერს სწორად გააკეთებს, შესაბამის ქულას დაიმსახურებს. https://learningapps.org/1678257



გრამატიკაში, მეტყველების ნაწილების გამეორების მიზნით, შემაჯამებელი სამუშაო შეგვიძლია ამ თამაშის გამოყენებით განვახორციელოთ.

https://learningapps.org/1798841



აღსანიშნავია, რომ თამაშის დასრულების შემდეგ უკუკავშირის სახით ეკრანზე ჩნდება წარწერა: „ყოჩაღ! თქვენ წარმატებით შეასრულეთ დავალება“, ან „მოიპოვეთ 20-დან 20 ქულა“. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ არასწორად უპასუხა შეკითხვას, სხვა შეკითხვაზე გადასვლის უფლებას ვერ მოიპოვებს, ეკრანზე ჩნდება ფერადი წარწერა, ან მოწყენილი კაცუნა, რომელიც მიუთითებს, ეძებოს სწორი პასუხი.

თამაშით შეიძლება ჩავატაროთ ასეთი ტიპის ტესტირება:

https://learningapps.org/2501096



ამგვარად, როგორც აღვნიშნეთ, https://learningapps.org/-ზე ძალიან ბევრი რესურსის პოვნა და გამოყენებაა შესაძლებელი.

იმ შემთხვევაში, თუ გვინდა, რომ ჩვენ თვითონ შევქმნათ თამაში, რეგისტრაციის გასავლელად ვირჩევთ ღილაკს Login. გამოდის ფანჯარა „Greate account“. აღნიშნულ ფანჯარაში თანმიმდევრულად უნდა შევავსოთ მოცემული ველები.



დავაწკაპოთ ღილაკს: „დანართების შექმნა“. აქ ვნახავთ მრავალფეროვან შაბლონებს: დაწყვილება, ჯგუფის არჩევა, ქრონოლოგია, მარკერები, ვიქტორინა, სიტყვის ჩასმა, თავსატეხი, კროსვორდი.

გთავაზობთ „ნაბიჯ-ნაბიჯ“ ინსტრუქციას, როგორ შევქმნათ თამაში: „ყველაზე ჭკვიანი“.

1. გავხსნათ შაბლონი „ვიქტორინა“ და მარჯვენა კუთხეში დავაწკაპოთ ღილაკს „შექმენით ახალი დანართი“.
2. პირველ ველში ვწერთ სათაურს. ამ შემთხვევაში – არსებითი სახელი.
3. მეორე ველში – დავალების პირობას: დააწკაპეთ სწორ პასუხზე.
4. შემდეგ თანმიმდევრობით ვავსებთ ხუთასი, ათასი და სირთულის შესაბამისად, მილიონ ქულამდე კითხვებისა და პასუხების ველს, რომელშიც ვწერთ ერთ სწორ პასუხს და სამს – არასწორს.



5. უკუკავშირის გრაფაში ვწერთ: – ყოჩაღ! თქვენ ყველაფერი სწორად გამოიცანით!
6. დახმარების გრაფას გამოვტოვებთ.
7. მარჯვნივ დავაწკაპებთ ღილაკს: დანართის შენახვა.
8. დანართის გამოქვეყნება. თამაშის ქვემოთ არის ორი ღილაკი. ვირჩევთ საჯარო დანართებს და დავაწკაპებთ. თქვენი თამაში გამოქვეყნებულია.

ძალიან სახალისო თამაშის – „ვინ არის ყველაზე ჭკვიანი“ – საბოლოო სახე ასეთია. სწორი პასუხის შემთხვევაში გრაფა გამწვანდება და შესაბამისი ქულა აისახება ეკრანზე.

https://learningapps.org/display?v=pd9jjr95j18



შენიშვნა: დისტანციური სწავლების პროცესში თამაში პრაქტიკულად ასე უნდა განვახორციელოთ: ეკრანის გაზიარების შემდეგ მოსწავლეების პასუხს მაუსით ვაწკაპებთ.

მინდა, გითხრათ, რომ ჩემს მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ გაკვეთილის დაწყება ინტერაქტიული თამაშებით და ცდილობენ, თვითონ შექმნან სხვადასხვა ტიპის თამაში.

დალი დოლიძე

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილზე

რადგანაც მუსიკა წარმოადგენს ხელოვნების სამყაროს გაცნობის მეგზურს, რომელიც სტიმულირდება მოსწავლეთა შემეცნების აქტივობებით, დღევანდელ დროში სწავლების პროცესის ორგანიზება კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია. ზოგადი გაგებით, კომპიუტერული ტექნოლოგია პედაგოგიური ინსტრუმენტია, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა შემეცნებითი საქმიანობის სტრუქტურასა და დინამიკაზე.

ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირება საგანმანათლებლო პრაქტიკაში, მათ შორის მუსიკის გაკვეთილებზე, გვაძლევს ახალ შესაძლებლობებს. მიზანშეწონილია პედაგოგმა გამოიყენოს საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები, როგორც მოსწავლეთა ესთეტიკური განვითარების ახალი მიდგომა.

მუსიკის გაკვეთილზე გამოიყენება: აუდიო და ვიდეო მასალა, საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები, მულტიმედიური აღჭურვილობა. თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ ინტეგრირება წაახალისებს მოსწავლეებს საკუთარი თავის ახლებურად წარმოჩენაში.

მუსიკის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა-სტანდარტი მუსიკის სწავლებისადმი ახლებურ და თანამედროვე მიდგომას ითვალისწინებს – მუსიკის სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ით. გაკვეთილები ძირითადად შედგება პრაქტიკული და სახალისო აქტივობებისგან, რაც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. სასწავლო პროგრამის მიხედვით არის მოცემული აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა ბუკებისა და მუსიკალურ-კომპიუტერულ პროგრამა LMMS-ის (audacity, LMMS) საშუალებით უნდა შესრულდეს.

პროგრამის ათვისებისას მოსწავლე აჟღერებს საკუთარ ან ბუნებაში არსებულ ხმებს, საკრავს, თავადვე ჭრის საჭირო ფრაგმენტებს მუსიკალური ნაწარმოებებიდან და საბოლოოდ შეუძლია მუსიკალური კოლაჟის, კომპოზიციების შექმნა.

საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიები აერთიანებს მოსწავლეთა წარმატებისთვის საჭირო ბევრ კომპონენტს, რაც წარმოდგენელია სატელევიზიო გამოსახულებით, ანიმაციით, გრაფიკითა და ხმის ტექნოლოგიებით. კომპიუტერის კომპეტენტურად გამოყენება თავიდან აგვაცილებს ვიზუალური საშუალებების დეფიციტს, ხელს შეუწყობს სასწავლო მასალის უკეთესად ათვისებას და გაზრდის მუსიკის საგნის მიმართ ინტერესს.

გარდა ამისა, გაკვეთილის ეპიზოდები, სადაც საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ასახავს თანამედროვე გაკვეთილის ერთ-ერთ მთავარ მიზანს – კერძოდ, მიმზიდველობის პრინციპს, მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი აქტივობით: გამოხატავენ საკუთარ აზრს, მსჯელობენ, ავითარებენ ანალიზისა და შედარების უნარს.

მუსიკის გაკვეთილების მიმდინარეობისას ვიყენებ თანამედროვე სასწავლო ინსტრუმენტების რამდენიმე ციფრულ მეთოდს:

1. **ვიდეო მასალა:** ფრაგმენტები ოპერიდან, ბალეტიდან, მიუზიკლიდან, მუსიკალური ფილმებიდან, კლასიკური და პოპულარული მუსიკის კონცერტებიდან; ფრაგმენტები მხატვრული და დოკუმენტური ფილმებიდან, სადაც ასახულია კომპოზიტორთა ცხოვრება და შემოქმედება.
2. **სინთეზურ-ვიზუალური მასალა:** კომპოზიტორების და მსოფლიო მუსიკის კლასიკოსების პორტრეტები; ხალხური, თანამედროვე და კლასიკური ნაწარმოებების შესრულება; თემატური ნახატები, მუსიკალური ნაწარმოებების ხელნაწერთა ფოტოები; ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუქცია. მასალები კომპოზიტორებისა და შემსრულებლების მემორიალური მუზეუმებიდან, დოკუმენტური ფოტოები, კონკრეტული ხელოვნების ფოტოები;
3. **მუსიკალური ფონოგრამები:** სიმღერის შესრულების ხმოვანი ფონოგრამები („პლიუსი“ და „მინუსი“), რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა ციფრულ საგანმანათლებლო რესურსებთან მუშაობის პროცესში;
4. **ლიტერატურული მასალა:** ხელმისაწვდომი, გამოსახულებითი ინფორმაციული ტექსტები, რომელიც გვეხმარება მუსიკალურ-მხატვრული ნაწარმოებების შინაარსის აღქმაში. ძირითად დამატებით მასალას წარმოადგენს მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების განმარტება, მუსიკალური ნაწარმოების ვერბალური აღწერა. კომპოზიტორის, შემსრულებლების ცნობილი ციტატები, მემუარები, წერილების ფრაგმენტები.

5. **მოსწავლეთა შემოქმედებითი (ინტერაქტიული) დავალებები:** კითხვები, დიაგნოსტიკური ტესტები, პრობლემური სიტუაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო მასალის გაგებას და ასრულებს მოსწავლეთა მუსიკალური კულტურის განვითარების წარმატების მონიტორინგის ფუნქციას.

მას შემდეგ, რაც სკოლები დაკომპლექტდა კომპიუტერებით და დაიწყო კომპიუტერული პროგრამების ინტეგრირება, შედეგად მივიღეთ სწავლების პროცესში მზა ელექტრონული რესურსების ადაპტირება.

ჩემს საგაკვეთილო პრაქტიკაში, ასევე ვიყენებ CD-დისკზე გადატანილ სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ნაწარმოებებისაგან შემდგარ მუსიკალურ კოლექციას (კლასიკური და თანამედროვე). თანამედროვე კომპიუტერულმა პროგრამებმა ხელმისაწვდომი გახადა მაღალხარისხიანი ჟღერადობის ჩანაწერის მოსმენა. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, წინამორბედ გრამფირფიტებისა და აუდიო კასეტებისაგან განსხვავებით უფრო მოსახერხებელია, ვინაიდან მუსიკალური ფრაგმენტის სწრაფი ძიების საშუალებას გვაძლევს. მრავალჯერადი მოსმენით მივაღწევთ ლაიტმოტივის დამახსოვრებას და ინტონაციის ანალიზს. ასევე შესაძლებელია მუსიკის მოსმენის დროს ვიზუალური გამოსახულების შეცვლა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია მუსიკის გაკვეთილებზე I კლასიდან.

მე როგორც პედაგოგს, გაკვეთილის დაგეგმვაში ძალიან მეხმარება მუსიკალური ენციკლოპედია https://ka.wikipedia.org. **პედაგოგის ძირითად რესურსს წარმოადგენს ავტორის მიერ შექმნილი მეთოდური სახელმძღვანელო, აუდიო-ვიდეო მასალით, რომელშიც მოთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული კლასიკოსი და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები. ამ მასალის მეშვეობით მოსწავლეებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა ქვეყნებში ნებისმიერი მუსიკალური მიმდინარეობის განვითარებას – როკის, ჯაზის, პოპ-მუსიკის ფორმირებას.**

გაკვეთილების მომზადებისას აქტიურად ვიყენებ ინტერნეტ მასალას. პედაგოგებისთვის ინტერნეტში ხელმისაწვდომია პროფესიული მუსიკალური გვერდები, რომელიც გვეხმარება ხარისხიანად ჩავატაროთ მუსიკის გაკვეთილები. ბევრი საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საგანმანათლებლო პორტალზე. მუსიკის მასწავლებლებისთვის საინტერესოა ელექტრონული ჟურნალი http://mastsavlebeli.ge, სადაც მრავალი საინტე-

რესო სტატიაა გამოქვეყნებული მასწავლებლებისთვის. ასევე სხვადასხვა ინტერნეტ გვერდი: https://www.youtube.com; http://nlib.org.ua; https://www.musicnotes.com; http://www.sfskids.org/listen/ მუსიკის სწავლების პროცესში ტესტი წარმოადგენს პედაგოგის ინსტრუმენტს, რომელიც იძლევა ცოდნის გადამოწმების, კონტროლის და შეფასების საშუალებას.

საჯარო სკოლაში მუსიკის გაკვეთილზე ტესტების გამოყენების ძირითადი მიზანია:

- პროგრამის მასალის შემცველობის მოცულობისა და ხარისხის განსაზღვრა;
- მოსწავლეთა ათვისების დონის შემოწმება და კონტროლი;
- მოსწავლეთა ფსიქო-ფიზიოლოგიური ხარისხის შემოწმება და შეფასება, რაც აუცილებელია მუსიკის შესწავლისას;
- მუსიკის მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის შეფასება.

მუსიკის გაკვეთილზე ტესტირების ერთ-ერთი ფორმაა „ხმოვანი“ ტესტი, რომლის შექმნა და განხორციელება შესაძლებელია სპეციალური ტექნიკური საშუალებით. ტესტის შექმნისას საჭიროა ზუსტად განვსაზღვროთ მოსასმენი ფრაგმენტის დროის ლიმიტი. გაკვეთილზე „ხმოვანი“ტესტები ყველაზე ხშირად გამოიყენება ჯგუფური ან ფრონტალური კონტროლის დროს. ინდივიდუალური კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (აუდიო და ყურსასმენები) ხელმისაწვდომობით.

ცოდნის შემოწმების ტრადიციულ ფორმას მუსიკის გაკვეთილებზე წარმოადგებს ვიქტორინები, რომლის კითხვები ყველაზე ხშირად შერწყმულია რომელიმე საერთო თემასთან.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით მიზანმიმართული მუშაობის ჩატარებით საგაკვეთილო პროცესში ვაღწევ ჩართულობის და ინტერესის ზრდას, შესაბამისად მატულობს ცოდნის ათვისების ხარისხი, ყალიბდება დადებითი დამოკიდებულება საგნის მიმართ და მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირება გაკვეთილის ბოლომდე სტაბილური რჩება.

დღევანდელ გარემოში, როდესაც მასწავლებელს არ გააჩნია მზა პროგრამები, საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ერთ-ერთი საშუალებაა Power Point პროგრამა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემოქმედებითად მუსიკის სწავლების დროს.

ამ პროგრამის გამოყენებით პედაგოგი და მოსწავლეები წარმოადგენენ პრეზენტაციებს, რაც უფრო ნათელს და საინტერესოს ხდის ნამუშევარს. ეს მეთოდი მოიცავს მულტიმედიური პროექტორის გამოყენებას, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგს მონათხრობი წარმოადგინოს ილუსტრაციით.

პრეზენტაციის მოსამზადებლად მოსწავლემ უნდა ჩაატაროს კვლევითი სამუშაოები, გამოიყენოს საინფორმაციო წყაროები და თითოეული ნამუშევარი ინდივიდუალურ შემოქმედებით პროდუქტად გარდაქმნას. პრეზენტაციის დროს, თითოეული სლაიდი უნდა იყოს ინფორმაციული და ასახავდეს ავტორის პირად დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. ასეთი მეთოდით მოსწავლეს უვითარდება ლოგიკური აზროვნება, ხდება უნარ-ჩვევების ფორმირება.

Power Point-ის პროგრამა საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ რუკების, ნახატების, ისტორიული მოღვაწეების პორტრეტები, ვიდეო ფრაგმენტები და დიაგრამები. პრეზენტაციები ეფექტურად გამოიყენება გაკვეთილის სხვადასხვა ფაზაზე, ვიზუალური აღქმა საშუალებას გვაძლევს, უფრო სწრაფად და ადვილად გადავცეთ მოსწავლეებს მასალა.

პრეზენტაციის მომზადების წინაპირობაა დიდი რაოდენობით ილუსტრაციების და ამ საკითხთან დაკავშირებული შესაბამისი მუსიკალური ალბომის გამოყენება.

ამგვარად, ვიზუალური პრეზენტაციით მიწოდებულ შესასწავლ მასალას მოსწავლეები ადვილად იმახსოვრებენ, იყენებენ მუსიკალურ ტერმინებს, იმახსოვრებენ კომპოზიტორების მუსიკალურ ნაწარმოებებს. დემონსტრირების პროცესში მოსწავლეები სარგებლობენ საჯარო მოხსენების გამოცდილებით, რაც, რა თქმა უნდა, სასარგებლოა მათი მომავალი ცხოვრებისათვის.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მუსიკის გაკვეთილებს ხდის უფრო ინფორმაციულს, მრავალფეროვანს და რაც მთავარია — თანამედროვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ინტერნეტგაზეთი http://mastsavlebeli.ge
https://www.youtube.com
http://nlib.org.ua
https://www.musicnotes.com
http://www.sfskids.org/listen/
მუსიკალური ენციკლოპედია https://ka.wikipedia.org

ანი კოპალიანი

სტრატეგიული თამაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

ერთხელ ბავშვები გაოცდნენ, რომ გაიგეს, თურმე მათი მასწავლებელიც ვთამაშობდი კომპიუტერულ თამაშს. სამასწავლებლოშიც შემომყვნენ და კითხვები დამაყარეს: მაინც რა თამაში იყო? რომელ დონეზე ვიყავი? მათი საყვარელი თამაშების შესახებ თუ ვიცოდი რამე? ახლახან გამოსული დისკი ხომ არ მნებავდა? და ასე შემდეგ. მოკლედ, რამდენიმე წუთში ლამის პოპულარულობის იმ ზღვარს მივაღწიე, რომელსაც სუპერვარსკვლავები ვეღარ უძლებენ და მავნე ჩვევებს ეძალებიან.

ხუმრობის გარეშე კი, მავნე ჩვევა უკვე მქონდა – კვირაში რამდენიმე საათის განმავლობაში მე მე კი არა, წამოსასხამიანი კაცუნა ვიყავი, აქეთ-იქით დავრბოდი, მადნეულს და სასარგებლო წიაღისეულს მოვიპოვებდი, დაუსახლებელ ადგილებზე ჯერ ქოხებს, მერე აგურის სახლებს, ბოლოს კი სასახლეებს ვაგებდი, ცივილიზაციებს ვქმნიდი, არმიას ვაყალიბებდი, ომებს ვიგებდი და მგონი, კოსმოსშიც გავფრინდი... თუ არა? ამ უკანასკნელზე თავს ვერ დავდებ.

თავს ვინუგეშებ, რომ ამ თამაშში გატარებული საათებს მთლად ამაოდაც არ ჩაუვლია, რაღაც დამიტოვა, ვთქვათ, მენეჯმენტის უმნიშვნელოდ გაუმჯობესებული უნარი. ის პერიოდი დიდი ხნის წინ ჩაბარდა წარსულს და ჩვეულებრივ არც კი მახსენდება. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, როდესაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ ვკითხულობ, ბუნდოვნად ვგრძნობ, რომ ეს ნაწარმოები ასოციაციურად უკავშირდება რაღაც ისეთს, რისგანაც დრო, მანძილი, გარემო, მსოფლმხედველობა და მოკლედ, ყველა პარამეტრი აშორებს. უკავშირდება თამაშს, რომელშიც ჩემი ავატარი მიწის თხრას ქვის ბლაგვი იარაღებით იწყებდა და ბოლოს, მგონი, მეათასე ცდაზე, აწყობილ სისტემას ქმნიდა. და კიდევ ერთხელ მეღიმება იმაზე, თუ როგორ ჰგავს ერთმანეთს ამ სამყაროში ის მოვლენები, რომლებსაც, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან არაფერი აქვს საერთო და როგორი დაკვირვება და გამბედაობაც გვმართებს მასწავლებლებს, რომ მოსწავლეებს ეს მსგავსება გავუზიაროთ.

არადა, ხომ მართლაც იდეალური დასაწყისია კომპიუტერული თამაშისთვის: ოთხი ახალგაზრდა კაცი, რომელთაც სულს იქით არაფერი აბადიათ, დაუსახლებელ მიწაზე მონასტრის მშენებლობას იწყებს, გადალახავს ათას დაბრკოლებას („რამეთუ კლდეი იგი ხანძთისაი უფიცხლეს არს უფროის ყოველთა მათ კლარჯეთის უდაბნოთა“) პოულობს გამოსავალს ურთულესი სიტუაციიდან („რამეთუ არა აქვნდა მათ ცული და წერაქვი, არცა სხვა ეგევითარი სახმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ხელთა მათთა“) და საბოლოო ჯამში, პირველ, ჯერჯერობით ყველაზე არასრულყოფილ შედეგსაც იღებს: „პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაი და შემდგომად საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირეი და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“.

მაშ ასე, ხის ეკლესია, სენაკები და საოსტიგნე მზადაა, პირველი „დონე“ დახურულია. გადავდივართ შემდეგ ეტაპზე.

შემდეგ ეტაპზე თამაშში ახალი პერსონაჟი ჩნდება – „ხორციელი კეთილით“ მდიდარი კაცი, რომელიც არც სულიერი ფასეულობების ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ იგი შიმშილით შეიწროვებული საძმოს მეთაურ ჩვენს გმირს მატერიალურად ეხმარება, ტოლი და სწორივით ექცევა მას, რასაც გრიგოლ ხანძთელის მაღალ წარმომავლობასა და არაჩვეულებრივ განათლებასთან ერთად მისი უკვე დამკვიდრებული სახელი იწვევს. გრიგოლი ხომ არასოდეს მიდის კომპრომისზე: მხოლოდ საუკეთესოებს იღებს თავისი საძმოს რიგებში და მათ უაღრესად ასკეტური ცხოვრების მაგალითს აძლევს. მაშასადამე, იგი ქმნის სწორ სტრატეგიას მომავალი განვითარებისათვის და ჩნდება კიდეც ადამიანი, გაბრიელ დაფანჩული, რომელიც ამჩნევს ამ ყველაფერს და სათანადოდაც აფასებს.

შედეგად: ქვიტკირის ეკლესია, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და გუნათლის ვანი – ჭეშმარიტმა მოთამაშეებმა კი კარგად იციან კიდევ ერთი შენობის ფასი, თუნდაც ის შემდეგ ნარატივში აღარსად იყოს ნახსენები. მეორე „დონე“ დახურულია, გადავდივართ მესამე ეტაპზე.

მესამე ეტაპზე ჩვენს თამაშში დიდებული პერსონაჟი შემოდის. მისი გმირის შესაქმნელად მართლაც ნიჭიერი გრაფიკოსი დაგვჭირდება, რადგან იგი ჭეშმარიტად დიდი საქმეებისა და დიდი ვნებების ადამიანია. არ აღგიწერთ, როგორი წარმომიდგენია აშოტ კურაპალატის ახოვნება და ფაფარივით მხრებზე დაცემული თმა, მისი ზორბა ბედაური და ძოწისფერი წამოსასხამი. პირდაპირ გეტყვით, რომ იგი შემდეგ მეკავშირედ ევლინება ჩვენს გმირს და მატერი-

ალურ კეთილთან ერთად გავლენასაც ანიჭებს მას, რაც ალბათ, ჩვენი ეკრანის კუთხეში არამხოლოდ მონეტების, არამედ ძალაუფლების აღმნიშვნელი სიმბოლოს რაოდენობის მატებით გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ ეს გმირი მარტო არ შემოდის თამაშში მას მოჰყვებიან სამი ვაჟისა და „სიძვის დიაცის“ პერსონაჟები და ცოლის სევდიანი აჩრდილი. იმასაც გეტყვით, რომ მოკავშირეები ხშირად იქცევიან ხოლმე მოწინააღმდეგეებად და გრიგოლ ხანძთელს ერთ-ერთ ქუესტში თამაშის ყველაზე აღმატებული პრინციპების დასაცავად აშოტ კურაპალატის დამარცხებაც მოუწევს. გაფრთხილებთ, ეს ქუესტი განსაკუთრებით ფაქიზ სტრატეგიულ აზროვნებასა და დედა ფებრონიას მსგავსი გამოცდილი, რკინის ნებისყოფის მქონე მეკავშირის მხარდაჭერას მოითხოვს. ძლიერი თანაგანცდის მქონე მოთამაშეებს მისი დაძლევა გაუჭირდებათ.

შედეგი: ხანძთის განახლებული და ყოველი სიკეთით აღჭურვილი ეკლესია. სახნავ-სათესად მიღებული შატბერდის მიწები, საყოველთაო პატივისცემა და დაფასება.

მესამე „დონე“ დაძლეულია. წარმატებით გადავდივართ მეოთხე ეტაპზე. ჩვენს მთავარ გმირს უკვე შეუძლია თავისი უნაკლო ბერძნულით მოილოცოს კონსტანტინეპოლის წმინდა ადგილები და ტიპიკონის შედგენაზეც იფიქროს...

მეოთხე დონე უკვე გადამწყვეტია. წინა ეტაპზე შემოსული მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ბაგრატი ძალ-ღონეს იკრებს, ტახტს იბარებს და კურაპალატობასაც იღებს. ჩვენი მთავარი გმირი მას ულოცავს, შატბერდის მამულში ახალი მეფის სახელზე ტაძარს აშენებს, ბაგრატიონების ღვთიურ წარმოშობაზე გავრცელებულ მითსაც იმეორებს და ამით მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს მას, მაგრამ... არ ემორჩილება მეფეს და ამ დაუმორჩილებლობის იდეას (რომელიც ადრე აფხაზეთის მმართველ დემეტრესთანაც გააჟღერა) არა თავისი, არამედ საბა იშხნელის პირით ახმოვანებს. წარმოუდგენლად ძნელი ქუესტია ძლევამოსილ მეფეს გამოუცხადო, რომ არავის ძალუძს ორი ბატონის მონება და იქვე იშხნის ეკლესია განაახლებინო, მაგრამ ჭეშმარიტი სტრატეგოსისათვის აუღებელი ციხე-სიმაგრე არ არსებობს. სახელმწიფო და საეკლესიო მმართველობათა საბოლოო გამიჯვნის საკითხი ჯავახეთის კრებაზე გვირგვინდება და აქვე პირობითი გვირგვინით იმოსება ჩვენი მთავარი პერსონაჟის ბერის კუკულით შემკობილი თავი. ხოლო მის ჭეშმარიტ ძალაუფლებასთან შედარებით სიტყვა „არქიმანდრიტი“ არაფრისმთქმელიც კია.

მაგრამ რით შეიძლება დაგვირვგინდეს ჩვენი თამაში: მირონის კურთხევის მოპოვებითა თუ ოდესღაც უკაცრიელ ტერიტორიაზე „საღმრთო შურით“

მომრავლებულ ტაძრებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულებით? მე მგონი, ამ თამაშის ყველაზე ლოგიკური დასასრული ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა იქნებოდა, რაშიც მეფეებთან ერთად უდიდესი წვლილი სწორედ გრიგოლსა და მის თანამედროვე თუ მემკვიდრე სასულიერო პირებს მიუძღვით.

კომპიუტერული თამაშის იდეა რომ გვერდზე გადავდოთ... თუმცა რატომ უნდა გადავდოთ გვერდზე? ყველა მეთოდი, რომლებიც კი გვეხმარება, რომ საუკუნეების წინანდელი ნაწარმოები გავათანამედროვოთ (უფრო კი, მკითხველს მისი თანამედროვეობა დავანახვოთ), ღირებული და პერსპექტიულია. გრიგოლ ხანძთელი კი სწორედ თანამედროვე ტიპაჟია: ადამიანი, რომელსაც შეუძლია მიზნების დასახვა და მიღწევის გზების პოვნა; ადამიანი, რომელსაც შეუძლია წარმატების გზაზე მიმავალი ყველა ნაბიჯის გათვლა და დაგეგმვა; ადამიანი, რომელიც ნულიდან იწყებს და მაინც არასოდეს ღალატობს პრინციპებს. გრიგოლ ხანძთელი ქართული ლიტერატურის ფასდაუდებელი პერსონაჟია – გმირი, რომლის მიერ საფუძველჩაყრილმა იდეოლოგიამ არაბების ნამუსრევზე ერთიანი ქართული სახელმწიფო ამოზარდა. მისი, როგორც ქვეყნის იდეოლოგისა და შესანიშნავი სტრატეგის აღქმა მოსწავლეებს დაეხმარება ქართველი ერის ცხოვრებაში სულხან-საბა ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის როლის შეფასებაშიც.

და კიდევ ერთ რამესაც დაანახვებს მათ ცხადად: გონივრულად წარმართული ცხოვრება ყველაზე საინტერესო სტრატეგიული თამაშია.

მშობელი

თათა ჭანტურია

„ხარაჩო“ – ანიმაციის/ფილმის ერთობლივად ყურება შეკითხვებით 117

მეგი კავთუაშვილი

გამჭვირვალე ბავშვობის საფრთხეები 128

ცხოვრება დისტანციურად 131

მშობლები დისტანციური სკოლის კედლებთან 134

სიტყვა, როგორც იარაღი 137

თათა ჭანტურია

„ხარაჩო“ – ანიმაციის/ფილმის ერთობლივად ყურება შეკითხვებით

აგერ უკვე მეორე კვირაა, დიდიან-პატარიანად უჩვეულო მდგომარეობაში აღმოვჩნდით – შინ გამოკეტილნი. ვინ იცის, სამსახურებისკენ მიმავალთ რამდენჯერ გვინატრია სახლში მოსვენებულად ყოფნა, არაფრის კეთება. მაგრამ როცა შინ დარჩენა იძულებითია და, ამასთან, არც ვიცით, როდემდე მოგვიწევს, თითო წუთი საათად გვეჩვენება.

ბავშვები და მასწავლებლები ორმაგად უცნაურად ვგრძნობთ თავს. რაც უნდა ვიწუწუნოთ დატვირთულ რეჟიმსა თუ სხვა რუტინებზე, სასკოლო ცხოვრება, თავისი უსწრაფესი, მომთხოვნი, ყიჟინა ტემპორიტმით, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ერთ მშვენიერ დღეს ასე, მოსხლეტით, მის გარეშე დარჩენა არცთუ სახალისო ყოფილა.

თავის მხრივ, სოციალურ ქსელებსა თუ პირად საუბრებში მშობლებიც დაბნეულნი კითხულობენ ორკვირიანი კარანტინის თავზე, ახლა რა(ღა) გავაკეთოთ, რომ დავაინტერესოთ ეს ბავშვებიო.

სახლურ მოწყენილობას რომ თავი დავანებოთ, ჩვენც, ბავშვებიცა და მშობლებიც ახალი გამოწვევის წინაშე აღმოვჩნდით – დისტანციური სწავლება – სოციალურ ქსელში მასწავლებელთა ჯგუფებში ეს სიტყვები სულ უფრო ხშირად გვხვდება.

კარგად ნაცნობი რესურსი – ანიმაციის ერთად ყურება, მასწავლებლებსა და მშობლებს ბავშვებთან დროის საინტერესოდ გატარებაში – პირისპირ თუ დისტანციურად -დაეხმარება.

ანიმაცია/ფილმი, როგორც შემეცნებით-გასართობი რესურსი, ალბათ არც ერთი მასწავლებლისა თუ მშობლისთვის არ არის უცხო. ჩვენ ვხედავთ, რომ ბავშვები ხშირად უყურებენ სხვადასხვა ანიმაციას და კმაყოფილნიც ვართ – რაღაც ახალს იგებენ, ერთობიან, ბოლოს და ბოლოს,წყნარად სხედან.

ეს ძალიან კარგია, თუმცა მთავარია, არ გამოგვრჩეს ერთი მნიშვნელოვანი რამ – როგორც ნებისმიერი სხვა რესურსი, ანიმაციაც შეიძლება ძალიან სასარგებლო და ნაყოფიერ მასალად იქცეს მისი სწორად გამოყენების შემთ-

ხვევაში და პირიქით, სრულიად უსარგებლო, მეტიც, მავნე იარაღადაც იქცეს გაუაზრებელი სარგებლობით.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ბავშვებს რაღაც ახლის შემეცნებისათვის სჭირდებათ ხარაჩოები, რომლებიც ჩვენ, უფროსებმა უნდა გავდოთ და ამით მათ სიახლეებისკენ სწრაფვას, აღმოჩენებს, ახალი ცოდნის, უნარებისა თუ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ხელი მნიშვნელოვნად შევუწყოთ. „ხარაჩოების გადება“ ყოველთვის მარტივი არ არის და ჩვენგან, უფროსებისგან, ძალისხმევას, ნებისყოფასა და ენთუზიაზმს მოითხოვს. თუკი უფროსები ხშირად გავიაზრებთ, რა მნიშვნელოვანია ჩვენი „ხარაჩოები“ პატარა ადამიანებისთვის, სწორედ ეს შეგვმატებს ენერგიასა და ახალ-ახალ იდეებს მათ „გასადებად“.

მაშ ასე, „ხარაჩო“ – ანიმაციის/ფილმის ერთობლივად ყურება შეკითხვებით

კონკრეტულ ანიმაციაზე გადასვლამდე მოკლედ შევეხოთ იმ ზოგად რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც დაგვეხმარება ერთად სანახავი მასალის შერჩევისას.

1. შეეცადეთ შეარჩიოთ იმგვარი ანიმაცია/ფილმი, რომელიც ეხება ამა თუ იმ ღირებულებას, ფასეულობას (მაგ., სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ემპათია, თავისუფლება, მეგობრობა და სხვ.). ძალდაუტანებლად,“ჩვეულებრივ“ ფორმატში ამგვარ საკითხებზე მსჯელობა, როგორც წესი, ორმაგად ნაყოფიერია.
2. არ შეარჩიოთ ძალიან გრძელი ანიმაცია/ფილმი, რადგან ბავშვებს უჭირთ დიდხანს ერთ საკითხზე კონცენტრირება, რაც უნდა საინტერესო იყოს იგი მათთვის (დიდებსაც გვიჭირს ხშირად).
3. გაითვალისწინეთ, რომ ერთად ყურება არ ნიშნავს „ჩაგირთავ და მეც აქ ვიჯდები“-ს. პატარა ადამიანებს ზუსტად ისეთივე მოლოდინები აქვთ თქვენთან ერთად რაიმეს ყურებისას, როგორიც თქვენ, მეგობრებთან ერთად საყვარელი სერიალისა თუ ფეხბურთის მატჩის ყურებისას. მაშასადამე, თქვენი ჩართულობა, ემოციის გამოხატვა, რეაქციები, უკუკავშირი, დროული რეპლიკები ძალიან მნიშვნელოვანია. თუკი ატყობთ, რომ განწყობა, დრო, მოტივაცია არ გაქვთ, ბავშვთან ერთად უყუროთ ანიმაციას/ფილმს და

გულგრილად ჯდომას აპირებთ, სჯობს სხვა დროისთვის გადადოთ, რადგან ინდიფერენტულობა ბავშვებისთვის მოსაწყენიცაა და გადამდებიც.

4. თუკი ვგეგმავთ ანიმაციის/ფილმის, როგორც „ხარაჩოს“ გამოყენებას, არ დაგვავიწყდეს, ე.წ. სამფაზიანი მოდელის გამოყენება „-მდე“, „დროს“ და „შემდეგ“ აქტივობებით. იგულისხმება, რომ ანიმაციის/ფილმის ყურებამდე შევამზადოთ ბავშვები, გავააქტიუროთ მათი წინარე ცოდნა/მოლოდინები/ვარაუდები მის სათაურთან/თემატიკასთან დაკავშირებით; ყურებისას გავაკეთოთ ლოგიკური პაუზები, დავუსვათ/დავასმევინოთ შეკითხვები/გამოვათქმევინოთ ვარაუდები/დავამყარებინოთ კავშირები; ფილმის ნახვის შემდეგ გამოვათქმევინოთ/გამოვთქვათ მოსაზრებები, დამოკიდებულებები პერსონაჟების, შინაარსის, მთავარი იდეის, რეჟისურის, მხატვრობის მიმართ, შევავსოთ სხვადასხვა სააზროვნო სქემა (მაგ., მოთხრობის რუკა, პერსონაჟის რუკა, შთაბეჭდილებების ფურცელი და სხვ., შევეცადოთ, ახლად შეძენილი ცოდნა და დამოკიდებულებები დავუკავშიროთ უკვე არსებულს და ამის შედეგად შევქმნათ რაიმე პროდუქტი, რომელიც ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება (მაკეტი / ბუკლეტი / მინი-ვიდეო / დიორამა / წერილი / დღიური / აფიშა / რეკლამა / განცხადება / სიმულაციური ფბ პოსტი/ ბლოგი / სხვ.).

მნიშვნელოვანია!

- რეფლექსიის ფაზა ძალიან ღირებულია და სათანადო დრო და ყურადღება უნდა დავუთმოთ.
- დიახ, თქვენ უნდა იყოთ მსჯელობისთვის კალაპოტის მიმცემი, მაგრამ მოქნილი ფასილიტატორი და არა პასიური მსმენელი/მომთხოვნი და ცოდნის გადამმოწმებელი მასწავლებელი ან მშობელი. გავითვალისწინოთ, რომ თუკი ბავშვებს ჩვენთან ერთად რაიმეს ყურება უხარიათ, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენგან ცოცხალ შთაბეჭდილებებს, თანასწორობის ხაზგამსმელი ტონითა და დამოკიდებულებით გაზიარებულ რჩევებსა და გამოცდილებებს, ერთად ხუმრობას, გაკვირვებას, ინტერესს ანუ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, სწორად და მოქნილად გაწვდილ „ხარაჩოებს“ ელიან.

სახელწოდება: ლორაქსი
ლინკი: https://www.adjaranet.com/movies/5757/The-Lorax?lang=GEO&quality=SD
თემატიკა: ეკოწიგნიერება

ანიმაციის ყურებამდე

წინარე ცოდნის გააქტიურება. მოლოდინებისა და დამოკიდებულების გაჩენა.

- რით შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანმა გარემოს? ჩამოთვალე.
- როგორ აისახება ჩვენი ქმედება გარემოზე? ჩამოთვალე.

ანიმაციის ყურების დროს

ქვემოთ მოცემულია ძირითადი შეკითხვები, რომლებიც შეგვიძლია დავსვათ ანიმაციის ყურებისას. ცხადია, ყველა მათგანის გამოყენება სავალდებულო არაა. რასაკვირველია, შეკითხვები შეგიძლიათ შეცვალოთ ბავშვის ინტერესებისა და შესაძლებლობების, ყურების პროცესის დინამიკის მიხედვით.

მნიშვნელოვანია, თქვენ მიერ შეთავაზებულ კითხვებში ჭარბობდეს „რატომ“ და „როგორ“ ტიპის შეკითხვები, რომლებიც ნაწარმოების იდეის, მთავარი სათქმელის, პერსონაჟთა ხასიათის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობაზე იქნება ორიენტირებული.

რასაკვირველია, ეს პროცესი არ უნდა ატარებდეს „დაკითხვის“ ხასიათს და ბავშვსაც უნდა მივცეთ საშუალება, მეტიც, წავახალისოთ, მოგვმართოს შეკითხვებით.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ თუკი ანიმაციის ერთად ყურება არის ცოცხალი, იმპროვიზებული აქტივობა, შეიძლება რაღაც შეკითხვებზე პასუხები თავადაც არ გვქონდეს და/ან სავსებით არ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს. ეს, ცხადია, მეტ ინტერესსა და ხალისს სძენს პროცესს.

1. **6:18** – თუკი ხელოვნური ხეები აქვთ, რატომ ამბობს გოგონა, ოდრი, „ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ჩემს ეზოში ნამდვილი, ცოცხალი ხე გაიზარდოსო?
2. **8:57** – როგორი ტიპია ბებია? (თვისება + არგუმენტი)
   რატომ ეხმარება ის ტედს?
3. **9:14** – შენი აზრით, რისთვის სჭირდება ვანსლერს მაინცდამაინც ეს ნივთები?
4. **11:47** – რას ყიდის ო’ჰერი? რატომ იყიდება ამ ქალაქში მისი პროდუქცია კარგად?

5. **12:07** – რატომ არ უნდა ო'ჰერის, რომ ტედი ქალაქიდან გავიდეს?
6. **13:10** – შენი აზრით, ვინ არის გამოსახული პოსტერზე? რატომ ფიქრობ ასე?
7. **15:20** – რომელ პერსონაჟს გაგონებს გარეგნულად ვანსლერი? (გრინჩს ჰგავს). რით?
8. **15:38** – რატომ არ უნდა ვანსლერს, რომ მის სანახავად ვინმე მივიდეს?
9. **16:24** – ვანსლერი: „ეს ჩემ გამო მოხდა. ჩემი გამოგონების გამო" – რა გამოიგონა ვანსლერმა, შენი აზრით?
10. **23:11** – რატომ ჩნდება ლორაქსი სწორედ ამგვარად? (ვიდრე გამოჩნდება, როგორია გარეგნულად) – როგორი ტიპი იქნება გარეგნულად?
11. **27:59** – რატომ არ უყვება ვანსლერი ტედს ამბავს პირველივე ჯერზე ბოლომდე?
12. **29:12** – როგორ იშოვა ტედმა ხე ოდრისთვის საჩუქებლად?
13. **32:42** – რას იზამს ტედი ო'ჰერის მუქარის შემდეგ? მაინც წავა ვანსლერთან თუ არა? რატომ ფიქრობ ასე?
14. **33:37** – „გოგოსთვის გინდა, არა?" – როგორ გამოიცნო ვანსლერმა, რომ ტედს ხე გოგოსთვის უნდოდა?
15. **34:33** – რა არის ტნიდი? გაიხსენე, რა ჰქვია ქალაქს, რომელშიც ტედი ცხოვრობს? (ტნიდვილი). შენი აზრით, რატომ?
16. **38:19** – რატომ ცდილობენ ტედის გადარჩენას ტყის მცხოვრებლები?
17. **44:12** – რატომ დამეგობრდნენ ტედი და ტყის მცხოვრებლები?
18. **48:53** – რატომ იქცევიან უცნაურად ვანსისთან ჩამოსული მისი ოჯახის წევრები?
    ლორაქსი რატომ არ აჩერებს მათ ძალადობით? ბოროტი ხერხებით?
19. **53:54** – იწყება სიმღერა ინგლისურად „how bad can I be" – შეგვიძლია გამოვიყენოთ ინგლისურის სასწავლადაც – თარგმნა. მუსიკის კომპონენტის გასააქტიურებლადაც – ერთად მღერა.
20. რა შინაარსი აქვს სიმღერას? რატომ ვარ ცუდი? ეს ბიზნესია, ეს ნიშნავს ბევრ ფულიან ადამიანს.
    (აქცენტი სინდისის ქენჯნაზე)
21. **56:32** – როგორ ფიქრობ, რა მოხდება? რატომ ფიქრობთ ასე?
22. **58:04** – რატომ აგდებს ვანსი ლორაქსს? ის ხომ ვერ შეუშლის ხელს ბიზნესში?
23. **58:43** – ხომ არ შეგვხვდა ეს გამოსახულება მანამდეც? როდის?
24. **59:04** – ვინ არის ეს პერსონაჟი?

25. რამ გაუჩინა მას თავისი ბიზნესის იდეა?
26. **59:22** – როგორი პერსონაჟია ვანსის დედა? (თვისება + არგუმენტი)
27. **1:02:01** – როგორ ფიქრობ, რა მოხდება? რატომ ფიქრობ ასე?
28. **1:05:58** – რატომ დაუჯერა ო'ჰერმა გაბრაზებულ ტედის დედას და წავიდა მათი სახლიდან?
29. **1:06:16** – სად გაქრა მარცვალი?
30. **1:08:12** – როგორ ფიქრობ, რა მოხდება? რატომ ფიქრობ ასე?
31. **1:10:39** – რით ჰგავს/განსხვავდება ტედის ბებო თქვენი ბებოებისგან?
32. **1:12:35** – რისი მინიშნება უნდა რეჟისორს ო'ჰერის ქანდაკებისთვის თავის მოძრობით?
33. **1:12:47** – როგორი რეაქცია აქვთ ამაზე მოქალაქეებს? რატომ?
34. **1:13:48** – „ამ პროცესს ფოტოსინთეზი ჰქვია"- ამბობს ოდრი. – რა არის ფოტოსინთეზი? ბუნებასთან ინტეგრირება.
35. **1:14:09** – რატომ ვერ ხვდებიან მოქალაქეები, რომ ხეები საჭიროა?
36. **1:14:58** – რატომ გადაანგრევს ტედი ქალაქის გალავანს ტრაქტორით?
37. **1:16:09** – მოქალაქეების სიმღერა „let it grow". სიმღერის შინაარსია, რომ მოქალაქეები გადადიან ტედის მხარეზე. ეს სიმღერაც შეიძლება ინგლ./მუს. ინტეგრირებით წარიმართოს.
38. **1:18:45** – რატომ გამოაჩენს სახეს ვანსი? გამომტვრეული ფანჯარა რას ნიშნავს? რატომ იხდის მადლობას?
39. **1:19:48** – ჩიტის გამოჩენით რაზე მიგვანიშნებს ავტორი?
    შეიძლება პარალელიც – ვენეციის არხებში ცოცხალი არსებების კვლავ გამოჩენა.

ანიმაციის ყურების შემდეგ

შეჯამების აქტივობების ვარიანტები:

1. **მოთხრობის რუკა**



2. დაამყარე კავშირი

დაამყარე კავშირი

მოსწავლე _____
თარიღი _____

საკითხი/პრობლემა	მაგალითი ყოველდღიურობიდან
კავშირი რომელიმე ნაწარმოებთან	ჩემი აზრით...

3. 5 კითხვა
4. კომიქსი
5. მიზეზი – შედეგი (მოვარგოთ ანიმაციაში ნაჩვენებ მნიშვნელოვან მოვლენებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს)

მოსწავლე _____
თარიღი _____

ვინ/რა?	სად?	რას შერეება/რა ქნა?	როდის?	რატომ?

6. პერსონაჟის რუკა – ტედი/ვანსი



პერსონაჟის რუკა

ვარიანტი 3

მოსწავლე _____

თარიღი _____

პერსონაჟის გარეგნობა

(როგორ გამოიყურება? რა აცვია? ეს მგავს?)

პერსონაჟის მოქმედებები

(რას აკეთებს? როგორ იქცევა?)

პერსონაჟის გრძნობები

(რას გრძნობს? რა განცდები აქვს?)

პერსონაჟი ფიქრობს

(რაზე ფიქრობს? რა აზრები აქვს?)

პერსონაჟის მიზნები

(რა სურს? რას მიღწევას ცდილობს? რა მიზანი აქვს?)

7. პერსონაჟის რუკა



მოსწავლე _____

თარიღი _____

გამოხმაურება წაკითხულ ტექსტზე

ინსტრუქცია: წიგნის ან მისი ნაწილის წაკითხვის შემდეგ შეარჩიე ქარგა. დაწერე შენი შთაბეჭდილება წაკითხულის შესახებ რვეულში ან დღიურში.

ტექსტის სათაური: _____

(მოთხრობა, ზღაპარი, ლექსი ...)

მე შევამჩნიე, რომ .....

მე გამიჩნდა შეკითხვა .....

მაინტერესებს, რატომ .....

მე დავფიქრდი .....

როგორც ჩანს, ...

ვერ გავიგე, ...

არ ვარ დარწმუნებული .....

მე ვიცი, რასაც გრძნობს .....

მე ძალიან მომეწონა .....

მე წარმომიდგენია, ...

მე გავიაზრე .....

მე გამაკვირვა .....

მე რომ ..... ვიყო, ...

მე აღმოვაჩინე, რომ .....

8. შთაბეჭდილება
9. 5-სტრიქონიანი ლექსი (ვარიაცია – ბრილიანტი)



10. 3-2-1
11. აფიშა
12. ანოტაცია

მსხვილი, ე.წ. კომპლექსური დავალება

როგორ შეიძლება წინ აღვუდგეთ გარემოს დაზიანებას ადამიანების მიერ?

შეუძლიათ თუ არა ბავშვებს რამე?

ჩამოვწეროთ.

დავამზადოთ ბუკლეტი/მინი-ვიდეო გზავნილებით.

ან მანამდე დავამუშაოთ ეკოთემატიკაზე სხვა ტექსტური და/ან ვიდეო მასალა და შემდეგ დავამზადოთ.

მითითებული სქემების ნახვა შესაძლებელია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) პორტალზე:

http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva_danarti.pdf

მეგი კავთუაშვილი

გამჭვირვალე ბავშვობის საფრთხეები

სხვისი რა გითხრათ და მე დიდი ენერგია მჭირდება, რომ მოვთოკო სურვილები და ჩემი შვილების პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები საჯარო სივრცეში არ გამოვამზეურო. თავშეკავებაში იმის გაცნობიერება მეხმარება, რომ არის მომენტები, როცა გონებამ გულს უნდა აჯობოს, მით უმეტეს მაშინ, როცა იცი, პერსონალური მონაცემების შესახებ კანონი არსებობს და ჩემს ემოციებზე დაფუძნებულმა გადაწყვეტილებამ, სარგებელზე მეტი ზიანი შეიძლება მოუტანოს ბავშვებს.

ცხადია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მეგობრებს არ გავუზიაროთ ჩვენი სიხარული ბავშვების წარმატებების შესახებ; დავმალოთ ჩვენი, როგორც მშობლის მიღწევები; მკაცრ ჩარჩოებში მოვექცეთ და არასოდეს არავის ვაჩვენოთ ჩვენი პატარების ფოტოები.

მაგრამ, სულ მცირე, არაეთიკურია, როცა ფოტო და ვიდეო კამერით ჩვენი საყვარელი პატარების ისეთ მომენტებს ვაფიქსირებთ, რომლის შესახებაც ბავშვმა არაფერი იცის, მერე კი ამ მასალას საჯაროდ ვაქვეყნებთ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ სახლში, ვთქვათ, ხალათში ნებივრობთ ან შვილის საყვარელ კერძს ამზადებთ და თქვენმა შვილმა გადაგიღოთ ფოტო, რომელსაც თქვენი ნებართვის გარეშე აქვეყნებს სოციალურ ქსელში. ან ხართ მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილს ხსნის, მერხებს შორის დადის, ამ დროს მოსწავლე გიღებთ და აქვეყნებს ფოტოს. ძალიან ცოტა ადამიანი მგონია ისეთი, ვისაც მის მიმართ ჩადენილი ეს საქციელი მოეწონება, რამდენად პოზიტიური წარწერაც უნდა ჰქონდეს ამ ფოტოს თუ ვიდეოს სოციალურ ქსელში.

იგივეს განიცდიან ბავშვებიც!

ადამიანს ყველა ასაკში აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მათ შორის ბავშვობაშიც. თუმცა არასრულწლოვანებს ზოგჯერ საკუთარი უფლებების დაცვა დამოუკიდებლად არ შეუძლიათ. ამაზე მშობლებმა, მასწავლებლებმა და ბავშვებთან შეხებაში მყოფმა სხვა ზრდასრულებმა უნდა იზრუნონ.

თუ მშობლებმა და მასწავლებლებმა არ იციან, რა არის ბავშვის პერსონალური მონაცემები, ცხადია, ისინი ვერ შეძლებენ უზრუნველყონ ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მეტიც, შეიძლება სრულიად კეთილი მიზნებით, გაუცნობიერებლად თავად დაარღვიონ წესები.

სოციალურ ქსელში სასწავლო ჩართვების, ბავშვების ფოტოების და ვიდეოების გაზიარების მაგალითები ბოლო რამდენიმე დღეში მრავლად დაგროვდა. ვგულისხმობ მასწავლებლებისა და მშობლების მიერ ფეისბუქზე გამოქვეყნებულ ფოტოებსა და ვიდეოებს, სადაც ისედაც დაბნეული ბავშვები ჩანან, სახლებიდან და აგარაკებიდან რომ ესწრებიან ონლაინ გაკვეთილებს; იმის მოლოდინში რომ მასწავლებელი „გამოიძახებს“, კომპიუტერებთან ხელაწეულები სხედან; ზოგიერთს სკოლის ფორმაც კი აცვია; ზოგიერთი კი საპირფარეშოში შესვლის და კალმის აღების ნებართვას შეწუხებული ელოდება მასწავლებლისგან, ისევე როგორც ამას საკლასო ოთახში გააკეთებდა.

არაეთიკურია, როცა სკოლა ან მასწავლებელი აქვეყნებს თავისი მოსწავლეების პერსონალურ მონაცემებს, ეს არ არის ცნობილი და შეთანხმებული ბავშვებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან. სულ მცირე, ბავშვმა უნდა იცოდეს, რა იწერება მის შესახებ იმ სივრცეში, სადაც შეიძლება ის თავად არც იყოს რეგისტრირებული. ასევე, აუცილებელია, ბავშვი თანახმა იყოს, რომ ესა თუ ის მასალა გასაჯაროვდეს. ეს დაეხმარება პატარა ადამიანს მართოს მის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის აუდიტორიაც, ვისაც დაშვებას ვაძლევთ, ნახოს ეს სტატუსი. იქ, სადაც ბავშვის შესახებ ვსაუბრობთ, აუდიტორია უნდა იყოს მაქსიმალურად შეზღუდული. უმჯობესია, გამოვიყენოთ კლასის დახურული ჯგუფი და არა სკოლის ან პირადი გვერდი. სკოლისა და პედაგოგის შემთხვევაში, აუცილებელია, არსებობდეს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების წერილობითი თანხმობა.

ვინც ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხს სკეპტიკურად უყურებს, უმჯობესია, გაითვალისწინოს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში დატრიალებული ტრაგედიები, რომლებსაც ბავშვები ემსხვერპლნენ, სწორედ პერსონალური მონაცემების დარღვევას უკავშირდება.

რა არის ბავშვის პერსონალური მონაცემები?

პერსონალური მონაცემების დაცვის აპარატის მიერ გამოქვეყნებული გზამკვლევის მიხედვით, პირად ცხოვრებას მიეკუთვნება შემდეგი ინფორმაცია:

- რომელ სკოლაში და რომელ კლასში სწავლობს? ვინ არის/არიან მისი მშობლები და როგორია მათი ოჯახური მდგომარეობა? სად ცხოვრობს? ვისთან მეგობრობს? როგორია მისი ყოფაქცევა?
- ინფორმაცია ბავშვის სასკოლო განრიგის შესახებ. რომელ საათზე ეწყება გაკვეთილები? როდის აქვს შესვენება? რომელ დღეს, რომელ საათზე ამთავრებს სწავლას? რა დამატებით საგანს/წრეს ირჩევს?
- ინფორმაცია ბავშვის ინტერესების შესახებ – რას აკეთებს შესვენებაზე? რა საკვებს ანიჭებს უპირატესობას? დაინტერესებულია თუ არა სპორტული აქტივობებით? უყვარს თუ არა შინაური ცხოველები?
- ბავშვის აკადემიური მოსწრება – რომელ საგანში რა ნიშნები აქვს და რომელი საგნის სწავლა ეხალისება ან უჭირს.
- ფოტო და ვიდეო მასალა ბავშვის გამოსახულებით. ასევე, პირად საქმეში არსებული ფოტო.
- პერსონალური მონაცემებია, ასევე, ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გადატანილი დაავადებები, ფსიქოლოგიური დახასიათება, სპეციალური კვების სპეციალური რეჟიმი, ინფორმაცია ბავშვის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, რელიგიური შეხედულებები და ბავშვის ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების შესახებ ინფორმაცია.

ბავშვის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციის მიწოდებით ჩვენ გზას ვუხსნით პოტენციურ დამნაშავეს, მეტი შეიტყოს სამიზნე სუბიექტის შესახებ. ალბათ, მხოლოდ ეს მიზეზი კმარა იმისთვის, რომ მინიმუმამდე შევზღუდოთ ბავშვების შესახებ ინფორმაციის და მათი გამოსახულებით ფოტო-ვიდეო მასალის გავრცელება.

გაიხსენეთ, რამდენი ეპიზოდი ყოფილა თქვენს ცხოვრებაში, რომელიც დღეს საჯარო იმიტომ არ არის, რომ თქვენს ბავშვობაში არც ინტერნეტი იყო და არც ფოტო-ვიდეო კამერებით აღჭურვილი ტელეფონი ეჭირათ ხელში ზრდასრულებს. დაფიქრდით, ყველა ეს ეპიზოდი, რომ დღეს სახალხოდ ცნობილი იყოს, როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება?

გამჭვირვალე ბავშვობა თავის კვალს დაამჩნევს ჩვენი შვილების თაობას.

ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვით, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ პოზიტიური მაგალითები და დადებითი ზეგავლენა მოვახდინოთ მომავალზე, სადაც, ჩვენ მოხუცებმა და ჩვენმა ახალგაზრდა შვილებმა, ერთად უნდა ვიცხოვროთ.

ცხოვრება დისტანციურად

ერთ ოთახში ორი სხვადასხვა კომპანიის თანამშრომელი და სკოლის მოსწავლე უზის სამ კომპიუტერს.

ეს ახალი რეალობაა, რომელიც ქვეყანაში ეპიდსიტუაციის გაუარესებამ განაპირობა.

ჩვენმა სახლმა ოფისის და სკოლის ფუნქციაც შეითავსა.

ახალი კორონა ვირუსისგან თავდაცვის მიზნით მე და ჩემი მეუღლე დისტანციური მუშაობის გრაფიკზე გადავედით. ჩვენს უფროს შვილს ონლაინ სწავლება დაეწყო.

ყოველდღიური რეჟიმი სრულიად შეგვეცვალა. დღის წესრიგის არც ერთი შაბლონი, რაც აქამდე გვქონდა, აღარ გვადგება.

საერთო სივრცეში ვსხედვართ და დილიდან ასე ვურთიერთობთ თანამშრომლებთან, საქმიან პარტნიორებთან, მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან.

ვცდილობთ, საქმესა და პირად ცხოვრებას შორის ზღვარი გავავლოთ, თუმცა, ერთი ოვალური მაგიდის გარშემო მოთავსებული სამი ადამიანისთვის ეს არც ისე ადვილი საქმეა. მით უფრო, რომ მაგიდის გარშემო, ოჯახის ყველაზე პატარა, მეოთხე წევრი დარბის და სასურველი მომენტის ხელში ჩაგდებას ელის, რომ „უნოს“ თამაში შემოგვთავაზოს.

ერთ რამ ვიცი! თუ ასე დიდხანს გაგრძელდა, საზიარო სივრცეში დამოუკიდებლად მუშაობის უნარი გარდაუვლად გამომგვიმუშავდება. კიდევ თვითდისციპლინის უნარი, რაც საკუთარი საქმის დაგეგმვას, შესრულებას და შეფასებას გულისხმობს.

საერთო სივრცეში სხვადასხვა საქმეების კეთება მშვენიერი სავარჯიშოა იმისთვის, რომ კარგად გავითავისოთ: ყველა ადამიანი ინდივიდია, რომელსაც საკუთარი თავის რეალიზებისთვის უხილავი პირადი სივრცე სჭირდება. ჩვენს მშობელსაც და ჩვენს გაჩენილსაც თავისი ცხოვრება აქვს. მარტივად რომ ვთქვათ, სასურველია, ხელი შევუწყოთ ერთმანეთს მიზნის მიღწევაში, პატივი ვცეთ ერთმანეთის საქმეს, არ დავასაქმოთ, არ გავფანტოთ ერთმანეთის ყურადღება უმნიშვნელო წვრილმანებზე. ქართულ რეალობაში, როგორც წესი, პირა-

დი სივრცე ძალიან ვიწროა. მით უფრო, მშობლების, რომლებსაც გენეტიკურად მოსდგამთ, რომ შვილის კეთილდღეობა ყველაზე მნიშვნელოვანია. შვილებს კი ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ არც მშობელია მსხვერპლი, თავისივე გაჩენილის მსხვერპლი. ამიტომ მნიშვნელოვანია, შვილები ხედავდნენ, თითოეული ჩვენგანი, ასაკის მიუხედავად, დამოუკიდებელი ადამიანია, რომელსაც თავისი საქმე აქვს. ეს საქმე ხან გვსიამოვნებს, ხან – იძულებით ვაკეთებთ, მაგრამ ვაკეთებთ, რადგან ყველას ჩვენი გზა გვაქვს, რომელიც ჩვენს მიზნამდე მიდის.

ზოგჯერ ბავშვებს ეზარებათ მეცადინეობა, სკოლას ერთფეროვან და მოსაწყენ ადგილად თვლიან. ჰგონიათ, როცა გაიზრდებიან ბევრი თავისუფალი დრო და ნაკლები პასუხისმგებლობა ექნებათ. დისტანციური სწავლისა და მუშაობის პირობებში, ბავშვებს შეუძლიათ ნახონ, როგორ მუშაობენ მათი მშობლები. რამდენად ახერხებენ ისინი, ჰქონდეთ თავისუფალი დრო სასურველი საქმიანობისთვის და გართობა-დასვენებისთვის. ეს კარგი პერიოდია, ავუხსნათ შვილებს, რომ საქმე და თავისი წილი პასუხისმგებლობა ყველა ასაკში აქვს ადამიანს. და თუ ჩვენი ქცევის მოდელით ვაჩვენებთ, როგორ უნდა დაგეგმო, განახორციელო და ცოტა სიამოვნებაც მიიღო საქმისგან, იქნებ, უფრო მეტად შეუყვარდეთ სწავლის პროცესი, იქნებ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ თავზე საშინაო დავალების მომზადების პროცესში, იქნებ უფრო გაიზარდოს მათი მოტივაცია.

■

სირთულეების მიუხედავად, დისტანციურად მუშაობა და სწავლა იდეალური საშუალება გამოდგა იმისთვის, რომ ოჯახის წევრებმა ერთმანეთი უკეთ „გავიცნოთ“, ერთმანეთის საქმის პატივისცემა ვისწავლოთ და ერთმანეთს მიზნის მიღწევაში დავეხმაროთ.

როგორც წესი, მშობლები შვილებს იცნობენ, შვილები მშობლებს. მაგრამ ზოგჯერ არაფერი იციან ერთმანეთის შესახებ სახლის მიღმა. როგორია მისი დღის რეჟიმი, ვისთან მეგობრობს, ვისთან უწევს ურთიერთობა და ა.შ. მით უფრო, გადატვირთული დღის რეჟიმის პირობებში, განა ხშირად გვეძლევა შესაძლებლობა, დავინახოთ ერთმანეთში არა მხოლოდ დედა, მამა ან შვილი, არამედ დამოუკიდებელი პიროვნება, რომელსაც ჩვენ გარდა სხვა, თავისი ცხოვრებაც აქვს, მათ შორის საქმე, რომელსაც სხვა ადამიანებთან ერთად აკეთებს?!

ხშირად ჩვენი წარმოდგენები და რეალობა არ ემთხვევა ერთმანეთს. ზოგჯერ ჩვენ ერთმანეთს ისეთებად ვხედავთ, როგორც გვინდა, რომ ვხედავდეთ – როგორი შვილიც და როგორი მშობლებიც გვინდა, რომ გვყავდეს.

შვილებს უმეტესად ჭკუის დამრიგებლის როლში წარმოვუდგენივართ, რომლებთანაც შეცდომების დაშვების ყველაზე მეტად გვეშინია. და ეს შინაგანი დისტანცია, დღითი დღე გვაშორებს ერთმანეთს. მშობლები კი ვიცნობთ ბავშვის ცხოვრებას, ქცევის თავისებურებებს ოჯახში, მაგრამ არ ვიცით, როგორია ბავშვი სხვა სივრცეში, მაგალითად, სკოლაში, სადაც არანაკლებ დიდ დროს ატარებს, ვიდრე სახლში.

სკოლასა და სახლებს შორის გაჭიმული ტელეხიდები კი საშუალებას გვაძლევს, შევაგროვოთ უფრო სრულყოფილი ინფორმაცია ბავშვის ქცევათა სისტემის შესახებ და უფრო ფართო ჰორიზონტზე გავიხედოთ, ვიდრე ჩვენი სახლის ზღურბლი და კედლებია.

ვუყურებ ჩემს შვილს, რომელიც სახლისთვის უჩვეულოდ გამოპრანჭული ზის კომპიუტერის ეკრანთან და ვხედავ, როგორ იქცევა გაკვეთილზე; როგორი ურთიერთობა აქვს თანაკლასელებთან; როგორ კომუნიკაციაშია მასწავლებლებთან; როგორია მისი თვითშეფასება; შეუძლია თუ არა ყურადღებით ყოფნა; ახდენს თუ არა კონცენტრირებას მთავარ საკითხებზე; რამდენად სერიოზულად ეკიდება გაკვეთილის პროცესს; არის თუ არა ესა თუ ის მასწავლებელი მისთვის ავტორიტეტი; არღვევს თუ არა წინასწარ შეთანხმებულ წესებს; როგორ რეაგირებს, როცა სხვები არღვევენ წესებს და ა.შ.

ვუყურებ და ვფიქრობ, ასეთი გამჭვირვალე განათლების სისტემა არასოდეს ყოფილა.

თუ ვინმესთვის დისტანციური სწავლება გამოწვევას წარმოადგენს, ეს, პირველ რიგში, მასწავლებელია, რომელიც ტრადიციულად თავის საქმეს დახურულ კარს მიღმა აკეთებდა. და თუ აქამდე მოსწავლეების პირისპირ იდგა, ახლა ყველა გაკვეთილი ღია გაკვეთილს ჰგავს, სადაც ერთი“სტუმარი“ კი არ ჰყავს, შეიძლება ყველა მოსწავლის ოჯახის ყველა წევრი ესწრებოდეს გაკვეთილს. იმედს ვიტოვებ, რომ ამ უჩვეულო და არც ისე პოზიტიურ პერიოდში, მასწავლებლები და მშობლები თანაშრომლობის უპრეცედენტოდ მაღალ ხარისხს აჩვენებენ.

■

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ასე!

კიდევ რამდენი დღე მოგვიწევს ამ ოვალური მაგიდის გარშემო ჯდომა.

რამდენ ხანს გაგვყვება დისტანციურად სწავლა-მუშაობის ხალისი.

მაგრამ ერთი რამ ცხადია, უჩვეულოდ დიდი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა მოგვცა 2020-მა წელმა. ზღვა გამოცდილების, რომელიც ტექნოლოგიურ საუკუნეში ცხოვრებისთვის წყალივით აუცილებელია.

მშობლები დისტანციური სკოლის კედლებთან

ზის და ვზივარ!

ის ეკრანთან, მე ეკრანს მიღმა.

მას ხედავენ, მე უხილავი ვარ.

ის საუბრობს, მე გასუსული ვარ.

უკვე მეორე კვირაა ასეა. დღეში სამჯერ, 30-30 წუთით.

ის online გაკვეთილზეა, მე online კავშირის ხარისხს უზრუნველვყოფ. ასე ვთქვათ, ტექნიკური პერსონალის ჯგუფს მივეკუთვნები. (პარალელურად სამსახურის საქმეს ვაკეთებ)

ზედმეტი ყურადღება რომ არ მივაქციო გაკვეთილის მიმდინარეობას, მოსწავლე შვილს ყურსასმენებს ვთავაზობ. ხან მთანხმდება, ხან – არა. ყურსასმენები მაინც აუცილებელი მგონია, მათი კლასის პირად სივრცეში უნებური ფიქრებით და შთაბეჭდილებებით რომ არ შევიჭრა. თუმცა გადაწყვეტილებას ყურსასმენების გამოყენების შესახებ, მაინც ბავშვი იღებს.

გაკვეთილის მიმდინარეობის დროს კომენტარებს არ ვაკეთებ, არც სიტყვით და არც სხეულის ენით. არ ვიმჩნევ, თუ ჩემმა შვილმა მასწავლებლის კითხვას ვერ უპასუხა; არც იმას, თუ რთულ კითხვაზე პასუხი პირველმა გასცა. მით უფრო, ყურადღებას არ ვამახვილებ მასწავლებლისა და სხვა მოსწავლეების კომენტარებზე. არაფერს ვანიშნებ, თუ მხრებში მოხრილია, თავი მაგიდაზე უდევს, თმა აჩეჩილი აქვს, ეკრანს ახლოდან უყურებს და ა.შ. (თუმცა კი კომპიუტერთან მუშაობის წესები ოფთალმოლოგს საგანგებოდ გამოვკითხე და მიღებულ რჩევებს წერილის ბოლოს გაგიზიარებთ). ყველა შენიშვნას გონებაში ვინიშნავ და ზოგს პირდაპირ, ზოგსაც ირიბად, მაშინ ვუზიარებ, როცა ერთმანეთთად საუბარი შეგვიძლია. (მაგალითად, ასე: ადვილი არ არის ხო, მასწავლებელებს უპასუხო, როცა პირისპირ არ ხარ მასთან?! ალბათ, დრო გჭირდება რომ შეეჩვიო!)

მოკლედ იქ, ეკრანს მიღმა, მხოლოდ ერთი მიზნით ვზივარ – დავეხმარო, თუ დავჭირდები. სრულად ვაცნობიერებ, რომ online სწავლება დიდი სიახლეა, რომელსაც ბაშვებიც, მასწავლებლებიც და მშობლებიც იძულებით უნდა შევეჩვიოთ. ადაპტაციისთვის კი დრო გვჭირდება. კომუნიკაციის სხვა გზა ამ ეტაპზე არ გვაქვს. ამიტომ სჯობს, ყველა რგოლი შევეგუოთ იმას, რომ სირთუ-

ლეები იქნება. იმაზე მეტი ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ასეთ დროს საუკეთესო გამოსავალი ერთმანეთის დახმარებაა. ჩასაფრებულის პოზიცია მხოლოდ დააზიანებს საერთო მიზანს – პანდემიის პირობებში, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგი განვიცადოთ და ეპიდსიტუაციის გაუმჯობესების პერიოდისთვის ცხოვრების ჩვეულ რიტმში გაგრძელება შევძლოთ.

გაკვეთილებს შორის სულ მცირე 30 წუთიანი ინტერვალია. ამ დროს უმეტესად აივანზე გასვლისთვის ვიყენებთ. ვერ ვიტყვი, რომ უბანში, სადაც ვცხოვრობ კარგი ჰაერია, მაგრამ მზის სხივები რომ მივიღოთ, ნახევრად ღია ცის ქვეშ ცოტა ხნით ყოფნა მაინც აუცილებელი მგონია.

გაკვეთილების დასრულების შემდეგ სადილი, შემდეგ კი საშინაო დავალების მომზადების პროცესი იწყება. სამეცადინო მასალა „სლაიდებზეა“ მოცემული. Power Point-ში აწყობილ პრეზენტაციებს უმეტესად ვბეჭდავ. ეს გვეხმარება, რომ ბავშვმა კომპიუტერის გარეშე შეძლოს მეორე დღისთვის მომზადება.

ვატყობ, Online სწავლებით გამოწვეული თავდაპირველი აღტაცება ნელ-ნელა იკლებს. გასაკვირი არც არის, რადგან სკოლა მეგობრების და ზოგადად, ცოცხალი ურთიერთობების გარეშე, არც ისე სახალისოა. არ მინდა, ამის გამო იმედგაცრუება განიცადოს. გაკვეთილების დაწყებამდე ვაგულიანებ. მაგალითად, ვეუბნები, რომ კარგად გამოიყურება. ასე თმა ძალიან უხდება. საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ კი ვცდილობ, შევავსო სოციალური ურთიერთობების დეფიციტი და მეტი დრო დავუთმო. ვამხნევებ და ვეუბნები, რომ მეცადინეობაში მე დავეხმარები. ამ სიტყვას იმდენად დიდი ძალა აქვს, მეცადინეობას დამოუკიდებლად იწყებს.

ხან, თავად ამოვქექავ მივიწყებულ წიგნებს. მის გვერდით სახელმძღვანელოთი ხელში ვჯდები და წუწუნს ვიწყებ, როგორ დამავიწყდა ინგლისური და როგორ მჭირდება თავიდან სწავლა. წიგნით ხელში რომ მხედავს, ბედნიერდება და მეცადინეობა მისთვისაც სახალისო ხდება.

თუ შევატყე, რომ კვლავ მოდუნდა, ვთხოვ, მოიცალოს ჩემთვის, რათა მას ჩავაბარო იმ დღეს ნამეცადინები მასალა. სიხარულით აღარ იცის რა ქნას. ჩემს ნასწავლში შეცდომებს ადვილად პოულობს და გამოცდილებას მიზიარებს, რა მეთოდით ჯობია ვიმეცადინო.

წერილობით მომზადებულ საშინაო დავალებას თითოეული საგნის მიხედვით ტელეფონით „ვასკანერებ“ (პროგრამა CamScaner) და დღის ბოლოს აღმზრდელ-პედაგოგს ვუგზავნი.

მეორე დღეს ისევ იგივე ხდება. მერე კიდევ იგივე და ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს ამ რეჟიმში ცხოვრება.

მიჭირს თქმა, დისტანციურად სწავლა ბავშვებს უფრო უჭირთ, მშობლებს თუ მასწავლებლებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, საქართველოს სკოლების ყო-

ველდღიურ ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა არასოდეს ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც დღეს.

ეპიდსიტუაციის გაუარესებასთან ერთად, სულ უფრო მეტი სკოლა თუ მასწავლებელი დროებით გადადის სწავლების დისტანციურ თუ ონლაინ რეჟიმზე. ამ პროცესის ეფექტიანობა პირდაპირ არის დამოკიდებული მშობლების თანადგომაზე. მით უფრო დაბალ კლასებში, როცა ბავშვებს კომპიუტერთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები არ აქვთ გამომუშავებული, მშობლები სხვა ყველაფერთან ერთად ტექნიკური პერსონალის როლსაც ვითავსებთ. საბაზო და საშუალო საფეხურზე კი შვილებს მშობლებისგან გამხნევება და მოტივაციის ამაღლება კონტროლზე მეტად სჭირდებათ.

და ბოლოს!

რადგან online სკოლა კომპიუტერთან ყოველდღიურ კავშირს მოითხოვს, ვფიქრობ, მშობლები უნდა ვიცნობდეთ მხედველობის ჰიგიენის მარტივ წესებს, რომელიც ეკრანთან მუშაობის დროს უნდა დაიცვას ბავშვმა. ეს რჩევები მასწავლებლებსაც დაეხმარება, სწორად დაგეგმონ ბავშვების ასაკზე მორგებული გაკვეთილები. თვალის ექიმთან დისტანციური კონსულტაცია საგანგებოდ გავიარე. ოფთალმოლოგ გელა ობერუხტინის რეკომენდაციებს მშობლებს და მასწავლებლებსაც გავუზიარებ:

- **განათება** – კომპიუტერის მონიტორს არ უნდა ეცემოდეს შუქის ანარეკლები; ოთახი არ უნდა იყოს დაბნელებული; სიბნელის შემთხვევაში საჭიროა დამატებითი განათება. ეკრანსა და გარემოს შორის არ უნდა იყოს მკვეთრი კონტრასტი.
- **დისტანცია ეკრანთან** – მონიტორის ეკრანიდან თვალებამდე უნდა იყოს 40-75 სმ. ტელეფონიდან – 30 სმ.
- **გაკვეთილების ხანგრძლივობა:** პირველ კლასელებისთვის დასაშვებია 10 წუთი; II-V კლასელებისთვის 15 წუთი; IV-VII კლასელებისთვის 20 წუთი; VIII-IX კლასელებისთვის -25 წუთი; X-XII კლასელებისთვის – 30 წუთი. აღნიშნულ პერიოდებს შორის 5 წუთიანი შესვენებები.
- **თვალის ვარჯიშები** – გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მარტივი თვალის ვარჯიშები: მაგრად დავხუჭოთ ორივე თვალი 3- 5 წამით, გავიმეოროთ 6-8ჯერ. სწრაფად ვახამხამოთ თვალები 1 წუთის განმავლობაში. მსუბუქად დავაჭიროთ თითები დახუჭულ თვალებს 2 წამი და გავიმეოროთ 3-4 ჯერ.

სიტყვა, როგორც იარაღი

ცოტა რამ შეიძლება იყოს იმაზე უარესი, ვიდრე ადამიანებს საკუთარი ხელების გვეშინოდეს. დიახ, ხელების! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ინფექციის გავრცელების ყველაზე დიდი წყარო სხეულის სწორედ ეს ნაწილია. მეორე მიზეზი, რის გამოც ხელების შეიძლება გვეშინოდეს, კომპიუტერში ტექსტის აწყობაა – სწორედ ხელები ასრულებენ ენის და ხორხის როლს, როცა ჩვენი თითები კლავიატურაზე დახტიან. თუ პირიდან ამოთქმულ სიტყვას იტყვი და ჰაერში გაიფანტება, დაწერილ-გამოქვეყნებული მრავალჯერ უფრო რეზონანსულია.

საქართველოში მასწავლებლებისა და მშობლების ურთიერთობა (მეტწილად) არც აქამდე იყო ჰარმონიული. სკოლების დაკეტვის და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, პედაგოგებსა და მშობლებს სრულიად უჩვეულო რეალობაში გვიწევს დაკისრებული მოვალეობების შესრულება. არცთუ საიმედო ეპიდსიტუაციის და მაღალი სტრესის მიუხედავად, ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ; ისე მოხდა, რომ უნდა ვაკეთოთ უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე აქამდე ვაკეთებდით. შესვენებების და სამუშაო საათების შეზღუდვის გარეშე.

ამ მოცემულობაში, როცა ეპიდემიოლოგები დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებენ; როცა სახლი სკოლაა და სკოლა სახლია; როცა ერთი ადამიანი ერთ სივრცეში და ერთდროულად ითავსებს მშობლის, თანამშრომლის, დამლაგებლის, მომმარაგებლის, კულინარის, კონდიტერის და სხვადასხვა როლს; როცა ადამიანებს უჭირთ ემოციების ვენტილაცია, ნერვები წამოშლილია, ახალი საქმე კი არ იცდის, კონფლიქტების და უკმაყოფილების რისკები ერთიორად იმატებს.

დისტანციური ურთიერთობისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. არის მთელი რიგი საკითხები, რაც სასურველია, გათვალისწინებული იყოს პედაგოგებისა და მოსწავლეთა მშობლების ურთიერთობაში. მით უფრო, როცა პირისპირ და საჯარო შეხვედრები ვერბალურმა და წერითმა კუმუნიკაციამ ჩაანაცვლა, ამ უკანასკნელთ კი თავიანთი განსაკუთრებული ხასიათი აქვთ.

მოკლედ შევეხები საკითხებს, რისი გათვალისწინებაც მშობლებსა და მასწავლებლებს სავალდებულო დისტანციურ ურთიერთობას გაუადვილებს.

განათლება vs ემოციური უსაფრთხოება

არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მიზანი, უწყვეტი განათლება მივცეთ ბავშვებს, ნამდვილად კეთილშობილურია, მაგრამ მსოფლიო უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ადამიანები, პირველ რიგში, უნდა გადავრჩეთ. თუ ატყობთ, რომ თქვენს მოსწავლეს, მასწავლებელს ან მშობელს მიმდინარე მოვლენების გამო სტრესი აქვს, ვერ ახერხებს ჩაერთოს დისტანციური სწავლების პროცესში, ამის გამო აყალმაყალის ატეხვა არ ღირს. ადამიანების ემოციური უსაფრთხოება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განათლების ხარისხი. მივცეთ დრო, რათა შეძლონ აუწყონ ფეხი ახლებული სწავლების აღმართს.

მშობელთა მონაწილეობა დისტანციური სწავლების მეთოდის შერჩევაში

შედეგზე ორიენტირებული სწავლების გეგმაში მშობლებთან დიალოგს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. მოსწავლეთა მშობლების აქტიური და რეგულარული მონაწილეობის გარეშე დისტანციური სწავლება შედეგს ვერ გამოიღებს. პირველ რიგში, აუცილებელია, სკოლამ და მასწავლებლებმა გამოკითხონ მოსწავლეთა ოჯახები, თუ რა ტექნოლოგიური უნარები და შესაძლებლობები აქვთ და ამის მიხედვით შეარჩიონ დისტანციური სწავლების მეთოდები. მათთან, ვისაც არ აქვს წვდომა მაღალტექნოლოგიებზე, გამოიყენონ კომუნიკაციის ნაცადი ინსტრუმენტები, მაგალითად ტელეფონი.

როგორი უნდა იყოს მასწავლებლისა და მშობლის სატელეფონო საუბარი?

- საუბრის დროს არ იჩქაროთ. გაითვალისწინეთ, რომ სატელეფონო საუბარი არ არის სრულყოფილი კომუნიკაცია. მოკლებულია სხეულის ენას: სახის მიმიკებს, ჟესტიკულაციას, მანერებს, ემოციებს, მზერას, შეხებას, გარეგნობას.
- მთელი ყურადღება გაამახვილეთ ხმის ტემბრზე. თანამოსაუბრე უნდა გრძნობდეს, რომ თქვენ ზრუნავთ და არ აკონტროლებთ.

- დირექტიული ტონი მიზნის მიღწევაში ვერ დაგეხმარებათ. მეტიც, არსებობს რისკი, რომ გამოიწვიოთ თანამოსაუბრის გაღიზიანება.
- იზრუნეთ, რომ დისკომფორტს არ გიქმნიდეთ მობილური ტელეფონის ეკრანზე ერთმანეთის ნომრის დანახვა.
- გააოცეთ ერთმანეთი – სულ ერთი წუთით დაურეკეთ მშობელს/ მასწავლებელს, მაშინ, როცა ყველაფერი იდეალურად არის და უთხარით მადლობა გაწეული სამსახურისთვის.

წერითი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მშობლებს შორის:

- სიტყვებს წერითი კომუნიკაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი ინფორმაციის გადაცემის ერთადერთი საშუალებაა.
- იზრდება ზრდილობის ნორმების დაცვის მნიშვნელობა, რადგან კომუნიკაციის ეს ფორმა კიდევ უფრო მეტად არის მოკლებული ურთიერთობის სურყოფილების ელემენტებს, მათ შორის, სხეულის ენას, ხმის ტემბრს და ინტონაციას.
- სასურველია, წერისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გამოხატვის სიცხადეს; არ უნდა იქნეს გამოყენებული ბუნდოვანი გამოთქმები და ორაზროვანი სიტყვები, რადგან სხვა ადამიანს დრო სჭირდება იმის დასაზუსტებლად, თუ რას გულისხმობთ თქვენ.
- გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ფორმით გაგზავნილი წერილი არის ფიქსირებული დოკუმენტი.
- მოერიდეთ წერილობით კომუნიკაციას საკამათო საკითხებზე, რადგან არსებობს გაუგებრობის გაღრმავების რისკი.
- წერილობით გაგზავნილი შეტყობინება არ არის ეფექტური, თუ თანამოსაუბრისგან სწარაფ პასუხს ან რეაგირებას ელით.

მშობელთა კრება Online

- არ მოაწყოთ ვიდეო განხილვები საკამათო საკითხებზე.
- სასურველია, admin ფუნქციას ფლობდეს პედაგოგი.
- წინასწარ გააცანით მშობლებს ვიდეო შეხვედრის წესები, განრიგი და რეგლამენტი.
- დაიცავით პერსონალური მონაცემები, მაგალითად, გააკეთეთ ღია განაცხადი, რომ დაუშვებელი და არაეთიკურია ვიდეო შეხვედრის ჩაწერა და მისი გასაჯაროება.

- მიეცით მშობლებს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.
- თუ რომელიმე საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, გამოიყენეთ გამოკითხვის ფუნქცია და სადაო საკითხები ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეთ.
- სასურველია, ვიდეო შეხვედრის დასასრულს, მასწავლებელმა შეაჯამოს დისკუსიის შედეგები და გააცნოს მშობლებს უახლოესი მომავლის გეგმები.
- სასურველია, პედაგოგს მზად ჰქონდეს შეფასების ანონიმური კითხვარის ბმული, მაგალითად, google form-ში, რომელსაც ვიდეოშეხვედრის დაწყებამდე ან დასრულების შემდეგ მშობლები შეავსებენ. ეს დაეხმარება მასწავლებელს, გაზომოს, ერთი მხრივ, მშობელთა ღიაობა, მეორე მხრივ, განსახილველ საკითხებზე მოისმინოს მშობელთა რეალური მოსაზრებები.

□

ახლა, როცა უიმედობის შიშს დედამიწა ხელში უჭირავს, სახლებში გამოკეტილი ადამიანებისთვის სიტყვები შეიძლება ყველაზე ბასრი იარაღი იყოს, რაც კი გაგვაჩნია. არ დავივიწყოთ, რომ დისტანციური სწავლა მხოლოდ დროებითი მოვლენაა.

Covid 19 ჩაივლის...

ჩვენ კი ისე ნუ ვიზამთ, როცა ვირუსი გაგვეცლება, ერთმანეთს თვალი ვერ გავუსწოროთ.

თან საკითხავი

ანა ღვინიანიძე

მასწავლებელი ცვლილებების პირისპირ 143

ნათია ფურცელაძე

მოულოდნელი არდადეგები და „საშლელები“ 147

ნინო პოპიაშვილი

ონლაინსწავლების გასაკვალი ბილიკები,
ანუ „ისწავლე ყოველი დღისგან!“ 155

ბაია მაჩიტიძე

რა შეიძლება გამოვიყენოთ დისტანციური სწავლებისას
მოსწავლის წახალისებისთვის 159

რა უპირატესობა აქვს ციფრული რესურსების
მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში 161

მაია მენაბდე

„ვეფხისტყაოსანი“ უჩვეულო არდადეგების ჟამს 163

თამთა დოლიძე

საშინაო სკოლა და საქართველო 171

თათია მთვარელიძე

იზოლაცია ჰომეროსის გარეშე და უჰექსამეტროდ 175

დიანა ანფიმიადი

როგორ გავართოთ ბავშვები იძულებითი არდადეგების დროს 182

სახლი, როგორც გაკვეთილი და ნივთები, როგორც რეკვიზიტები 187

მანანა სეხნიაშვილი

პანდემიური არდადეგები 191

თეკლე კაპანაძე

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს გაზიარება 197

ანა ღვინიანიძე

მასწავლებელი ცვლილებების პირისპირ

დროდადრო, არსაიდან, კითხვების კორიანტელი აიშლება ჩემს გონებაში: „რა იქნება მას შემდეგ, რაც საგანგებო მდგომარეობა დასრულდება?.“ „შევძლებ თუ არა ჩვეული საქმიანობების გაგრძელებას?“ უიმედობაც მსტუმრობს ალაგ - ალაგ: „რა მეშველება?,“ „მომავალი უიმედოა.“ ზოგჯერ მცირეწლოვანი ბავშვივით თვალებზე ხელის აფარების სურვილი მიპყრობს, თითქოს, თვალებზე ხელის აფარება იმ სინამდვილესაც გააქრობს, რომელშიც ახლა ვარ.

ამ მდგომარეობას შეგუება ეწოდება. შეგუების აუცილებლობა ჩვენ წინაშე მაშინ დგება, როდესაც სტრესული გარემოებების პირისპირ აღმოვჩნდებით. თითოეული დღე მოიცავს, ე. წ., სტრესული გარემოებების ერთობლიობას, რომელთაგან უმრავლესობას, ვიცით, როგორ გავუმკლავდეთ. ანუ, ჩვენი აზრები, ემოციები და ქცევები შეგუებულია ყოველდღიურ გამოწვევებს, ხოლო, დროთა მანძილზე, ჩვეული ცხოვრების წესი ჩვენგან ნაკლებ და ნაკლებ ძალისხმევას ითხოვს გამოწვევებთან გასამკლავებლად. მაგალითად, თქვენ პირველად მიდიხართ ახალ სამსახურში. რა თქმა უნდა, მეტად გაფაციცებული ხართ, აკვირდებით თანამშრომლებს, ფიქრობთ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც სხვებზე დატოვებთ, რამდენად კეთილგანწყობილნი არიან თქვენდამი თანამშრომლები, იკვლევთ გარემოს: სად შეგიძლიათ, შესვენებაზე ისადილოთ? არკვევთ, როგორ შეგიძლიათ დაბრუნდეთ სახლში ახალი სამსახურიდან. დროთა მანძილზე, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ სახლიდან გასვლამდე ოთახის საგულდაგულოდ დალაგების სურვილზე უარი თქვით, რადგან მეტად მნიშვნელოვანი სამსახურში დროულად მისვლა გახდა. ეს ყველაფერი შეგუების გზაა: როდესაც ჩემი ცხოვრების ჩვეულ წესრიგს ისეთი ახალი გარემოება მირღვევს, რომელიც ჩემ წინაშე ცვლილების აუცილებლობას წარმოქმნის. მე კი ვცდილობ, ახალ გარემოებებს შევეგუო: რაღაც გავაკეთო ან რაღაც აღარ გავაკეთო იმისათვის, რომ სიახლესთან გამკლავება შევძლო.

დისტანციური სწავლება მასწავლებლების წინაშე შეგუების აუცილებლობას წარმოქმნის. „რაზე ვთქვა უარი იმისთვის, რომ მოვასწრო ონლაინ სწავ-

ლებისთვის გაკვეთილის თემის მომზადება?," „რა ვიცი, რა არ ვიცი იმისთვის, რომ ონლაინ-სწავლების ფორმატს შევუსაბამო ჩემი პრაქტიკა?" გარდა ამისა, მასწავლებლებზეც,როგორც ყველაზე,ზემოქმედებს ის ცვლილებები, რომლებიც, ბოლო ერთი თვის მანძილზე, საკმაოდ სწრაფად და ხშირად ხდება.

ვფიქრობ, შეგუებაში ხელის შემშლელი რწმენების განხილვა მასწავლებლებს საშუალებას მისცემს, იზრუნონ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რომელიც ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილია და სწორედ მას ეყრდნობა კეთილდღეობის შენარჩუნება და საქმიანობის ნაყოფიერად გაგრძელების შესაძლებლობა.

- **ღელვა, როგორც ბუნებრივი პასუხი არსებულ გარემოებებზე** – თუ თქვენ თავს შეახსენებთ, რომ ღელვა ამ მდგომარეობასთან შეგუების განუყოფელი ნაწილია, ის ნაკლებად შემაწუხებელი გახდება.
- **ღელვისა და შფოთვის კონტექსტის გაგება და მისი საფუძვლის აღიარება** – შეგვიძლია, საკუთარი თავი ასე დავამშვიდოთ: „შენს შფოთვას აქვს ახსნა. მე მესმის, რომ შენ შფოთავ იმ გარემოებებისგან გამომდინარე, რაც ახლაა ირგვლივ". ასეთი შინაგანი დიალოგი საშუალებას მოგცემთ, არ დაგავიწყდეთ შფოთვის კონტექსტი.
- **სოციალური მედიით სარგებლობის შეზღუდვა** – რამდენიმე დღის წინ, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ გამოაქვეყნა კვლევის შეჯამება, რომლის თანახმადაც სოციალური მედიის გამოყენება გაცილებით ძლიერ შფოთვას უკავშირდება, ვიდრე – მასობრივი ინფორმაციის ტრადიციული წყაროების გამოყენება.
- **სასიამოვნო და კმაყოფილების აღმძვრელი საქმიანობებით დღის დატვირთვა** – სიამოვნება უსარგებლოდ ხომ არ მიგაჩნიათ? იმ შემთხვევაში, თუ თვლით, რომ სიამოვნების განცდა უსარგებლოა, დაფიქრდით, როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება ხარისხიანად შესრულებული სამუშაოს თანმხლები სიამოვნების განცდის ან გემრიელი საკვებით დროდადრო თავის წახალისების გარეშე? შეგიძლიათ, თქვენს თავს შეახსენოთ, რომ სიამოვნების განცდა ადამიანის ქცევის ერთ-ერთი ძლიერი მამოძრავებელია და მას დღის მანძილზე, განსაზღვრული დრო უნდა დავუთმოთ.
- **ნაყოფიერი ღელვა** – კონკრეტული პრობლემის კონკრეტული ნაბიჯებით გადაჭრაზე ორიენტირება, ერთი მხრივ, გაგავარჯიშებთ გადაწყვეტილების მიღება – აღსრულებაში, მეორე მხრივ, გაგიძლიერებთ უნარიანობისა და

შედეგის განცდას, რაც თავის მხრივ, განსაზღვრულობის განცდას აძლიერებს.

მაგალითად, თქვენ გიჭირთ ონლაინ-სწავლების რომელიმე თავისებურების გაგება. განვლილი გაკვეთილის მანძილზე აღმოაჩინეთ, რომ საშინაო დავალების შეფასების ონლაინ-ფორმატის თავისებურებებთან შესაბამება გაგიჭირდათ. სცადეთ შემდეგი კითხვების დასმა:

ა) რას ნიშნავს საშინაო დავალება ონლაინ-ფორმატში?

ბ) რამ შემიშალა ხელი საშინაო დავალების წარმატებით შეფასებაში?

გ) რა შემიძლია, შევცვალო საშინაო დავალების წარმატებით შეფასებისთვის?

დ) რომელი ტექნიკური მახასიათებლები უნდა გამოვიყენო იმისათვის, რომ გაკვეთილის მიმდინარეობა მის მიზანს შეესაბამებოდეს?

- **ძილის რეჟიმის დაცვა** – ასეთ ვითარებაში, მარტივია, ძილის რეჟიმის არევა. თუმცა, სასურველია, ისეთი აქტივობებით დატვირთოთ დღე, რომელიც დღის მანძილზე უნდა შეასრულოთ და ღამით მათი შესრულება გაგიჭირდებათ. ეს იმის ალბათობას გაზრდის, რომ ღამით დაიძინებთ.
- **ახალი განრიგების შექმნა** – მაგალითად, ქაღალდზე ნაბეჭდი, ყვითელი, სურნელოვანი წიგნი ბოლოს როდის წავიკითხეთ? ან, ლოგინში მყუდროდ ჩამთბარი ბოლოს როდის ვეკირკიტებოდით რთულ, მონუმენტურ ტექსტებს? თუ ეს საქმიანობა მოგწონდათ, გაიხსენეთ. თუ, მაგალითად, ქოთნის ყვავილები გყავთ, რომელსაც ამ დრომდე არ გაკარებიხართ ან მხოლოდ წყლის დასხმით შემოიფარგლებოდით, შეგიძლიათ, სხვაგვარად მოაწესრიგოთ. მაგალითად, გაუწმინდოთ მტვრისგან ფოთლები და ა. შ. ზოგჯერ აღმოჩნდება, რომ ისეთი აქტივობები, რომლებიც „ჩვენად“ არ მიგვაჩნდა, ძალიან სასიამოვნო და სახალისოა.
- **დახმარებისა და მხარდაჭერის ძიება** – იმისათვის, რომ თავი მშვიდად იგრძნოთ, შემიძლია, გითხრათ, რომ Instagram-ის მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი სულ რამდენჯერმე მინახავს, ხოლო, მაგალითისათვის, სოციალური ქსელის – TikTok-ის შესახებ მხოლოდ შორიდან მსმენია. ვაცნობიერებ იმას, რომ ზოგიერთი ტექნოლოგიური სიახლის ისე მარტივად გაგებას ვეღარ ვახერხებ, როგორც ადრე. ეს, ნაწილობრივ, იმაზეა დამოკიდებული, რომ ზემოთ დასახელებული სოციალური ქსელებით არ ვსარგებლობ. თუმცა, ისინი ადამიანებისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი საშუალებებია, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცი-

ამაც კი გადაწყვიტა, TikTok – ის სივრცეში განეთავსებინა COVID-19-ის პრევენციის თუ მკურნალობის შესახებ მოკლე ვიდეო რგოლები. https://www.tiktok.com/@who?lang=en. ბუნებრივია, ყველა ტექნოლოგიურ სიახლეს ერთბაშად ვერ ავუღებთ ალღოს. ეცადეთ, ამის გამო, საკუთარი თავისადმი გამკიცხავი დამოკიდებულების ნაცვლად, ისეთ ადამიანებს მიმართოთ, ვინც უკვე გაერკვა ონლაინ – სწავლების თავისებურებებში. მართალია, შესაძლოა, ზოგჯერ გვიჭირს იმის აღიარება, რომ რაღაც ვერ გავიგეთ ან დახმარება გვჭირდება, თუმცა, ეცადეთ, ერთი მხრივ, საკუთარ თავს შეახსენოთ, რომ ბუნებრივია, სიახლეებს ერთბაშად ვერ ვითვისებდეთ და, მეორე მხრივ, ადამიანებს კონკრეტულ სიტუაციებში გვჭირდება ერთმანეთის დახმარება და ახლა სწორედ ერთმანეთის მხარდაჭერა გვჭირდება იმისათვის, რომ სიახლეებს შევეგუოთ.

- მიღწევისა და გასაუმჯობესებელი უნარების აღრიცხვა – ხშირ შემთხვევაში, იმდენად დაკავებულნი ვართ, ერთი მიღწევიდან მეორე მიღწევისკენ ისე ვინაცვლებთ, საკუთარი თავისთვის რამდენიმე თბილი სიტყვის თქმაც კი გვავიწყდება. ზოგჯერ იმასაც კი ვერ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი მიღწევებით კმაყოფილნი ვართ. კმაყოფილების განცდის გაუფასურება, მისი არსებობისა და მისი მნიშვნელობის უარყოფა, მისი განცდისთვის საკუთარი თავის გაკიცხვა („რა გიხარია?," „რა გააკეთე ისეთი?") ხელს გვიშლის ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვნების გაცნობიერებაში. იმ შემთხვევაში, თუ დღეს თქვენ ონლაინ-სწავლებაში დაოსტატებას ერთი ნაბიჯით დაუახლოვდით, ნუ დაინანებთ საქებარ სიტყვებს თქვენი თავისთვის. ეს საშუალებას მოგცემთ, დღევანდელი წინსვლა შეადაროთ გუშინდელს და ხვალინდელს. აქედან გამომდინარე კი, ნათლად დაინახოთ, რომ ვითარდებით და რა გიშლით ხელს განვითარებაში.

ბოლოს...

- ჩვენი აზრები ყოველთვის სწორად არ ასახავს რეალობას – თითოეული ჩვენგანი, მათ შორის, მასწავლებლებიც, ვშფოთავთ იმ მომავალზე, რომელიც წინ გველის. ეს ბუნებრივია. შეგუება იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენი გონება ბევრ ისეთ მოლოდინს ქმნის, რომელთაგან ნაწილი შეიძლება გამართლდეს, ნაწილი კი – არა. თუმცა, თუ ჩვენს თავს შევახსენებთ, რომ წარმოსახულს შორის ყველაზე უარესიც კი მაინც ჩვენი გონების ვარაუდია, შევძლებთ განუსაზღვრელობის მიერ აღძრული შფოთვა დავძლიოთ და მომავალში დაზოგილი ძალებით შევაბიჯოთ.

ნათია ფურცელაძე

მოულოდნელი არდადეგები და „საშლელები“

გაზაფხულის მოსვლა სასიცოცხლო ძალებს მიბრუნებს. ზამთრის უღიმღამო და ნაცრისფერი დღეების შემდეგ მარტის მზე ენერგიით მავსებს, ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება ჩემს გაკვეთილებზე, თითქოს ხალისი მემატება. თითქოს არა, მართლა მემატება, იდეებიც მოფრინავენ და მოფრინავენ.

ამ გაზაფხულმა მოულოდნელი არდადეგები მოგვიტანა. უსაფრთხოების მიზნით მთელ ქვეყანაში შეწყდა სასწავლო პროცესი. რადგან მასწავლებელი ვარ და ჩემი შვილები კი – მოსწავლეები, სახლში გამოვიკეტეთ, თავს ვარიდებთ ხალხმრავალ ადგილებში გასვლას. ის განწყობა კი, ზემოთ რომ ვწერდი, აღარ მოვიდა. მეტიც, რაღაცნაირად დავითრგუნე. იყო სახელდაურქმეველი შიშიც პირველ დღეებში. მაგრამ მალევე ჩემს თავს შემოვუძახე! სხვა თუ არაფერი, გაზაფხულის ენერგია და ხალისი იმისთვის მჭირდებოდა, რომ არც ჩემი შვილები და არც მოსწავლეები არ მოდუნებულიყვნენ. განწყობას ხომ გადამდები ძალა აქვს.

მერე იმაზე დავიწყე ფიქრი, რა შემეთავაზებინა მოსწავლეებისათვის. ყოველთვის ფაქიზად ვეკიდები არდადეგების დავალებებს, რადგან თავისუფალი დრო, თამაშის დრო ყველაზე ძვირფასია ბავშვისთვის. მაგრამ სხვა აღმოჩნდა მოულოდნელი არდადეგები, რომლისთვისაც მზად არავინ არ იყო. ჩემი და მოსწავლეების ურთიერთობის საშუალება, ცხადია, დისტანციურია. კიდევ კარგი, მსგავსი გამოცდილება გვქონდა, თუმცა იმაზეც მეფიქრებოდა, რა ხდება იმ მოსწავლეებისა და მასწავლებლების თავს, რომელთაც არ აქვთ არც რესურსები და არც გამოცდილება დისტანციური სწავლა-სწავლებისა?

1. პირველ დავალებად მოსწავლეებს ფილმის – „რონ კლარკის ისტორიის“ – ნახვა და შემდეგ შთაბეჭდილების დაწერა შევთავაზე. იმისთვის, რომ უფრო ყურადღებით დაკვირვებოდნენ დეტალებს, დავალების დასაწერად მითითებებიც გავუგზავნე:

- როდის და რომელ ქვეყანაშია გადაღებული ფილმი?
- მოკლედ გადმოეცი ფილმის სიუჟეტი;
- რომელი ეპიზოდი/მომენტი აღმოჩნდა შენთვის ყველაზე ემოციური?
- რომელი პერსონაჟის ქცევა მოგეწონა განსაკუთრებით და რატომ?
- რომელი პერსონაჟის ქცევა აღმოჩნდა შენთვის ყველაზე მიუღებელი და რატომ?
- რა პრობლემა შეამჩნიე ფილმში? რას მიიჩნევ ამ პრობლემის მოგვარების გზად?
- ვის ურჩევდი ამ ფილმის ნახვას?
- რაზე დაგაფიქრა ამ ფილმმა?

უკვე მივიღე დავალებები და უკუკავშირი მარწმუნებს, რომ ფილმის ნახვაც, მისი გააზრება, შემდეგ კი შეხედულებების წერილობით გადმოცემა შედეგიანი აღმოჩნდა.

2. ჩემი მოსწავლეებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, რომ წიგნები იკითხონ. ბუნებრივია, განსხვავებულია მათი დამოკიდებულება, ზოგი ამას სიამოვნებით აკეთებს, ნაწილი ისე ეკიდება, როგორც შესასრულებელ დავალებას. არ ვიქნები მართალი, თუ ვიტყვი, რომ ყველა დიდი სიამოვნებით კითხულობს, ეს ბუნებრივიცაა, მათ განსხვავებული ინტერესები აქვთ. მაგრამ წლების განმავლობაში წიგნებთან ურთიერთობამ, ძალიან ხშირად თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობამ, კლასში შექმნილმა წიგნიერმა გარემომ მხატვრული ლიტერატურის კითხვა ჩვეულებრივ ამბად აქცია მათთვის. უკვე გაზრდილ მოსწავლეებს რომ ვაკვირდები, ამგვარმა გამოცდილებამ ბევრი მკითხველად ჩამოაყალიბა.

ცხადია, დავიწყე ფიქრი, რა წიგნი შემეთავაზებინა მეცხრე კლასის მოსწავლეებისათვის. ვეძებდი ისეთ საკითხავს, რომ გვერდზე არ გადაედოთ და, როგორც იტყვიან, „ერთი ამოსუნთქვით“ წაეკითხათ. ჩემს მეგობარ მასწავლებელსაც ვკითხე რჩევა. ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, არჩევანი თამარ გეგეშიძის „საშლელებზე“ შევაჩერე.

რატომ?

- იმიტომ, რომ მთავარი პერსონაჟები ჩემი მოსწავლეების თანატოლები – 13-14 წლის ბავშვები არიან;
- იმიტომ, რომ წიგნი გვიამბობს სასკოლო ცხოვრებაზე, მოსწავლეებისა და მასწავლებლების, მეგობრების, ოჯახის წევრების ურთიერთობაზე;
- იმიტომ, რომ ვინც არ უნდა წაიკითხოს, საკუთარი თავის პოვნას შეძლებს წიგნში.
- იმიტომ, რომ პასუხი ანოტაციაში წერია და მეც ვეთანხმები: „რა სურთ მოზარდებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, რადგან ხშირად თავადაც ვერ ხვდებიან, რა უნდათ სინამდვილეში, თუმცა ერთი რამ ზუსტად იციან – უნდათ, რომ მათ აზრს პატივი სცენ, რომ გარშემომყოფებმა მოუსმინონ, თანაუგრძნონ, ხანდახან კი უბრალოდ მიიღონ ისეთები, როგორებიც არიან. ეს წიგნიც სწორედ ამაზეა და მისი წაკითხვის შემდეგ მეგობრები, მშობლები და შვილები, მასწავლებლები და მოსწავლეები ცოტა უფრო უკეთ გაუგებენ ერთმანეთს“.
- კიდევ იმიტომ, რომ ვიდრე არდადეგებზე წასაკითხ წიგნს წარვადგენდი, მწერალს მივწერე და ვთხოვე, ვკითხე, შეძლებდა თუ არა მკითხველებთან შეხვედრას. მისი თანხმობა სიხარულით შევატყობინე მოსწავლეებს. ჩვენმა სამკითხველო პრაქტიკამ არაერთხელ დამარწმუნა, რომ ავტორთან შეხვედრის მოლოდინი საოცრად უმაღლებს კითხვის მოტივაციას ბავშვებს.
- კიდევ ბევრი იმიტომ არსებობს...

„საშლელების“ კითხვა, გარდა ბავშვებისა, შევთავაზე ჩემი მოსწავლეების მშობლებს, ასევე, კითხვაში „გამოვიწვიე“ კოლეგები. ეს ადრეც გვიცდია და არაჩვეულებრივი აღმოჩნდა. შეთავაზების დღესვე წიგნის წაკითხვის სურვილი გამოთქვეს დამრიგებლებმა, ინგლისურის, მათემატიკის, ისტორიის, ბიოლოგიის, ხელოვნების მასწავლებლებმა. დარწმუნებული ვარ, მსურველების რაოდენობა გაიზრდება. 2 დღის შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უკვე წაკითხულიც ჰქონდათ.

„საშლელები“ საინტერესო და, ამასთანავე, საჭირო რესურსია კომპლექსური დავალებების მოსაფიქრებლად, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩასატარებლად, სხვადასხვა კომპეტენციის განსავითარებლად. გაგიზიარებთ რამდენიმე იდეას:

1. „საშლელებში“ მხატვრული ლიტერატურის კითხვის თემა აქტუალურია, იგი ახალი წიგნებით დაინტერესების ერთგვარი საშუალებაცაა. ავტორი ახსენებს სხვადასხვა წიგნს:

- „გრძელფეხება მამილო“;
- მარტოობის ასი წელიწადი“;
- „მაწანწალა რასმუსი“;
- „ნუ მოკლავ ჯაფარას“;
- „თამაში ჭვავის ყანაში“;
- „ჯეინ ეარი“;
- „ტუვა გრიმერდალიდან“;
- „საიდუმლო ბაღი“.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ვთხოვთ, კითხვის პროცესში ამოიწერონ წიგნის ყველა სათაური, რომლებიც ტექსტში შეხვდებათ; შემდეგ მოიძიონ მცირე ინფორმაცია ამ წიგნებზე, ვინ არის ავტორი, სად დაიწერა, გაეცნონ ანოტაციებს და, საბოლოოდ, დაასახელონ, რომლის წაკითხვას ისურვებდნენ. შეგვიძლია არჩევნებიც მოვაწყოთ და ხმათა უმრავლესობით შევარჩიოთ კლასის საკითხავი.

2. „საშლელების“ ერთ-ერთი მთავარი თემა მოზარდის ოჯახის წევრებთან ურთიერთობაა. ყოველდღიურობის ფერხულში ჩაბმულ მშობლებს ხშირად გვავიწყდება მთავარი – ემოციური კავშირი შვილებთან. ეს წიგნი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ არა მხოლოდ საკუთარ შეცდომებს გვაპოვნინებს, არამედ იმაშიც დაგვარწმუნებს, რომ შეცდომა ყველას მოსდის და გამოსავალიც ყოველთვის არსებობს, მთავარია, ვაღიაროთ, რომ შეგვეშალა და მერე დავიწყოთ გამოსავლის ძიება.

შეგვიძლია, ეს სამი ამონარიდი (ამონარიდებს საჭიროებისა და გემოვნების გათვალისწინებით შევარჩევთ) დაფაზე დავწეროთ და მოსწავლეებს პრობლემების გაანალიზება, კომენტარების დაწერა ვთხოვოთ:

„კოსტამაც არაფერი იცის დედაზე, მე კი მამაზე. მამამ არ იცის, სინამდვილეში როგორი ვარ მე და მგონი, მამამ არც ის იცის, რა ხდება დედას ცხოვრებაში სახლის მიღმა. ხშირად მიფიქრია, ვიღაც ხომ უნდა იყოს, ვინც ყველას გვიცნობს? მგონი, ასეთი მარტო ღმერთია”.

„რა ძნელია, მუდმივად უსმინო ჩხუბს, ყვირილსა და ტირილს იმიტომ, რომ შენი მშობლები ერთმანეთს შორდებიან, შენ კი უბრალოდ დაგივიწყეს. მათთვის მხოლოდ მათი პრობლემები არსებობს, შენ კი ხელს უშლი!“

„მშობლებს ხანდახან წამოუვლით ხოლმე და ერთბაშად მოუნდებათ ყველაფრის გაგება, რაც გამოტოვეს. არადა, თუ ერთხელ ჩამორჩი, მერე ეს არც ისე მარტივი საქმეა“.

ალბათ, ხვდებით, ეს ამონარიდები რამდენი პატარა ადამიანის სათქმელს იტევს. დიდი ადამიანების საფიქრალსაც. ამაზე წერა, მით უმეტეს – ხმის ამოღება ძალიან უჭირთ ბავშვებს. მაგრამ მასწავლებლის მოვალეობა სწორედ ეს მგონია, მოუსმინოს მათ, წაიკითხოს მათი ნაწერები და გაუჩინოს იმედი, რომ პრობლემა მოგვარდება, მერე კი ასწავლოს, როგორ გაიკეთონ ეს.

3. სიუჟეტის მიხედვით, მერვე კლასის მოსწავლეებს მასწავლებელი გაკვეთილზე ქართულ ფილმს აჩვენებს. აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი ბავშვისთვის ეს ცხოვრებაში ნანახი პირველი ქართული ფილმია. ალბათ, მიხვდებით, რომ ეს პასაჟი ტექსტში შემთხვევით არ გაჩენილა. თანამედროვე ბავშვების ნაწილი არ იცნობს ქართულ კინემატოგრაფიას.

   წიგნის წაკითხვის შემდეგ შეგვიძლია იმავე ფილმის ჩვენება დავგეგმოთ, რომელსაც პერსონაჟები უყურებენ, თუ ჩვენი მოსწავლეებისათვის ის კინო ნაცნობი იქნება, ერთი გაკვეთილი ქართულ ფილმებს მივუძღვნათ. შეგვიძლია, მოსწავლეებს საყვარელი ქართული ფილმის შესახებ პრეზენტაციის მომზადება ვთხოვოთ, ჩვენც მოვამზადოთ. ვინ იცის, იქნებ ამ გზით ისინი კიდევ უფრო დავაინტერესოთ.

4. აღსანიშნავია, რომ მწერალს უყურადღებოდ არ რჩება ოკუპაციის თემა:

   „ბათას დედა სოხუმელია, იმ ქალაქიდანაა, რომელიც წლების წინ ჩვენს ქვეყანას წაართვეს და არ უბრუნებენ. სიმართლე რომ ვთქვა, ამ ამბების ბევრი არაფერი გამეგება, მარტო ის ვიცი, ბებია რასაც ჰყვებოდა: რომ ერთ დღესაც ჩვენი მიწა წაგვართვეს და იქ მცხოვრები ადამიანები გამოყარეს“.

თითქოს, ყველამ ყველაფერი იცის აფხაზეთზე, ოკუპანტზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება – ბევრი არაფერი. კარგი იქნებოდა, მოსწავლეებისთვის ასეთი დავალება მიგვეცა – ინტერვიუ აეღოთ ოჯახის წევრებისაგან საქართველოს ოკუპაციაზე, დაედგინათ, თუ ჰყავთ სანაცნობოში დევნილი, მისი ისტორია მოესმინათ და ასე შემდეგ, მერე კი კლასში ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ. აფხაზეთზე ფოტომასალის მოძიებას თუ ვთხოვთ, ესეც სხვაგვარად დაამახსოვრებს მოსწავლეებს ჩვენს დაკარგულ/წართმეულ მიწას.

5. წიგნში შეგხვდებათ ისეთი ფრაგმენტები, რომელთა გააზრება და განხილვა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა როგორც ეკოლოგიური წიგნიერების, ისე სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარებას, მაგალითად:
   - სიმწვანის ნაკლებობა თბილისში;
   - ბათუმში აშენებული უზარმაზარი კორპუსები და ხიბლდაკარგული ქალაქი;
   - სკოლების მოუწესრიგებელი საპირფარეშოები;
   - ქალაქის ავტობუსებით გადაადგილების პრობლემა;
   - ექსკურსიების შედეგად (და არამარტო) დანაგვიანებული გარემო;
   - მიტოვებული სოფლები;
   - თანატოლთა ჩაგვრა, ოჯახური ძალადობა.

   ეს პრობლემები ისე ფაქიზად და სადად არის გაჟღერებული პერსონაჟთა ფიქრებსა და მეტყველებაში, რომ შეუძლებელია, არ აგეკვიატოს. ამ საკითხებზე ბავშვების დაფიქრება კი სასიცოცხლო მნიშვნელობის მგონია, რათა საზოგადოების ცნობიერება გაჯანსაღდეს. ნებისმიერი ეპიზოდი შეგვიძლია ვაქციოთ დისკუსიის თემად, მერე კი მოსწავლეებს ვთხოვოთ, შეადარონ წაკითხული რეალურ ცხოვრებას, იპოვონ მსგავსება და განსხვავება. ასე ტრანსფერის უნარსაც გამოვუმუშავებთ და იმასაც მივახვედრებთ, როგორ გაითვალისწინონ წაკითხული თავიანთ ყოველდღიურობაში.

6. განსაკუთრებულად რამაც გამახარა, ინკლუზიური განათლების ცნების გაჟღერება იყო და იმის ჩვენება, რამდენად საჭიროა არაფორმალური განათლება. რამდენიმე წელია, ლიტერატურულ კლუბს ვხელმძღვანელობ

და ყოველი დღე მარწმუნებს, რა კარგი იდეა იყო წლების წინ მისი დაარსება.

„საშლელებში“ ერთი ლიტერატურული კლუბის ისტორიას გაეცნობით, რომლის საუკეთესო შეფასება 13 წლის პერსონაჟის სიტყვებია: „რაც კლუბში დავიწყე სიარული, მგონი, უფრო თავდაჯერებული გავხდი“. ცხადია, XXI საუკუნის ბავშვებს მხოლოდ ფორმალური საგანმანათლებლო სივრცე აღარ იზიდავთ, ამიტომაც არ გამკვირვებია, რომ წიგნის გმირებს კლუბი ძალიან შეუყვარდათ, კლასის დამრიგებელსა და მოსწავლეს შორის კი ასეთი დიალოგი გაიმართა:

„– თურმე, კლუბი მშვენივრად მუშაობს. უამრავი ბავშვი ჩაეწერა ახალ ჯგუფში.

- იმიტომ, რომ იქ სხვანაირი დავალებებია, – ვთქვი მე.
- სხვანაირი?
- ჰო, დავალებები კი არაა, უფრო გასართობია, კითხვა, წერა, პრეზენტაციების მომზადება. ამიტომაც მოგვწონს.
- იმიტომ ჰქვია კლუბი და არა გაკვეთილი, – თეა მასს ხმა შეეცვალა, – მაპატიე, მაგრამ მე პირადად გაკვეთილზე ნამდვილად ვერ გაგართობთ, უნდა გასწავლოთ.
- ჰო, მაგრამ იქაც ვსწავლობთ...“

ეს დიალოგი როცა წავიკითხე, მეგონა, რომ ჩემზე დაწერეს. წლების წინ ჩემთვისაც უთქვამთ ეს და თანაც არაერთხელ. სამწუხაროდ, ჩემი ბევრი კოლეგა დღემდე მიიჩნევს, რომ საკლუბო მუშაობა, თამაშით სწავლება, ინოვაციური მეთოდების გამოყენება გაკვეთილებზე „გართობაა“, სინამდვილეში კი ბავშვს თუ სიამოვნებს, მაშინ ყველაზე კარგად სწავლობს.

შეგვიძლია, მარტივი ექსპერიმენტი წამოვიწყოთ, ჩავატაროთ გამოკითხვა და დავადგინოთ, რა ტიპის დავალებები მოსწონთ ჩვენს მოსწავლეებს, რისი წერა სიამოვნებთ, მერე კი გავითვალისწინოთ მათი სურვილები და შედეგი გარდაუვალია – სწავლა-სწავლების ხარისხი გაუმჯობესდება.

იდეების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელო. მე და ჩემმა კოლეგებმა უკვე ინტეგრირებული დავალებებიც მოვიფიქრეთ. ინგლისურის

გაკვეთილზე მოსწავლეებს ერთ-ერთი თავის თარგმნას შევთავაზებთ – ვფიქრობთ, ეს იყოს ტექსტი ბათუმზე, ან თავად შევარჩევინებთ, ხელოვნების გაკვეთილზე კი ილუსტრაციების შექმნას ვთხოვთ.

წიგნში კიდევ ბევრ რამეს ამოიკითხავთ, გაიგებთ, როგორია მასწავლებელი დედის შვილობა, რატომ იკეთებს 13 წლის მოზარდი მშობლისგან მალულად აკრძალულ ქამარს და როგორ ყალიბდება მისი გემოვნება, შეიტყობთ, რატომ დაარქვა ავტორმა ტექსტს „საშლელები".

არ მითქვამს, რომ მწერალი, ამავდროულად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. იგი კარგად იცნობს ქართული საგანმანათლებლო სისტემის როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს. ეს ეტყობა წიგნს. არაა მარტივი, წერო ამ ყველაფერზე, მაგრამ პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი არის სწორედ მათი მოგვარების გზა. ამიტომაც მისასალმებელია ეს გამბედაობა. კიდევ ის, რაც ძალიან მომწონს „საშლელებში", არის ავტორის თვითირონია.

მალე მოულოდნელი არდადეგები დასრულდება. მახარებს იმაზე ფიქრი, რამდენი იდეა გაჩნდება ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, რაღაცებს შევცვლით მშობლებიც, შვილებიც და მასწავლებლებიც, შევცვლით უკეთესობისკენ. ჩატარდება საინტერესო გაკვეთილები, გაიმართება დისკუსიები...

იქამდე კი... გაზაფხულის განწყობა დამიბრუნდა. „საშლელებმა" დამიბრუნა.

ნინო პოპიაშვილი

ონლაინ სწავლების გასაკვალი ბილიკები, ანუ „ისწავლე ყოველი დღისგან!“

ჩემი სტუდენტებისათვის ბევრჯერ დამივალებია, გვემსჯელა თემაზე: „სახლიდან გაუსვლელად“. მაშინ ამას რომანტიკულად ვუყურებდით. ვფიქრობდით, რამდენი რამის გაკეთება იყო შესაძლებელი სახლიდან გაუსვლელად, რას გავაკეთებდით ინტერნეტით და რას ვერ შევძლებდით. ახლა კი ეს რეალობა დადგა მთელ მსოფლიოში.

ონლაინ სწავლებას მრავალმხრივი და ფართო შესაძლებლობები აქვს. ეს არა მხოლოდ მომავლის, არამედ ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი იყო და ახლა, ბოლო დღეებმა, კიდევ უფრო მეტად დაგვაახლოვა ონლაინ სწავლების მეთოდებთან. ამ მეთოდების ნაწილი სრულიად ახალია ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისათვის, ნაწილს კი ადრეც ვიყენებდით სხვადასხვა სასწავლო კურსისათვის.

„ონლაინ სწავლა სახალისოა“. – გვეუბნება ერთ-ერთი ონლაინ პლატფორმის სლოგანი. ინგლისურად: “Online Learning is fun”, გერმანულად: “Onlain Lernen macht Spas”. 2016 წელს ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამერიკაში 90%-ზე მეტი მოსწავლე კმაყოფილია ონლაინ სწავლებით და ფიქრობს, რომ ონლაინ სწავლება ისევე სასარგებლოა, ან უმჯობესია, ვიდრე ტრადიციული სწავლება. წყარო

ბოლო დღეებია, ონლაინ სწავლების პრაქტიკა განსაკუთრებით გააქტიურდა. მასწავლებლები და ლექტორები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, სოციალურ ქსელში გაჩნდა ჯგუფები, რომლის წევრებიც სხვადასხვა პლატფორმასა და მეთოდებზე მსჯელობენ. მეც ერთ-ერთი ჯგუფის წევრი ვარ. ვიღებ ინფორმაციას, ხშირად, ბევრს და სხვადასხვა პრაქტიკიდან გამომდინარეს. მასალებისა და ინფორმაციის ნაწილი ძალზე პერსონალური და ინდივიდუალურია, რაც, მოსალოდნელიც არის. ნაწილი ფართო და ზოგადია. საბოლოო ჯამში, ასეთი რესურსები გვეხმარება პრაქტიკულადაც და მოტივაციის თვალსაზრისითაც, საინტერესო და შინაარსიანი გახდეს ჩვენი გაკვეთილები და ლექციები.

უნივერსიტეტები ქმნიან ან აახლებენ ელექტრონულ პლატფორმებს, იქმნება ელექტრონული რესურსები, დასაწყისში გამოჩნდა ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები, რაც სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზიდან მომდინარეობს, თუმცა იქმნება ელექტრონული მასალები, რაც მომავალში კიდევ უფრო სასარგებლო იქნება სწავლებისათვის. შეიქმნება კურსების ელექტრონული ვერსიები, რიდერები, რესურსები, სალექციო კურსები, სასწავლო კურსების ელექტრონული გზამკვლევები, რომლებიც სხვა დროსაც გამოადგებათ სტუდენტებს. ლექტორები წერენ ვიდეო ლექციებს, რომლებიც შემდეგშიც სასარგებლო რესურსი იქნება. გააქტიურდა აქამდე პასიურად არსებული ელექტრონული ბიბლიოთეკები. დამატებითი რესურსები და მასალები ცოდნის გაღრმავებას შეუწყობს ხელს და მჯერა, რომ ამ უნარების განვითარება გაამდიდრებს ჩვენს საგანმანათლებლო ბაზას.

სკოლებში ამუშავდა აქამდე დაუტესტავი ონლაინ პლატფორმა, რომელსაც მრავალი ხარვეზი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, პედაგოგები ცდილობენ, სხვადასხვა საშუალებებით გამოძებნონ სწავლების შესაძლებლობები.

სირთულეები ჩნდება მაღალმთიან რეგიონებში, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სივრცე ონლაინ პლატფორმაზე გადავიდა. როგორც ყოველთვის, ყველაფერი ინდივიდუალურ ჭრილში უფრო თვალსაჩინოა. პედაგოგების ნაწილი სხვადასხვა გზით ცდილობს სწავლების ონლაინ მეთოდებით მუშაობას, ზოგი მხოლოდ დავალებებს აგზავნის. მიუხედავად ამისა, მაინც პოზიტიურია ეს ცვლილებები. ჩანს საერთო მობილიზაცია, ელექტრონული სწავლების სახით გამოჩნდა გამოსავალი და ალტერნატივა. ყველანი მობილიზებულები ვართ: სკოლებიც, უნივერსიტეტებიც, მასწავლებლებიც, ლექტორებიც, მოსწავლეებიც, სტუდენტებიც და მშობლებიც.

მიუხედავად ასეთი აქტიურობისა, ჩვენ ონლაინ სწავლების ბილიკებს ვკვალავთ და ზოგ შემთხვევაში გარკვეულ პრობლემებსაც ვაწყდებით.

ტექნიკურ პრობლემებთან ერთად ონლაინ სწავლების პროცესში რამდენიმე დამატებითი შეკითხვა გაჩნდა.

როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც სახლში ორი, სამი, ან მეტი ბავშვია და მათი ონლაინ გაკვეთილები პარალელურად მიმდინარეობს? ეს პრობლემა განსაკუთრებით მტკივნეულია, თუ ბავშვები დაწყებით კლასებში, ან საბაზო სკოლაში სწავლობენ, არ აქვთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები, დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ რეგისტრაციას, ვერ ერთვებიან ყველა გაკვეთილს, ვერ ახერხებენ მიკროფონში საუბარს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში მშობელიც ეს-

წრება გაკვეთილს, ეხმარება ტექნიკურად, შინაარსობრივ ნაწილშიც მონაწილეობს, ინიშნავს დავალებებს და სხვა, მაგრამ ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება, თუ ოჯახში რამდენიმე ბავშვია. ტექნიკურ ხარვეზებთან ერთად: ჩართვებისა და გათიშვის, რეგისტრაციის გავლისა და სხვა ტექნიკური შეფერხებების გარდა, ეს პრობლემები და მშობლების ჩართულობა დამატებითი კომპონენტია, რომელიც აქამდე ნაკლებად ჩანდა. ამას ემატება კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობა ოჯახში, ონლაინ გაკვეთილების დროს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამუშაო სივრცის ნაკლებობა. რეალურად ხომ შეიძლება, ბავშვები სხვადასხვა კლასში იყვნენ, რაც დამატებით სამუშაო სივრცეებს მოითხოვს და რთულია, ოჯახმა ეს სრულიად უზრუნველყოს.

შეიცვალა სასწავლო პარადიგმაც. ტრადიციულად, საშინაო დავალება მოჰქონდათ მოსწავლეებს, კომუნიკაცია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის იყო უშუალო. მოსწავლემ, უმრავლეს შემთხვევაში, კარგად იცოდა, რა ჰქონდა დავალებად და როგორ უნდა შეესრულებინა. ამჟამად კი, მასწავლებლების მიერ სხვადასხვა ჩათების, სოციალური ქსელების დახმარებით გამოგზავნილი დავალებები უნდა გადასცენ მშობლებმა მოსწავლეებს. ასევე, მშობლების დახმარებით უნდა მოხდეს მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებების გადაცემა მასწავლებლებისთვის. და თუ მანამდე არსებული სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მასწავლებელი – მოსწავლე – (მშობელი) – მოსწავლე – მასწავლებელი

ამჟამად სქემა ასეთია:

მასწავლებელი – მშობელი – მოსწავლე – მშობელი – მასწავლებელი.

გაკვეთილის არატრადიციულობა მასწავლებელსაც უქმნის პრობლემებს და მოსწავლეებსაც. ზოგი დავალება ცალკე სამუშაოს გულისხმობს, როგორებიცაა დამატებითი დავალების, მასალების დარიგება. თუ ყველაფერი ინტერნეტშია, მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ დავალებები კომპიუტერში, ან ამობეჭდონ და ისე შეავსონ, ამასაც თავისი სირთულეები ახლავსა. მშობლების ჩართულობა აქაც საჭიროა.

როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც სახლში რამდენიმე ბავშვია, კომპიუტერისა და საოფისე პროგრამების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარეშე და

მშობელი, რომელიც ასევე პედაგოგია, მასწავლებელი ან ლექტორი და მასაც იმ დროს უწევს ვიდეო გაკვეთილების, ან ვიდე ოლექციების ჩატარება, როცა შვილებს აქვთ ონლაინ გაკვეთილები? ჩვენი ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. დაგეგმილი და დალაგებული სემესტრი უცებ იცვლება და ახალ რეალობას ახალ-ახალი მოულოდნელობები მოაქვს. როგორც რომაელები ამბობდნენ: „დღე დღის მასწავლებელია“ – “dies diem docet”.

ჩემი აზრით, დღეს ჩვენი სლოგანი ასეთია: „ისწავლე ყოველი დღისგან!“.

ონლაინ სწავლების ბილიკები გასაკვალია. მეც ამ ბილიკებს მივუყვები.

ბაია მაჩიტიძე

რა შეიძლება გამოვიყენოთ დისტანციური სწავლებისას მოსწავლის წახალისებისთვის

სწავლა-სწავლება მუდმივი დაკვირვებისა და დროული რეაგირების მოწესრიგებული პროცესია. ამ პროცესში დიდია განმავითარებელი შეფასების როლი. განმავითარებელი შეფასება კი კონსტრუქციულ უკუკავშირს გულისხმობს. კონსტრუქციული უკუკავშირი არის რეაგირება იმაზე, თუ როგორ ასრულებს მოსწავლე დავალებას და როგორ იყენებს ცოდნას. როგორც წესი, უკუკავშირს ზეპირი ან წერილობითი კომენტარის სახე აქვს და მოიცავს შეფასებას, წახალისებას და რჩევას. კომენტართან ერთად, დაწყებით კლასებში ძალიან ბევრი მასწავლებელი იყენებს წამახალისებელ აღნიშვნებს. ახლა, როცა კონტაქტური საკლასო გარემო დროებით დისტანციურმა სწავლებამ ჩაანაცვლა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელია მოსწავლის წახალისებაზე, მოტივაციასა და ჩართულობაზე ვიზრუნოთ.

დამეთანხმებით, რომ საკმაოდ რთულია სახლიდან მართო ეს პროცესი. მასწავლებლები რთული გამოწვევის წინაშე დავდექით, ამიტომ კოლეგების რჩევები და გამოცდილების გაზიარება, ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია.

სწორედ ამ მიზნით, მინდა გაგიზიაროთ წამახალისებელი ვიდეო რგოლები, მომზადებული ფაილები, რომელთა გამოყენება პედაგოგისთვის მოსახერხებელია. მასწვლებელს თავადაც შეუძლია შექმნას მსგავსი რესურსები და ამით მოსწავლის დაინტერესება უფრო გაზარდოს. ციფრული ინსტრუმენტები საკმაოდ მოქნილია ამ ფაილების გაგზავნის კუთხით. აქვე გაგაცნობთ, როგორ შექმნათ მსგავსი ვიდეო. PowerPoint-ში მოამზადებთ 2-ან 3- სლაიდს. წინასწარ შეგიძლიათ გადმოწეროთ სხვადასხვა ვებ-გვერდიდან მოძრავი სურათები, მიანიჭოთ მას სხვადასხვა ეფექტი, გაუკეთოთ წარწერა და მოამზადოთ. როგორ ვაქციოთ ვიდეოდ? ფაილის შესანახად ირჩევთ Save as და ჩამონათვალიდან აირჩევთ MPG-4Video, ვიდეოდ შენახვის შემდეგ კი მიეცით Save ბრძანება.



მომზადებული სლაიდები იქცევა ვიდეოდ . ვიდეოს ნიმუში . ვიდეოები კი უკუკავშირთან ერთად შეგიძლიათ გაუგზავნოთ მოსწავლეებს და ერთგვარი პოზიტიური განწყობა შექმნათ. ვიდეოების გაგზავნა მარტივი პროცედურაა. თუმცა PowerPoint-ში მომზადებული სლაიდის გაგზავნაც ასევე შესაძლებელია და საკმაოდ ეფექტურია.

მინდა გაგიზიაროთ ბლოგი, სადაც უკვე მზა ნიმუშებია განთავსებული, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ და სასწავლო პროცესში გამოიყენოთ.

განსაკუთრებით ახლა, დისტანციური სწავლების პროცესში, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს სჭირდებათ დახმარება, წახალისება, ეფექტური უკუკავშირი, რათა მათ შეძლონ ამ ტიპის სწავლა-სწავლების პროცესში ადაპტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“
http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf

რა უპირატესობა აქვს ციფრული რესურსების მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში

მასწავლებელმა მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი, საინტერესო და სასიამოვნო სასწავლო გარემო უნდა შექმნას, თანამედროვე განათლების სისტემა ტექნოლოგიების მიზანმიმართულ გამოყენების მეტ შესაძლებლობას აძლევს მოსწავლესა და მასწავლებელს, რაც საგანმანათლებლო პროცესს უფრო ხელმისაწვდომს ხდის.

აღსანიშნავია, რომ „ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. კერძოდ, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება“.

აღნიშნულიდან გამომდინარე მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეთა ციფრული მოქალაქეობის განვითარებაზე სწავლების დაწყებითი საფეხურიდან.

სასწავლო პროცესში ციფრული რესურსების გამოყენების უპირატესობა თვალნათელია, თუ მას გამოვიყენებთ მიზნობრივად, მოვარგებთ გაკვეთილის სასწავლო მიზანსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. კერძოდ, კომუნიკაციის სიმარტივე, მრავალფეროვანი ეფექტები, ყურადღების კონცენტრაცია და მობილიზება, მოსწავლის დაინტერესება, მოსწავლის გააქტიურება, მოტივაციის ამაღლება, სსსმ მოსწავლის ჩართულობის გაზრდა და ა. შ.

მრავალი საინტერესო აქტივობა შეიძლება მოიფიქროს მასწავლებელმა ამ კომპეტენციის განვითარებისათვის, ერთ-ერთი გახლავთ ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

პროექტი „ციფრული სკოლა – საქართველო“ ჩემთვის ძალიან საინტერესო პროექტი აღმოჩნდა. მან საშუალება მომცა გავცნობოდი სხვადასხვა ციფრულ ინსტრუმენტს და საგაკვეთილო პროცესში ეფექტურად გამომეყენებინა კიდეც.

მინდა გაგაცნოთ ონლაინ ინტერაქტიული თამაშის ვებ-გვერდი kahoot.com, რომლის გამოყენებით დაგეგმილი გაკვეთილების სიხშირემ და სისტემატურობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კერძოდ, მოსწავლეები ხალისით სწავლობდნენ ამა თუ იმ საკითხს, თუ ელოდნენ თამაშს, რომელიც ამ საკითხის ცოდნის ირგვლივ იქნებოდა აგებული. გარდა ამისა, ცოდნასთან ერთად, ასეთი გაკვეთილები, მოსწავლეებში ყურადღების მობილიზებას უწყობს ხელს და სწრაფი რეაგირების უნარსაც ავითარებს.

ვებ-გვერდზე პირადი მონაცემების რეგისტრაციის შემდეგ მასწავლებელს საშუალება აქვს შექმნას თამაშები და გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესში.

თამაშისთვის აუცილებელია: პროექტორი, კომპიუტერი, გამართული ინტერნეტი, მოსწავლეებისთვის კომპიუტერები ან ტელეფონები.

მასწავლებელი წინასწარ ქმნის სავარჯიშოებს, შემდეგ კი გაკვეთილზე იყენებს სასწავლო მიზნიდან გამომდინარე. საკლასო ოთახში, ვებ-გვერდის მეშვეობით, მასწავლებელი უზიარებს მოსწავლეებს ტესტს. პროექტორით გაშუქებულ ეკრანზე ჩნდება შექმნილი ტესტი, მოსწავლეები აკვირდებიან და ნიშნავენ ბუკში ან ტელეფონში შესაბამის სწორ პასუხს. ტესტის დასრულების შემდეგ ეკრანზე ჩნდება მოსწავლეთა რეიტინგი. დიდი ემოციები გამოიწვია მეორე კლასში ამ ინტერაქტიულმა თამაშმა.

პირველი ტესტირება „kahoot-ის“ გამოყენებით:

მეორე კლასში ე.წ „ბუკის დღე“ იყო. ამ დღეს ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა ბუკის მოტანა.

გაკვეთილი დაიწყო. მოსწავლეებს ვთხოვე, ყურადღებით ენახათ ვიდეო, რომელიც სპეციალურად მოვამზადე მათთვის. ვიდეომ პირველი შთაბეჭდილება მოახდინა.

– მასწ, ციფრული რესურსი რა არის? -იკითხეს გაკვირვებით.

– ციფრები ვიცით, მასწ!

რეაქციას ველოდი. ავუხსენი რაც იყო.

– ეს ვიდეო როგორ შექმენით, მასწ?

– თქვენც შექმნით, მაგრამ სანამ იქამდე მივალთ, თქვენ ციფრული ნაბიჯებით უნდა იაროთ წინ, ისწავლოთ ტექნოლოგიების სწორად გამოყენება. დღეს გაგაცნობთ საინტერესო თამაშს.

ტესტირების პროცესში გამოჩენილმა ემოციებმა მოლოდინს გადააჭარბა.

მოკლე ხანში მივიღეთ შედეგი:

- მოსწავლეებში ციფრული წიგნიერების უნარის განვითარება;
- მოტივაციის ამაღლება;
- ყურადღების მობილიზება;
- ხალისიანი სასწავლო გარემო;
- მოსწავლეთა რეაგირების უნარის გაუმჯობესება;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა – http://ncp.ge/
2. ვებ-გვერდი „ციფრული სკოლა საქართველო“ https://dgturn.wordpress.com/

მაია მენაბდე

„ვეფხისტყაოსანი“ უჩვეულო არდადეგების ჟამს

ეს უჩვეულო არდადეგები რომ დაიწყო, თავიდან კი მესიამოვნა, მაგრამ მერე ნელ – ნელა შემომიჩნდა მოვალეობების მახრა და არ შემარგო.

„ვეფხისტყაოსანს“ ყოველთვის ბოლოს ვიტოვებ ხოლმე, რომ უფრო გულდადებულად შევისწავლოთ. ახლაც ასე ვგეგმავდით და ამ იძულებითმა არდადეგებმაც მოგვისწრო.

ამას ისიც დაერთო, რომ ყოფილი მოსწავლე მწერს, „ვეფხისტყაოსნის“ ხელმეორედ კითხვას ვიწყებ და ხომ ხართ მზადო.

ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლა-სწავლება სავალდებულო და საპროგრამო საქმე კი არა, ცხოვრებისეული ამოცანა მგონია და ზუსტად ასე მივწერე ჩემს მოსწავლეებს იმ ახალშექმნილ ფეისბუქ-ჯგუფში, „მეათეკლასელები და „ვეფხისტყაოსანი“ რომ დავარქვი და საყოველთაო გადინსტანციურსწავლებამდე დავიწყეთ.

მოსწავლეებს დავავალე, შეექმნათ „ვეფხისტყაოსნის“ დღიურები“ (ტრადიციულად, ფურცელზე ან ელექტრონულად), რომლებშიც ჩაწერდნენ ყველა წერილობით დავალებას, თავიანთ შთაბეჭდილებებსაც, გააკეთებდნენ თემატურ ჩანახატებს ... მინდოდა, რომ ეს დღიურები ყოფილიყო მათი არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის, არამედ „ვეფხისტყაოსანთან“ ემოციური კავშირის გამომხატველი, თავიდან მარტივი სქემით დავიწყე, რომელიც თითქმის ყველა კლასისთვის საინტერესო აღმოჩნდა. ჩავთვალე, რომ არც მეათეებისთვის იქნებოდა ურიგო და არც შევმცდარვარ.

აფორიზმი (ჩაწერე ბრძნული გამონათქვამი, რომელიც „ვეფხისტყაოსნიდანაა“, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენ ის ზეპირად გახსოვს)	
უფროსების დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანთან“	**შენი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანთან“**
(გამოკითხე ოჯახის წევრები, ალაპარაკე, რას ფიქრობენ „ვეფხისტყაოსანზე“ და მერე მათი ნათქვამი შენი სიტყვებით გადაიტანე ცხრილში)	(გაქვს თუ არა ნასწავლი რომელიმე ნაწყვეტი, როგორია შენი შთაბეჭდილება, გაგიჭირდა თუ არა მისის სწავლა, მოგეწონა თუ არა – დაწერე გულწრფელად)

„ვეფხისტყაოსანი“ ჰოლივუდში რომ გადაეღოთ...	მოიძიე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნებისმიერი ილუსტრაცია და აღწერე
(წარმოიდგინე, როგორი ფილმი გამოვიდოდა, რომელი მსახიობი წარმოგიდგენია თითოეულის როლში, როგორ შეხვდებოდა მსოფლიო ამ ფილმს, რას მოუტანდა საქართველოსა და ქართველებს)	(ისე უნდა აღწერო, რომ მკითხველს თვალწინ დაუდგეს ნახატი: ყურადღება მიაქციე ფერებს, ცენტრალურ ფიგურებს, ფონს, დეტალებს...)

ზოგადად, ერთი და იმავე რესურსის გამოყენება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მასწავლებელს კარგად აჩვენებს, რამდენად განსხვავდება მოსწავლეთა დამოკიდებულებები, მისწრაფებები, პრობლემები ასაკის მატებასთან ერთად და ამ სქემამაც ეს ფუნქცია ძალიან კარგად შეასრულა: თურმე ძალიან მნიშვნელოვანი აფორიზმები დამახსოვრებიათ; თურმე „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებას უტოპიურად საერთოდაც არ თვლიან და მარკეტინგულადაც კი გათვალეს, რამდენად მომგებიანი იქნებოდა ქართული კულტურისა და ფილმის შემქმნელებისთვის. რომ მეგონა, მხოლოდ სირთულესთან ასოცირდებოდა მათთვის „ვეფხისტყაოსანი“, თურმე შევმცდარვარ და ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სწავლას, ამბებად მოთხრობას, პარალელების გავლებას ტყუილად სულაც არ ჩაუვლია და მათთვის უკვე კონკრეტული სული და ხორცი შეუსხამს ამ უცნაურად ყოვლისმომცველ წიგნს.

მეორე დავალება ჩავთვალე, რომ ნაწარმოების ისტორიულ კონტექსტს უნდა დაკავშირებოდა. ამიტომაც დავდე ჯგუფში ლევან ბერძენიშვილის ნახევრასაათიანი ლექციის, „რუსთაველი და ისტორიის“, ლინკი:

https://www.youtube.com/watch?time_continue=384&v=rzpi2Wp_Scg& feature =emb_logo

დავალება N2:

ნაწარმოების სრულყოფილად გასაგებად აუცილებელია მისი კონტექსტის ცოდნა (როგორ და რომელ ეპოქაში დაიწერა, რატომ დაიწერა...). სწორედ ეპოქას უკავშირდება ლიტერატორ ლევან ბერძენიშვილის ვიდეო, რომელიც უნდა მოისმინოთ და დაახარისხოთ მოსმენილი ინფორმაცია შემდეგი ფორმით:

ა) საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩათვალე;

ბ) საკითხები, რომლებიც პირველად გაიგე;

გ) კითხვები, რომლებიც გაგიჩნდა ლექციის მოსმენისას.

მას შემდეგ, რაც დავალება ყველამ გადმომიგზავნა, მათ შეკითხვებს ვიდეოკონფერენციაზე გავეცი პასუხები.

გადავწყვიტე, რომ ტექსტის შეწავლა პროლოგით არ დაგვეწყო. როსტევანისა და უცხო მოყმის ამბავი მაინც ნაცნობი იყო მათთვის, ადვილად აუღებდნენ ალღოს ჩემ გარეშეც (კომენტარებიანი „ვეფხისტყაოსნის“ დახმარებით), პროლოგს კი გზადაგზა მოვუბრუნდებოდით ნაწილ-ნაწილ შესაბამის თემას დაკავშირებით:

- თინათინის გამეფებასთან ერთად ის მონაკვეთი, თამარსა და დავით სოსლანს რომ ეხება;
- თინათინი რომ ავთანდილს სიყვარულში გამოუტყდება და უცხო მოყმის მოძებნას ავალებს, აქ პროლოგის იმ მონაკვეთს დავუბრუნდებით, რომელშიც მიჯნურობაზე საუბრობს პოეტი;
- ტარიელის სახელსა და ვინაობას რომ გავიგებთ, პროლოგში იმ რამდენიმე სტროფს მივუბრუნდებით ვეფხისტყაოსან რაინდს რომ ეხება („მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“.)

„ვეფხისტყაოსანში“ (მე-12 – მე-13 საუკუნე)		ჩვენს რეალობაში (21-ე საუკუნე)
კრიტერიუმები (პროლოგი, „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“)	ციტატა ტექსტიდან	კრიტერიუმები
ანალიზი – შენი აზრით, რამ განაპირობა ცვლილებები		

- პროლოგის იმ ნაწილს, რომელიც შაირობას ეხება, პოემის შესწავლის შემდეგ განვიხილავთ, რათა გავიაზროთ, როგორი პოეტი აღმოჩნდა თავად რუსთაველი და ზოგადად, პროლოგსაც გავამთლიანებთ. ვფიქრობ, ასე უფრო აღიქვამენ პროლოგს, როგორც ტექსტის განუყოფელ ნაწილს და არა როგორც განყენებულ შესავალს.

მანამდე კი დავალება N3:

მოცემული სამი თავის მიხედვით უნდა მოამზადოთ ვიდეო მონოლოგი როსტევან მეფეზე შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

1. **როსტევანი, როგორც მეფე;**
2. **როსტევანი, როგორც მამა;**
3. **როსტევანი და უცხო მოყმე (როგორ იქცევა, რა თვისებებს ამჟავნებს ამ ეპიზოდში)**

სამივე ასპექტზე საუბრისას უნდა გამოჩნდეს თქვენი კრიტიკული დამოკიდებულება და ანალიტიკური აზროვნების უნარი დეტალებზე დაკვირვებით.

მონოლოგის შეფასების კრიტერიუმებია:

- **საუბრობს სამივე ასპექტზე ამომწურავად;**
- **მსჯელობისას ეყრდნობა ტექტს და ამით ამჟღავნებს თავის ცოდნას;**
- **ჩანს მისი დამოკიდებულება მოცემული საკითხის მიმართ;**
- **საუბრობს გამართულად, არ უშვებს უხეშ შეცდომებს;**
- **იცავს დროის ლიმიტს;**

პირველ სამ თავს რომ დაამუშავებენ (რადგან მუშაობას ვაგრძელებთ და წინ სხვა დავალებები გველის, მომავალ დროში განვაგრძობ წერას), უნდა წავაკითხო ირაკლი ქასრაშვილის მოთხრობა „მონა“, რომელშიც აღწერილია ტარიელის მიერ დახოცილ თორმეტ მონათაგან ერთ-ერთის განცდები. წაიკითხავენ და დაწერენ მოკლე ანალიზს. ყურადღება უნდა გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე (დავალება N4):

- **შენი აზრით, რატომ გაუჩნდა მწერალს ამ მოთხრობის დაწერის სურვილი?**
- **რომელი დეტალებით უკავშირდება მოთხრობა „ვეფხისტყაოსანს“?**
- **რომელი ნიუანსები ხდის ტექსტს ემოციურს?**
- **რაზე დაგაფიქრა ამ მოთხრობამ?**

მორიგ დავალებაში მომდევნო თავს განვიხილავთ და პროლოგის იმ ნაწილს მივუბრუნდებით, მიჯნურობას რომ ეხება. შემდეგ კი მოსწავლეები ავსებენ ქვემოთ მოცემულ ცხრილს (**დავალება N5**):

მიჯნურობის კრიტერიუმები

შემდეგ თავებთან ერთად დავავალებ, თავადვე შექმნან მარტივი ონლაინ თამაშ- თავსატეხები კონკრეტული თავების მიხედვით, რათა, ერთი მხრივ, სწავლების პროცესი სახალისო ელემენტებით შეივსოს და მეორე მხრივ, მოზარდების შემოქმედებით- ანალიტიკური უნარი გააქტიურდეს და გაჯეტებთან ერთიერთობის სხვა ფორმებიც დაინახონ. გამოვავლენთ ყველაზე საინტერესო თამაშის ავტორს.

ტექსტს თანდათან რომ შევყვებით და მნიშვნელოვან ნაწილებს ვიდეოკონფერენციების დახმარებით განვიხილავთ, აუცილებლად წავაკითხებ თანამედროვე ლიტერატორ ლევან გიგინეიშვილის წერილს: „შეუმჩნეველი“ პოლიტიკური ავანტიურა „ ვეფხისტყაოსანში“.

https://www.georoyal.ge/?MTID=1&TID=86&id=2224

ამ საკმაოდ ვრცელი და საინტერესო კრიტიკული წერილიდან ბევრ რაიმეს ისწავლიან მოსწავლეები:

ა) კიდევ ერთხელ გაიაზრებენ, რამდენად მნიშვნელოვანია კონტექსტი ნაწარმოების სწორად გაგებისთვის.
ბ) დარწმუნდებიან, რომ დეტალებზე დაკვირვება ბევრ საფიქრალსა და სააზროვნოს უჩენს მკითხველს;
გ) დაინახავენ, როგორი ამოუწურავი და ბევრისმომცველია ეს ნაწარმოები და რატომ არ კარგავს აქტუალობას კვლავაც.
დ) კრიტიკული აზროვნების აუცილებლობასაც კიდევ ერთხელ გააცნობიერებენ, რადგან არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთონ, რატომ გაიზიარეს ან არ გაიზიარეს მკვლევრის შეხედულებები.

თავად წერილს ორ ნაწილად გავყოფ: **ჯერ სარიდანის გადაწყვეტილება – ტარიელის ამირბარობა – ხატაეთის ომი**, ხოლო შემდეგ **ნესტანის გათხოვების საკითხი და ხვარაზმშას სასტიკი მკვლელობა**.

ასე უფრო გაუადვილდებათ წერილის წაკითხვა, გააზრება და ტექსტთან დაკავშირება.

ჯერჯერობით ესაა უახლოესი გეგმები. არ მავიწყდება, რომ მიუხედავად იძულებითი დასვენებისა, მათ სხვა საგნებშიც აქვთ დავალებები, ამიტომ თითოეული დავალების შესასრულებლად საკმაო დროს ვაძლევ, რომ სულიც მოითქვან, უსაქმურადაც არ იყვნენ და არასასიამოვნო განწყობაც არ გაუჩნდეთ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ.

ვეცდები, შემდგომი აქტივობები სხვა წერილში შემოგთავაზოთ.

განწყობისთვის კი გიტოვებთ მოსწავლეების მიერ შექმნილ მიმებს, რომლებიც ჩემი დავალებების გამოჩენისთანავე გამოხტნენ ჩვენს დახურულ ჯგუფში.

როცა დავალების
დაწერას მორჩი
და იძინებ
Maia Menabde posted in
ნეათეკლასელები
და „ვეფხისტყაოსანი".

მე:
გავაკეთე
დავალება
ახლა უნდა
დავისვენო
დასვენება
დასვენება
Maia Menabde shared a link.
Founding member · 2 mins ·
ახლა კი დავალება N2

თამთა დოლიძე

საშინაო სკოლა და საქართველო

შინ სწავლა განათლების მიღების უძველეს გზას წარმოადგენს. თაობიდან თაობას ცოდნა უმეტესად დედების მხრიდან გადაეცემოდა, ისინი თავიანთ შვილებს ანბანს ასწავლიდნენ და კითხვას აყვარებდნენ. „საშინაო სკოლა“ დღესაც განათლების მიღების ერთ-ერთ ალტერნატიულ მეთოდს წარმოადგენს. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურატურაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში საქართველოში შინ სწავლა-აღზრდის ე.წ. ინსტიტუტი ნამდვილად იყო გავრცელებული. თუმცა ქართლსა და კოლხეთში მხოლოდ წარჩინებულთა შვილებს შეეძლოთ ამ პრივილეგიით სარგებლობა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ შეგროვებულ წყაროებში აღნიშნულია სწავლის დაწყების სავარაუდო პერიოდი (6-7 წელი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ მოღვაწეს სამონასტრო სკოლების განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

ანტიკურ სამყაროში როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური განათლების გადაცემა უმნიშვნელოვანეს და პრესტიჟულ საქმიანობად ითვლებოდა. „სპარტანული აღზრდის“ მეთოდის არსს შესანიშნავად განმარტავს გამონათქვამი – „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. ასევე ანტიკური სამყაროს ნაწილია ფილოსოფიური და რიტორიკული სკოლები, რომლებმაც ინდივიდის და არა მხოლოდ ქვეყნის/ქალაქის საიმედო მცველის აღზრდა დაისახეს პედაგოგიური საქმიანობის მთავარ მიზნად. ეს სკოლები განათლების შედარებით მაღალ საფეხურს წარმოადგენდა და ნიჭიერ და მიზანდასახულ (შეძლებულსაც, რადგან ლექციების კურსს პედაგოგთა უმრავლესობა საკმაოდ ძვირად აფასებდა) ახალგაზრდებს ცოდნის გამდიდრების საშუალებას აძლევდა. მათ განსწავლაზე ზრუნავდნენ პროფესიონალი პედაგოგები, რომლებიც ყველა საგანში სათანადო ცოდნას ფლობდნენ. ამის გამო მათ „სიბრძნის მასწავლებლებად“ მოიხსენიებდნენ. აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ზემოაღნიშნული სკოლების ე.წ. კურდამთავრებულები საზოგადოებაში პრესტიჟულ ადგილს იკავებდნენ და გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. საქართვე-

ლოში რიტორიკული სკოლების არსებობა ისტორიულადაა დადასტურებული. ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის ერთ-ერთ წერილში ნახსენებია ფაზისის „გიმნასიონი“ (III-IV სს), სადაც წერილის ავტორს და მამამისს „რიტორიკული განათლება“ მიუღიათ. აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ფეხს უწყობდა ანტიკური ხანის საგანმანათლებლო გამოწვევებს.

მოგვიანებით განათლებამ ეკლესია-მონასტრების კედლებში გადაინაცვლა. შესაძლოა, იმ დროისათვის განათლების კერების მთავარ მიზნად „მწიგნობარი მსახურის“ აღზრდა მოიაზრებოდა, თუმცა წარჩინებულ ოჯახებთან განათლების გადაცემის მიზნით თანამშრომლობის საჭიროებამ ბევრი სწავლული აღმზრდელად აქცია. იმდროინდელ აკადემიებში, მთავარი საგნების – თეოლოგიისა და ფილოსოფიის გარდა, გრამატიკა, რიტორიკა და ბუნებისმეტყველებაც ისწავლებოდა, რაც სწავლულების სააღმზრდელო საქმიანობას უფრო მრავალფეროვანს ხდიდა. „შატბერდის კრებულის“ (IX-X სს) დახმარებით, უცხო ენების (ებრაული, ბერძნული) შესწავლის პრეცენდენტიც დადასტურებულია.

რაც შეეხება საგანმანათლებლო ხედვებს, იმ დროისათვის სწავლა და აღზრდა ერთ მთლიან, განუყოფელ პროცესად მიიჩნეოდა. ინდივიდის განათლებულ და ღირსეულ მოქალაქედ აღზრდა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი გახლდათ. ამ მიზეზით ბევრი მასწავლებელი/აღმზრდელი თავის მოსწავლესთან კავშირს სიცოცხლის ბოლომდე არ წყვეტდა.

განათლება შედარებით სახალხო, ანუ ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი გარკვეული დროის შემდეგ გახდა. შესაბამისად, ჯგუფური მუშაობის (საკლასო სისტემა) ტენდენცია, როგორც ბიზანტიური სასწავლო მიდგომა, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში XI საუკუნიდან დამკვიდრდა. XVII საუკუნიდან კი საერო განათლებისადმი ინტერესი გაიზარდა და დროთა განმავლობაში იგი სასულიერო განათლებას გაემიჯნა. საგანმანათლებლო სივრცეების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, სამეფო კარზე და ფეოდალთა ოჯახებში „შინ სწავლის“ ტრადიციას მაინც არ ღალატობდნენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დიდგვაროვანთა საზოგადოებაში თვითგანათლებასაც (წიგნებზე „ნადირობა“, შემეცნებითი მოგზაურობა, სადისკუსიო ტიპის შეხვედრები და სხვ.) დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ისტორიული წყაროები განათლების მოსახლეობის ფართო წრეებისთვის გაზიარების პირველ ინიციატორად მეფე-პოეტ არჩილს ასახელებს. ასევე მას

ეკუთვნის იმ დროისთვის საკმაოდ პროგრესული იდეა – „ადვილიდან რთულისკენ თანდათანობით გადასვლის მეთოდით“ სწავლება. შემდეგ იყვნენ კათოლიკე მისიონერები, ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი. სწორედ ვახტანგ მეფის თაოსნობით დაარსებულ თბილისის სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული მეთოდური სახელმძღვანელო. სახელმწიფო სასწავლებლები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაარსდა და ამ გზით სასწავლო პროცესმა სისტემური სახე მიიღო. საგულისხმოა, რომ ამდროინდელი საგანმანათლებლო რეფორმებიც მეფეს (ერეკლე II) უკავშირდებოდა, რაც განათლების პრიორიტეტულობას უფრო მეტად უსვამდა ხაზს.

მალე საქართველოს რუსული პოლიტიკით ნაკარნახევი განათლების სისტემის გამოცდა მოუწია. ისტორიას რომ თავი დავანებოთ, ამ სისტემას შესანიშნავად აღწერს აკაკი წერეთელი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი“, ამ მოთხრობაში და ასევე პოემაში „გამზრდელი“ დეტალური ინფორმაციაა მოცემული, როგორც სახელმწიფო (გიმნაზია), ასევე საშინაო (გაძიძებისა და გამზრდელის ინსტიტუტი) სკოლების შესახებ. **„გამ-დელი, როგორც ოჯახის ერთგული, ნამსახური და მოჭირნახულე, დიდ პატივ-ში იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო საქმეში და ბატონიშვილების გამოზრდაც მის ხელში იყო“.** ***(აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალი“)*** ძველი ტრადიციის თანახმად, მომავალი პოეტი გლეხის ოჯახში იყო გაბარებული და საკუთარ თავზე გამოსცადა ძიძისა და ძიძიშვილების სიყვარული. მანო სადუნიშვილის ღარიბულ ქოხში აკაკიმ შრომის მნიშვნელობისა და ადამიანური სითბოს გაკვეთილები მიიღო. პოეტის მიერ აღწერილი გამზრდელი კი უფრო ანტიკური ხანის „სიბრძნის მასწავლებელს“ მოგვაგონებს, ცხოვრების ბოლომდე რომ მოსწავლის მეგზურია და მისი სირცხვილი საკუთარ დანაშაულად მიაჩნია.

მშობლებთან დაბრუნებულმა აკაკიმ საშინაო სკოლის გაკვეთილებიც მოისმინა და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგა გზას სახაზინო გიმნაზიისკენ. ამ ხანას მომავალი პოეტი, სასწავლებელში გამეფებული „სპარტანული რეჟიმისა“ და სწავლა-აღზრდის სასტიკი მეთოდების გამო, „მტანჯავს, დამჩაგვრელსა და გამაუკუღმართებელს“ უწოდებდა. მასზე ამ მძიმე პერიოდმა იმდენად დიდი კვალი დატოვა, რომ ავტობიოგრაფიული თხზულებაში მოთხრობილი დეტალები არ იკმარა და თავის პედაგოგებს პოემა „გამზრდელი“ მიუძღვნა. დიახ, ეს პოემა, პირველ რიგში, მის პედაგოგებს უნდა წაეკითხათ, რათა გაეხსენებინათ, რომ მათი მოვალეობა მოსწავლის ცხოველივით გაწვრთნა-დამორჩილება კი არა, სამოქალაქო თვითშეგნებითა და პიროვნული ღირსე-

ბებით აღჭურვილი ადამიანების აღზრდა იყო. სარკაზმი და გადაკრული სიტყვა-თქმანი კი იმ იშვიათ იარაღთაგანი გახლდათ, რომლის გამოყენებაც გადარჩენის შანსს უტოვებდა რუსიფიკატორული რეჟიმის მოწინააღმდეგეებს.

გაძიძებისა და გამზრდელ-გაზრდილთა აკაკისეულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საშინაო სკოლა მოიაზრებდა მჭიდრო და ხანგრძლივ ურთიერთობას, როგორც აღზრდილთან, ასევე მის ოჯახთან და ეს ურთიერთობა ორივე მხარეს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა. აკაკის ძალიან კარგად ესმოდა, რომ მარტო წვრთნა საკმარისი არაა და „ბუნება" ადამიანის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს. თუმცა ამ ნიუანსმა აღმზრდელის (ჰაჯი-უსუბი) სინდისი ვერ დაამშვიდა.

ჩემი აზრით, გამზრდელ-გაზრდილის ურთიერთობის ზემოაღნიშნული ნიმუში მაინც ერთი ტრაგედიის სახელით სჯობს განვიხილოთ და არა ზოგად ტენდენციად. აქვე გავიხსენებ განსხვავებულ მაგალითსაც, სადაც აღმზრდელს მოსწავლის შეცდომის გამო სინდისი სულაც არ ქენჯნის, **მეტიც, აღსაზრდელის მხრიდან ღალატს მოსალოდნელ ალბათობად აღიქვამს და უკან დასახევ გზასაც იტოვებს.**

სულხან-საბა ორბელიანი „კატის გაზრდილი ლომი"
https://www.youtube.com/watch?v=c8VFVJE0IwY&feature=emb_logo

სულხან-საბას იგავი აკაკი წერეთელს გაულექსავს. მისი ძებნისას სილქნეტის „საშინაო სკოლის" გაკვეთილების ჩამონათვალში ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ ლალი დათაშვილის გაკვეთილს გადავაწყდი და მინდა, თქვენც გაგიზიაროთ:
https://www.youtube.com/watch?v=80m2jsbvwJo&feature=emb_logo

იგავის მსგავსი ამბავია გადმოცემული ქართულ მულტფილმში „ლომი და კატა"
https://www.youtube.com/watch?v=7dgrSA6kuLk&feature=emb_logo

საბედნიეროდ, აკაკისდროინდელმა საგანმანათლებლო სისტემამ არც თუ ისე დიდხანს იარსება. სასწავლო მეთოდები და მოსწავლე-მასწავლებელთა ურთიერთობები მნიშვნელოვნად განვითარდა და დაიხვეწა. 1817 წელს დაარსდა თბილისის სასულიერო სემინარია, რომელმაც 100 წელი იარსება. პირველად სწორედ ამ სასწავლებლის კედლებში დაიწყეს მასწავლებელთა გადამ-

ზადება და პროფესიული მომზადება. ამას გარდა, სემინარიაში მოსწავლეებს საცხოვრებელი სივრცეც გამოუყვეს, რაც სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის სწავლის აქამდე არარსებულ შესაძლებლობას წარმოადგენდა.

საგანმანათლებლო კერების მომრავლების მიუხედავად, XIX სკ-ის 30-იან წლებშიც აქტიურად სარგებლობდნენ „საშინაო სკოლებით". ამ გზით ვითარდებოდა ინდივიდუალური სწავლების ფორმები, რასაც დღეს არაფორმალურ განათლებას ვუწოდებთ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს განათლების განვითარების თვალსაზრისით შეიძლება „ოქროს ხანაც" კი ვუწოდოთ. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" და მისი თითოეული წევრის საზოგადოებრივი საქმიანობა. პირველი ქართული სკოლა (1880 წ.) ხომ სწორედ მათი წყალობით გაიხსნა! მოძრავი სკოლის (მოხეტიალე მასწავლებელთა ჯგუფი) დაარსების იდეაც ზემოაღნიშნულ საზოგადოებას ეკუთვნის.

ჩვენს ეპოქაში განათლების მნიშვნელობაზე აღარავინ დავობს და არც სკოლების დეფიციტს განვიცდით, თუმცა შინ სწავლის (ე.წ. ჰოუმსქულინგი) მეთოდის მიმდევრებს ახლაც ბევრ ქვეყანაში შეხვდებით. ზოგჯერ გაუთვალისწინებელი შემთხვევა (მაგალითად, ვირუსის აფეთქება) გვაიძულებს დისტანციურ სწავლებაზე არჩევანის გაკეთებას. აქედან გამომდინარე, ზოგადი განათლების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად სასწავლო პროცესის ონლაინ პლატფორმის შექმნა სახელდება.

თათია მთვარელიძე

იზოლაცია ჰომეროსის გარეშე და უჰექსამეტროდ

„არ ვიცი, განგებ წავედი თუ რამ მაიძულა
რომ საკუთარ თავს გავქცეოდი –
ამ ვიწრო და უჟმურ ითაკას,
სავსეს ათასი ქრისტიანული ძმობითა და
დამხრჩვალს საკუთარ და სხვებისგან ნასწავლ ეთიკით“.

დინოს ხრისტიანოპულოსი

ამ საყოველთაო იზოლაციათა, უფრო დრამატული ქართულით რომ ვთქვათ – განკუნძულებათა[1] ჟამს, ადამიანებს სამყარომ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ შეუცვლელად ძვირფასი ერთმანეთისთვის მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთია. ამიტომ ჩვენი ყველაზე უფრო სიღრმისეულად მტანჯველი ინსტიქტისა თუ გარდუვალობის – მარტოობის განსაქარვებლად, ნაცადი და უებარი საშუალება – ლიტერატურა და ხელოვნება გაგვახსენდა მთელი თავისი დიდებულებით. და თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს, ეს უნდა იყოს ამ განსაცდელის ნათელი მხარეც.

რაკი გამონაკლისი არასდროს ვყოფილვარ, მეც ლიტერატურასა და ხელოვნებაზე დილეტანტურ ფიქრებში გამყავს ჩემთვის განკუთვნილი დრო, რომელსაც ფონად სამი ნახატი და რამდენიმე მითი გასდევს. ეს მითები და ნახატები მთელი ცხოვრებაა მიყვარს, მაგრამ მხოლოდ ახლა აღმოვაჩინე, რომ სინამდვილეში მე ვარ მათი პერსონაჟი. აქვე მინდა გახაროთ, რომ ამ მითებისა და ტილოების პერსონაჟები ბრძანდებით თქვენც, ჩემო ძვირფასო მკითხველებო.

არნოლდ ბეკლინი კუნძულების მხატვარია. არა მხოლოდ ამიტომ, მაგრამ სწორედ ამიტომაც მე – ასე მყარად „განკუნძულებულს“ ეს მხატვარი მახსენდება ყველაზე ხშირად. მის ფუნჯს ეკუთვნის ჩემი იზოლაციის ფიქრებით შეფერილ დღეთა პირველი ფონი – 1883 წელს შექმნილი ტილო, სახელწოდებით „ოდისევსი და კალიფსო“.

არნოლდ ბეკლინი გარდა იმისა, რომ კუნძულების მხატვარია, იგი ბერძნული კუნძულების მხატვარიცაა, უფრო სწორად კი იმ მითოლოგიური კუნძულებისა, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის დასაწყისში მდებარეობენ. ამ კუნძულებზე და კიდევ სხვა, უფრო რეალურ კუნძულებზე შემდეგ ეპიზოდში გიამბობთ, აქ კი თხრობა მოგზაურობის ამბით მინდა დავიწყო.

თუ ფიქრობთ, რომ მოგზაურობის თანმდევი იზოლაცია ამ ჩვენი ვირუსული ეპოქის „მონაპოვარია“, მინდა დაგამშვიდოთ და პირველი და ყველაზე დიდი მოგზაურის – ოდისევსის ამბავი შეგახსენოთ:

ჰომეროსის „ოდისეას“ პირველსავე თავში ვკითხულობთ, რომ მაშინ, როდესაც ტროას ომსა და ზღვის ღელვას გადარჩენილი ყველა ბერძენი გმირი მშობლიურ ჭერქვეშ ნეტარებდა, „მარტოოდენ ოდისევსს, სამშობლოსა და მეუღლის მონატრულს, ღრმა მღვიმეში აკავებდა მისი ქმრობის მოწადინე თმამშვენიერი ნიმფა კალიფსო“[2]. სწორედ ამ სიტყვების ამსახველია ნახატი, რომელიც ჩემი იზოლაციის დღეთა პირველ ფონად დავასახელე და თან

გაგიმხილეთ, რომ ზღვისკენ ანუ თავისუფლებისკენ პირმიქცეული, მჭმუნვარე და თავის ნამდვილ ცხოვრებაში დაბრუნების მოიმედე ოდისევსი გახლავართ მე და დიდი ალბათობით – თქვენც ეგ ბრძანდებით.

ბრძენი ოდისევსი, რომელმაც ერთი სისულელე მაინც ჩაიდინა ცხოვრებაში და საკუთარი სახელი გაუმხილა მის მიერ ერთადერთთვალდათხრილ კიკლოპ პოლიფემოსს, პოსეიდონის რისხვის გამო, მრავალი წელი დაეხეტებოდა ზღვასა და ხმელეთზე, კუნძულ-კუნძულ დადიოდა, იკეტებოდა, თავს აღწევდა და ალბათ არცერთმა სხვა ლიტერატურულმა პერსონაჟმა არ უწყის მასზე უკეთ სიტყვა „იზოლაციის“ მნიშვნელობა. მიუხედავად მის მიერ მოვლილი მრავალი კუნძულისა, რომელთა შორის ყველაზე ჯადოსნური ალბათ მაინც ჩვენი მითოლოგიური ნათესავი ქალღმერთის, ჰელიოსის ასულის ან გნებავთ, მედეას მამიდის – კირკეს კუნძულია, მაინც ნიმფა კალიფსოს მღვიმე აღმოჩნდა ოდისევსის იზოლაციის უმძიმესი სამყოფელი, რომელშიც მთელი შვიდი წლის გატარება მოუხდა ბრძენ ბერძენ გმირს.

ბეკლინის ამავე ნახატზე ნიმფა კალიფსოსაც შენიშნავთ. მას ხელში ლირა უჭირავს და როგორც ბერძნული მითებიც გვამცნობენ, ამ ლირისა და სიმღერის წყალობით უქარვებს და ავიწყებს ოდისევსს ნოსტალგიას – შინ დაბრუნების ტკივილს.

შინ დაბრუნების ტკივილი, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში შინ ვიმყოფებით, დღეს ყველა ჩვენგანს გვჭირს. ოღონდ ეს შინ – შინ არ არის, ეს შინ არის გარეთ, ანუ იმ ადამიანებთან, ხეებთან, ბუჩქებთან, ქუჩებთან, ყვავილებთან და თუნდაც ბეტონის საზარელ ნაგებობებთან დაბრუნება, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურ იზოლირებულ ცხოვრებას ასე ძალიან დააკლდა. ამ დანაკლისთა შევსებას კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელოვნებითა და ლიტერატურით ვცდილობთ. და თუ ბეკლინის ნახატსა და ჩვენს დღეებს კარგად დავაკვირდებით, მსგავსებასაც შევნიშნავთ და განსხვავებებსაც: განა კალიფსოს მღვიმეებად არ გვექცა საკუთარი სახლები? და ამ მღვიმეებში გამოკეტილებს ნოსტალგიის განსაქარვებლად ლიტერატურა და ხელოვნება მოგვიმარჯვებია ლირად, რომელზეც მე ახლა საკუთარ თავს ოდისევსის ამბავს ვუმღერი.

კუნძული ოგიგია, სადაც ნიმფა კალიფსოს მღვიმე მდებარეობს, არავინ იცის სადაა. რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი ვარაუდი და ვერსია, რომლებიც რეალურ გეოგრაფიულ ადგილებს გვთავაზობენ ოგიგიად მოსააზრებლად. თუმცა ყველაზე სანდო და მისაღები ვერსია მეცნიერთათვის გახლავთ ადგილი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახვაში მდებარეობს და სხვაგან არსად.

წარმოსახვა კი ის სწრაფმავალი ხომალდია, რომლითაც ჯორჯო დე კირიკოს ულისე ანუ ოდისევსი მთელ სამყაროსა და სამყაროს მიღმიერ სივრცეებს მოივლის: ეს ერთ ოთახში იზოლირებული ოდისევსია, ანუ მე, ანუ თქვენ.

უკვე მიხვდებოდით – ჩემი იზოლაციის დღეების მეორე ფონი ჯორჯო დე კირიკოს ეს ნახატია, სახელწოდებით „ულისეს დაბრუნება“ (1968). ჯორჯო დე კირიკო დიდი ხანია მიყვარს, ალბათ ყველაზე უფრო მეტადაც კი იმ მხატვართა შორის, ვის შემოქმედებასაც მეტ-ნაკლებად ვიცნობ. იგი სწორედ ამ ნახატის გამო შემიყვარდა და ცხადია, მერე იყო სხვა ნახატებიც.



ორი წლის წინ, ხანი აბუ-ასსადის ფილმი სახელწოდებით „მთა ჩვენ შორის“ (https://www.imovs.ge/film/2412-mta-chvens-shoris-qartulad-2017-onlainshi-the-mountain-between-us-qartulad.html) რომ ვნახე, მახსოვს, რაც გავიფიქრე: ძალიან ადვილია განსაცდელში, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ერთად აღმოჩენილ ადამიანებს სამუდამოდ შეუყვარდეთ ან სამუდამოდ შესძულდეთ ერთმანეთი. ამ ფილმში სიყვარული იმარჯვებს და დარწმუნებული ვარ, ჩვენს ფილმშიც სიყვარული გაიმარჯვებს, იმიტომ რომ სხვა სცენარით გადარჩენიანი

დასასრულები ვერ იწერება. მაგრამ ნიმფა კალიფსო უკვდავი გახლდათ, ოდისევსი კი მოკვდავი. ამიტომ მღვიმის განსაცდელი მხოლოდ ოდისევსის განსაცდელი იყო – ოღონდ უკუღმა: კალიფსოს სურდა ოდისევსი მის უკვდავ ქმრად ექცია, მაგრამ ნოსტალგიით მოსილი უკვდავება ოდისევსს არაფერში სჭირდებოდა, რადგან მისი სიყვარული სხვა კუნძულზე – ითაკაზე იყო. პარადიგმები სულ იცვლება და თან მუდამ იგივე რჩება: ჩვენ, რა თქმა უნდა, უკვდავები არ ვართ და უსამართლობაა, რომ არც არავინ გვთავაზობს უკვდავებას, მაგრამ ჩვენი ნოსტალგია – შინ ანუ გარეთ დაბრუნების ტკივილი ოდისევსის ამბავში ის შვიდი წელიწადია, ჩვენ ამბავში კი იმედია, არა უმეტეს რამდენიმე თვისა, რომელიც კალიფსოს მღვიმეში უნდა გავატაროთ საიმისოდ, რომ ჩვენს ითაკას – გარესამყაროს დავუბრუნდეთ. ამ მღვიმეში კი ერთმანეთისგან დაშორებულებმა ერთმანეთის სამუდამოდ შეყვარება უნდა შევძლოთ – როგორღაც.

ჯორჯო დე კირიკოს ნახატზე „ულისეს დაბრუნება“ ოდისევსის ნამდვილი მოგზაურობის ამბავია წარმოჩენილი. როგორც უკვე მოგახსენეთ, აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერებაში იმის შესახებ – „ოდისეაში“ აღწერილი ადგილები რეალურ გეოგრაფიულ პუნქტებს შეესაბამება თუ არა. მე მეცნიერთა ის აზრი მომწონს და მხიბლავს, რომელიც ჯორჯო დე კირიკოს ნახატზე იკითხება. აქ, ამ ამბავში, ოდისევსი არსად არ მიდის. იგი საკუთარ ოთახში რჩება და ამ ოთახში მოგზაურობს.

დიახ, ჩვენ შეგვიძლია მარტოობაში, ერთ ოთახში ვისხდეთ და ისე ვიმოგზაუროთ, რომ ყველა არსებულსა და არარსებულ ნავსადგურში ჩავუშვათ ღუზა. ჩვენ შეგვიძლია ერთ ოთახში ვისხდეთ და იატაკის თუ ხალიჩის უხილავ სიღმეებში მივაკითხოთ ლესტრიგონებსაც, კიკლოპებსაც, ლოტოფაგებსაც, ფეაკებსაც, ვინახულოთ კიკონთა მხარეც, კირკეს კუნძულიც და ოგიგიაც, აქ ამ ოთახში მოვისმინოთ სირენების ღვთაებრივი ხმა და გადავრჩეთ, ამ ოთახის ხვეულებიდან ჩავძვრეთ ჰადესში და იმქვეყნად მყოფ სულებსაც კი ვესაუბროთ, ამ ოთახშივე მოვიმწყვდიოთ ქარები და ზღვის ღელვასაც ამ ოთახში შევალეწოთ ჩვენი ხომალდი, მაგრამ გადავრჩეთ. და, რა თქმა უნდა, მოვუგოთ ომი უხილავ მტერს, რომლის სახელსაც აქ არ ვახსენებ.

ეს ოდისევსის ამბავია, რომელიც გვამცნობს, რომ მოგზაურობა მაშინაა ნამდვილი და დიდებული, როცა რაღაც ახალს შეიცნობ, მოგზაურობას მაშინ აქვს აზრი, როცა მასში ბრძენდები და თავადვე ხვდები, „ითაკები რასაც ნიშნავენ“[3]. ამგვარ მოგზაურობას კი სულაც არ სჭირდება გარეთ გასვლა, უფრო მეტიც, ამგვარ მოგზაურობას მხოლოდ შესვლა სჭირდება – სამყაროსა და საკუთარ სიღრმეებში შესვლა.

ჯორჯო დე კირიკოს ოდისევსი, ისევე როგორც ჰომეროსის ოდისევსი, საკუთარ თავში მოგზაურია. ასეთი მოგზაურისთვის კი არაფერს ნიშნავს ღია კარი, რომელიც ამ ტილოზე ჩანს, არაფერს ნიშნავს ფანჯარა, რომლიდანაც ტაძარსა და გარესამყაროს გახედავს, სამაგიეროდ, ყველაფერს ნიშნავს ოთხი კედელი და იატაკი, რომელზეც წარმოსახვის მღელვარე ზღვას გაშლის და მასში ხომალდს ისე ოსტატურად შეაცურებს, რომ ოთხი კედლის მნიშვნელობასაც წამში დაამსხვრევს. ამ მღელვარე ზღვას აქვს კიდეები, მაგრამ არა აქვს ფსკერი და ამიტომაც მის სიღრმეებში ნებისმიერი თავგადასავლის მოთავსებაა შესაძლებელი.

როდესაც აქ, ამ ჩემს ოთხ კედელში მეც გავშალე წარმოსახვის ჩემეულად მღელვარე ზღვა და ფიქრის ხომალდი შევაცურე მასში, მივხვდი, რომ არაერთი სამოგზაურო თავგადასავლის მიუხედავად, ესაა ჩემი ყველაზე დიდი და ნამდვილი მოგზაურობა – მარტო ყოფნა საკუთარ თავთან და განსაცდელში ერთად ყოფნა მთელ სამყაროსთან.

ეს დღეები და იქნებ თვეებიც ჩვენი ნამდვილი ოდისეაა, რომელსაც იზოლაციას ვეძახით. ამ დღეებსა და იქნებ თვეებშიც ჩვენ შეგვიძლია ყველაზე მნიშვნელოვანი რამ შევთავაზოთ საკუთარ თავს – დაუვიწყარი მოგზაურობა ოთხი კედლიდან სამყაროს ყველა სიღრმისაკენ. ამგვარი მოგზაურობის გაკვეთილებს კი უკვე მრავალი საუკუნეა გვიტარებს „ის მრავალნაცადი კაცი, რომელმაც ბევრი იხეტიალა მას შემდეგ, რაც ტროას წმინდა ციხე-სიმაგრე დააქცია“ და რომელიც ჯორჯო დე კირიკოს ნახატიდან მზერადახრილი მიგითითებთ: „გაიხედეთ მარჯვნივ ან მარცხნივ, ესაა თქვენი ტროა და მისი წმინდა კედელი, დაიხედეთ ძირს – ეს ხომ თქვენი ზღვაა, ჩაიხედეთ საკუთარ თავში – ესაა თქვენი ოდისეა და ერთადერთი ჭეშმარიტი მოგზაურობა“.

მესამე ნახატი, რომელიც ჩემს ოდისევსურ დღეებს გასდევს ფონად, გუსტავ კლიმტის „დანაეა“ (1907). ეს ნახატი და მითი, რომელიც ტილოზეა ასახული, გახლავთ ერთგვარი ფონი-გაფრთხილება, რომელიც გვიყვება ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ საიმედოდ გამოკეტა საკუთარი ასული – დანაე არგოსის მეფე აკრისიოსმა: ერთხელ მას უმისნეს, რომ დანაესგან ნაშობი შვილიშვილის ხელით სიკვდილი ელოდა. ამიტომაც გადაწყვიტა საკუთარი ასულის კოშკში იზოლირება მეფემ. მაგრამ მისნობას და ზევსის ნებას წინ რომ ვერავინ აღუდგება, აკრისიოსმა ვერ გათვალა: ზევსი ოქროს წვიმის სახით მოევლინა უკარფანჯრებო კოშკში გამოკეტილ დანაეს ჭერზე დატანილი ერთადერთი ხვრელიდან და მის წიაღში გმირი პერსევსი ჩასახა, რომელმაც შემდეგ მართლაც იმსხვერპლა აკრისიოსი.

იმედია, ვირუსს ზევსივით ოქროს წვიმად გარდასახვა არ შეუძლია, მაგრამ ეს მითი და ნახატი ჩემი ოდისევსური დღეების ფონია, რომელიც იზოლაციის პირობებში სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

ოდისევსის ამბავი ჰომეროსთან შინ – ითაკაზე დაბრუნებით მთავრდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ამბავიც ასე დასრულდება – შინ ანუ გარეთ დაბრუნებით. და როდესაც ეს მოხდება და ჩვენი ოთხი კედლის ოდისეა მორჩება, არ გაგიკვირდეთ – მალე თუ მოგბეზრდეთ ის ძველი ყოფა, რადგან ამგვარ მოგზაურობას იგივე ვერ გადაურჩებით. ვერც ოდისევსი გადაურჩა – დაბრუნებულს მთელი ითაკა მობეზრდა, რადგან აღარც თვითონ იყო იგივე და აღარც მშობლიური კუნძული გახლდათ ძველი ითაკა. ამაზე ჰომეროსი არა, მაგრამ სხვა მწერლები და პოეტები გვიამბობენ. მათგან ყველაზე მეტად მე ორი მიყვარს – ნიკოს კაზანძაკისი და კონსტანტინოს კავაფისი. ორივე მათგანი დაბრუნებული და უკვე სხვაგვარი ოდისევსის ამბავს გვიყვება – ოდისევსისა, რომელიც გარბის ითაკიდან, რომელსაც აღარ ჰყოფნის ადგილი, სადაც 20 წელი მიეჩქარებოდა, აღარ ჰყოფნის ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება უყვარდა, აღარ ჰყოფნის სიმშვიდე და უსაფრთხოება, ამიტომაც სამუდამოდ ტოვებს ითაკას, რათა დაიწყოს „მეორე დიდი ოდისეა, მაგრამ ვაი, რომ ახლა უკვე ჰომეროსის გარეშე და უჰექსამეტროდ“[4].

შენიშვნები:

[1] იზოლაცია < insula (ლათ.) – კუნძული.

[2] ჰომეროსი, ოდისეა, I, 13-15 (ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმანი).

[3] კონსტანტინოს კავაფისი, „ითაკა“.

[4] კონსტანტინოს კავაფისი, „მეორე ოდისეა“.

დიანა ანფიმიადი

როგორ გავართოთ ბავშვები იძულებითი არდადეგების დროს

და აი, კორონა ვირუსის გამო სკოლები და ბაღები დაიკეტა, გვირჩიეს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, მუზეუმებს, საბავშვო ცენტრებს მოვერიდოთ და მოვარიდოთ ჩვენი ბავშვები, რა უნდა ვქნათ? როგორ გავატაროთ ეს დრო საინტერესოდ ისე, რომ გაჯეტებს არ გადავაბაროთ ჩვენი შვილების თავისუფალი დრო?

რამდენიმე განმავითარებელ, საინტერესო თამაშს გასწავლით, ოღონდ მთავარი წესი არ დაგავიწყდეთ, თქვენც თამაშის მონაწილე უნდა გახდეთ!

1. **სანელებლების თამაში:**

(ალერგიის შემთხვევაში, ამ თამაშს არ გირჩევდით)

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩემს შვილთან ერთად სადილს ვაკეთებდი, სანელებლების თარო გამოვაღე და თავში გენიალურმა იდეამ გამიელვა, რა არის სანელებელი? – ტექსტურის, ფერის, გემოსა და სურნელის ერთიანობა, რისთვის შეიძლება გამოვიყენო? რა თქმა უნდა, ზედსართავი სახელის სასწავლებლად, ჰოდა, თამაშიც მოვიფიქრეთ (ეს ერთგვარი მეტყველების თერაპიაცაა ტიპური თუ არატიპური განვითარების ბავშვებისთვის).

გადმოვიღე სანელებლები (მთლად, ცხარე წიწაკას თუ სცდით)

ჩვენ გვქონდა კოჭა, ყვითელი ყვავილი, მუსკატის კაკალი, დარიჩინი, მიხაკი, ვანილის ჩხირები,შაშკვლავი, თავშავა, ქინძი, ტარხუნა, კამა და მგონი კიდევ რაღაც, რაც არ მახსოვს.

ჯერ ყველა სანელებელი შევისწავლეთ, ცოტა ვიკიპედიაც დავიხმარეთ, სად მოდის, როგორ გამოიყენება, რისთვისაა სასარგებლო, მერე ხელითაც მოვსინჯეთ, ვისაუბრეთ მათი სურნელით გამოწვეულ შთაბეჭდილე-

ბაზე. გიომ თქვა, რომ კოჭა ცოტა სასაცილო სანელებელია, პიტნა – დედამისს ჰგავს, ხოლო ყვითელი ყვავილი მზესავითაა.

ბოლოს, თვალები ავიკარით და ერთმანეთს სანელებლების გამოცნობაში შვეჯიბრეთ.

2. ლეგო, ლეგო და ლეგო

ასაწყობი სათამაშოები რომ საუკეთესო გამოსავალია, ეს ვიცით, ლეგო რომ შესანიშნავი განმავითარებელი და გასართობი საშუალება, ესეც, მაგრამ სულ პატარა დეტალის ჩამატებით შეგიძლიათ კიდევ უფრო საინტერესო გახადოთ ეს თამაში.

მაგალითად, თქვენ შეეჯიბრეთ აწყობაში, ან უბრალოდ, თმაზე გვირგვინი დაიმაგრეთ და უთხარით, რომ სწორედ თქვენთვის ააშენოს სასახლე ან, წინასწარ დახაზეთ, დააპროექტეთ და ისე ააშენეთ ნებისმიერი ნაგებობა.

3. ფერადი ქვები, მინერალები და კიდევ სხვა რამეები

ქვების შეღებვა და მოხატვა ალბათ ბევრჯერ გიცდიათ, მაგრამ თამაშის წესები ჩემმა შვილმა შემომთავაზა და ისე მომეწონა, რომ გადავწყვიტე, გაგიზიაროთ.

მას მერე, რაც ეზოში სხვადასხვა ფორმის კენჭები მოვაგროვეთ, გავრეცხეთ და გავაშრეთ, მე ქვების მოხატვა შევთავაზე, გიომ კი წამოიძახა- მოდი, მინერალები გავაკეთოთ. ჰოდა, ქვები მინერალების ფერების მიხედვით შევღებეთ, ცოტა ბუნებაშიც ვიმეცადინეთ და კარგად გავერთეთ.

4. სახლის კინოთეატრი

კინოში სიარული აგვეკრძალა, მაგრამ რა ვქნათ, რომ ძალიან გვენატრება 3D სათვალეების მორგება და ბატიბუტის ჩახრამუნება? ჰოდა, შევარჩიეთ ფილმი, დავხატეთ, გამოვჭერით და „გავყიდეთ“ ბილეთები, გამოვჭერით სათვალეები, მოვხალეთ ბატიბუტი და სიამოვნებით ჩავუსხედით საყვარელ ანიმაციას.

5. პიკნიკი სახლში

სუფთა ჰაერზე გასვლა ჯერ არავის აუკრძალავს, მაგრამ თუ წვიმიანი დღეა ან რაიმე მიზეზით გარეთ ვერ გადიხართ, შეგიძლიათ პიკნიკი შინაც მოაწყოთ.

ამით უჭმელ ბავშვებსაც წაახალისებთ.

მოიფიქრეთ, სად მიდიხართ? რადგან მთავარი ტრანსპორტი წარმოსახვაა, დანიშნულების პუნქტის ძიებაში ნუ შეიზღუდებით, წადით ყველგან, სადაც თქვენი თვალსაწიერი გასწვდება, ოღონდ პიკნიკის კალათა აუცილებლად ჩაილაგეთ. მოიფიქრეთ, რას წაიღებდით, გამოაცხვეთ ნამცხვრები, თერმოსში ჩაასხით კომპოტი, ხილის სალათაც არ დაგავიწყდეთ, ხელსახოცები, პატარა სუფრა მოლზე გადასაფარებლად, ჰოდა, გაუდექით გზას. მერე რა, რომ მოლის ნაცვლად თქვენი სასტუმრო ოთახის ხალიჩა უნდა გამოიყენოთ? სამაგიდო თამაშებიც მოიმარაგეთ და დრო სასიამოვნოდ გაატარეთ!

6. სახალისო მებაღეობა

ტისტუ ხომ იცით? მწვანეთითება საოცარი ბიჭი, ჰოდა, წიგნის წაკითხვასთან ერთად მებაღეობაც შეგიძლიათ სცადოთ, მით უმეტეს, რომ ეს ჩვენი კარანტინი ადრიან გაზაფხულს, მებაღისთვის საუკეთესო დროს დაემთხვა.

ეზო არ გაქვთ? არც ტერასა? მაშინ რამდენიმე ქოთნის ფანჯრის რაფაზე ჩამომწკრივებას რაღა უდგას წინ? ბავშვებთან ერთად შეარჩიეთ, რა გინდათ დათესოთ, ბოსტნეული თუ ყვავილები, აარჩიეთ თესლი, მოამზადეთ მიწიანი ქოთნები და დათესეთ, მერე ყოველდღიურად დააკვირდებით, როგორ ნელ-ნელა იწვერება ნორჩი ყლორტები.

ჩამოთვლილი თამაშები თუ უკვე სცადეთ, ახლა შეგიძლიათ ასე გააგრძელოთ.

1. სახეების მოხატვა: საჭიროა სახის მოსახატი საღებავები, შეგიძლიათ ანიმაციის რომელიმე პერსონაჟის მსგავსად მოიხატოთ, შეგიძლიათ, უბრა-

ლოდ სხვადასხვა ემოცია გამოსახოთ სახეებზე და თან ამ ემოციებზე ილაპარაკოთ. მერე კარგად უნდა დაიბანოთ პირი და ხელები. თუმცა ხელები ხომ ისედაც ხშირად უნდა დაიბანოთ!

2. წერილები: მისწერეთ ერთმანეთს ნამდვილი წერილები, გამოჭერით, დააწებეთ კონვერტები და მარკები, მისამართი კი მიაწერეთ ასე: თბილისი, თქვენი სახლის მისამართი, აივნის გვერდითა ოთახი, სახელი, გვარი.
3. ბებოს რეცეპტების რვეულის აღმოჩენა და რომელიმე, ძველებური ნამცხვრის გამოცხობა.
4. თამაში ტანსაცმლის კარადაში – დაალაგეთ, ფერების მიხედვით დააწყვეთ სამოსი, შეუხამეთ ერთმანეთს, მოაწყვეთ მოდების ჩვენება, ცარიელ კარადაში დაემალეთ ერთმანეთს.
5. სახლი – ფორტ ბოიარდი – მოიგონეთ თავსატეხები, დახაზეთ, ააწყვეთ ბარიკადები ბალიშებით, ლაბირინთები ფანქრებით, დამალეთ გასაღებები და მერე აპოვნინეთ ბავშვებს.
6. ნიღბები სახისთვის – გაგიკვირდათ? ეს ხომ ძირითადად ქალების რუტინის ნაწილია, თუმცა, დაკვირვებული ვარ, როცა სახეზე ხილის ნიღაბს ვისვამ, ბავშვები ბევრს იცინიან, რატომ არ შეიძლება ეს ვაქციოთ თამაშად? უბრალოდ, მზად უნდა იყოთ, რომ სამზარეულოს ცოტათი (ან ცოტაზე მეტად) აურევთ.
7. ამ ვირუსის დროს ყველანი ნიღბებზე ვსაუბრობთ, იმისთვის, რომ ეზოში ან ტელევიზორში ნანახი ნიღბიანი უცნობებით გამოწვეული უარყოფითი შთაბეჭდილება გავაქარწყლოთ, ჩვენ თვითონ გამოვჭრათ ათასგვარი და ათასფერი ნიღაბი და საოჯახი სპექტაკლიც მოვაწყოთ. მაყურებელი ცოტა გვეყოლება, მაგრამ მერე რა?
8. ძველისძველი მულტფილმები – ძალიან გამიკვირდა, მაგრამ გიომ ძალიან დიდი ინტერესით უყურა „სალამურას თავგადასავლის“ მულტიპლიკაციურ ვერსიას, ამიტომ ავდექი და სხვა მულტფილმებიც ვანახე, აღტაცებული იყო იმის წარმოდგენით, რომ როცა მისი თანატოლი ვიყავი, მაშინ ვუყურებდი ამ მულტფილმებს.
9. საოჯახო ორკესტრი – ქვაბის თავსახურები, კოვზები, ხის კოვზები, საცერი და სახეხი, კიდევ ბევრი რამ შეიძლება ინსტრუმენტად გამოდგეს, ოღონდ მოიკითხეთ, მეზობლები როგორ ხასიათზე არიან.
10. ღილების დაკერება — მოძებნეთ სადმე ღილი ხომ არ გაქვთ ამწყდარი ან თითქმის აწყვეტაზე და ყველა ღილი ერთიანად დააკერეთ!

11. იგივე ითქმის გაწყვეტილი მძივების აწყობაზე.
12. ჯადოქრის მოსასხამი – ამ თამაშისთვის ნებისმიერი მოსასხამი, ნაჭერი, თუნდაც ზეწარი გამოდგება, მოისხით და ითამაშეთ ჯადოსნური თამაშები, გადაარჩინეთ დედამიწა ან გაათავისუფლეთ დედა ან მამა მეორე ოთახის ტყვეობიდან.
13. გახსოვთ კარლსონი და მოჩვენებების თამაში? თუ ერთ ზეწარს გაიმეტებთ, მოჩვენებობანა შეგიძლიათ ბავშვებთან ერთად ითამაშოთ.
14. კითხვა, კითხვა და კითხვა – ახლა ყველაზე მეტი დრო გაქვთ საბავშვო ლიტერატურისთვის, დახატეთ ილუსტრაციები, ილაპარაკეთ პერსონაჟებზე, იმოგზაურეთ საბავშვო ლიტერატურის სამყაროში;
15. შეკერეთ თოჯინები ცალ-ცალი წინდებისგან, შეგიძლიათ სულაც თქვენი ოჯახის წევრების მსგავსი თოჯინები შეკეროთ და დახატოთ, ბევრს იცინებთ, დამიჯერეთ.
16. ააწყვეთ ფუდარტი, ეს სახალისო საქმიანობა ორ კურდღელს დაგაჭერინებთ, გაერთობით და თანაც, სასარგებლო ვიტამინებსაც მიიღებთ იმუნიტეტის გასაძლიერებლად.
17. მოაწყვეთ შეჯიბრებები, მაგალითად, როგორ გაივლით მანძილს საძინებლიდან სამზარეულომდე თავზე წიგნით, თვალახვეული, ფეხისწვერებზე, ასკინკილით. რა თქმა უნდა, უნდა უზრუნველყოთ უსაფრთხო გარემო.
18. ბალიშებით ომი და მსგავსი რამეებიც მე გასწავლოთ?

სახლი, როგორც გაკვეთილი და ნივთები, როგორც რეკვიზიტები

უკვე თვეზე მეტია ახალ სამყაროში ვცხოვრობთ, ახალ უნარებს, ჩვევებს გამოცდილებას ვიძენთ, მათ შორისაა, საგაკვეთილო ფორმატი, ეკრანებთან მიმსხდარი მოსწავლეები და დისტანციური დავალებები. მშობლები? მშობლებიც იქვე ვართ, ჯერ-ჯერობით გარეთ გასვლა არ შეგვიძლია. იქნებ ჩვენც მშვენიერი რესურსი ვართ ამ პროცესის დასახმარებლად? იქნებ ბევრი რამე შეგვიძლია?

ამ შინ მეცადინეობამ კიდევ ერთხელ დამანახა, როგორ კარგად მეცადინეობენ ბავშვები არასტრესულ და თავისუფალ გარემოში. კონცენტრირებულები, მობილიზებულები, მითითებასაც მარტივად იგებენ და ინსტრუქციასაც. ეს ყველაფერი რომ დასრულდება, კიდევ ერთხელ უნდა ვცადოთ, სტრესულ, საშიშ, მოსაბეზრებელ სივრცედ არ იქცეს სკოლა, იქნებ საშინაო გაკვეთილებმა კარგი მინიშნებები მოგვცეს?

მე კი, როგორც მშობელი, მოგიყვებით ჩვენი საშინაო გაკვეთილების შესახებ, იქნებ გამოგადგეთ. მთავარი პრინციპია, რეკვიზიტები, თვალსაჩინოებები და რესურსები აქვე, ჩვენს სახლში, სამზარეულოში, სათამაშოების ძველ ყუთში, კარადასა და საკუჭნაოში მოვიძიოთ.

1. **სახელმძღვანელოს ტექსტი იყო ეპიზოდი „პატარა უფლისწულიდან“, საქმოსანთან შეხვედრის ნაწილი.**

გამოვიყენეთ რეკვიზიტები გაკვეთილებისთვის:

- პატარა პრინცი, წიგნი;
- გლობუსი;
- წიგნი „ჩვენი პლანეტა“;
- წიგნი „კოსმოსი“;
- საანგარიშო;
- კალკულატორი;

- ჩვენი ხელით მომზადებული მზის სისტემის დიორამა;
- პატარა პრინცის მოსასხამი, რომელიც ლელამ შეგვიკერა და დაბადების დღეზე აჩუქა გიოს;
- რამდენიმე სათამაშო კოსმონავტი;
- სათამაშო თვითმფრინავი;
- მიკროფონი;
- მობილური ტელეფონი, რომელიც კამერად გამოვიყენეთ;

1. სანამ ეპიზოდის კითხვას დავიწყებდით, მწერლის ბიოგრაფიას შევეხეთ ორი სიტყვით, ვთქვით, რომ სამხედრო მფრინავი იყო (რამდენიმე დღის წინ წავიკითხეთ წიგნი მფრინავებზე და გავიხსენეთ, როგორ გამოიგონა ადამიანმა საფრენი აპარატები).
2. ვილაპარაკეთ ტექსტსა და ილუსტრაციაზე, რომ ეგზიუპერი თავად იყო თავისი წიგნის ილუსტრატორი (სულაკაურის გამომცემლობის გამოცემული პატარა პრინცი კარგად დავათვალიერეთ), საპირისპიროდ, ვნახეთ წიგნები, რომელთაც ცალკე ილუსტრატორი ჰყავს და აქ გიოს არ დავიწყებია გაეხსენებინა, რომ თავადაა წიგნის ილუსტრატორი.
3. ვნახეთ ანიმაციის მცირე ნაწილი.
4. გადმოვიღეთ გლობუსი და გიომ მანახა ყველა დიდი უდაბნო, იმიტომ, რომ ეგზიუპერი და პატარა პრინცი ერთმანეთს უდაბნოში შეხვდნენ, გავიმეორეთ წინა კლასში უდაბნოს შესახებ ნასწავლი მასალა ბუნების წიგნიდან, ვილაპარაკეთ უდაბნოზე.
5. ცოტა ხნის წინ სპექტაკლადაც ვნახეთ პატარა პრინცი, ნაწილი წაკითხულიც გვაქვს, ამიტომ მოკლედ გავიხსენეთ, ვინ იყო, სად ცხოვრობდა და სად იმოგზაურა,სანამ საქმოსანს შეხვდებოდა (პლანეტების დიორამა დაგვეხმარა).
6. წავიკითხეთ ეპიზოდი რამდენჯერმე, გავინაწილეთ როლები და განსაკუთრებით ბევრჯერ წავიკითხეთ დიალოგების ნაწილი.
7. მათემატიკის ნაწილი – საქმოსანი ვარსკვლავებს თვლიდა, დიალოგში მოთხრობილი ვერბალური ნაწილი მაგალითებად ვაქციეთ, საანგარიშოზე ვიანგარიშეთ, მერე კალკულატორით გამოვთვალეთ, გავიხსენეთ, როგორ იწერება რამდენიმეშემადგენლიანი რიცხვითი სახელი (საქმოსანი ფლობდა ხუთი მილიონ რაღაცა ვარსკვლავს), ვისაუბრეთ, როგორი ჭკვიანია ადამიანი, რომ ჯერ ჩხირებით ანგარიშობდა, მერე საანგარიშო და კალკულატორი გამოიგონა და ბოლოს, კომპიუტერი.

8. ვისაუბრეთ, რას შეიძლება ფლობდე და რას არა და რას ნიშნავს ფლობა, რთული ეპიზოდია საკმაოდ, ალბათ ყველა მესამეკლასელს გაუჭირდება, მარტივი პრალელები ვცადეთ, მაგრამ არ იყო ადვილი).
9. რეპორტაჟი პლანეტიდან – გადავიღეთ ტელეფონით, გიო იყო კოსმონავტი, რომელმაც იმოგზაურა მარსზე და იქ ნახა მაიკლ ჯექსონი, დევიდ ბოუი, ფრედი მერკური, თოჯინების თეატრი მოვაწყვეთ.
10. დავწერეთ წერითი დავალება მფლობელობაზე, სადაც გიომ თქვა, რომ თუ რამეს ფლობ, უნდა მიხედო კიდეც მას.
11. ამოვარჩიეთ და დავასათაურეთ ეპიზოდი და დავხატეთ, გიომ დახატა ვარსკვლავები, რომლებსაც ბანკში ვერ შეინახავ.

2. „სალამურას თავგადასავლის“ პირველი თავი

გაკვეთილს დავარქვით „შვიდი ჯადოსნური ნივთი“ და ასე მივყევით ტექსტის წაკითხვას და გააზრებას:

ნივთი 1 – კომპასი

„სალამურა ქონდარეთის აღმოსავლეთით მწყემსავდა ჭიამაიებს“. მოვძებნეთ ძველი კომპასი, ვისწავლეთ გამოყენება, ვნახეთ, რომ პირველი კომპასი ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში იპოვეს, დავხატეთ და გამოვჭერით კომპასი.

ნივთი 2 – ნებისმიერი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ვნახოთ ამინდის პროგნოზი, ჩვენთვის ეს იყო ანდროიდის ამინდის აპლიკაცია.

(ჭიამაიებს ხომ ამინდის გასაგებად იყენებდნენ), ვნახეთ უახლოესი ამინდის პროგნოზი, ვუყურეთ რამდენიმე ვიდეოს გადაცემებიდან, სადაც ამინდის პროგნოზს გადმოგვცემენ.

ნივთი 3 – ქოლგა

სალამურამ წვიმის დროს დაკარგა ჭიამაიები...

გავშალეთ ქოლგა, ჩავრთეთ და ვუსმინეთ წვიმის ხმებს.

ნივთი 4 – სალამური

სალამურა სალამურზე უკრავდა, მოვუსმინეთ სალამურის ჟღერადობას, ქაღალდისგან დავამზადეთ სალამური.

ნივთი 5 – მანათობელი სათამაშო

ჩვენ გავიმართლა, დიდი ჭიამაია-სათამაშო გვაქვს, რომელიც თან მუსიკას უკრავს, ჩავაქრეთ ოთახში შუქი და წარმოვიდგინეთ, როგორ გამოჩნდება სიბნელეში ციცინათელებით გარემოცული ბაია.

ნივთი 6 – ჰერბარიუმი

ბაიას ბაიას ყვავილებისგან შეკერილი კაბა ეცვა, ჩემს ჰერბარიუმში ბაია არა, მაგრამ სხვა გამხმარი ყვავილები ეწყო, დავგუგლეთ ამ ყვავილის შესახებ და ბაიებიანი პეიზაჟი დავხატეთ.

ნივთი 7 – ჯიბის ფარანი

ბაია სალამურას ჭიამაიების მოძებნაში დახმარებას დაჰპირდა... ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ სალამურას, სახლში შუქი ჩავაქრეთ და ჯიბის ფარნით ვითამაშეთ, ციცინათელები ვერა, მაგრამ პირველები ვიყავით, ვინც დავალება გაუგზავნა მასწავლებელს და ქებაც დავიმსახურეთ.

მანანა სეხნიაშვილი

პანდემიური არდადაგები

ბებიაჩემი და ახლა უკვე დედაც, წარსულს რომ იგონებენ, ათვლის წერტილად მნიშვნელოვან მოვლენას ასახელებენ. ვფიქრობდი, რომ მე მათზე მეტი ათვლის წერტილი მქონდა: წინა საუკუნეში – ვიტყოდი ამაყად, თბილისის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, აგვისტოს (წლის ხსენებაც არ არის საჭირო) ომამდე და ომის შემდეგ... 4 ომის ცეცხლში გამოვლილი თაობა ვართ. ომების ჭრილობებს დღემდე ვიშუშებთ... აქ კი სიამაყის რა მოგახსენოთ.

აი, ახალი კორონავირუსის პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ – ეს უკვე ახალია.

ზუსტადაც, კორონავირუსამდე სხვა გეგმები და იდეები გვქონდა მე და ჩემს მოსწავლეებს. ბედნიერების ინდექსის მაჩვენებლის დადგენას, ცხოვრების ხარისხის განსაზღვრას ვცდილობდით, გამოკითხვა ჩავატარეთ, კლასში რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები განვიხილეთ, ღია კითხვებზე გაცემული პასუხებიც გაიხსენეს, ცოტაც ვიხუმრეთ, ვიხალისეთ და შემდგომ დავალებაზეც შევთანხმდით, მაგრამ... დაიწყო COVID-19-ის გავრცელება და მალე პანდემიადაც ჩამოყალიბდა.

გადავედით განსხვავებულ რეჟიმზე. ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას „პანდემიური არდადეგები“ დავარქვით (უფრო სახალისოა). პირველი დავალებაც მოსწავლეების თვალით დანახული პანდემიური არდადეგებია. გთავაზობთ რამდენიმე მეათე კლასელის ანალიზსა და ჩანახატს. რას ფიქრობენ ჩვენი ბავშვები.

ანა, პატარა მხიარული ადამიანი, რომელიც საკუთარი ემოციების დაფარვას სიცილითა და იუმორით ახერხებს. ემოციების ზღვა კი მისთვის აგვისტოს ომიდან იწყება.

ანა ლაგურაშვილი: „მშვიდი ძილის შემდგომ ომის ველზე თუ გაგიღვიძიათ?

ეს არ არის ომი, სადაც ტყვიების წვიმა და ქუჩებში დაღვრილი უამრავი სისხლია. ეს ომია ხალხსა და იმ ჰაერს შორის, რომელშიც სიკვდილის მეგობარი ნაწილაკებია გაფანტული.

გავიღვიძე და სამყარო სრულიად შერყეული დამხვდა.

ვინ იფიქრებდა, მარტის მშვიდ საღამოს თოვლი რომ მოინდომებდა ცეკვას?

ვინ იფიქრებდა, რომ ის დღეები, რომლებიც ბედნიერებით აღსავსე უნდა ყოფილიყო, ტკივილის სუნით გაიჟღინთებოდა.

ვინ იფიქრებდა, ქუჩებში მანქანების ხმას, ხალხის ოვაციები რომ ჩაანაცვლებდა?

ოვაციები – სიამაყის და სევდის. ტკივილის, რომელიც ჯერ კიდევ აქ არის და არავინ იცის, როდის მოინდომებს წასვლას. ზოგისთვის არც არასდროს წავა.

ახლა შიში ცხოვრობს იმ ქუჩებში, ერთ დროს სიცოცხლით რომ იყო სავსე.

ქუჩაში არავინ გადის, რადგან ეშინიათ, ეშინიათ იმ სიბნელის, რომელიც სახლში ცრემლებად გადაიქცევა და ეს ცრემლები რომ შეწყდეს, სად წავა მერე ის სიშავე?

ის სიშავე დარჩება შიშად... რომელიც არავის უფრთხილდება“.

ნუცა მშვიდი და თავშეკავებული ადამიანი, რომელიც ყოველ ჯერზე გვაკვირვებს ანალიზის უნარით. ძნელია, არ დაეთანხმო მის უცნაურ დამოკიდებულებას მოვლენების მიმართ.

ნუცა სეხნიაშვილი: „2020 წელი რომ დგებოდა, ჯერ კიდევ წარმოდგენა არ გვქონდა მე და ჩემს გარშემო მყოფებს, რა გველოდა წინ. პოტენციური მესამე მსოფლიო ომი, ავსტრალიის ხანძარი და ბოლოს COVID-19 ის სახელით ცნობილი კორონავირუსის მასშტაბური გავრცელება. უამრავმა გეგმამ და ღონისძიებამ ვირუსის გავრცელების არეალის ზრდასთან ერთად გაქრობა ან უვადოდ გადავადება დაიწყო. ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებაში გამოცხადებული ინფიცირებულთა რაოდენობა ყოველ ჯერზე მაკვირვებდა, რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და თითქოს ზღვარი არ უჩანდა. და მაინც ამ ყველაფრის ფონზე, მაშინ, როდესაც ფეიკნიუსების ნაკადი წამოვიდა და სინამდვილის სიცრუისგან გარჩევა უკვე მიჭირდა, რეალობის აღქმა დავკარგე და ყველაფერი, რაც კი მესმოდა, გაზვიადებულად ჩავთვალე. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ საქართველოშიც არ დაირღვა ყოველდღიური ცხოვრების წესი და ჩემი თვალით არ ვიხილე სიტუაცია.

და მაინც, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?! ვიღაცის დაუდევრობამ, უმოქმედობამ თუ სავალალო შეცდომამ ერთი ადამიანის დაინფიცირება გამოიწვია,

რასაც დომინოს პრინციპით სხვა უამრავი მოჰყვა. ჩინეთიდან ვირუსი ჯერ მის მეზობელ ქვეყნებში გავრცელდა, შემდეგ იქ, სადაც თითქოს თავი ვირუსისგან ყველას მიუწვდომელი ეგონა – ევროპაში. ამ ბრძოლაში ევროპა იმ ათოსანი მოსწავლის სახეა, რომელმაც ტესტამდე განვლილი მასალა არ გაიმეორა, რადგან ჩათვალა, რომ ყველაფერი იცოდა, მას ხომ თავი ხელშეუხებელი ეგონა, მაგრამ ტესტის ფურცლის პირისპირ მარტო რომ აღმოჩნდა, გაირკვა, რომ არც ისე ბევრი ახსოვდა. განვითარებული ქვეყნები იმ მოსწავლეს ჰგვანან, რომელმაც ისედაც უკვე დაბალი ნიშნის გამოსასწორებლად წინა დღეს ყველაფერი გაიმეორა და შედეგმაც არ გაუცრუა იმედი. აშშ მორიგი ათოსანია, რომელიც პირველის მსგავსად მოიქცა, თუმცა მაინც შეძლო ფანტაზიორობით რაღაცის დაწერა და სულაც არ აპირებს ამ სტრატეგიის ოდესმე შეცვლას (არ ვიცი, ეს შედარება რამდენად მისაღებია). შეიძლება ამ ხელშეუხებლობის გამეფებულმა შეგრძნებამ, ანდა სულაც ტურისტულმა მიმზიდველობამ და იმან, რომ წელს უამრავი ღონისძიება (ფეშენვიკი თუ ფილმის გადაღება) იყო ჩანიშნული, იტალია ევროპის წითელ წერტილად აქცია. იტალიის ცხელ ზონად ქცევიდან მალევე მსოფლიოში პანდემია გამოცხადდა, რასაც კიდევ ერთხელ მოჰყვა პანიკა (მაგ. ავსტრალიაში). ეს ყველაფერი კი 2020 წლის პირველ მეოთხედში მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ჯერ ახლა იწყება, ვინ იცის, რეალურად როდის მოხდება ვაქცინის გამოგონება. იმის ფონზე, რომ ხალხი მაღაზიებიდან საჭიროებისდა მიუხედავად ყველანაირ პროდუქტს „იტაცებს“, ავსტრალიაში კი ეს პროცესი ტუალეტის ქაღალდის დეფიციტამდეც კი მივიდა, ხდება ფასების ხელოვნური ცვლილება და ეკონომიკის მიწასთან გასწორება, ჩრდილოეთ კორეაში კი „რაც არ უნდა გასაკვირი იყოს“, ვირუსის გაქრობის ეფექტურ გზად დაინფიცირებულების დახვრეტა მიიჩნიეს.

ისმის შეკითხვა, არის ან იქნება თუ არა მსოფლიო (ხალხი თუ სახელმწიფოები) მომავალი გლობალური კრიზისებისთვის მზად?! ჰაერი იმაზე სუფთაა, ვიდრე ვინმეს გვახსოვდა, ვენეციაში თევზები დაცურავენ, ქუჩებში გამაყრუებელი სიჩუმეა ჩამოწოლილი, ხალხს კი იმაზე მეტად ეშინია განკითხვის ჟამის, ვიდრე ოდესმე“.

ნინი, მხიარული ნინი, რომელიც ყველა სიტუაციას პოზიტიურად უდგება. მზად არის მოგისმინოს, მაგრამ მაინც თავის პოზიციას იცავს.

ნინი სხირტლაძე: „კორონა – დაავადება, რომელმაც მთელი დედამიწა არია. მან საქართველოშიც შემოაღწია. სიმართლე რომ ვთქვა, არ მეშინია

კორონასი და ვფიქრობ, რომ მალე გაქრება ეს დაავადება. გამოიგონებენ ვაქცინას. ამით მედიცინა უფრო წინ წაიწევს. მჯერა, ისტორიაში ჩაიწერება, რომ კორონა იყო პანდემია, რომელიც ყველაზე მოკლე დროში „გააქრეს“. განათლებას რაც შეეხება, ძალიან მაღელვებს. განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ჩვენთვის... სკოლაში არსიარული მართლა ძნელია. რუტინიდან ამოვვარდი. „პანდემიური არდადეგები“ არ მომწონს. ვიდეო გაკვეთილებს რაც შეეხება, კარგია ნამდვილად, მაგრამ ეს ვერასდროს ჩაანაცვლებს სკოლას ჩემს გულსა და გონებაში. ჩემი ოცნებაა, გაქრეს კორონა იმისათვის, რომ მიზნები ავიხდინო. #წადიკორონა“.

თათა ერთი წელია გავიცანი. ხმაურითა და ხალისით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. რამდენიმე გაკვეთილზე არ იყო და ძალიან დამაკლდა.

თათა ვარადაშვილი: „თვალებგაფართოებული ვუყურებ რიცხვებს. რას ავიჩემე ამ სტატისტიკის ნახვა, ამიჭრელდა თვალები. ჯერ ჩინეთიდან დაიწყო, შემდეგ სამხრეთ კორეა აღმოჩნდა მის არეალში, ირანამდეც კი მიაღწია, ოღონდ არ ვიცი, როგორ და აი, ბოლოს საქართველოშიც ჩამობრძანდა. ამის გახსენებისთანავე კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი სტატისტიკას და ძლივს გავიაზრე, რომ უკვე 148 ქვეყანას დაეტყო კორონას კვალი და ჩემთვის ვფიქრობ, რომ ეს ვირუსი არ გაჩერდება, არამედ უფრო გააგრძელებს გავრცელებას და უფრო მეტ ქვეყანას დააზარალებს. თუმცა, არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო. ახლა ყველა თვითიზოლაციაში ვართ, ვფიქრობ, მთელი დედამიწა. გარეთ ცხვირის გაყოფაც კი არ შემიძლია. ვზივარ ასე... მამაჩემს ყოველდღე მოაქვს საკვები სახლში, ნელ-ნელა ცარიელდება სუპერმარკეტები. ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, რაც საერთოდ არ მომწონს, პირიქით, ერთფეროვნება მაღიზიანებს. სული მეხუთება სახლში ყოფნით. ჩემი მეგობრები მომენატრნენ... არა რა, ეს ხალხი ცალკე მაგიჟებს, აქვთ დიდი პანიკა, დარბიან აქეთ-იქით გიჟებივით, აქვეყნებენ პოსტებს, უარესად აგიჟებენ ერთმანეთს და უკვე დათესილ პანიკას უფრო და უფრო აღვივებენ. იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ხელი შეუწყონ, კარანტინიდან იპარებიან... მე ვფიქრობ, რომ ხალხმა რაციონალურად აზროვნების ის მცირე უნარიც დაკარგა და მთლიანად იმპულსურ მოქმედებებზე გადავიდა. მე საერთოდ ვფიქრობ, რომ სამყარო შეიშალა, ყოველდღე ვხედავ, როგორ მუშაობენ ექიმები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ვფიქრობ, რომ სულ გაგიჟდნენ... ამდენს და ასე როგორ მუშაობენ... თანდათან ვრწმუნდები იმაში, რომ ადამიანის ენერგია და ძალები დღემდე შეუცნობელია...

ოხ, ეს კორონა... პანდემიაა, თუმცა ბევრი ადამიანური თვისება გამიღვიძა. პათეტიკურად ჟღერს, თუმცა ადამიანების დაფასება უფრო მეტად ვისწავლე და მგონი, არა მარტო მე... კორონამ ადამიანებს ერთმანეთის დაფასების და შეყვარების უნარი გვასწავლა თითქოს, თუმცა ამავდროულად უფრო დააშორა ერთმანეთს. ვიმედოვნებ, რომ მალე გამოიგონებენ რამეს და ყველანი დავისვენებთ".

თამარი ყოველთვის მზად არის მოგისმინოს. ამ დროს ხვდები, რომ უბრალოდ კი არ გისმენს, თითქოს ხედავ, მის ტვინში ეს ფრაზები როგორ დარბიან, თამრო კი ცდილობს ყველას თავისი ადგილი მიუჩინოს.

თამარ გოლიაძე: „რა გამოიწვია კორონავირუსმა? ბევრი რამ. ამ ბევრი რამიდან კი მთავარი ისაა, რომ COVID-19-მა ადამიანთა ცხოვრება (იმედია) ცოტა ხნით შეაფერხა, ხოლო დედამიწას ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ამაში კი ვგულისხმობ იმას, რომ, მაგალითად, ქუჩაში ტრანსპორტის რაოდენობა და შესაბამისად, გამონაბოლქვის ინტენსივობა შემცირდა. მაგრამ მე მაინც ეგოისტურად, პირველ რიგში, ჩემი ცხოვრების ასე უცაბედად დაპაუზება (ონლაინ გაკვეთილებისთვის შესაფერისად რომ ვთქვათ) მანაღვლებს. სულ რამდენიმე კვირის წინ ზაფხულისა და სხვადასხვა ღონისძიებების მოახლოება მიხაროდა. ახლა კი სახლში ვზივარ, ოთხ კედელში გამოკეტილი. თუმცა, წუწუნი ახლა ვერ გვიშველის. ამიტომ ისღა დაგვრჩენია, ჩვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები გავიხსენოთ (თუ ვინმეს არ ახსოვს) და შევეცადოთ, რაც შეიძლება მალე დავამარცხოთ კორონავირუსი. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სახლში ყოფნით სამყაროს გადარჩენა შეგვიძლია".

ეს კი ანანოა. გახსოვთ, მეოთხე კლასში გეოგრაფობა რომ გადაწყვიტა? ცოტა ხნის წინ, უკაცრავად – კორონავირუსამდე, მითხრა – გახსოვთ, რომ გითხარით გეოგრაფობა მინდაო, არ გადამიფიქრებია. პატარა ანანო უკვე მე-10 კლასშია. ვნახოთ, კორონავირუსის შემდგომ პერიოდში როგორ შეიცვლება მისი გადაწყვეტილება.

ანანო გაფრინდაშვილი: „დილით ვიღვიძებ ჩვეულებისამებრ, თუმცა ეს სხვაგვარი დილაა. მისაღებში გავდივარ და ტელევიზორში ახალი ამბებია ჩართული:

– „ამჯერად ქვეყანაში დაფიქსირებულია 30 შემთხვევა. ინფიცირებულები იზოლირებულნი არიან და მათ ჯანმრთელობაზე ექიმები სრულფასოვნად ზრუნავენ. სტატისტიკის მიხედვით მკვლევრები ვარაუდობენ, რომ კორონა-

ვირუსი, რომელიც უკვე მთელ მსოფლიოს მოედო, ტემპერატურის მატებასთან ერთად გაქრ...“.

ისევ ოთახში ვბრუნდები.

ჰაერი თანდათან უფრო მძიმდება. ქუჩები ცარიელდება, ხოლო ის მუდმივი ამვლელ-ჩამვლელები ისე მიდიან, ერთმანეთს აკვირდებიან და ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს.

გარეთ გასვლისას დაძაბული მიაბიჯებთ, რადგან არ იცით, ვის შეიძლება აღმოაჩნდეს ეს ვირუსი, რომელმაც თან გაგვაერთიანა და თან გაგვაუცხოვა. ამიტომ გირჩევნიათ სახლში დარჩეთ... იქ, სადაც დაცული ხართ. მე კი მინდა, გარეთ გავიდე, ჰაერი ხარბად ჩავისუნთქო და ქუჩებში ისე გავიარო, როგორც ადრე. მაგრამ მე სახლში ვრჩები და იცით რატომ?

სახლში ვრჩები ჩემთვის, შენთვის და ჩვენთვის. უსასრულო არაფერია... და თუ ჩვენ იმ ადამიანური იმედითა და თანაგრძნობით გავერთიანდებით, ყველაფერი გამოგვივა.

ყველაფერი უსასრულო არაა, თუმცა ვთვლი, რომ ჩვენ თავად უსასრულობაში ვართ მიმოფანტული და მე მსურს, ვირბინო, არა იმიტომ, რომ უსასრულობის ბოლოს მივაგნო, არამედ იმიტომ, რომ სირბილში ფრთები გამოვისხა და ავფრინდე.

თეკლე კაპანაძე

როგორ ვასწავლოთ პატარებს გაზიარება

გაზიარება არის აუცილებელი უნარი ბავშვების სოციალური, კოგნიტური და ემოციური განვითარებისათვის. სკოლამდელ წლებში განვითარებული გაზიარების ძირითადი ჩვევები შეიძლება გრძელვადიან პერიოდში გადაიქცეს ეფექტური კომუნიკაციისა და სოციალიზაციის უნარებად.

გაზიარება მხოლოდ სათამაშოს ან სხვა რომელიმე ფიზიკური ნივთის თხოვებას არ ნიშნავს. გაზიარება გულისხმობს სიკეთის უამრავ მოქმედებას, რისი მაგალითიც, საბედნიეროდ, პანდემიის პერიოდში არაერთი გვაქვს. უკვე უთხარით თქვენს პატარებს უცხო ადამიანების გაერთიანებამ სოციალურ ქსელში და მათ მიერ, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, გაზიარებულმა რესურსებმა რამდენი მოხუცი დააიმედა? ამ სიკეთემ ზოგიერთი მათგანი იქნებ გადაარჩინა კიდეც? და რამდენი პერსონალური სიხარული მოიტანა ამ ყველაფერმა მიმღების და გამზიარებლის გულებში? ასეთი ისტორიები არის შესაძლებლობა, თქვენს შვილებს რეალური მაგალითებით ასწავლოთ გაზიარების მნიშვნელობა.

თქვენ მუშაობთ დისტანციურად, უკან კი ფონად ისმის გაუთავებელი ხმაური, გიჭირთ ბავშვებთან კომუნიკაცია, გაღიზიანებთ მათი გამუდმებული კითხვები, საჭიროებები, სირბილი... ერთი სიტყვით, ნამდვილი ქაოსია. ახლა იგივე ქაოსი თქვენს საქმეში წარმოიდგინეთ. უამრავი ზარი, წაუკითხავი წერილები, ოფისის კარზე მუდმივი კაკუნი შეხვედრის თხოვნით... რას მოიმოქმედებდით ამ დროს?! პირველ რიგში, ალბათ კალენდარს გადაშლიდით, დღეებისა და საათების მიხედვით გაწერდით შესასრულებელი საქმეების სიას, თქვენს განრიგს გააცნობდით კოლეგებს და შედეგად ქაოსს წესრიგი ჩაანაცვლებდა. და დიახ, ასე მარტივად, დროსა და სქემებში გაწერილი გრაფიკი მუშაობს ბავშვებთანაც. ბავშვთა ფსიქოლოგი, მოლი გარნერი, ამბობს, რომ მეურვეების ემოციები კვებავს ბავშვების ემოციებს. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, უფროსებმა ვიპოვოთ ჩვენში ძალა, დავაბალანსოთ საკუთარი ემოციები, გვქონდეს მაქსიმალურად განახლებული ინფორმაცია ჩვენი აღსაზრდელების საჭიროებებისა

და განვითარების სტადიების შესახებ, რათა უფრო ორგანიზებული და მშვიდი გავხადოთ მათთან ერთად ყოფნის პერიოდი.

ადრეული ასაკის ბავშვებში გაზიარების სწავლება თქვენი ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. არ არსებობს მეთოდი, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს ყველა ბავშვისთვის, თუ გჭირდებათ იდეები იმის შესახებ, როგორ უნდა წახალისოთ და ასწავლოთ ბავშვებს გაზიარება, აქ მოცემულია რამდენიმე გამოცდილი ტექნიკა, რომელიც სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლებმა ათწლეულების განმავლობაში გამოიყენეს. მოდით, დავიწყოთ სულ თავიდან:

გაზიარებისთვის მზადყოფნა

გაზიარება გვასწავლის თანამშრომლობასა და გუნდურ მუშაობას. მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად დროის გაზიარებამ შეიძლება გაზარდოს ერთიანობა და განავითაროს მჭიდრო კავშირები. გაზიარების უნარი განვითარების ერთ-ერთი ეტაპია. დაახლოებით 2-7 წლის ასაკში ბავშვები იწყებენ იმის აღქმას, რომ სხვებს აქვთ განსხვავებული იდეები (ჟან პიაჟე, ერიკ ერიქსონი). ბავშვების უმეტესობა არც კი დაიწყებს გაზიარების არსის გაგებას მანამ, სანამ ვერ შეძლებს გააცნობიეროს, რომ სხვებს განსხვავებული აზრი და საჭიროებები აქვთ. მცირეწლოვანი ბავშვები ბუნებით ეგოცენტრულები არიან და უჭირთ თავიანთი ხედვის არეალის მიღმა სხვა ხედვების აღქმა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ საკუთარ საჭიროებებზე ფიქრობენ. გაზიარების უნარის განვითარებას სჭირდება დრო და გამოვლენილი სიკეთის პოზიტიური განმტკიცება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაზიარება არ ეხება მხოლოდ ფიზიკურ ნივთებსა და სათამაშოებს. გაზიარება ასევე ეხება დროს, გაცვლას და აქტივობების მონაცვლეობით კეთებას. პატარა ლიზიკო ელოდება მამას, როდის დაამთავრებს სადილის მომზადებას, რათა დრო დაუთმოს მისთვის საყვარელი წიგნის წაკითხვას. მან იცის, რომ ახლა მამა სხვა საკითხით არის დაკავებული, მაგრამ ამის დასრულების შემდეგ ლიზიკოსთან ერთად თამაშის ჯერი დგება. მეორე მხრივ, ჩვენც უნდა გვახსოვრეს, რომ ბავშვებსაც აქვთ პირადი სივრცე, მოთხოვნილებები და საჭიროებები, შესაბამისად, ხანდახან ჩვენც მოგვიწევს დაველოდოთ, როდის მოამთავრებენ სასურველ საქმიანობას და ყურადღებას მოგვაქცევენ.

შეინარჩუნეთ მეგობრული ტონი

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ადრეულ ასაკშივე გავაგონოთ წინადადებები, რომელშიც გაჟღერებული იქნება გაზიარების აუცილებლობა. მაგალითად: „ვიცი, როგორ გინდა ახლა ჩემთან ერთად ხატვა, მაგრამ ძალიან მჭირდება შენი დახმარება 30 წუთით, შეგიძლია შენი საყვარელი გასაფერადებლები გააფერადო, სანამ მე ვიდეო შეხვედრას მოვრჩები? ... ვაჰ, რა კარგად მეხმარები!“; „ვიცი, რა რთული შეიძლება იყოს ლოდინი, მაგრამ მალე მოვა ერთად ცეკვის დრო“; თუ თქვენ განსხვავებული ასაკის ბავშვები გყავთ, შეეცადეთ ასწავლოთ ერთმანეთზე ზრუნვა და აჩვენეთ, რომ თქვენი ყურადღება ყველას მორიგეობით და საჭიროების მიხედვით ერგება. თუმცა, ეს გადაწყვეტილებაც ქმედების განხორციელებამდე მათთვის გასაგები ენით აუხსენით.

გუნდურ თამაშებს კარგი როლი აქვს გაზიარების უნარის განვითარებაში. მაგალითად, ერთად ააწყვეთ პაზლი, ითამაშეთ საბავშვო დომინო ან ლოტო. ასეთი თამაშის დროს ბავშვები სწავლობენ სვლების მორიგეობით გაკეთებას. ასევე, შეგიძლიათ ქრონომეტრით დაადგინოთ დრო სათამაშოების, თამაშებისა და მასალების გამოყენებისთვის. დაეხმარეთ ბავშვებს დროის თანაბარი ხანგრძლივობის განმავლობაში. ქრონომეტრი შეინახეთ სათამაშო ზონის არეალში ისე, რომ აღსაზრდელები შეჩვეულები იყვნენ მის გამოყენებას და მიზანს.

კარგი იქნება, თუ ეცდებით და ერთად გასატარებელი დროის წესებსა და აქტივობების განრიგზე შეთანხმდებით. გაზიარების წესები უნდა იყოს მარტივი და გასაგები. ყურადღება გაამახვილეთ გაზიარების ასპექტებზე, როგორიცაა ნივთების თხოვება, რიგრიგობით გადაცემა და ერთმანეთის დახმარება. ნება მიეცით თქვენს აღსაზრდელებს დაინახონ, რომ გამზიარებლურ ურთიერთობებში მონაწილეობენ სხვა უფროსებიც და რომ ეს ყოველდღიურობის ნაწილია. მაგალითად, საკვების, სხვადასხვა სახის დახმარების ან ნივთების შეთავაზება მასწავლებლებისთვის, ახლობლებისა თუ ნათესავებისთვის.

მართალია, თავიდან დიდი ენერგიის დახარჯვა მოგიწევთ და არ იქნება ადვილი, მაგრამ პოზიტიური გაძლიერებისა და მოთმინების საშუალებით ჩადებული ინვესტიცია მომავალში ძალიან გაგიმარტივებთ შვილებთან/აღსაზრდელებთან კომუნიკაციას.

უსაფრთხოება

ნასტასია არაბული

ციფრული დრამა, კიბერბულინგი და მათგან თავის დაცვის მეთოდები 203

ციფრული მოქალაქის გზამკვლევი 207

ნინო ლომიძე

საინფორმაციო ლავა – როგორ გავუმკლავდეთ „სტიქიას“? 209

ლევან ალფაიძე

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ცრუ ინფორმაციის, ანუ ფეიკნიუსების გამოვლენა? 215

ქეთევან ოსიაშვილი

დისტანციური სწავლების ფსიქოლოგია 221

ნასტასია არაბული

ციფრული დრამა, კიბერბულინგი და მათგან თავის დაცვის მეთოდები

ბავშვები და მოზარდები საჯარო სივრცეებიდან გაქრნენ და ონლაინ სამყაროში გადაინაცვლეს. დახურულია სკოლები, ბაღები და უნივერსიტეტები. ლექციები და გაკვეთილები ონლაინ ტარდება, მეტი დრო ჩნდება ონლაინ ფორუმებისა და სოციალური ქსელებისთვის, მეგობარს ვიდეო ჩათში ხვდები და ახლობლებსაც იმავე გზით ეკონტაქტები – ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად არის, ცხოვრება გრძელდება, სწავლა არ წყდება, კომუნიკაციის ახალი ფორმები მეტ ლეგიტიმაციას იძენს. მომავალი იმაზე მალე დადგა, ვიდრე ველოდით და ჯერ არ ვიცით, რამდენად კარგად ვართ საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, თუმცა ვიცით რისკები, რაც ამ ყველაფერს ახლავს თან.

ციფრულ სამყაროში ბავშვებისა და მოზარდების მარტო დატოვება არც ისე უსაფრთხოა – კიბერბულინგი, შანტაჟი და სიძულვილის ენა, სილამაზის სტანდარტები და პირადი მონაცემების დაცვა ვირუსამდელ, არაიზოლირებულ სამყაროშიც გამოწვევას წარმოადგენდა და პირველ რიგში, ყველაზე მოწყვლადებისთვის, მოზარდებისთვის იყო საშიში, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, უკეთ არიან ტექნოლოგიებთან დამეგობრებულები, თუმცა ასაკის და ცხოვრებისეული გამოცდილების სიმწირის გამო მეტად მოწყვლადები არიან ძალადობის ნებისმიერი ფორმის მიმართ. მათ დაცვა სჭირდებოდათ და ახლა კიდევ უფრო მეტად სჭირდებათ.

როგორი იქნება ონლაინ გაკვეთილი? რა გამოჩნდება ფონად მათ უკან? კარგად მუშაობს თუ არა მიკროფონი? აქვს თუ არა პრინტერი, სადაც დავალებების ამობეჭდვას შეძლებს – თუ არა, რა ქნას? თქვას, რომ სახლში არ არის მისთვის ცალკე კომპიუტერი ან მიკროფონიანი ყურსასმენი ან საბეჭდი მოწყობილობა თუ დასცინებენ? გულგრილი, ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდეს ამ ყველაფრის მიმართ, თუ თქვას, რომ ყველაფერი რიგზე არ არის და ამაში მისი ბრალი არაფერია? გაიგებენ ამას მასწავლებლები და მეგობრები? და რა უთხრას მშობელს, რომელიც იქვე ზის და უყურებს, რო-

გორ ურთიერთობს მეგობრებთან, მასწავლებლებთან? ეს ხომ მისი სივრცე იყო აქამდე. ვერავინ, ყოველ შემთხვევაში ოჯახის წევრები ვერ ხედავდნენ, რას ამბობდა, როცა რაღაცას ვერ იგებდა ან როცა თავისი ცოდნის პრეზენტაცია სურდა. რა მოხდება, თუკი ამ ვიდეო გაკვეთილის "სქრინს" ვინმე გაავრცელებს სოციალურ ქსელებში. და რას ვეუბნებით ბავშვებს, რომლებსაც საკუთარი სივრცე ან სულაც სახლში ინტერნეტი და გაჯეტები არ აქვთ, მათ რა უნდა აკეთონ ამ დროის განმავლობაში? მოკლედ, ათასი კითხვა არსებობს, რაც მოზარდებს ონლაინ გაკვეთილამდე ან ონლაინ გაკვეთილის შემდეგ აწუხებთ და თუ გვინდა ეს პროცესი მათთვის ტანჯვად არ იქცეს და მეტ-ნაკლებად მშვიდად ჩანაცვლდეს ჩვეულებრივი საგაკვეთილო პროცესი ონლაინ სწავლებით, უფროსები მზად უნდა ვიყოთ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად და მათ გასამხნევებლად.

ეს ყველაფერი ცოტა იმას გავს, შორეულ წლებში სკოლის პირველი დღისთვის ზოგს ფეხსაცმელი რომ არ ჰქონდა, ზოგს თავის ზომა ტანსაცმელი და ზოგს ახალი ჩანთა, სახელმძღვანელოების შეძენა ფუფუნებად რომ ითვლებოდა და ყველას ერთად გვაწუხებდა ამ რეალობის გამო უხერხულობა და სირცხვილის გრძნობაც. ჩვენ ვიცით, ეს რას ნიშნავს და წესით არ უნდა გაგვიჭირდეს, მხარი დავუჭიროთ ბავშვებს და ვუთხრათ, რომ ის, რასაც ისინი განიცდიან, არც ჩვენთვის არის უცხო და ამგვარი სევდები ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, უბრალოდ ზოგჯერ ფორმას იცვლის, ზოგჯერ არც.

კიბერბულინგი და **ციფრული დრამები** აქამდეც იყო და გულუბრყვილოები თუ არ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ არც არსად გაქრება. მთავარი ისაა, მათგან თავის დაცვა ვისწავლოთ.

მასწავლებლები მთელს მსოფლიოში ყვებიან თავიანთი ახალი გამოცდილების და გამოწვევების შესახებ, რაც ახალმა რეალობამ მოიტანა. რამდენიმე რამ შეიძლება გამოდგეს ამ გამოცდილებებიდან:

- ონლაინ გაკვეთილი არ უნდა იყოს ხანგრლივი და მონოტონური. ბავშვებს უნდა შეეძლოთ ჩართვა და ინტერაქცია. თუკი ვინმეს ტექნიკური საშუალებები არ აძლევს საშუალებას, ჩანდეს ან კონკრეტულ დროს იყოს ონლაინ, ნუ გააკეთებთ ამაზე აქცენტს.
- ბავშვისთვის, რომელმაც კონკრეტულ დროს ვერ შეძლო გაკვეთილზე ჩართვა ობიექტური მიზეზების გამო, დაუტოვეთ ალტერნატივად გაკვეთილის ჩანაწერი, რომელსაც მოსმენენ, როცა შეძლებენ, თუმცა სხვა მოსწავ-

ლეებმა ჩაწერისას უნდა იცოდნენ, რომ პროცესი იწერება და ის, ვისაც ჩანაწერი გადაეცემა, გააფრთხილეთ, რომ მასალის გავრცელება არანაირი გზით არ შეიძლება.

- ადვილი არ არის, მაგრამ ვიდეო გაკვეთილების გარდა, შესთავაზეთ ბავშვებს კომუნიკაცია სხვა გზებითაც: მაგალითად, მეილით ან, უკიდურეს შემთხვევაში, ტელეფონით იმ შემთხვევებისთვის, თუკი რაიმე ვერ გაიგო ან დაზუსტება სჭირდება. უთხარით მათ, რომ ახლა ყველასთვის რთული დროა და თუ მხარდაჭერა ან დახმარება დასჭირდება, ან კითხვები ექნება, შეუძლია, თქვენი იმედი ჰქონდეს.
- ამას სახელმწიფო უნდა აკეთებდეს, მაგრამ ვინაიდან ფორსმაჟორია, შეიძლება საკუთარ თავზე აიღოთ და ონლაინ გაკვეთილების დაწყებამდე მოაგროვოთ მონაცემები ბავშვების სახლში სამუშაო პირობების, ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ და გაითვალისწინოთ კონკრეტული "შავი ხვრელები" საგაკვეთილო პროცესში. გახსოვდეთ, რომ ეს ბავშვებისთვის დელიკატური უნდა იყოს და სიფრთხილე გამოიჩინეთ.
- მასწავლებელი არ არის ის, ვისაც არაფერი ეშლება. ეს ვითარება თქვენთვისაც ახალია და თუკი იმასაც ეტყვით ბავშვებს, თქვენ რისი გეშინიათ, რა გიჭირთ ან რა მოგწონთ ამ პროცესში, ეს მათთვის საინტერესო იქნება და უხერხულობის გრძნობასაც საკუთარი პრობლემების გაზიარებით გაუქრობთ.
- ეცადეთ, ამ პერიოდის თუნდაც ფრაგმენტული დოკუმენტაცია შეაგროვოთ, არავინ იცის, ეს გამოცდილება როდის და რა ფორმით დაგჭირდებათ. ნებისმიერი მასწავლებლის გამოცდილება საინტერესოა.

აი, რამდენიმე რჩევა მშობლებისთვის სანდო წყაროებიდან:

- დაიცავით ასაკობრივი შეზღუდვა, რაც სოციალურ ქსელებს აქვთ და არ დაარეგისტრირეთ იმაზე პატარები, ვიდრე ამას კონკრეტული სოციალური ქსელის წესები მოითხოვს.
- აუხსენით ბავშვებს, რომ ციფრული სამყაროც ისეთივეა, როგორიც ჩვეულებრივი, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, საფრთხეებით და სიკეთეებით და ნებისმიერი საფრთხის დროს შეუძლიათ თქვენი მხარდაჭერის იმედი ჰქოდნეთ.
- უთხარით მოზარდებს, რომ დაბლოკონ ყველა, ვინც მათ შევიწროებას, შანტაჟს ან დაბულინგებას დააპირებს ონლაინ სამყაროში.

- შეინახონ ის მტკიცებულებები, რაც მათ მიმართ ძალადობად ან ბულინგად შეიძლება შეფასდეს.
- მოზარდებისთვის მნიშვნელოვანია, უფროსების და თანატოლების მხარდაჭერის იმედი ჰქონდეთ. თუ სჭირდებათ, უნდა ილაპარკონ და არ დამალონ, როცა ვინმე ავიწროებს, ეს მათი ბრალი და დანაშაული არ არის.
- ეს თქვენთვისაც სიახლეა და შეიძლება ადვილი არ იყოს, მაგრამ მხარი დაუჭირეთ მათ ონლაინ სწავლებისას. შეეცადეთ შეუქმნათ მაქსიმალურად კომფორტული და პერსონალური სივრცე, იყავით მხარდამჭერები და არა მაკონტროლებლები;

ციფრული მოქალაქის გზამკვლევი

საქართველოში, სადაც სამოქალაქო განათლების სკოლებში შეტანის პროცესიც რთულად და მტკივნეულად წარიმართა, ჯერ თითქმის არავინ საუბრობს იმაზე, რომ თანამედროვე ბავშვებს არა მხოლოდ სამოქალაქო განათლება, არამედ ინტერნეტში სამოქალაქო აზროვნების გაკვეთილები სჭირდებათ. ქსელთან კავშირის მქონე თითოეული ადამიანი ციფრული სამყაროს მოქალაქეა და თუკი გვინდა, რომ მან იქ თავი დაცულად იგრძნოს, პატივი სცეს სხვის აზრებს და გამოხატვის თავისუფლებას, ამოიცნოს ძალადობის შემთხვევები და იცოდეს მასზე რეაგირების მექანიზმები, თუკი ვისურვებდით, რომ შეძლოს ინფორმაციის კრიტიკულად გააზრება, საკუთარი აზრების გამოთქმა არგუმენტირებულად და თანამოაზრეების შემოკრება – ამ უნარების განვითარებისთვის ძალისხმევაც უნდა გავწიოთ.

ინტერნეტი, რომელიც ფაქტობრივად მეორე მსოფლიოს ციფრულ სამყაროს წარმოადგენს, ვერ იქნება უსაფრთხო და დემოკრატიული, თუკი იქ მცხოვრებ მოქალაქეებს არ შეეძლებათ ამ სივრცის უსაფრთხოდ, კრიტიკულად და ღირსეულად გამოყენება. და იქ, სადაც ადამიანები თავს დაცულად არ გრძნობენ, მათ ყოველთვის ელოდებათ რაიმე სახის ხიფათი. როცა ბავშვებზეა საუბარი, უნდა ვეცადოთ, ისინი მაქსიმალურად დავიცვათ სხვადასხვა ხიფათისგან, რისი განჭვრეტაც შესაძლებელია.

კარგად ცნობილი პიზას ტესტების შედეგები, რომლებიც საქართველოსთვის უკვე წლებია საკმაოდ მძიმე შედეგებს აჩვენებს, გლობალურადაც დრამატულ სურათს გვიჩვენებს ინფორმაციის მოხმარების თვალსაზრისითაც: ტესტი ააშკარავებს იმ პრობლემებს, რომლებიც მოზარდებს ინფორმაციის გადამუშავებისას აქვთ. მაგალითად, **ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნას** 15 წლის ასაკის მოზარდების საშუალოდ მხოლოდ 9% ახერხებს. ეს მონაცემი მცირედით განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

სხვა კვლევის შედეგების თანახმად, რომლებიც სტენფორდის ისტორიის საგანმანათლებლო ჯგუფის მკვლევრებმა ჩაატარეს, მოსწავლეებს უჭირთ

განსხვავების დანახვა რეკლამასა და ახალ ამბავს შორის. ეს უკანასკნელი კვლევა ამერიკელი მოზარდების უნარებს შეისწავლიდა, რომლებისთვისაც მედიაწიგნიერების გაკვეთილები სასწავლო პროცესის ნაწილია. სხვა ქვეყნებში, სადაც ეს საგანი არ ისწავლება, შედეგები, სავარაუდოდ, უფრო მძიმე უნდა იყოს.

ინფორმაციის გააზრებულად და კრიტიკულად მოხმარების გარდა, ციფრული მოქალაქეების წინაშე სხვა გამოწვევებიც დგას: ბულინგი, ძალადობა, ადიქცია.

ადრე ვწერდი, რომ ერთ-ერთ სკოლაში დავიწყე ექსპერიმენტულად უფროსკალესელებისთვის იმის სწავლება, როგორ გამოიყენონ სოციალური მედია მათთვის უფრო სასარგებლოდ და როგორ იგრძნონ თავი ინტერნეტში უფრო დაცულად. თავიდან, ამ შეხვედრებისთვის ერთიანი სახელის მოფიქრება გამიჭირდა. მერე მივხვდი, რომ ეს არის გაკვეთილები ციფრული მოქალაქისთვის, ინტერნეტში სამოქალაქო აზროვნებისთვის.

და როცა მოსწავლეებს ვკითხე, რა უნარები სჭირდებათ მათ, როგორც ციფრულ მოქალაქეებს, აი, რა პასუხები მივიღე მათგან:

- სწორი და ცრუ ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა;
- ინფორმაციის მოძიების უნარები, ძველი და ახალი ინფორმაციის, სანდო და არასანდო წყაროების ერთმანეთისგან გარჩევა;
- კიბერბულინგისას დაცვის სტრატეგიის ცოდნა;
- როგორ მოვიქცეთ, როცა ვინმე ჩვენგან ინტიმურ სურათებს ითხოვს და გვაშინებს, მათი არგაგზავნის შემთხვევაში?
- როგორ ვიპოვოთ ამბები მოზარდებზე, ჩვენზე, ბავშვებზე ინტერნეტში?
- სად და ვის მოვუყვეთ ის, რაც გვაწუხებს, ისე, რომ ყველაფერში ჩვენ არ დაგვადანაშაულონ?

ამ და სხვა, ისეთ კითხვებზე, რომლებზე პასუხების საჭიროებაზეც ბავშვები ჯერ არ დაფიქრებულან, პასუხების მოძიებმა მათ დამოუკიდებლად უწევთ, მანამ, სანამ მათ სასწავლო პროგრამაში არ გაჩნდება ინტერნეტში სამოქალაქო განათლების საგანი. და თუკი ვინმე მათ ამ პროცესში დახმარებას გადაწყვეტთ, უკვე არსებული **კურიკულუმები** შეგიძლიათ გამოიყენოთ მოზარდების დასახმარებლად და იმ თემებზე დასაფიქრებლად, რომელთა წინაშეც ისინი მარტონი არიან.

ნინო ლომიძე

საინფორმაციო ლავა – როგორ გავუმკლავდეთ „სტიქიას“?

ყალბ ცნობებთან და დეზინფორმაციასთან გამკლავება დღევანდელ სამყაროში არ არის ადვილი. ინფორმაცია სტიქიური ძალით მოედინება, ეს საინფორმაციო ლავა ყოვლისწამლეკავია. სხვათა შორის – ფხიზელი გონებისაც.

ბოლო დღეებში უამრავი „ახალი ამბავი“ შევიტყვეთ. „მარიხუანა კორონა ვირუსისგან კურნავს“, „ვენეციის არხებში დელფინები დაცურავენ“, „სპილოები გამოთვრნენ და დაიძინეს“

■

როგორ გავუმკლავდეთ სტიქიას, რომელსაც ხატოვნად საინფორმაციო ლავა შეგვიძლია ვუწოდოთ? რა უნდა ვასწავლოთ ჩვენს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ ყალბი ცნობებისა და დეზინფორმაციის ამოცნობა?

ამ ონლაინ გაკვეთილის მასალა მეათე და მეთორმეტე კლასისთვის გავამზადე, მაგრამ ვფიქრობ, დღეს ყველასთვის აქტუალურია.

წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის დამუშვების შემდეგ მოკლედ და ლაკონიურად ვცადე გადმომეცა უმთავრესი და ამ კვლევის „დაიბადა“ მასთ ტექნიკა.

ახალი ამ მეთოდში არაფერია. უბრალოდ, შეკუმშული და მოსწავლეებისთვის მოსახერხებელი სახითაა წარმოდგენილი მედიაწიგნიერების ანაბანა.

ბევრი ვიფიქრე აბრევიატურაზეც.

ვცადე ათამდე სხვადასხვა ვარიანტი. საბოლოოდ, „მასთ“ „დაჯდა“.

გთავაზობთ გაკვეთილის გეგმას, სავარჯიშოებს, მასალას და საკუთრივ მეთოდის აღწერას.

გამოყენებული რესურსების ჩამონათვალი:

ვებგვერდი commonsense.org – Fact-Checking, Fake News, and Understanding Bias

ვებგვერდი http://mastsavlebeli.ge – როგორ დავწეროთ რეფლექსია

ვებგვერდი mediachecker.ge – თებერვალში გავრცელებული დეზინფორმაცია; ვინ არიან ქართული ონლაინ გამოცემების მესაკუთრეები?

ვებგვერდი https://medialiteracynow.org/resources-for-teachers/

ვებგვერდი https://mediasmarts.ca

გაკვეთილის თემა და გეგმა

საინფორმაციო ლავა

როგორ გავუმკლავდეთ საინფორმაციო სტიქიას?

გაკვეთილის თემა - ყალბი ამბები, დეზინფორმაცია, საინფორმაციო წყაროებზე მუშაობა

გაკვეთილის მიზანი - როგორ გავარჩიო სიყალბე და დეზინფორმაცია? როგორ გავუმკლავდე საინფორმაციო სტიქიას?

რა დამჭირდება - ინტერნეტი, სურვილის შემთხვევაში კალამი/ფერადი ჩანიშვნებისთვის.

გაკვეთილის განმავლობაში:

- **გავიაზრებ, ვიმსჯელებ, გავაანალიზებ საკითხს;**
- **გავეცნობი ახალ ტექნიკას, რომელიც დამეხმარება ინფორმაციის გადახარისხებაში;**
- **შევავსებ და დავამუშავებ კითხვარს;**
- **მითითებულ ვებგვერდზე გავეცნობი ინფორმაციას, გავაანალიზებ და დავამუშავებ მიღებულ ცნობებს;**
- **გავაკეთებ ჩანაწერს მითითების მიხედვით. გავაკეთებ რეფლექსიას**

გამოწვევის ფაზა



მოსწავლეებს ვთხოვე, დაეთვალიერებინათ გუგლ საკლასო ოთახში ატვირთული ეს ფოტოები. დაფიქრებულიყვნენ და წერილობით ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე:

რა აქტუალური პრობლემაა ასახული მოცემულ ფოტოებზე?

რა თემა აერთიანებს ამ ფოტოებს?

რა ცოდნა გაქვს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით?

კითხვარი

საინტერესოა, რა წყაროებს იყენებენ ჩვენი მოსწავლეები ყველაზე ხშირად ახალი ამბებისა და ინფორმაციის მისაღებად? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, ასევე მონაცემების გაანალიზებისა და დამუშავების უნარების განსავითარებლად გუგლის საკლასო ოთახში ავტვირთე კითხვარი:

თემა - საინფორმაციო ლავა
(როგორ ვუმკლავდები საინფორმაციო სტიქიას?)

კითხვარი - ინფორმაციის წყაროები - ჩაწერეთ +შესაბამის უჯრაში!

	ონლაინ საინფორმაციო წყაროები	ტელევიზორი	ბეჭდური მედია - გაზეთი/ჟურნალი	სოციალური ქსელი (ფეისბუქი, ინსტაგრამი...)	რადიო
მსოფლიო/საერთაშორისო ახალი ამბები/ინფორმაცია					
ადგილობრივი ახალი ამბები/ინფორმაცია					
სასკოლო სიახლეები					
მეგობრები/ახლობლები/ოჯახი (ცნობები)					
სხვა					

კითხვარს მოსწავლეები ავსებენ და საბოლოოდ, თავად აანალიზებენ სტატისტიკურ მონაცემს – რა არის ინფორმაციის ძირითადი წყარო მათთვის.

ვაცნობთ ახალ ტექნიკას:

საინფორმაციო ლავა - როგორ გავუმკლავდე სტიქიას?

კითხულობ ახალ ამბავს?
გამოიყენე **მასთ ტექნიკა!**

მასთ არის აბრევიატურა

იშიფრება ასე:

მიზანი — რა არის ინფორმაციის, ახალი ამბის, ვებსაიტის მიზანი?

ავტორიტეტი — ვინ არის ავტორი ან რა ორგანიზაცია დგას ინფორმაციის მიღმა?

სანდოობა — რამდენად სანდოა მოცემული ინფორმაცია? გადავამოწმო!

თარიღი — როდისაა გამოქვეყნებული ინფორმაცია? შევამოწმო თარიღი!

გაიაზრე მოცემული ინფორმაცია:

რატომ არის ეს ტექნიკა მნიშვნელოვანი?

ჩამოწერე კონკრეტული კითხვები – რა ვერ გაიგე? რისი ახსნა/განმარტება გჭირდება? რა არის გაუგებარი?

მას შემდეგ, რაც ვუპასუხებთ მოსწავლეების კითხვებს, შეგვიძლია მივაწოდოთ ჩვენ მიერ შემუშავებული ახსნა-განმარტებები. მოცემულ ნიმუშში თავი მოვუყარე დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს, დავაჯგუფე მოცემული ტექნიკის შემადგენელი კომპონენტების მიხედვით. მაგალითად, მიზანი – ამ კომპონენტს მოჰყვება სპეციალისტის კომენტარი, ასე ვთქათ, „ირიბი განმარტება“, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, უკეთ გაიაზროს, რა იგულისხმება:

მიზანი:

ამონარიდი სტატიიდან „თებერვალში გავრცელებული დეზინფორმაცია“, ავტორი – ნინო დანელია, ვებგვერდი mediachecker.ge

თუკი გადამოწმებული, ფაქტებზე დაფუძნებული და საერთო კონტექსტში ჩასმული ინფორმაცია მოქალაქეს ეხმარება იყოს ინფორმირებული მის გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ და მიიღოს სწორი გადაწყვეტილები, დეზინფორმაციისა და ყალბი ინფორმაციის უმთავრეს მიზანს, მოქალაქეთა შეცდომაში შეყვანის გზით, საზოგადოებრივი აზრის მანიპულაცია და საზოგადოების ინფორმირებულ არჩევანზე გავლენა წარმოადგენს.

რას ნიშნავს სანდოობა და როგორ მივხვდე, ვინაა სანდო?

ორმა ან მეტმა სანდო წყარომ უნდა დაადასტუროს დეტალები, მოგვაწოდოს ფაქტობრივი მონაცემები და გაუზიაროს საკუთარი გადაწყვეტილებები საზოგადოებას. სანდო წყაროებია ის ადამიანები, მეცნიერები, ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ ექსპერტებს, თვითმხილველებს ან თავად არიან მოვლენის მონაწილეები, რაიმე დარგის სპეციალისტები ან ექსპერტები, ვისაც შეუძლია ზუსტი და სანდო ინფორმაციის მოწოდება.

ნიმუში – გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ვენეციის არხებში დელფინები შენიშნეს, ავტორიტეტულმა ორგანიზაცია „ნეიშენალ ჯეოგრაფიკმა“ (National Geographic) გააბათილა. მოსწავლეებს შეუძლიათ მცირე კვლევაც ჩაატარონ ამ მიმართულებით.

თარიღი – დრო მნიშვნელოვანია!

ახალი ამბავი არის ინფორმაცია, რომელიც ადამიანებს სჭირდებათ კონკრეტულ დროსა და მოცემულობაში, რათა რაციონალური გადაწყვეტილებები მიიღონ. თარიღის მითითება მნიშვნელოვანია, რადგან მოცემულობა/რეალობა იცვლება და ინფორმაცია განახლდება შესაბამისად.

მითხარი, ვინ დგას ინფორმაციის უკან და გეტყვი...

ტენდენციური ორგანიზაციებისა და ავტორების მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ასეთებია ორგანიზაციები და ავტორები, რომლებიც მოქმედებენ კონკრეტული, სუბიექტური მიზნებიდან გამომდინარე. ილუსტრაცია იხ. ქვემოთ:

> 2015 წელს დაფუძნდა საქართველოში რუსული მედიაპროექტი sputnik-georgia.com, რომელიც ქართულ ენაზე ავრცელებს ინფორმაციას. დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია ანტონ ლასხიშვილი, რომელიც ასევე 1997 წელს რეგისტრირებული შპს სვაბოდნაია გრუზიას დირექტორიცაა. გამოცემა საქართველოს შესახებ ინფორმაციას რუსულ ენაზეც ავრცელებს ამ ვებსაიტის - sputnik-georgia.ru მეშვეობით. სპუტნიკი რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შექმნილი მედიაპროექტია, რომელიც 34 ქვეყანაშია წარმოდგენილი.

წყარო: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/72243-vin-arian-qarthuli-onlain-gamocemebis-mesakuthreebi

გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი დაეთმობა რეფლექსიას. სთხოვეთ მოსწავლეებს, უბრალოდ, დაასრულონ ფრაზები:

- საინტერესო იყო...
- ყველაზე უკეთ გამომივიდა...
- მე ვისწავლე...
- გაკვეთილმა მომცა...
- რთული აღმოჩნდა...
- მე გავიგე, რომ...
- მე ახლა შემიძლია...
- გაკვეთილი მომეჩვენა...

ლევან ალფაიძე
ავტორი: ANABELLE TIMSIT,
ჟურნალების Quartz-ისა და Politico-ს რეპორტიორი (აშშ)

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ცრუ ინფორმაციის, ანუ ფეიკნიუსების გამოვლენა?

ცრუ ახალი ამბების, ანუ, ე.წ. „ფეიკ ნიუსების“ ეპოქაში, სკოლებში ბავშვებს ასწავლიან ფაქტების შემოწმებას

ერთ-ერთ ციფრულ მედიაპლატფორმაზე განთავსებულ ფოტოგრაფიაზე სამი უცნაურად გაზრდილი და დაზიანებული ფორმის გვირილაა გადაღებული. ყვავილები ისე არიან გაზრდილი და თანაც მოხრილი, რომ სალვადორ დალის ნახატებიდან გეგონებათ გადმოტანილი. სურათზე დართული კომენტარი გვეუბნება, რომ ფოტო ფუკუშიმის ატომური სადგურის მახლობლად არის გადაღებული. კომენტარის ბოლო წინადადება კი შემდეგს გვამცნობს: „ასეთი რამ მაშინ ხდება, როდესაც ყვავილები ბირთვული დაბინძურების მქონე ნიადაგში იზრდებიან“.

2015 წელს მესამე საფეხურის (ე.წ. „ჰაი-სქული“) 170 ამერიკულ სკოლაში მოსწავლეებს ზემოთ აღწერილი ფოტოსურათის შესახებ მარტივი შეკითხვა დაუსვეს: „ხედავთ თუ არა ამ ფოტოზე იმის დადასტურებას, რომ კადრი/სურათი სიმართლეს გამოხატავს?“

რბილად რომ ვთქვათ, აღწერილი ფოტოსურათი ზედაპირულად გამოიყურება. იგი ფოტოგრაფიების გაზიარების პლატფორმაზე, Imgur-ზე გამოაქვეყნა მომხმარებელმა, რომელსაც ძალიან უცნაური ვირტუალური სახელი, ე.წ. ნიკი, ჰქონდა – “pleasegoogleShakerAamerpleasegoogleDavidKelly“.

სურათს თან არ ახლავს ავტორი-ფოტოგრაფის და პირველწყაროს (ქსელში განმთავსებლის) ვინაობა. სურათზე არ არის მითითებული, კონკრეტულად სად არის ის გადაღებული. მიუხედავად ამ ფაქტებისა, შეკითხვაზე „ხედავენ თუ არა ფოტოზე იმის დადასტურებას, რომ გვირილების უცნაური ფორმა ფუკუშიმას ატომური სადგურის აფეთქებამ გამოიწვია?“ გამოკითხულ მოსწავლეთა 40% უპასუხა „დიახ“ (აქვე უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში, აღნიშნული ფოტო

რეალურია, თუმცა მეცნიერებმა თქვეს, რომ გვირილების უცნაური ფორმა **არ შეიძლება** რადიაციას გამოეწვია).

„გვირილების“ ექსპერიმენტი გახლდათ უფრო დიდი კვლევის ნაწილი, რომელსაც ატარებდა სტენფორდის უნივერსიტეტის ისტორიის განათლების ჯგუფი – History Education Group (HEG). მათი პროექტის სახელი იყო „სამოქალაქო განსჯა-მსჯელობა ონლაინ სივრცეში“ – “civic online reasoning”. მისი მიზანი იყო დაედგინათ, თუ რა შესაძლებლობები და უნარები აქვთ ახალგაზრდებს, ონლაინ წყაროებზე განთავსებული ინფორმაციის სანდოობის შესაფასებლად.

ამ საკითხის შესასწავლად მკვლევრებმა მოამზადეს 56 სახის შეფასებითი ფორმატი, მეორე და მესამე საფეხურის სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, აშშ-ის 12 შტატისათვის.

როგორც მეცნიერებმა ანგარიშში აღნიშნეს, მათ 7,804 პასუხი მიიღეს ახალგაზრდებისგან.

მკვლევრების თქმით, ექსპერიმენტის ჩატარებამდე ისინი სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოსწავლეები თავისუფლად მოახერხებდნენ მიწოდებული ინფორმაციის საიმედოობის დადგენას და ეჭვიც კი ჰქონდათ, რომ ეს ამოცანა ძალიან მარტივი იქნებოდა ახალგაზრდებისთვის.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეცნიერებს ინტუიციამ უმტყუნა – მათ მიერ მიღებული შედეგები იმაზე მეტად განსხვავებული აღმოჩნდა, ვიდრე მკვლევრები დაუშვებდნენ. დაწყებითი, საპილოტე რაუნდის შემდეგ, მათ დაინახეს, რომ მოსწავლეების უმეტესობას უბრალოდ არ გააჩნდა უნარი, ერთმანეთისგან განესხვავებინათ სანდო, უტყუარი ინფორმაცია და მიკერძოებული ონლაინ სიცრუე ან შელამაზებული ტყუილი, ე.წ. “online junk“, ან მიმხვდარიყვნენ განსხვავებებს სპონსორირებულ და ორიგინალურ სტატიებს შორის. როგორც მოგვიანებით მკვლევრებმა ანგარიშში აღნიშნეს: „ბევრი თვლის, რომ ახალგაზრდების განვითარებული უნარები სოციალურ მედიაში, ნიშნავს მათ მიერ ამ მედიაში განთავსებული ინფორმაციის სწორად აღქმას. ჩვენმა გამოკვლევამ კი პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგი გვიჩვენა“.

სტენფორდის უნივერსიტეტის კვლევა გვიდასტურებს იმ მოსაზრებას, რომელსაც ბევრი მასწავლებელი იზიარებს: დღევანდელი მოსწავლეები არ არიან მზად, გაუმკლავდნენ იმ ინფორმაციულ „წარღვნას“, რომელიც მათკენ სხვადასხვა ციფრული წყაროდან და მოწყობილობიდან მოედინება!

პრობლემას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც რამდენიმე გასულმა წელმა გვიჩვენა, მიკერძოებულ რეპორტაჟებს და აშკარად ცრუ ახალ ამბებს წარმოუდგენელი პოტენციალი აქვს: მათ შეუძლიათ იმოქმედონ არ-

ჩევნებისა და რეფერენდუმების შედეგებზე და გამოიწვიონ რეალური ტრაგიკული შედეგები. როგორც ეს #Pizzagate-ის სახელით ცნობილ ონლაინ შეთქმულების შემთხვევაში მოხდა – ჩრდილოეთ კარილონის მკვიდრმა, ედგარ უელჩმა, ცრუ-ნიუსების მოსმენის შემდეგ, ვაშინგტონის ერთ-ერთ პიცერიაში (Comet Ping Pong) უმისამართო სროლა წამოიწყო (საბედნიეროდ, მსხვერპლის გარეშე, ლ.ა.), რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს პიცერია ჰილარი ქლინტონის და დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ მართული ბავშვთა ტრეფიკინგის ქსელის ნაწილი გახლდათ.

სტენფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კვლევაში მეცნიერები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ „დღეს, დემოკრატია საფრთხის ქვეშაა, რადგან დეზინფორმაცია მნიშვნელოვანი სამოქალაქო საკითხების შესახებ შესაძლოა, წამებში გავრცელდეს უამრავი სოციალური ქსელით“.

სკოლები კალიფორნიის, აიოვის, ნიუ-იორკის, ჰავაის, არიზონისა და კიდევ რამდენიმე შტატში უკვე მუშაობენ სასწავლო პროგრამაში იმის ჩართვაზე, თუ როგორ ასწავლონ ბავშვებს, მცირე ასაკიდან, საინფორმაციო ქსელში განთავსებული ინფორმაციის შეფასება, რომლებიც მათი ყოველდღიური ონლაინ საკითხავია. მასწავლებლები, სასკოლო ოლქები და არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ, შექმნან ისეთი კურიკულუმი, აპლიკაციები და შეფასების მექანიზმები, რომლებიც მოსწავლეებს მოამზადებს სამომხმარებლო ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისთვის.

ერთი მხრივ, თითქოს ადვილი ჩანს ზემოთ თქმული პრობლემის ორი ნაწილად („სიმართლე-სიცრუე“), ბინარულ წყვილად განხილვა – „ვასწავლოთ ბავშვებს ამ ორის განცალკევება, ამაზე ფიქრი და პრობლემაც გადაიჭრება“. მაგრამ სტენფორდის ისტორიის პროფესორი, სემ უაინბურგი თვლის, რომ ეს საკითხი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჩვენ ვხედავთ.

„ცრუ-ნიუსების წყაროდ შესაძლოა რუსული „ბოტები“ (**bot – იგივეა რაც რობოტი, ოღონდ კომპიუტერულ ქსელში**) და „ტროლების“ ფერმები (to troll, trolling – ინტერნეტში პროვოკაციული შეკითხვების და ინფორმაციის სპეციალურად განთავსება, ლ.ა.) წარმოვიდგინოთ, სადმე სანკტ-პეტერბურგში“, -ამბობს პროფესორი უაინბურგი. „თუმცა ნამდვილი პრობლემა ის გახლავთ, რომ არ ვიცით, ვინ აწარმოებს იმ ინფორმაციას, რომელსაც ჩვენ მოვიხმართ და მეორე, რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია?“

მაგალითად, ევროპულ სივრცეში, აქტიურად მუშაობენ რუსული მედიაკომპანიები: Russia Today და Sputnik. ორივე, მთავრობის მიერ დაფინანსებული მედიასაშუალება გახლავთ. ორივე მედია ცრუ ინფორმაციას ავრცელებს

ევროპულ პოლიტიკასა და ევროპელ პოლიტიკოსებზე და რეგულარულად აწოდებენ მაყურებელს/მკითხველს სიახლეებსა და „ამბებს“ ევროპის ბნელ მხარეებზე, რუსეთის წარმატებებსა და რუსული პოპულისტური პარტიების შესახებ. ჟურნალი „ეკონომისტის“ მიხედვით, “Russia Today” და “Sputnik” შესაძლოა რესპექტაბელურობის შთაბეჭდილებასაც ქმნიდეს, რადგან მათ უზარმაზარ „ნიუს-რუმებში“ (საინფორმაციო ამბების სტუდია ტელევიზიაში, ლ.ა.), ამ „ახალ“ ამბებს ხუთ ენაზე თარგმნიან ევროპელი მაყურებლისთვის. ამ დროს ორივე მედიასაშუალების სიუჟეტები და სტატიები მთავრობის მიერ არის შედგენილი.

ცრუ ახალი ამბების, ანუ ე.წ. „ფეიკ ნიუსების“ ეპოქაში, სკოლებში ბავშვებს ასწავლიან, თუ როგორ შეიძლება ფაქტების შემოწმება

ყველასთვის ნათელია და სიმართლეა ის, რომ სოციალური მედია და ციფრული პლატფორმების ორაზროვნება ხელს უწყობს მიკერძოებული და ტყუილი ინფორმაციის ადვილად გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის მთავარ ღერძს ტექნოლოგია არ წარმოადგენს – პრობლემას ვერ გადაწყვეტს „ფეიკ-ამბების“ ახალი ფილტრები თუ შემაკავებელი ალგორითმები. როგორც სთოუნი-ბრუკის უნივერსიტეტის ახალი ამბების შესწავლის ცენტრის დირექტორი, რიჩარდ ჰორნიკი აღნიშნავს, ეს „ადამიანური პრობლემაა. ეს ჩვენი თვისებაა“.

სხვა სიტყვებით, ადამიანი როგორღაც მირდეკილია ცრუ-ამბებისადმი. ჟურნალ „ატლანტიკში“, ავტორი რობინსონ მეიერი შემდეგს წერს: „ცრუ-ამბები და ჭორები უფრო მეტ ადამიანამდე აღწევს, უფრო ღრმად შედის სოციალურ ქსელებში და უფრო ჩქარა ვრცელდება, ვიდრე აკურატულად მოწოდებული ამბები“. ეს ალბათ იმის გამო ხდება, რომ ადამიანს იზიდავს ამ „ამბების“ სიახლე და მძლავრი ემოციები (შიშიდან ზიზღამდე და გაკვირვებამდე), რომელსაც ეს „ამბები“ იწვევენ. როგორც 2018 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი კვლევის შედეგებშია აღნიშნული, „ცრუ ახალი ამბები იმიტომ არის ასე გავრცელებული ონლაინ გამოცემებში და პლატფორმებში, რომ მას ადამიანები (და არა რობოტები) ავრცელებენ“.

უფრო მეტიც, „ცრუ-ახალ ამბებში არაფერია ახალი“, აღნიშნავს კელი მენდოსა, ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმის, არამომგებიანი ორგანიზაციის, Common Sense Media-ს დირექტორი. 1672 წელს, ინგლისის მეფემ,

ჩარლზ II გამოსცა ბრძანება „მცდარი ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ“; მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტების მიერ კონტროლირებადი მაუწყებლები მასობრივად ავრცელებდნენ ტყუილებს მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობაში ევროპის მასშტაბით.

როგორც სმითსონიანის ინსტიტუტის (Smithsonian – მსოფლიოს უმსხვილესი სამუზეუმო, კვლევითი და საგანმანათლებლო ამერიკული ინსტიტუტი ვაშინგტონში) წარმომადგენელი, ჯაკი მანსკი აღნიშნავს, „ ცრუ ახალი ამბების გავრცელება, ამ საქმიანობის ნაწილი იყო პირველი თავისუფალი მედიის შექმნის დღიდან“. „დღეს ადამიანი უნიკალურ მდგომარეობაში იმყოფება – რაც იბეჭდება, ის იმ ადგილას ვრცელდება, სადაც ნაბეჭდს მიიტანენ და მას ზღვრული გავრცელება აქვს. რაც შეეხება ციფრულ ინფორმაციას, მისი გავრცელების სისწრაფე გეომეტრიული პროგრესიის მსგავსია. დღეს ძალიან ადვილია, სწრაფად გაავრცელო ის, რაც სიცრუეს წარმოადგენს“, დასძენს კელი მენდოსა.

„ჩვენი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს არ აქვს საკმარისი უნარები საინფორმაციო ტექნოლოგიებიდან მომდინარე ინფორმაციის იმ უპრეცენდენტო მოცულობის ასათვისებლად, შესაფასებლად და დასახარისხებლად. ჩვენ უფლებას ვაძლევთ ციფრულ პლატფორმებს, ტელეფონებს, სოცმედიასა და კომპიუტერებს, გვმართონ. ჩვენ მათ უპირატესობას ვემორჩილებით“, ამბობს პროფესორი უაინბურგი.

აშშ-ს რამდენიმე შტატმა (როდ-აილენდი, ნიუ-მექსიკო, კალიფორნია და კონექტიკუტი), უკვე მიიღო და დაამტკიცა კანონმდებლობა, რომელიც სკოლებს ბავშვებისთვის ახალი ამბებისა და მედიაწიგნიერების გაკვეთილების ჩატარებას ავალდებულებს. თუმცა, კრიტკოსების აზრით, ამ პროგრამების დაფინანსება პრობლემურია, ხოლო მასწავლებლებს ისედაც უამრავი გაკვეთილები აქვთ სასწავლო გეგმაში. სკოლების დახმარებას ცდილობენ ამერიკული არასამთავრობოებიც. მათ შეიმუშავეს რამდენიმე სია-ჩამონათვალი (ე.წ. „ჩექ-ლისტი“, ინგლ.), ისეთი კრიტერიუმებით, რომელთა მიხედვით მოსწავლეებს უნდა გაუადვილდეთ ტყუილისა და სიმართლის გარჩევა ახალ ამბებში. სახელმძღვანელო 30-მდე შეკითხვას შეიცავს, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია: „აქვს სტატიის ავტორს იმის კვალიფიკაცია, რომ ამ საკითხზე წეროს?“, ან „არის თუ არა პუბლიკაციაში გამოყენებული მიკერძოებული ან გამაღიზიანებელი ენა?“

სამწუხაროდ, მასწავლებლების ნაწილი უკმაყოფილოა ასეთი მიდგომით და თვლის რომ „ჩექ-ლისტები“ უსარგებლოა, გრძელია და ხშირად მოძვე-

ლებული. პროფესორ ჰორნიკის აზრით, „ჩექ-ლისტები“ ვერაფერს უშველის. საჭიროა „ტყუილების დეტექტორის“ (ინგლ. Bullshit Detector) მიდგომის განვითარება. „ამ დროს ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ის უნარები, რომლებიც ინფორმაციის „გამოძიებას“ დაასწავლის მათ, ინფორმაციის უბრალოდ „მოხმარების“ ან „ჩაყლაპვის“ ნაცვლად; განუვითარებს მათ ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების უნარებს, პუბლიკაციის სხვებისთვის გაზიარებამდე; უჩვენებს ბავშვებს, რომ ხშირად, ინფორმაციის გამომგზავნი ან გამზიარებელი არ წარმოადგენს ინფორმაციის/პუბლიკაციის ავტორს; გაითვალისწინებენ ყველა იმ წარმოდგენას თუ ცრურწმენას, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ატარებს. „ამის გარეშე, ნებისმიერი კრიტიკული შეფასება თუ სწავლება, დროის ფუჭი ხარჯვა იქნება“, ამბობს ჰორნიკი.

როგორც ცრუ ამბებისა და ტყუილების ფენომენის მკვლევრები აღნიშნავენ, მთავარი კითხვა შეიძლება ასე ჟღერდეს: „საიდან უნდა გავიგოთ, რომ „ფეიკ“-ნიუსების საწინააღმდეგოდ მიმართული პროგრამები წარმატებულად მუშაობენ, ან რომელი მათგანია სხვებზე უკეთესი? – ექსპერტების პასუხები განსხვავებულია. თუმცა ერთზე ყველა თანხმდება: მოსწავლეთა მიერ ახალი ამბების მოხმარების წესის შეცვლას წლები შეიძლება დასჭირდეს. როგორც პროფესორი უაინბურგი აღნიშნავს, ამ პრობლემის გადასაწყვეტად ალბათ ადამიანის გენომის გამოკვლევის პროექტის დონის საგანმანათლებლო ეკვივალენტი დაგვჭირდება, რომელზეც ათეულობით წლის სამუშაო, მილიარდობით დოლარი, ათასობით მეცნიერი და საერთაშორისო თანამშრომლობა იქნება აუცილებელი“.

ქეთევან ოსიაშვილი

დისტანციური სწავლების ფსიქოლოგია

როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში, განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, დგება პერიოდი, როდესაც ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, მან უნდა აკეთოს ჩვეული საქმე იმ ფორმით, რომელიც მისთვის უცხოა და ადრე არასოდეს გამოუყენებია. სწორედ ასეთ პირობებში იმყოფება ახლა ჩვენი საზოგადოება და თითოეული ჩვენგანი.

იმისათვის, რომ მოსწავლეთა სასკოლო განათლებაში დიდ წყვეტას არ ჰქონდეს ადგილი და ბავშვებმა შეძლონ ცალკეულ საგნებში წინასწარ განსაზღვრული პროგრამის შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გავლა, გადაწყდა, დღეისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველი პერიოდით, დისტანციურ სწავლებაზე, უფრო ზუსტად კი დისტანციური სწავლების ისეთ ფორმაზე გადასვლა, რომელიც ონლაინ სწავლების სახელით არის ცნობილი.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს ყველა სკოლა, ამასთან, არა მხოლოდ რეგიონებში, არამედ დედაქალაქშიც კი, აღნიშნული სწავლებისთვის საჭირო რესურსების არასაკმარისობისა და საჭირო პირობების (არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ მოსწავლეებისთვისაც) არქონის გამო ვერ შეძლებს ონლაინ რეჟიმში სწავლებაზე გადასვლას. ამასთან, ბევრ ისეთ სკოლაში, სადაც ყველანაირი პირობაა შექმნილი სწავლების ზემოაღნიშნული ფორმის გამოყენებისთვის, გარკვეულ სირთულეებს მაინც ექნება ადგილი. და, თუ გვინდა, რომ ეს სირთულეები წარმატებით დავძლიოთ, უნდა შევეცადოთ სიტუაციის გაანალიზებას და შესაბამისი რეკომენდაციების შესრულებას.

უპირველეს ყოვლისა, სასურველია წინასწარ გავაცნობიეროთ, რა ცვლილებებს იწვევს ონლაინ რეჟიმში სწავლება და რა სირთულეები შეიძლება შეგვხვდეს სწავლა-სწავლების აღნიშნული ფორმით წარმართვის დროს:

- სრულიად იცვლება სასწავლო გარემო (სასწავლო განწყობის შემუშავებისთვის საჭირო ობიექტური ფაქტორი), როგორც მასწავლებლებისთვის,

ასევე ბავშვებისთვისაც. რეალურ საკლასო გარემოში სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეები და მასწავლებელი. ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთის მოთხოვნებს, მოლოდინებს, საშუალება აქვთ ძალიან ბუნებრივ სიტუაციაში მთლიანობაში აღიქვან ერთმანეთის არა მხოლოდ მეტყველება, არამედ მიმიკა, ემოციები, გრძნობები და სიტუაციის შესაბამისად ცვალონ ისინი მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად. ვირტუალურ საკლასო ოთახში, მასწავლებლისა და მოსწავლეების გარდა, იმყოფებიან მშობლები, და-ძმები, ოჯახის სხვა წევრები, უამრავი კეთილისმყოფელი, რომლებიც ნებით თუ უნებლიეთ, აშკარად, თუ ფარულად შეიძლება ჩაერთონ „საგაკვეთილო პროცესში“ და სერიოზულ ხელისშემშლელ ფაქტორად მოგვევლინონ ონლაინ სწავლებისას;

- დიდი ალბათობით, ონლაინ სწავლების დროს პედაგოგისთვის ადვილი არ იქნება იმ მოსწავლეების ყურადღების მობილიზება და „საგაკვეთილო პროცესში“ ჩართვის უზრუნველყოფა, რომლებიც რეალური საკლასო ოთახიდანაც სხვადასხვა, ხშირად გამოგონილი მიზეზით (მაგ. „ცუდად ყოფნა“, „წყურვილის შეგრძნება“ და ა.შ.) ცდილობენ თავი დააღწიონ სასწავლო პროცესს. ისინი შეიძლება გამოეთიშონ ონლაინ გაკვეთილს და მიზეზად დაასახელონ მაგ. ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, სინათლის გათიშვა. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს პრობლემები მათ თავად წინასწარ, „გაკვეთილის“ დაწყებამდე შექმნან და ეს ყველაფერი ისე გააკეთონ, რომ მოდავებაც ვერავინ მოახერხოს;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, რაც ასე მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში, საკმაოდ რთული იქნება ვირტუალურ სასწავლო გარემოში, გაცილებით უფრო რთული, ვიდრე რეალურ საკლასო ოთახში. დაქვეითებული თვითშეფასების, საკუთარ ძალებში დაურწმუნებელი, მორცხვი, მორიდებული ბავშვი ძალიან ადვილად შეიძლება გადავიდეს პასიურ მდგომარეობაში, ან საერთოდ გამოეთიშოს სასწავლო პროცესს. და, პირიქით – ზედმეტად აქტიური ბავშვი ასეთ დროს, როგორც წესი, წამყვან პოზიციებს იკავებს, თრგუნავს თანაკლასელებს და მთლიანად შთანთქავს საგაკვეთილო დროს, რომელიც ონლაინ სწავლებისას ისედაც შემცირებულია;
- ონლაინ სწავლების დროს ყველა გაკვეთილის ონლაინ რეჟიმში ჩატარების შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა შემცირებულია, ბავშვს საკმაოდ დიდი დროის გატარება უწევს კომპიუტერთან.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, დიდი ალბათობით, ონლაინ სწავლების პირობებშიც კი ის უარს არ იტყვის თავის ჩვეულ გატაცებაზე – კომპიუტერულ თამაშებზე, მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა შეიძლება სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს;

- ონლაინ სწავლებისას ბავშვი მოკლებულია რეალურ, ცოცხალ ურთიერთობებს თანატოლებთან, უფროსებთან. თუ ამ დროს ოჯახის წევრები სათანადო დროს არ დაუთმობენ მასთან ურთიერთობას, მისი სოციალური განვითარება სერიოზულად დაზარალდება.

რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ მოსალოდნელი საფრთხეები ონლაინ სწავლებისას თავიდან ავიცილოთ:

- უპირველეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ცვლილება ადამიანისაგან გარკვეული საადაპტაციო პერიოდის გავლას მოითხოვს. ამდენად, ონლაინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში, პირველივე დღეებში ნუ გვექნება დიდი წარმატებების მოლოდინი, ვიყოთ გულისხმიერი, მიმტევებელი, ნაკლებად კრიტიკული ასეთი ფორმით სწავლებაში ჩართული ადამიანების მიმართ; ორიენტირებული ვიყოთ დადებითზე, დავაფიქსიროთ თითოეული დადებითი შედეგი, ნუ დავიშურებთ პოზიტიურ კომენტარებს; თუმცა, ამასთან ერთად, საჭირო იქნება შექმნილი პრობლემების გამოსწორებაზეც ვიფიქროთ, გავაანალიზოთ თითოეული რთული შემთხვევა, ვეძებოთ გამომწვევი მიზეზები და დავსახოთ მისი გამოსწორების გზები;
- ნებისმიერ მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ონლაინ სწავლებისას სერიოზულად იზრდება მშობლის როლი სწავლა-სწავლების პროცესში. თითქმის მთლიანად მშობელზეა დამოკიდებული, რამდენად უსაფრთხო სასწავლო გარემო ექნება ბავშვს შექმნილი, უსაფრთხო არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ სოციალურადაც. თუ მის ონლაი ნგაკვეთილს უამრავი „გულშემატკივარი“ ესწრება, რომლებიც შემდეგ გააკრიტიკებენ მის ჩართულობას, მონაწილეობას საგაკვეთილო პროცესში, მის პასუხებს, მან შეიძლება უსაფრთხოდ ვერ იგრძნოს თავი და გაკვეთილის პროცესში პასიურ მდგომარეობაში ყოფნა არჩიოს. ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბევრი მშობელი ინტერესდება და სვამს შეკითხვას, რა იქნება უკეთესი მისი მხრიდან – დაესწროს ონლაინ გაკვეთილებს, აწარმოოს დაკვირვება სასწავლო პროცესზე და ამ პროცესში საკუთარი შვილის ჩართულობაზე, თუ დატოვოს ბავშვი ოთახში მარტო და მთლიანად მასწავლებელს მიანდოს.

ამ კითხვაზე ცალსახად დადებითი ან უარყოფითი პასუხი არ იქნება გამართლებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი. ვფიქრობ, უმცროსკლასელის მარტო დატოვება ონლაინ გაკვეთილზე ისევე არ იქნება გამართლებული, როგორც უფროსკლასელის გვერდით ჯდომა მსგავს სიტუაციაში. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერი მშობლის მიერ ბავშვის სურვილები და საჭიროებები უნდა იყოს გათვალისწინებული. თუ მოზარდი დაჟინებით მოითხოვს მშობლისგან, რომ მარტო დატოვოს ოთახში, ცდილობს დამოუკიდებლად ჩაერთოს „საგაკვეთილო პროცესში“, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს მის სურვილს. მაგრამ, თუ საკუთარ თავში დაურწმუნებელ ბავშვს მშობლის გვერდით ყოფნა ძალებს ჰმატებს და სასწავლო მოტივაციას უძლიერებს, გაუმართლებელი იქნება მის დახმარებაზე ოჯახის წევრებმა უარი თქვან. თუმცა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ბავშვი, დროთა განმავლობაში, დამოუკიდებლად მოქმედებასაც მივაჩვიოთ და საკუთარი ძალების რწმენა გავუძლიეროთ;

- კარგი იქნება, თუ ონლაინ სწავლების პირობებში მშობლები ყურადღებას მიაქცევენ იმას, თუ რამდენ საათს ატარებს ბავშვი კომპიუტერთან. დღის განმავლობაში 5-6 ონლაინ გაკვეთილზე დასწრება და მასში მონაწილეობა სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ დღის დარჩენილ მონაკვეთში ბავშვმა შეწყვიტოს კომპიუტერთან ურთიერთობა. მაგრამ, თუ ის „არასაგაკვეთილო“ პერიოდში კომპიუტერული თამაშებით დაკავდება, შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს საკუთარ ჯანმრთელობას. ამდენად, საჭირო და აუცილებელიც კია, რომ მოზარდმა კომპიუტერული თამაშები სხვა, უფრო სასარგებლო საქმიანობით ჩაანაცვლოს. ამის გაკეთება შედარებით ადვილი იქნება იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ არიან „მოწამლული“ კომპიუტერული თამაშებით. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მშობლების დაკავებულობის გამო, მათთან ურთიერთობის შესაძლებლობას მოკლებული მოზარდისთვის მშობლის მიერ შეთავაზებული, მასთან ერთად გასაკეთებელი საქმე შეიძლება ძალიან მიმზიდველი და საინტერესოც აღმოჩნდეს. ამასთან, ასეთი ერთობლივი საქმიანობა სახლში გამოკეტილ ბავშვს ერთგვარად სოციალური ურთიერთობის დეფიციტსაც შეუვსებს და მისი შემდგომი სოციალური განვითარების ხელშემწყობიც გახდება.

გავითვალისწინოთ, რომ სწორად წარმართვის პირობებში, დისტანციური სწავლება ბევრი დადებითის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. ის დაეხმარე-

ბა ბავშვს, გამოიმუშაოს გარემოს შეცვლილ სიტუაციაში მოქმედების, ასევე თვითდისციპლინის, პასუხისმგებლობის და საკუთარი ქცევის მართვის უნარი. ამასთან საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ონლაინ სწავლება არ არის დისტანციური სწავლების ერთადერთი ფორმა. ცალკეულმა სკოლებმა საკუთარი შესაძლებლობებიდან და რესურსებიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყენონ დისტანციური სწავლების სხვა ფორმები, რათა უზრუნველყონ საკუთარი მოსწავლეების განათლება იმ დროს, როცა სწავლება რეალურ სასკოლო სიტუაციაში შეუძლებელი ხდება.

WWW.TPDC.GE

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი